პ ა ხ ტ ა ნ გ
ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი

ფლოვიდან დანახული ჭოფლიო

„ნაკადული"
თბილისი
1972

91 ᲝᲡᲛ)
91(∞)C4
ბ. 251

7-6-3

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ

საბჭოთა მეზღვაური! რაოდენ ამაყად გაისმის ეს სიტყვები. და განა არ არის საამაყო, იყო მეზღვაური, ზღვებისა და ოკეანეების მპყრობელი. მერე ისიც საბჭოთა მეზღვაური, მშვიდობისმოყვარე ქვეყნიდან, რომლის შვილები არ დასჯერდნენ ზღვასა და ხმელეთს, გაუგონარი გმირობით შეიჭრნენ ციურ სამყაროში.

მე მრავალი ღამე გამიტარებია შორეულ მოგზაურობაში. აი, უკვე ოცდაათი წელი გავიდა, რაც საკავშრო ფლოტის სამსახურში ვიმყოფები.

საინტერესოა მეზღვაურის ცხოვრების გზა, და, მით უმეტეს, როცა მატროსობით იწყება პირველი გასვლა ზღვაში. მერე თანდათან მიიწევ წინ: სან შტურმანის მოწაფე ხარ, ხან კაპიტნის თანაშემწე. როგორც სხვა ათასობით მეზღვაურმა, მეც გავიარე ეს გზა, გზა მატროსობიდან ფლაგმანის კაპიტნობამდე.

მრავალჯერ მიმოგზაურია მსოფლიოს გარშემო ჩემს მამაც მეზღვაურებთან ერთად. ვწვევივართ ჩვენი პლანეტის თითქმის ყველა ქვეყანას. არაერთგზის გადაგვისერავს ზღვები და სრუტეები. ეყოფილვართ ინდოეთისა და ატლანტის, წყნარი და ყინულოვანი ოკეანეების კუნძულებზე. ვინ მოთვლის, რამდენჯერ გადაგვიცურავს ეკვატორი. გავსულვართ პანამის არხში, გაგვივლია პაეის კუნძულები, ვყოფილვართ ევროპის გარშემო, გაეუცილებივართ ლენინგრადს და დაგვსვედრია კუბა, მივსალმებივართ სკანდინავიის ნახევარკუნძულებს, მხრები გაგვიშლია სუეცის არხში, ვვინადირია ჩრდილოეთის ზღვაზე და შორეულ აღმოსავლეთში. რომელი ერთი ჩამოვთვალო, სად არ ჩავსულვარ როგორც კაპიტანი, ექსპედიციის უფროსი, კაპიტან-დირექტორი, ფლაგმანის კაპიტანი.

მოგზაურობისას საშუალება მეძლეოდა, დამეთვალიერებინა თითოეული ქალაქი, მისი ღირსშესანიშნაობანი, ისტორიული ძეგლები, მუზეუმები და თეატრები, შევსვედროდი სხვადასხვა ერისა და პროფესიის ადამიანებს, მტრებსა და მოყვარეებს, უფრო ახლოს გავცნობოდი მათ ყოფა-ცხოვრებას, ზნე-ჩვეულებებსა და ტრადიციებს. გამეგო მათი მისწრაფებანი, მათი ფიქრები, მათი ინტერესები.

ეხვდებოდი ყოველი ჯურის ადამიანს. იყვნენ გულწრფელი მეგობრებიცა და აშკარა მტრებიც. მშვიდობის მომხრენიც და ომის მოსურნეებიც. ვათვალიერებდი ფუფუნებით სავსე თეთრ ვილებს და ვესაუბრებოდი ჯურღმულებში მცხოვრებთ. ულამაზესი მანქანის საჭესთან მე მინახავს ულამაზესი ქალი და მის საპირისპიროდ რიქშებში პირუტყვივით შებმული ადამიანები, ფეხშიშველნი და ხელებდამსკდარნი. კაპიტალისტური სამყაროს არსიც ხომ ორ ბანაკად არის გაყოფილი: ომი და მშვიდობა, პროგრესი და რეგრესი. და ჩემი სურვილიც ეს არის, ამ წიგნში სწორედ ამ გაორებული სამყაროს ირგვლივ ეესაუბრო მკითხველებს.

ყველა თქვენგანი დამეთანხმება, რომ იშვიათად თუ მოიძებნება ადამიანი, რომელიც არ იყოს გატაცებული მოგზაურობით, რათა საკუთარი თვალით ნახოს ზღვები და ოკეანეები, აღმოაჩინოს ახალი კუნძულები.

ახლა, როცა ამ სტრიქონებს ვწერ, მაგონდება პირველი გასვლა ზღვაში...

უკანასკნელი გამოსალმება, გამოსამშვიდობებელი საყვირები, ნაცრისფერ ნისლში გახვეული ლენინგრადი. ნისლშია გახვეული ქუჩები და სახლები, ყურში ახლაც მესმის ნაპირზე დარჩენილი ახლობლების ხმები. ფეხქვეშ გემბანი ირწევა, სახეში ზღვაური მცემს, ისმის ძრავის მონოტონური ხმა...

მაგონდება ეს ყველაფერი და მინდა ერთხელ კიდევ ვიმოგზაურო, ამჯერად გონების თვალით ვეწვიო მსოფლიოს ყველა ქვეყანას, სადაც კი ფეხი დამიდგამს, სადაც კი მიმიტანია ტვირთი, მიმიღია გემები...

წინ რამდენი რამ არის მოსალოდნელი, რამდენი ქარიშხალი, რამდენი დაბრკოლება, რამდენ სიძნელეთა გადალახვა... მაგრამ ეს ყველაფერი უკვე წარსულს ჩაბარდა. და მე მიხარია, რომ ჩემს წიგნში შემიძლია თამამად ვილაპარაკო ამ გადასვლებზე, დავალებათა პირნათლად შესრულებაზე, მშვიდობიან რეისებზე.

ასე დაიწყო ახლა

ხავსადგური ნელ-ნელა იკარგება თვალთახედვიდან. მშვიდად გუგუნებს სამანქანო განყოფილება და გემიც მშვიდად მიაპობს ტალღებს. წინ ცივი ქარი გვეგებება.

ეკიპაჟი მომარაგებულია სურსათით, საწვავით, საზღვაო რუკებითა და სახელმძღვანელო ცხრილით. გენერალურ რუკაზე წითელი ხაზითაა აღნიშნული ჩვენი გასავლელი გრძელი გზა. უნდა გადავლახოთ ოკეანეები, ზღვები, სრუტეები და უბეები. წინ ათასობით საზღვაო მილია...

პირველმა რუკამ უკვე მაგიდიდან უჯრაში გადაინაცვლა. ეს ლენინგრადის ნავსადგურთან გასასვლელი არხის რუკაა. იგი საჭირო აღარაა, სანამ ხელახლა არ მოგვიხდება მშობლიური ქალაქიდან გამგზავრება და...

ნახვამდის, საყვარელო ქალაქო!

მე ჩემს პირველ თანაშემწესთან, ნიკოლოზ კორნეევთან ერთად ბოგურას მარჯვენა ფრთაზე ავდივარ. კიჩოზე მატროსები შეყრილან. ყველა დუმს. არის რაღაც ამაღელვებელი ამ დუმილში, ეს დუმილი როდია უცხო.

აი, უკვე ოცდაათი წელია, რაც ჩემი ცხოვრება ზღვასთან არის დაკავშირებული და ყოველთვის, როცა გემზე ვარ, პირველ რიგში ეკიპაჟი მაინტერესებს. ამჟამად, ამ მხრივ სასაყვე-

დურო არაფერი მაქვს. იქ, კიჩოზე ქართველი ახალგაზრდებიცაა: მიხეილ მდივანი და ოთარ ფხაკაძე. ოთარი დაბალ ხმაზე ღიღინებს თბილისურ მელოდიას. რაც შეეხება ნოდარ ალექსიძეს, იგი ახლა სამანქანო განყოფილებაშია; ჰოდა, რა სჯობია იმას, როცა სამშობლოსთან ასე დიდი ხნით დაცილებისას, თან გახლავს შენი თანამემამულე, შენი სისხლი და ხორცი...

არ შემიძლია აქვე არ ვახსენო ჩვენი საინტერესო თანამგზავრები ამ პირველ გასვლაში. ეს არის ჩემი ერთგული ძაღლი პირატი და ფაფუკკუდიანი კატა ფავა. პირატი და ფავა განუყრელად იმოგზაურებენ ჩემთან ერთად და შენც, მკითხველო, ძალაუნებურად მრავალჯერ მოგიწევს მათთან შეხვედრა.

თვალს მოეფარა ნავსადგური და მარჯვნივ კრონშტადტი გაშოჩნდა. გავცქერი ლენინგრადის ამ ციხესიმაგრეს, თითქოსდა ქვისგულა დევი დაუყენებიათ ქალაქის მცველად და გული სიამაყით მევსება. დიდია ჩემი სამშობლო, ძლიერია მისი ყოველი ნაწილი, და კრონშტადტთანაც ხომ, გარდა რუსეთის ფლოტის სამხედრო ძლიერებისა, დაკავშირებულია ბევრი რამ. ჩვენს სახელოვან ქვეყანას მეტი სახელი შეჰმატეს აქედან წასულმა შამაცმა მოგზაურებმა, ახალი მიწების დაუღალავმა მაძიებლებმა.

გემი კი...

ნელი ტაატით მიაპობს ტალღებს. ვდგავარ გემბანზე და თვალს ვერ ვაცილებ გზად ადევნებულ თოლიებს, თოვლის ფიფქივით თეთრსა და ჰაეროვანს, მერე ზღვაზე ნათქვამი სიტყვები სწვდება ჩემს სმენას. ეს ოთარ ფხაკაძეა. შესანიშნავი ხმის პატრონი და კარგი დეკლამატორი. როცა იგი კითხულობს ლექსს, უფრო ლამაზი მეჩვენება ლექსის სტრიქონები, რომელიც ერთ ქართველ პოეტს ეკუთვნის:

„გემი გასულა თეთრი აფრებით,
თუ მართლა ზღვაზე დაუთოვია...“

ასეა ნიადაგ. ყოველ ახალ გასვლას ახალი სიხარული მოჰქონდა ეკიპაჟისათვის. ახალი თავგადასავლები და ახალი გამარჯვებები. როცა ეკიპაჟს შევყურებ, ეჭვი არ მეპარება, რომ ასეთ მამაც მეზღვაურებთან ყოველთვის გამარჯვებული იქნები.

ნაზად ლივლივებს გდანსკის არხში მოლურჯო წყალი. არხს კი გემთმშენებელი ქარხნის „გდანსკის ვერფის“ მისადგომებთან მივყავართ. აქაური ვერფები კარგად არის აღჭურვილი თანამედროვე ხელსაწყო-იარაღებით. ამიტომაც, ბუნებრივია ის მაღალი ხარისხი, რითაც ასე გამოირჩევა პოლონელების მიერ აგებული თევზმჭერი ტრაულერები, მცურავი ბაზები თუ ათიათას ტონაზე მეტი წყალწყვის სატრანსპორტო გემები. ის ვერფი კი, საიდანაც ჩვენ ახალი ტრაულერი უნდა მიგვეღო, პარიზის კომუნის სახელობისაა.

პოლონეთში სამი დღე და ღამე გვქონდა თავისუფალი დრო. ამიტომ პირველ რიგში ქალაქის გაცნობა-გადავწყვიტეთ. პირველი პოლონელი, რომელიც ჩვენთან მოვიდა, სოციალისტური ახალგაზრდობის კავშირის საქარხნო კომიტეტის მდივანი თადეუშ იაგოდინსკი იყო.

...გდანსკი-გდინიას უზარმაზარი ავტობუსი, რომელშიც თითქმის ცვლიდან თავისუფალი მთელი ეკიპაჟი მოთავსდა, სწორედ მალბორგის ციხესიმაგრესთან შეჩერდა.—რა იოლად ავიღეთ ეს მიუვალი ციხესიმაგრეო,—ხუმრობს ნოდარ ალექსიძე.

მალბორგი... ცის ლურჯ ფონზე მკვეთრად გამოირჩევა ეს დიდებული შენობა — გარდასულ დღეთა უტყუარი მემატიანე. თითქოსდა თვალწინ იშლება ციხესიმაგრის ის მატიანე, რომელიც მეცამეტე საუკუნიდან იწერებოდა, როცა პირველად აღიმართა ცისკენ თვალისმომტაცი მშვენიერება.

როგორც გამყოლი გვიხსნის, ეს უნიკალური შენობა მონასტრის ყაიდაზე აუშენებიათ. აქ იყო თურმე ბერად აღკვეცილ მეფეთა სავანე. ციხე მაღალი და დაბალი სიმაგრეებისაგან შედგება. მაღალ სიმაგრეში მოთავსებულია ორდენის კონვენტი, საგუშაგო, საკრებულო დარბაზი და სატრაპეზო, ბერ მეფეთათვის განკუთვნილი სენაკები, რომელიც დაბალ ციხესიმაგრეს გადასასვლელი გზით უერთდება.

ვინ მოთვლის, რამდენი რამის მომსწრეა ეს დიდებული შენობები. თუნდაც მეჩვიდმეტე საუკუნის დაუნდობელი ომებისა, ომებისა, რომელსაც გადაურჩა. შემდეგ აღმავლობის გზას

დაადგა. მერე მისი განახლების საკითხიც კი დასვეს და რამდენიმე შენობა შემოუმატეს.

მაგრამ 1772 წლიდან, როცა პრუსიის იმპერატორმა ფრიდრიხ მეორემ თავისი ჯარი შემოუსია პოლონეთს, ციხესიმაგრემ ნელ-ნელა დაიწყო ნგრევა. განახლებაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო, ლიკვიდაციაზე ფიქრობდნენ, მაგრამ აქ უკვე ხმა აღიმაღლეს პატრიოტული სულისკვეთებით აღსავსე ადამიანებმა, და შეუდგნენ ციხესიმაგრის რეკონსტრუქციას.

მეორე მსოფლიო ომის დროს ისევ შეირყა ციხესიმაგრე, განსაკუთრებით კი მისი აღმოსავლეთის მხარის კედლები დაზიანდა. დამთავრდა ომი და შეაკეთეს წარსულის ეს დიდებული ძეგლი, წესრიგში მოიყვანეს სამუზეუმო ექსპონატები, არქივი.

როცა ორმოცდაათი მეტრის სიმაღლეზე დაკიდებული ხიდით ციხის შიდა ეზოში გავედით, გერმანელი მხედრობის ადრინდელი განცხადება გაგვახსენდა, მალბორგის ციხესიმაგრე მიუდგომელიაო. ამ ხიდზე 1945 წელს გაიარეს საბჭოთა ჯარებმა და თავისუფლება მოუტანეს პოლონელ ხალხს.

ძველი გდანსკი. იგი ვერფის ახლოს, ვისლის შესართავთან მდებარეობს. ომმა ძველი დანციგიდან ქვა ქვაზე აღარ დატოვა, და ახლა, აქ თითქმის სულ ახალი ქალაქია აშენებული. მისი ცენტრალური ქუჩა ძალიან მოკლეა, ქუჩის სახელი— ძალიან გრძელი. ამ ქუჩაზეა მთავარი ფოსტა, საბჭოთა კავშირ-პოლონეთის მეგობრობის სახლი, სანაპიროს საუკეთესო კინოთეატრი „ლენინგრადი", რომელიც სამი ათას მაყურებელს იტევს. აქ ხშირად უჩვენებენ, როგორც პოლონურ, ისე საბჭოთა ფილმებს.

ახალი გდანსკი კი, რომელიც ციხის კედლებიდან იწყება, ახალ თანამედროვე სტილზეა აშენებული. ნაირფერებად შეღებილი სახლები და სახურავები მეტ სიცოცხლესა და სიხალისეს მატებს ქალაქის ქუჩებს.

სტეფან ბატორის ქუჩაზე საბჭოთა კავშირის გენერალური საკონსულოა მოთავსებული. აქვეა გემთმშენებელთა უბანი, ოპერისა და ბალეტის ერთსართულიანი შენობა... ოთარ ფხაკაძე გულისყურით აცქერდება თეატრის წინ გამოკრულ რეკლამებს. მეგობრები ეხუმრებიან ოთარს: — რას კითხულობ,

ერთბაშად შენი გვარი არ წაიკითხოო,—აბრაზებს მიხეილ მდივანი მეგობარს. ვალში არც ოთარი რჩება: — არა უშავს, შენ ხომ გიცნობენ პოლონელები როგორც შერლოკ ჰოლმსის საქმეთა უბადლო გამგრძელებელს.

აი, პოლონეთის ცნობილი ქალაქი-აგარაკი სოპოტი. სწორ გზატკეცილებს ქვის გორასაკენ მივყევართ, საიდანაც ხელისგულივით მოჩანს მთელი დასახლებული უბანი, გდინიას ნავსადგური...

ამ ახალგაზრდა ქალაქს, რომელიც მხოლოდ ოცდათხუთმეტი წლისაა, არ შეხებია ომის სუნთქვაც კი. თუმცა პირველად აქ გაისმა მეორე მსოფლიო ომის მაუწყებელი გასროლის ხმა. მომხდურის ჯავშნოსანი „შლეზვიგ ჰოლშტაინი“ ომის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე მოვიდა თავისუფალ ქალაქ დანციგში, ვითომცდა მეგობრული ვიზიტით. ერთი კვირის შემდეგ კი წინასწარ დაზვერვის სამხედრო გზაზე გაიხსნა ცეცხლი.

ამ ამბებს ყველაზე კარგად პოლონეთის არმიისა და ფლოტის ოფიცერთა სახლის სამხედრო-საზღვაო მუზეუმი გადმოგვცემს. დიდხანს ვათვალიერებთ პოლონეთის ღირსშესანიშნაობებს, მხოლოდ საღამო ხანს ვბრუნდებით გემზე.

როცა ჩვენი ტრაულერი გამოსაცდელი ცურვიდან დაბრუნდა, აღმოჩნდა, რომ იგი სრულ წესრიგში ჯერ კიდევ არ იყო. პოლონელი მუშები თავს დასტრიალებდნენ სამუშაოს. არც ჩვენი ეკიპაჟის წევრები იყვნენ გულხელდაკრეფილნი. მექანიკოსები ვიქტორ ბუილოვი, ცეზარ ვირეკოვსკი და ნოდარ ალექსიძე სამანქანო განყოფილებიდან არ ამოდიოდნენ — შველოდნენ პოლონელ კოლეგებს.

თადეუშ იაგოდინსკიმ, რომელმაც უკვე მოასწრო ჩვენთან დამეგობრება, სოციალისტური ახალგაზრდობის კავშირის საქარხნო კონფერენციაზე მიგვიწვია.

ყურადღებით ვუსმენდი აქ დამსწრე ამხანაგების გამოსვლებს. განსაკუთრებით დამამახსოვრდა გემთმშენებელი ვერფის ახალგაზრდა ხარატის სტანისლავ კილბასის საქმიანი საუბარი.

დიდი ყურადღებით უსმენდნენ მასპინძლები გერმანიის ახალგაზრდობის კავშირის წარმომადგენელს, ამ კავშირის მდივანს კურტ ვოლტერს, რომელიც აქ მეგობრული ვიზიტით იმყოფებოდა.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს პოლონეთის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლებმა ჩესლავ ოზრობინსკიმ და ლეხ მოლოდიანოვსკიმ, სეიმის დეპუტატმა ზიგმუნდ კუხარეკმა.

დარბაზში პოლონური ჰანგები გაისმა. კონფერენციის მონაწილენი ახალგაზრდობის ჰიმნით ამთავრებდნენ თავიანთ შეკრებას.

და დადგა გამგზავრების დღეც. ნაპირზე ვერფის მშრომელებს მოეყარათ თავი. ორკესტრის ხმებმა გუგუნით გადაუარა ნაზად მოლივლივე ტალღებს. ჰაერში პოლონური მელოდიები იღვრება, რასაც საბჭოთა კავშირის ჰიმნი სცვლის. ანძაზე ნელ-ნელა აღიმართა საბჭოთა კავშირის ალამი, იქ, სადაც მეგობრობის ნიშნად პოლონეთის სახელმწიფო დროშაც ფრიალებდა.

მერე ზღვაში გავედით. შორს დარჩა პოლონეთი, შორს დარჩა მალბორგი — გარდასულ დღეთა ეს უტყუარი მემატიანე. სამაგიეროდ, დაგვიახლოვდა ასობით და ათასობით პოლონელი, გამრჯე, მშრომელი ადამიანები, რომლებიც აშენებენ ნათელ მომავალს...

ამბავი ერთი ქალისა

შტრალზუნდი. ვინ იფიქრებდა, ასე იცვლიდა სახეს გერმანიის ეს ოდესღაც მიყრუებული დაბა და ასე ცნობილი გახდებოდა მისი სახელი. აქ ხომ, როგორც თავად გერმანელები ამბობდნენ, „ახალი ამბები მხოლოდ ორმოცი წლის შემდეგ აღწევდა.“

ახლა?

ახლა შტრალზუნდი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მნიშვნელოვანი სამრეწველო ცენტრია და ერთ-ერთ სიცოცხლით სავსე ქალაქს წარმოადგენს. და სწორედ ამ შტრალზუნდისაკენ აქვს აღებული კურსი ჩვენს თბომავალს.

ქალაქს მზის ჩასვლისას მივაღწიეთ; თვალწინ იშლება შუასაუკუნეების ჩვეულებრივი გოთური ქალაქის პანორამა. თვალს იტაცებს წმინდა ნიკოლოზის ტაძარი, წმინდა მარიამისა და წმინდა იაკობის ეკლესიები. როგორც ჩანს, ამ პატარა ქალაქში მრავლად ყოფილან წმინდანები.

აი, ნავსაშენის უბანიც.

ჩვენი გემი ჩვეულებისამებრ ვერფის ერთ-ერთ მისადგომთან დგება. აქედან კარგად ჩანს მომცრო თევზმჭერი ტრაულერები.

იწყება ახალი მიღება. გერმანელ მუშებთან ხელიხელჩაკიდებული მუშაობენ საბჭოთა მეზღვაურები. ბოცმანი ტრიუმშია და გემბანის ინვენტარს იბარებს, მექანიკოსები სამარაგო ნაწილებს ჩაჰკირკიტებენ, შტურმანი სანაოსნო მოწყობილობით არის გატაცებული.

ვერფის დირექტორი ხალისით იგონებს, თუ როგორ გაიზარდა მოკლე დროის განმავლობაში პატარა სახელოსნოს ნანგრევებზე თანამედროვე ვერფი. აქ ხომ ომის დროს მხოლოდ „ტორპედოებსა“ და სამდინარო კატერებს არემონტებდნენ. ამჟამად კი აქ 5000 კაცი მუშაობს. კარგად არის ორგანიზებული ტექნოლოგიური პროცესები. ვერფს აქვს უზარმაზარი კვთილმოწყობილი სასწავლო კორპუსები.

ქალაქის ერთ-ერთ ულამაზეს მოედანზე საბჭოთა მეომრების მიერ ფაშისტებისაგან ქალაქის განთავისუფლების ნიშნად დგას მონუმენტი. მიწა თოვლით არის დაფარული, მონუმენტის კვარცხლბეკზე კი ცოცხალი ყვავილების თაიგულები აწყვია. ქვაზე ამოკვეთილია ქალაქის განთავისუფლების თარიღი: 1945 წლის 1 მაისი. ვინ იცის, რამდენი კარგი ადამიანი შეეწირა ქალაქის განთავისუფლებას. ან კი უმსხვერპლოდ ვის უნახავს ესოდენ დიდი გამარჯვება. ჰოდა, აქაურებიც ყვავილებით ამკობენ მონუმენტს. ყვავილები მოაქვთ დიდებსაც და პატარებსაც. ყვავილები მოაქვთ ყოველდღე, ქარსა და ყინვაში, მზესა და თოვლში.

ვერფის დირექტორი კი ისევ წარსულს უბრუნდება, პირველად სამოცდაათმა კაცმა დაიწყო აქ მუშაობა. დიდი მიზანი ჰქონიათ — დანგრეული სახელოსნოს მაგიერ უნდა აეშენებინათ ახალი დაწესებულება. როგორ გაართვეს თავი? რამდენიმე დღის წინათ მათ წყალში „ლოგერის“ ტიპის პირველი ხუთასი თევზმჭერი ტრაულერი ჩაუშვეს. კომენტარები საჭირო აღარაა.

საბჭოთა მეთევზეები, სადაც არ უნდა იყვნენ ისინი, ჩრდილო ატლანტის მკაცრ წყლებში თუ წყნარ ოკეანეში, შავ ზღვა-

სა თუ ყინულოვან ოკეანეში, ყველგან მადლიერების გრძნობით იხსენიებენ გერმანელ გემთმშენებლებს.

ვერფის ტერიტორიაზე ხანდაზმულ კაცს შევხვდით. იგი ამაყად მოაბიჯებდა ახალგაზრდა მუშებთან ერთად. ეს ინჟინერი ფუსი გახლდათ. მიუხედავად იმისა, რომ ფუსი კარგა ხანია პენსიაზე გავიდა, გული არ უთმენს, ჩვეულებას ვერ ღალატობს და ხშირად სხვაზე ადრეც კი მიდის თურმე ვერფში.

შტრალზუნდში ჩვენ კარგ ადამიანებს გავეცანით. აი, თუნდაც ერთი მათგანი — ჰანს კრაიზელ მაიერი. თავმდაბალი ჭაბუკი. გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის წევრი. იგი ჩინებულად ფლობს თავის სპეციალობას.

ემილ ზენგერი ოცი წლით უფროსია ჰანსზე. მერე რა, თუ ემილი ახლა ამთავრებს საოსტატო სკოლის საღამოს განყოფილებას. იგი ვერფზე მაშინ მოვიდა, როცა მუშაობა დიდი ხნის დაწყებული იყო. ემილი შემდეგ ადგილად მიიღეს და კარგადაც ასრულებდა მასზე მინდობილ საქმეს. თუ გეგმები გადაჭარბებით სრულდებოდა, ემილს ცოტაოდენი წვლილი როდი მიუძღვის ამ საქმეში. მერე იყო და თავისი ხელობა აქ მომუშავე ორმოცდახუთ ქალს შეასწავლა, ისე შეასწავლა, რომ ყველა მათგანი თავისუფლად შეძლებდა ემილის მაგივრობას.

ისეთები კი, როგორიცაა ვერფიხ დირექტორი, მთავარი ინჟინერი რუდოლფ გელერტი, ჰანს კლაიზერი, ემილ ზენგერი, წარმოებაში ცოტა როდია. ახალი ცხოვრება ბევრს დაეხმარა სწორად გაეგო წარსული და სათანადო დასკვნა გაეკეთებინა. ისინი, ვინც ჰიტლერის რეჟიმის იმ შავბნელ დღეებში განაგრძობდნენ კომუნიზმისათვის ბრძოლას, ახლა განახლებული ენერგიით შრომობენ, თითქოსდა ხელახლა დაბრუნებიათო სიჭაბუკე.

ერთი შეხედვით მოხუცი გეგონებათ გამხდარი სახის მღებავი კარლ შრედერი. მაგრამ ვერც წლებმა, ვერც მძიმე, დუხჭირმა ცხოვრებამ ვერაფერი დააკლო მის ბობოქარ სულს. ვერ შეძლო, ძველი კომუნისტის ნება გაეტეხა. ომამდე შრედერი საკონცენტრაციო ბანაკში იჯდა, შემდეგ, როგორც გამოუსწორებელი კომუნისტი, აღმოსავლეთ პრუსიაში გაგზავნეს. აქაც აგრძელებდა კომუნისტურ საქმიანობას. კენიგსბერგელ ამხანაგებთან ერთად სახლის კედლებზე ანტიჰიტლერულ ლოზუნგებს აწერდა,

ავრცელებდა პროკლამაციებს. ხიდზე, რომელიც ვაგონმშენებელი ქარხნის ტერიტორიაზე გადადის, მისმა მეგობრებმა შავი საღებავით დააწერეს: „ხელისუფლება ტელმანს“. ეს წარწერა ახლაც ყველას შეუძლია ნახოს, ვინც კალინინგრადს ეწვევა. იგი დარჩა, როგორც კომუნიზმის იდეების გამარჯვებისათვის შამაცური ბრძოლების ძეგლი.

კარლ შრედერი ვერფის რიგითი მუშაა, ერთ-ერთი იმათთაგანი, ვინც დაუღალავად გამოდის დასავლეთ-გერმანიის რევანშისტული შეიარაღების წინააღმდეგ.

ქალაქის ერთ-ერთ ნაწილში, შესანიშნავ სანაპიროზე, აშენებულია მუშათა კულტურის სახლი, რომელიც ერნსტ ტელმანის სახელს ატარებს. ამ კლუბში ჩვენც მიგვიწვიეს. გზად ძველ ციხე-კოშკს გავუარეთ, რომლის კედელზე საინტერესო წარწერამ მიიქცია ჩვენი ყურადღება: — „ამ კოშკში ცხოვრობდა კარლოს XII შვეციის მეფე, რომელმაც პოლტავის ბრძოლაში განადგურების შემდეგ აქაურობას შეაფარა თავი.“ სამ-ნახევარმა საუკუნემ განვლო რუსეთის ამ ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ, მაგრამ უნდა გენახათ, როგორ გაუბრწყინდათ თვალები ჩვენს მეზღვაურებს. სასიამოვნოა, როცა სამშობლოდან მოშორებული ასეთ ცოცხალ მოგონებას წააწყდები შენი მშობლიური ქვეყნის ძლიერებასა და დიდებაზე.

კლუბში გერმანული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის გამოსვლას დავესწარით. ჩვენთვის რომ ესიამოვნებიათ, ანსამბლმა რამდენიმე საბჭოთა სიმღერაც კი შეასრულა. მეზღვაურებმა ყვავილების კალათა მიართვეს მსახიობებს.

ვერფში იძულებული გავხდი, პოლიკლინიკას ესტუმრებოდი. კბილი ამტკივდა. თან თარჯიმანი მახლდა.

კეთილი, მშვიდი ღიმილით შემოგვხვდა ექიმი. მაშინვე გადმომედო მისი სიმშვიდე. რომ გაიგო, ქართველი ვიყავი, ქალი შეკრთა, სახეზე გაოცება და სიხარული გამოეხატა, მომეჩვენა, თითქოს რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ რატომღაც თავი შეიკავა. მე კი ვაქე და ვადიდე ჩემი ქვეყანა. დიდხანს მისმინა და ბოლოს თქვა, საქართველოს სხვა რამ დიდება რომ არ ჰქონოდა, ღვინოც საკმარისი იქნებოდა, მსოფლიოს გაეცნო ეს მხარეო. ღვინის ხსენებაზე გამახსენდა, რომ გემზე საკმაოდ გვქონდა ეს მადლიანი სასმელი. ვთხოვე თარჯიმანს და ისიც დაუზარელად წავიდა მოსატანად.

სამოგზაუროდ წასულს ყოველთვის თან მიმაქვს ქართული სუვენირები: კერამიკა, ჩაი, წიგნები და ღვინოები. კერამიკას ახლადშეძენილ მეგობრებს ვაძლევ საჩუქრად. ლექსებს უცხოელ პოეტებს ვუკითხავ, მართალია, კითხვის დიდი ოსტატი არა ვარ, მაგრამ თუ ლექსი კარგია, იგი უთუოდ მივა ადამიანთან, თუნდა ენა არ იცოდეს რომელზეც ლექსია დაწერილი. რაც შეეხება ღვინოსა და კონიაკს, სუვენირად კი არავის ვაძლევ, ერთად მოვულხენთ ხოლმე..

ხვანჭკარა უკვე მაგიდაზე იდო. მალე შეივსო სასმისები და ქართული ღვინით ვილოცებოდით შტრალზუნდის მიწაზე. მერე ავდექი და მადლობა გადავუხადე თანამეინახეთ, სიყვარულით გამოვეთხოვე ექიმს და გემისაკენ გავწიე. თან სინანულის გრძნობა გამომყვა, მშვენიერი ექიმი ქალი სევდას შეეპყრო. მე კი ვერ ვკითხე სევდის მიზეზი. რატომღაც მჯერა და, რომ ეს კაეშანი საქართველოსთან იყო დაკავშირებული. ბევრი ვიფიქრე და ერთ მშვენიერ დღეს ისევ ვეწვიე ექიმ ქალს. პირდაპირ ვკითხე, საქართველოსთან რა გაკავშირებთ-მეთქი. ვერ გაოცდა, მერე გაიღიმა და ალაპარაკდა.

ბზარი ერეოდა ხმაში, ცრემლით ევსებოდა თვალები. როდის გაიცნო ქართველები? 1941 წელს. მისი ნაცნობი გრიშა მგალობლიშვილი არაჩვეულებრივად ლამაზი ყოფილა. მას გემ „მაგნიტოგორსკზე" უმუშავია მექანიკოსად. როცა გაიგო, მეც კარგად ვიცნობდი გრიშას, თავს ვეღარ მოერია და ატირებული გავარდა ოთახიდან. დიდხანს ველოდე. მერე ჩვენ ერთად გამოვედით პოლიკლინიკიდან. საუბარი ვეღარ ავაწყვეთ.

ხშირად ვფიქრობდი ამ ქალზე, არც მისი ცრემლები მავიწყდებოდა. საოცრად დიდი სურვილი მქონდა, ღრმად ჩავწვდომოდი მის საიდუმლოს.

რამდენიმე დღის შემდეგ ისევ ვეწვიე. კბილი მოვიმიზეზე. ისე მშვიდად შემხვდა, თითქოს მის თვალებს არასდროს ენახოთ ცრემლი, ოღონდ ეიგრძენი, რაოდენ დიდი დარდი იმალებოდა ამ მშვიდ თვალებში. მე არავითარი საბაბი არ მქონდა წარსული გამეხსენებინა ამ ქალისათვის, მაგრამ ექიმმა თავად დაიწყო საუბარი: — თქვენ ალბათ გაინტერესებთ, საიდან ვიცნობდი გრიშას ან რა მაკავშირებდა მასთან. გეტყვით, ის კაცი ყველაზე

ძვირფასი ადამიანი იყო ჩემთვის. მე მიყვარდა ის, გესმით, მიყვარდა. გყვარებიათ თქვენ ოდესმე? მაშინ გამიგებთ...

მე არ ვუყურებდი ქალს, მაგრამ ვგრძნობდი, როგორ უელავდა ნაღვლიანი და ჩამუქებული თვალები. ოცნების თვალით წარმოვიდგინე ეს მშვენიერი არსება ბედნიერი, გრიშა მგალობლიშვილის გვერდით მიმავალი. თითქოს თვალწინ დამიდგა თეთრ კაბაში გამოწყობილი ცისფერთვალება ლამაზი ქალი, სიყვარულით რომ შესცინებს ქართველ ვაჟკაცს და ისიც ბრმაგად პასუხობს ამ სიყვარულს...

ცოტა მოგვიანებით შევიტყვე, თუ როგორ მოხვდა გერმანიაში გემი „მაგნიტოგორსკი", რომელზეც გრიშა მგალობლიშვილი მუშაობდა ომის დაწყებისას.

1941 წლის 17 ივნისს „მაგნიტოგორსკს" პური მიუტანია შტრალზუნდში. 22 ივნისს, დილით, ექვს საათსა და 30 წუთზე, სამხედრო გერმანელები მისულან ეკიპაჟთან სასადილოში და განუცხადებიათ, ყველანი დაპატიმრებული ხართო. ღამის 11 საათამდე სასადილოში დაუტოვებიათ, შემდეგ გემბანზე გამოუყვანიათ ყველანი და კაპიტნისათვის საბჭოთა დროშის დაშვება უბრძანებიათ.

საბჭოთა კაპიტანი მტრის წინადადებას არ დათანხმებია, რის გამოც ცემით სიკვდილის პირამდე მიუყვანიათ. კაპიტანს ეკიპაჟმაც მიბაძა თურმე.

ყველა საშინლად და დაუზოგავად უწამებიათ. საათზე მეტ ხანს გაგრძელებულა ეს საშინელი სანახაობა. ალბათ მაშინ თუ ეწვია ექიმის ნათელ თვალებს კაეშანი, ეწვია და არც მოცილებია. გერმანელები იძულებული გამხდარან, თავად ჩამოეგდოთ საბჭოთა კავშირის დროშა, ასე უძლეველი და ძირს დაუხრელი. მეორე დღეს მთელი ეკიპაჟი შტუტდორფში წაუყვანიათ, სადაც ტყის გაწმენდაზე ამუშავეს თურმე. მერე გრანზოდსკში გადაიყვანეს ქვებისაგან მინდვრის გასაწმენდად. ვინ იცის, გრიშას შემხედვარეს გული ეთუთქებოდა ექიმს. რად არ შემიძლია მივეშველოო — უმწეოდ აცქერდებოდა თავის გრძელ თითებს, ესოდენ თეთრსა და მგრძნობიარეს.

ტუსაღებს მალე პოლონელებიც შეუერთეს, მერე სხვა გემების ეკიპაჟებიც მოიყვანეს აქ.

ომი დასასრულს უახლოვდებოდა. საბჭოთა მეზღვაურებმა

პარტიული ორგანიზაცია ჩამოაყალიბეს. გაქცევაც სცადეს. მაშინ თურმე თეთრ ხელებსაც მოუხერხებია ადამიანის გადარჩენა. მაგრამ ვაი, რომ ბოროტებმა აქაც მიაგნეს. ვერ დაიფარა სიყვარული თეთრმა ხელებმა. ისევ ესესელების ხელში აღმოჩნდნენ მამაცი მეზღვაურები და მათ შორის ჩემი თანამემამულეც. რაკი გერმანელები გრძნობდნენ თავიანთი ბოროტების დასასრულის მოახლოებას, გაუგონარი მხეცობა ჩაიდინეს. არც მაშინ დაცემულან საბჭოთა მეზღვაურები. მაგრამ ისინი დახოცეს. გერმანიის მიწაზე დაეცა გრიშაც. არა, ექიმმა არ იცის მისი საფლავი, მაგრამ ამას არცა აქვს რაიმე მნიშვნელობა. აქ ხომ ყველა ძმებივით იყვნენ, ერთად იზიარებდნენ ერთმანეთის ავ-კარგს. ავ-კარგიო, სიტყვამ მოიტანა, თორემ კარგი რა უნახავთ ფაშისტების ხელში ჩავარდნილთ. და დღეს ყველას საფლავთან ერთნაირად მიაქვს ყვავილები გერმანელ ქალს. მათ შორის ხომ გრიშაც არის, მისი სიყვარული და მისი ბედნიერება, იქ ხომ გრიშას ამხანაგებიცაა. ალბათ მაშინ თუ შეიყვარა შავი კაბა თეთრხელებიანმა ექიმმა. ვინ იცის...

იქნებ შენც იცნობდი, ჩემო მკითხველო, გრიშა მგალობლიშვილს, იქნებ მეგობარიც იყო შენი, იქნებ ნათესავი, ვინ იცის...

ცალკეული სამუშაოები დამთავრდა. პატარა სახელოსნომ, რომელიც წინათ „ტორპედოს“ კატერებს უწევდა მომსახურებას, თავისი პირველი მსხვილი შეკვეთა დაამთავრა. წინ უფრო საპასუხისმგებლო და საინტერესო საქმეებია. სახალხო წარმოებამ თევზმჭერი ტრაულერის წარმოება აითვისა. მისი სახელწოდება „ოკეანეა“. ისინი ფიქრობენ, ტროპიკის ტიპის ახალი გემები შექმნან სამხრეთ და შუა ატლანტიკაში სარდინების მოსაპოვებლად.

როსტოკის, ვაისმარის, შტრალზუნდისა და სხვა გემთმშენებელი ვერფების განვითარების წყალობით ოდესღაც მიყრუებული გერმანული ნავსადგური უფრო და უფრო მეტ მნიშვნელობას პოულობს არა მარტო გერმანელი, არამედ მთელი ბალტიისპირელი ხალხისათვის. ამიტომ არის, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაპირები მეგობრობისა და მშვიდობის ნაპირებად იქცა.

გერმანელებსაც აქვთ ყირიმი

სანაპიროს ვიწრო ზოლად მიუყვება ზასნიცი, თითქოს ზღაპარში შეხვედრილმა მზეთუნახავმა თეთრი ბაფთა შემოავლოო ზღვას. მარცხნივ მთებია, ცარცის ქათქათა მთები. მარჯვნივ ბალტიკის თვალშეუდგამი სივრცეები. შუაში, გზის გასწვრივ კი აღმართულია ფაქიზად ნაგები რძისფერი შენობები.

ზასნიცი—გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ჩრდილო ჭიშკარი. აქედან ხელით მიწვდება კაცი შვეციას. ქალაქის ცენტრში, მეზღვაურთა სახლის წინ, ვ. ი. ლენინის ობელისკი დგას.

ამოუწურავია ქალაქ ზასნიცის ცარცის მარაგი. თუ წინათ ხელით იღებდნენ ცარცს, ახლა აქ ევროპაში ყველაზე მსხვილი და თანამედროვე კომბინატია. რიუგენის ცარციც მთელს მსოფლიოშია ცნობილი. მას აგზავნიან შვეციაში, ფინეთში, დასავლეთ გერმანიაში. თხოულობს ჩეხოსლოვაკია, იუგოსლავია, სუდანი, კუბა, ბრაზილია, კანადა.

აქვეა აგრეთვე რევმატიულ დაავადებათა საწინააღმდეგო, ევროპაში ერთადერთი „ცარცით სამკურნალო“ საშუალება.

კუნძულის მეორე დიდი სიმდიდრე თევზია. ამიტომაც ბუნებრივია თევზმჭერი დინასტიების ესოდენ დიდი სიმრავლე. უბრალო თევზმჭერ მოწყობილობებთან ერთად, თაობიდან თაობაში გადმოდის აქაურ მეთევზეთა შნო და მარიფათი. ამჟამად მეთევზეთა ფლოტილია სწრაფი ნაბიჯით მიდის წინ. ზასნიცელი მეთევზეები ყოველწლიურად 60.000 ტონაზე მეტ თევზს იჭერენ, რაც გერმანიის მთელ დემოკრატიულ რესპუბლიკაში დაჭერილი თევზის მესამედს შეადგენს.

რიუგენს სხვა საუნჯეც გააჩნია, რომელიც კუნძულს მეტ დიდებასა და სახელს მატებს. „გერმანიის ყირიმი“, ასე უწოდებენ ამ დიდსა და ლამაზ კუნძულს, რომელიც უამრავ ტურისტს იზიდავს მზისფერში გახვეული სანაპიროებით. მზისფერი ედება ყველას და ყველაფერს, ქვიშაც მზისფერია და ადამიანიც. სადაც მზე ასე ჭარბია, იქ ლამაზია ყველაფერი.

ამიტომ არის, რიუგენის მცხოვრებთა რიცხვი რომ ერთიათად იზრდება ზაფხულობით. აქ რესპუბლიკის ყოველი მხრი-

დან მოდიან, მოდიან ავტობუსებითა და მსუბუქი მანქანებით. ორმოცდაათზე მეტი დასასვენებელი სახლი მუდამ ხალხით არის სავსე, სანაპიროებზე კი სახელდახელო კარვების მთელი ქალაქია გაშენებული.

რიუგენი ბალტიკის მარგალიტია და არც ეს სახელია უცხო იმ კუნძულისათვის.

გადაგდებული ხელთათმანი

ჰოლტენაუ... ამ ნავსადგურიდან იწყება კილის არხში შესასვლელი რაბები. არც ისე დიდმა დრომ განვლო მას შემდეგ, რაც ჰოლტენაუ სამხედრო და სავაჭრო გემების სასაფლაოს წარმოადგენდა.

აქ შეიძლებოდა გენახათ ჩაძირული სახაზო გემი „ემდენი". იგი ჯერ კიდევ პირველი იმპერიალისტური ომის დროს ეწეოდა მეკობრეობას. მას გვერდს „უმშვენებდნენ" დალეწილი კრეისერები და ნაღმოსნები.

ომის შემდეგ რამდენჯერ გამივლია ჰოლტენაუს ახლოს. რაც დრო გადიოდა, გემების სასაფლაო უფრო და უფრო საცოდავი ხდებოდა. ახლა აქაურობა უპატრონოდ მიტოვებული გემების რკინის გროვასღა წარმოადგენს.

კილის არხში გასასვლელად გამოცდილი ლოცმანი უნდა გახლდეთ. იგი გაგიძღვებათ წინ და გიჩვენებთ, სად რა სიჩქარით უნდა იარო, სად მოუხვიო, სად გაჩერდე. ხუმრობა ხომ არ არის მშვიდობიანად გაიარო 98 კმ სიგრძის არხი.

აი, ლოცმანის კატარღაც. ჩვენ წინ მწითური სახის ტლანქი ვაჟბატონი აღიმართა. ვუყურებ მის არასასიამოვნო ჭროღა თვალებს და მაგონდება ამასწინანდელი გავლა, მაგონდება მაშინდელი ლოცმანი, რომელსაც წლების განმავლობაში ვხვდებოდი. იგი შორეული ცურვის მეზღვაური ყოფილა წინათ, მერე არხში დაუწყია მუშაობა. ბევრი შეგვხვედრია აქ. ზოგს გულწრფელად მოსწონს საბჭოთა ქვეყანა, ზოგი ცდილობს დაგიახლოვდეს, სულში ჩაგიძვრეს და ზედმეტი რამ გაიგოს. მათთან განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო. მაშინდელი ჩემი ნაცნობი ლოცმანი კი მართალი გულის პატრონი იყო.

პირდაპირი და ნათელი გამოხედვა ჰქონდა, ასეთი თვალების

პატრონს სიცრუე არ შეუძლია. ჩვენ მალე ვიპოვეთ საერთო ენა. — ჩვენი ცხოვრება კიდევ უფრო ძნელი ხდება, — ამბობდა ხოლმე ლოცმანი ჩემთან საუბარში, — ოკუპანტები ისე ბატონობენ აქ, როგორც საკუთარ სახლში.

ყოველ შეხვედრაზე მაკვირვებდა მისი ჭაღარა, სახეზე ნაოჭების მომრავლება. გამომშვიდობებისას ყოველთვის მეგობრულად ვცილდებოდით ერთმანეთს, ბედნიერ ცურვას გვისურვებდა და ახალი გემის შესახვედრად გასწევდა ხოლმე.

ვინ იცის, რამდენ ხანს დადიოდა ასე ეს კეთილი კაცი — ლოცმანი. ახლა შეუცვლიათ. იქნებ მხედველობა დაკარგა? იქნებ დაუძლურდა და გადააგდეს, როგორც ძველი ხელთათმანი.

— ბოლეი, ფედერაციული რესპუბლიკის ლოცმანი, — თავი წარმოგვიდგინა მწითურმა.

მალე ჩვენ კილის არხში შევედით „გოვალდ ვერფის" — ფირმის გემთმშენებელთა ქარხანაში. იქ, სადაც ექვსი თვე გრძელდებოდა მუშათა გაფიცვა.

გამოჩნდა გერმანელი პოლიციელი. ესეც ჩვენი ლოცმანივით მწითური და ჭროღათვალება. სამსახურებრივი მოვალეობის გამო მე მომიხდა მასთან ერთად ოფიციალური ქაღალდები შემევსო.

— სად აშენდა გემი? — მეკითხება პოლიციელი.

— გდანსკში, — ვპასუხობ მე.

— ეს რა ქალაქია?

— ყოფილი დანციგი.

და პოლიციელი ძველი სახელით წერს გდანსკს.

— კი მაგრამ, ასეთი ქალაქი ახლა რომ არ არის პოლონეთის დემოკრატიულ ქვეყანაში? — ვეუბნები მე, მაგრამ ჩემი კითხვა უპასუხოდ რჩება.

— საიდან მოდიხართ?

— კალინინგრადიდან.

— ესე იგი, კენიგსბერგი?

— არა, — ვპასუხობ მე, — საბჭოთა ნავსადგური კალინინგრადი.

მაგრამ დასავლეთ გერმანიის მოხელემ კალინინგრადიც ძველი სახელით ჩაწერა.

დილის რიჟრაჟში იკვეთება ნაპირი.

ქარხანა პირქუშად გამოიყურება. არც ერთი ამწე, არც ერთი საამქრო არ მუშაობს. მარტო დაუმთავრებელი გემები და დაჟანგული კორპუსები როდი ამტკიცებს „ეკონომიურ საკვირველებას.“ აი, რა ვნახეთ ჩვენ:

ის-ის იყო გერმანიას ვემშვიდობებოდით, რომ ჩვენს ახლოს თანამედროვე გემმა გაიარა. კარგად ჩანდა მისი თოვლივით ზედაპირი.

— რა ლამაზია, — აღფრთოვანდნენ ჩვენები, მაგრამ ყველა გაოცებული დავრჩით, როცა დავინახეთ, როგორ შემობრუნდა ეს ლამაზი გემი მარჯვნივ, წითელი შუქი აანთო და მთელი სისწრაფით მიასკდა ცარცის კედლებს.

— რა დაემართა? — ავღელდით ჩვენ, მაგრამ ლოცმანი არც კი განძრეულა.

— ნუ გიკვირთ, — ვეღარ დამალა სიმართლე მისმა თვალებმა, — ეს ახლა ხშირია, ყველას ისე გააქვს თავი, როგორც ეხერხება. თურმე ნუ იტყვით: კაპიტალისტურ ქვეყნებში დიდი ხანია არიან კაპიტნები, რომლებსაც ოსტატურად შეუძლიათ დააჯახონ გემი რაიმეს და მერე თბომავლის კომპანიამ დაზღვევის თანხა მიიღოს. ვინაიდან ვაჭრობა დასავლეთში დაქვეითების გზაზეა, ბევრი სათბომავლო კომპანია იძულებულია უქმად დააყენოს ათობით ახალი გემი. ამიტომ ისინი ყოველგვარ სარისკო და სათაკილო საქმეზე მიდიან, ოღონდ გამორჩენა ექნეთ. აი, ესეც მათი „ეკონომიური სასწაული“, მაგრამ მე უკვე აღარ ვფიქრობ ამაზე, ვცილდებით ნაპირს, დროა ავიდე კაპიტნის ბოგურაზე.

სადაც ნისლი ბატონობს

ჩრდილოეთის ზღვა შედარებით პატარა და თხელია, მაგრამ მასზე მუდამ გაცხოველებული ნაოსნობა მიმდინარეობს. აქ ხომ მრავალი საზღვაო გზა იყრის თავს. ჩრდილოეთის ზღვის ნაპირებს ესაზღვრება ინგლისი და შოტლანდია, საფრანგეთი და ბელგია, ჰოლანდია და გერმანია, დანია და ნორვეგია. მასზე გადის გზები ისეთი მსხვილი ნავსადგურებისაკენ, როგორიცაა ლონდონი, ჰამბურგი, როტერდამი, ანტვერპენი.

ჩრდილოეთის ზღვა თითქმის არასდროს არ არის წყნარი. ხშირია ძლიერი ქარიშხლები, ციკლონები. მეზღვაურებს წინ ელობება სქელი ნისლი. აქ ყოველ ნაბიჯზე საფრთხეა ჩასაფრებული.

ზღვაში აუარებელი და ნაირგვარი თევზია. ვინ იცის, რამდენი მეთევზის ნავი და გემი შთანთქა გაუმაძღარმა ზღვამ. აქაურ მეთევზეებს კი მაინც არ აშინებთ სიძნელეები.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ჩრდილოეთის ზღვა თითქმის არასდროს არ არის წყნარი და ჩვენც ძლიერი ქარიშხლებითა და კოკისპირული წვიმებით შემოგვხვდა. გემი ძლივს მიაპობდა მოძალებულ და გაავებულ ტალღებს.

— ხომ გითხარით, ამხანაგო კაპიტანო, ხიფათს ვერ ავცდებით-მეთქი, — ამბობდა მეორე თანაშემწე მოროზოვი, რომელსაც წინა დღეს შავ ღრუბლებში ჩასვენებული მზე შეუმჩნევია. ეს მართლაც არ არის კარგი ნიშანი.

თანაშემწე მართალი იყო. ამინდი თანდათან უარესდებოდა. ჩრდილოეთის ქარი კი უფრო და უფრო ძლიერდებოდა, რადიო ატლანტის ოკეანის ჩრდილო ნაწილში ციკლონის მძვინვარებას გვაუწყებდა, მერე ციკლონი ჩრდილოეთის ზღვაზეც გადმოუხვევდა.

მაგრად ჩავკეტეთ კარები, ფანჯრები; ყველაფერი დავაბით და დავჭედეთ. გემბანზე მხოლოდ მორიგეები დარჩნენ.

ღამით ქარმა გრიგალის ძალას მიაღწია. ჩვენი გემის მანქანაში მომწყვდეული ათასი ცხენის ძალა ქშენით აბრუნებდა ხრახნს, მაგრამ უფრო ძლიერი აღმოჩნდა ქარი და შემხვედრი ტალღები გემს უკან იტაცებდნენ.

ბარომეტრი ამინდის კვლავ გაუარესებას გვიქადდა. ამაზე უარესი კი რაღა უნდა ყოფილიყო. აქაფებული ზღვა გაშმაგებით ეხეთქებოდა გემის ნაპირებს. რყევა ისეთი ძლიერი იყო, რომ გამოცდილი მეზღვაურებიც ცუდად გრძნობდნენ თავს.

ქარმა და ტალღებმა დიდი ზიანი მოგვაყენეს. მაგრად დახურული სარქველები და ფანჯრები ზღვამ ტალღის ერთი დაკვრით შეხეთქა, თითქოს საშვილიშვილო მტრობა აქვსო გემთან. წყალმა გზა იპოვა და ახალი საფრთხის წინაშე დაგვაყენა. შეუპოვარი ბრძოლით შესძლეს მატროსებმა შეეჩერებინათ გემზე მოვარდნილი წყალი.

ტალღებს ვერც თოკებმა და ჯაჭვებმა გაუძლეს. მაშველი ნავიც მოწყდა სამაგრებს, კიდევ კარგი, დროზე ვუშველეთ, თორემ ზღვა ნაფოტებად აქცევდა მას.

ამდენი უბედურების შემდეგ უარესი რამ დაგვატყდა თავს. მწყობრიდან გამოვიდა საჭე, გემმა მართვის უნარი დაკარგა.

და სწორედ ამ დროს რადისტმა კუდრიაშოვმა ახალი ცნობა მოიტანა. სადღაც აქვე ნორვეგიული გემი მძიმე განსაცდელში ყოფილა. ჩვენ არ შეგვეძლო მისი შველა, რადგან თავად ცუდად გვქონდა საქმე. გაგვიხარდა, როცა გავიგეთ, ნორვეგიული გემის დასახმარებლად მაშველი გემები მოდიანო. მაგრამ დახეთ ბედის დაცინვას! მაშველმა გემებმა ვაჭრობა გამართეს განწირულებთან.

მაშველი გემები, — ესენი საგანგებო საოკეანო ბუქსირებია, რომლებიც უზრუნველყოფილია ზემძლავრი მანქანებითა და ტუმბოებით. ორ-სამ ასეთ გემს ყოველგვარ ამინდში შეუძლია ბუქსირზე აიყვანოს და ნავსადგურამდე მიაცილოს უდიდესი გემებიც კი. ასეთი ბუქსირები გრიგალის დროს გადიან ზღვაში და პირველი გამოძახებისთანავე მზად არიან დახმარებისათვის, ოღონდ... ოღონდ ეს გემები საზღვარგარეთ მეტწილად ამერიკულ, ინგლისურ და ჰოლანდიურ ფირმებს ეკუთვნიან და...

კაიუტაში შემორბის კუდრიაშოვი. ის აღშფოთებულია.

— ეშმაკმა დალახვროს! ნორვეგიელები სასოწარკვეთილ დეპეშებს იძლევიან, მშველელები კი ისევ გასამრჯელოზე ვაჭრობენ.

კაპიტალისტურ სამყაროში ეს ჩვეულებრივი ამბავია. გემი იღუპება, რამდენიმე ათეული მეზღვაურის ბედი ბეწვზე ჰკიდია, ბუქსირის გამოჩენა მათ ძალას მატებს, მაგრამ...

მაშველ გემზე „საქმის“ ადამიანებია. მათ გრძნობები არ გაუჩნიათ, ანგარიში კი რამდენიც გინდათ. განწირული გემის კაპიტანი უძლურია, მას არაფერი შეუძლია გემის მეპატრონის გარეშე. ამიტომ ახლა გემის მეპატრონეზეა დამოკიდებული ყველაფერი — გემი განსაცდელშია, საჭიროა დახმარება. ბუქსირი გასამრჯელოს მოითხოვს. გვაცნობეთ თანხმობა, ვიღუპებით...

გემის მეპატრონე?

ისიც ხომ საქმოსანია! მაშ, საჭიროა ანგარიში.

გემის გადარჩენა დაჯდება ამდენი და ამდენი. გემი ღირს

ამდენი. გადარჩენის შემთხვევაში ზარალი ამდენი იქნება. ჩაძირვა კი დაზღვევის თანხას მისცემს. გადარჩენა ხელსაყრელი არაა, მაშ...

საქმოსანი გამორთავს ტელეფონს და მშვიდად გადაბრუნდება მეორე გვერდზე.

ამაოდ ელოდება გემის ეკიპაჟი პასუხს. გრიგალი არ ცხრება, მაშველი გემი გარს უტრიალებს საბრალო მსხვერპლს...

მხოლოდ გათენებისას გამოიდარა. ჩვენ შემზარავი სურათის მოწმენი გავხდით. ნორვეგიული გემი ფრთამოტეხილი ჩიტივით იწვა გვერდზე და უძლურად ირხეოდა ტალღებზე. მაშველი ბუქსირი კი ისე არხეინად დადიოდა ირგვლივ, რომ მსხვერპლზე არც კი ფიქრობდა ალბათ. მალე გემს ჩვენ მივუახლოვდით და დავინახეთ, როგორი თავგამოდებით მუშაობდნენ მატროსები, როგორ ცდილობდნენ ცალ მხარეზე გადაგორებული მორების ახსნას, აი, ერთი მორი მოწყდა და ქანცგალეული მეზღვაურიც თან გაიყოლია.

მალე გემი ნისლმა დაფარა, რის ვაი-ვაგლახით შევაკეთეთ საჭე და ნორვეგიელთა დასახმარებლად გავეშურეთ, მაგრამ უკვე გვიანი იყო. კუდრიაშოვმა ათრთოლებული ხმით წაიკითხა უკანასკნელი რადიოგრამა: „ვიძირებით“.

მალე ინგლისელთა ბუქსირებმაც ჩაგვიარეს და ჩვენ დავრწმუნდით, რომ უბედურება უკვე მომხდარიყო. უსაზღვრო იყო მთელი ეკიპაჟის აღშფოთება, წყევლა-კრულვას ვუგზავნიდით საზღვაო მტაცებლებს, რომლებმაც ვერ ინადიმეს, რადგან გემის მეპატრონე უფრო ანგარიშიანი საქმოსანი აღმოჩნდა.

ჩვენთან იყო ახალგაზრდა მემანქანე, გვარად ზინინი. იგი ძლიერ ნაკითხი ყმაწვილი იყო. მან ზღვაზე ინგლისელ პირატთა ავაზაკობის მრავალი მაგალითი მოიყვანა, გაიხსენა ჰაუკინსი, რიჩარდი, დევისი, ანსონი, დრეიკი... არც იმის თქმა დავიწყებია, რომ ინგლისში მრავალი მეკობრე და ავაზაკი ეროვნულ გმირად არის აღიარებული.

ბრიტანეთის დედოფალი ელისაბედი საუკეთესო დამოკიდებულებაში იყო დრეიკთან, ავაზაკ დრეიკთან, ნაალაფარსაც ერთად იყოფდნენ. ნიშნად განსაკუთრებული მფარველობისა, დედოფალმა ადმირალობა უბოძა დრეიკს და სიკვდილის შემდეგ ძეგლიც აუგო პლიმუტში.

ჩვენ ვნახეთ ეს ძეგლი. გრანიტის კვარცხლბეკზე დგას დრეიკი, რაინდულ საჭურველში, ცალი ხელით ხმლის ვადა უჭირავს, მეორეთი დედამიწის სფეროს ეყრდნობა. ვრცელი წარწერა მოგვითხრობს დრეიკის საგმირო საქმეებზე.

ჩვენი ცდა — გადაგვერჩინა ნორვეგიელები, ამაო აღმოჩნდა. ჩვენს თავზე უნდა გვეზრუნა, რადგან გემი წყლით იყო სავსე და გრიგალი ისევ ძლიერდებოდა.

ყველა ზევით იყო ასული, სინჯავდნენ და ამაგრებდნენ ტვირთს. ზღვა ისე გამხეცდა, თითქოს ნორვეგიელთა მსხვერპლით არ დაკმაყოფილდა და ახალ საკბილოს ეძებსო, გაავებული ტალღები კვლავ ბოროტად ეხეთქებოდა ერთმანეთს. როგორმე იუმინდენამდე უნდა მიგვეღწია, მაგრამ გემი წინ ვეღარ მიიწევდა. სწორედ ამ დროს მცურავმა შუქურამ ისევ ძლიერი გრიგალის მოახლოება გვამცნო. ეს ახალს არაფერს გვეუბნებოდა, რადგან გრიგალი მძვინვარებდა.

მთელი ჩვენი ყურადღება ტვირთისაკენ იყო მიპყრობილი. გემბანზე ხომ ვეებერთელა, 10-12 ტონიანი ყუთები ელაგა. ტვირთი ეწყო გემის ქვედა საწყობშიც. რყევას კი შეეძლო ისინი ადგილიდან მოეგლიჯა, ტვირთის გადანაცვლება საფრთხეს გვიქადდა, ყოვლად დაუშვებელი იყო მათი დაკარგვა. ეს ტვირთი საბჭოთა ხალხის საკუთრება იყო, ამიტომ ტვირთი ხელახლა საიმედოდ უნდა დაგვემაგრებინა. ვისაც კი ფეხზე დგომა შეეძლო, ყველა ტვირთის მოწყობას შეუდგა. თუმცა ეკიპაჟის ყველა წევრი მაინც ვერ ღებულობდა მონაწილეობას საერთო საქმეში, რადგან ღელვა მეზღვაურებზეც ცუდად მოქმედებს. მალე ტალღამ სასადილოს ფანჯრებში შეიხედა, მერე კაიუტასაც ეწვია. ჩვენი ბიჭები მამაცურად უმკლავდებოდნენ აბობოქრებულ ტალღებს. მწყობრიდან გამოსული რადიოსადგური აღადგინეს და თორმეტი საათის გაუთავებელი ბრძოლის შემდეგ დამარცხებული ტალღები ახლოსაც ვერ ბედავდნენ მოსვლას. დრო იყო, დასვენებაზე გვეფიქრა. ზღვაში ეს შეუძლებელი აღმოჩნდა, რადგან ქარი ისევ იკრებდა ძალას და ახალ მრისხანებას გვპირდებოდა. ამიტომ კურსი იუმინდენისაკენ ავიღეთ.

ისევ ზღვაში ვართ. სუსხიანი ქარი ტექსელისაკენ გვაცილებს. „მოძრავ“ კუნძულს ეძახიან ტექსელს. მაგონდება ყველაფერი, თუ კი რამ გამიგია მასზე.

კუნძულის დასავლეთი სანაპირო ჩრდილოეთის ზღვის მრისხანე ტალღებს ვერ უძლებს, ინგრევა და თანდათან „დნება“, ხოლო აღმოსავლეთის მხრიდან ნაპირი უფრო იზრდება და უფრო იჭრება ზღვაში. ბუნების ასეთი თამაშის წყალობით კუნძული ტექსელი უკანასკნელი ასი წლის განმავლობაში თითქმის კილომეტრ-ნახევრით „გადაჩოჩდა“ აღმოსავლეთისაკენ.

ტექსელი... დღეს ყველა მოაზროვნე ადამიანმა იცის მისი სახელი, იარად რომ მტრის დანაბიჯები დარჩენია. ისიც იცის, მეორე მსოფლიო ომის დროს ჰიტლერელებმა ტექსელზე საკონცენტრაციო ბანაკი რომ მოაწყვეს. ამ ბანაკში ქართველი მეომრები იყვნენ მოთავსებული. ისინი შალვა ლოლაძის მეთაურობით თავს დაესხნენ ფაშისტურ გარნიზონს და კუნძული დაიპყრეს. სასტიკი ბრძოლა გაიმართა, ბრძოლა უთანასწორო და ულმობელი. აჯანყებულთა ძალები თანდათან მცირდებოდა. როცა დარწმუნდნენ, რომ მტერს ვეღარ გაუმკლავდებოდნენ, მეამბოხეებმა გაბედული გეგმა განახორციელეს. რამდენიმე კაცი აბობოქრებული ზღვით ინგლისისაკენ გაისტუმრეს. ოთხმა ქართველმა შეძლო პატარა ნავით გადაელახა ზღვა და მოკავშირეებისათვის ტექსელზე მებრძოლი საბჭოთა მეომრების უიმედო მდგომარეობა ეცნობებია. ყურადღებით მოუსმინეს მამაც ოთხეულს, შემდეგ კი ისინი დაატუსაღეს...

ბედის ანაბარად მიტოვებული აჯანყებულები უთანასწორო ომში დაიხოცნენ. ნაძრახ სიცოცხლეს სახელოვანი სიკვდილი არჩიეს.

კუნძულის სანაპიროს ტაფობშია საძმო სასაფლაო, მამაც ადამიანთა სასაფლაო. ქუდმოხდილები ვიდექით გემბანზე და დუმილით გავცქეროდით კუნძულს, ქართველმა მეომრებმა რომ ასე გაუთქვეს სახელი.

ჰოლანდიაში შესულთ სიყვარულითა და პატივისცემით დაგვხვდნენ მასპინძლები, ისინი წმინდად ინახავენ ტექსელის ტრაგედიის გმირთა ხსოვნას.

ჰოლანდიას სხვაგვარად ნიდერლანდიასაც უწოდებენ, რაც დაბლობს ნიშნავს, სახელი სწორედ რომ შესაფერი შეურჩევიათ. მისი ტერიტორია ზღვის დონეზე დაბლა მდებარეობს და წყლისგან ჯებირების რთული სისტემა იცავს. ზღვა ყოველთვის ცდილობს გადალახოს ეს ჯებირები და თავისი კუთვნილი მიწა დაიბრუნოს. საუკუნეების მანძილზე მიმდინარეობდა ეს ბრძოლა ზღვასა და ადამიანებს შორის. წერაქვებითა და ნიჩბებით შეიარაღებულნი ღობავდნენ ზღვის მოსილულ ნაპირებს, აფართოებდნენ ჰოლანდიის ტერიტორიას. ოთხნახევარი საუკუნის მანძილზე ჰოლანდიელებმა ოთხი ათასი კვადრატული მეტრი მიწა შემოიმატეს. ზღვის ნაპირის გაყოლებით მიწისა და ქვისგან აგებულია თხუთმეტმეტრიანი მაღალი ჯებირები. ქვეყნის დასავლეთი ნაწილი არხებითაა დასერილი. ვერ გაერკვევი, რა უფრო მეტია აქ — წყალი თუ ხმელეთი.

ჰოლანდიის დათვალიერება ჩვენმა მეზღვაურებმა ავტობუსით გადაწყვიტეს. გულგრილად ვუვლიდით გვერდს მდიდარ სააგარაკო ადგილებს, ვნახეთ მუშათა დასახლებანი.

ქალაქ ლელფის ერთ-ერთ მოედანზე ჩვენი ყურადღება ავტომობილმა მიიპყრო. მის საბარგულზე ამერიკული რაკეტა „პიონერის“ ტიპის მაკეტი იყო დადგმული. მანქანის გვერდით იდგა კაცი და გაჰყვიროდა: იყიდეთ კარტენის ფირმის ბენზინი, ჩვენი ბენზინი საუკეთესოა მსოფლიოში, რომელსაც რაკეტა „პიონერიც“ კი ხმარობს. შეიძინეთ ბენზინი მხოლოდ ჩვენთან!

ჩვენ ფერმაშიც გავიარეთ, სადაც ჰოლანდიის ნაციონალური სიამაყე ტიტა ხარობს. აქ ყველაფერი მშვენიერ ყვავილებს დაუჩემებია. ნაირფერებში გარდამავალი ყვავილები ჩვენს წინ სიყვარულის სიმბოლოდ ზღვასავით ლივლივებდა. წარმოიდგინეთ ჩვენი გულისტკივილი, როცა ამ პოეტური ბუნების გვერდით სამხედრო ავიაბაზა დავინახეთ.

„ჰოლანდია შექმნეს თვით ჰოლანდიელებმა“, — ამბობენ აქაურები, და მართლაც, კაშხალებითა და ჯებირებით ჰოლანდიელები ახალ მიწებს ართმევენ ზღვას.

ქალაქი ზანდამე. აქ ბევრჯერ ყოფილა პეტრე პირველი. იგი საზღვაო საქმეს სწავლობდა თურმე ჰოლანდიაში. ახლაც დაცულია ხის სახლი, სადაც იგი ცხოვრობდა.

როტერდამი. იგი ევროპის ერთ-ერთი მსხვილი ნავსადგუ-

რია. მის მისადგომებთან ერთდროულად სამას გემს შეუძლია დგომა. ჩვენ იქ „ხოზე დიასი“ დაგვხვდა. ბუნებრივია, ის დიდი სიხარული, რაც ამ გემის დანახვამ გამოიწვია.

მეორე დღეს ჩვენთან 15 წლის ბიჭი მოვიდა, რომელსაც კეისი ერქვა. ეტყობოდა, კეისი მარკებით იყო გატაცებული და საბჭოთა მარკებს ყველაზე მეტი სიყვარულით აგროვებდა. ბიჭმა ქალაქის დათვალიერება შემოგვთავაზა.

იანვრის ბოლო დღეები იყო. ყველა მაღაზიასა და სახლის წინ ახალგაზრდა ქალიშვილის სურათი ეკიდა. ჰოლანდია ნიდერლანდების მეფის ასულის პრინცესა ბეატრისას დაბადების დღეს ზეიმობდა.

მაღაზიების ვიტრინები და ფანჯრები მორთული იყო ტიტებითა და სხვადასხვაგვარი ყვავილებით. ყვავილები გვხვდებოდნენ და გვაცილებდნენ, თვალსაამო, მომხიბვლელი ყვავილები.

მერე ჩვენთან მოვიდა ქალაქის აგენტი, რომელმაც გვითხრა, დღეს „ჰოლივუდის“ გასაოცარ ფილმს უჩვენებენო. თუ მის სიტყვებს დაეჯერებოდა, „ვამპირის ქორწინებას“ ადამიანების ნერვებზეც უმოქმედია და სეანსების დროს გრძნობას ჰკარგავდნენ თურმე მაყურებლები. გადავწყვიტეთ, აუცილებლად გვენახა ჰოლივუდის ეს „შედევრი“.

კინოთეატრის შესასვლელთან დიდი რეკლამა შემოგვხვდა: გვამების დიდ ხროვასთან მდგარი ახალგაზრდა კაცი, რომელსაც თვალებში მხეცური ჟინი ჩაღვრია, თავის მსხვერპლს ყელიდან სისხლს წოვს. ქვევით მინიშნებულია, რომ თუ თქვენ ფილმის გამო რაიმე შეგემთხვევათ, კინოფირმა ვალდებულია უზრუნველყოს თქვენი ოჯახის მომავალი.

და აი, დაიწყო სურათიც. ეკრანზე შუასაუკუნეების ეპოქისდროინდელი გაუვალი ტყეები მოჩანს. ღამის წყვდიადში ისმის კოკისპირული წვიმის ხმა და ეტლის ბორბლების ხმაური. ეტლში ლამაზი ქალი ზის. ჩვეულებრივი დაწყებაა.

შემდეგ სურათი იცვლება და შორეული ციხესიმაგრე, ფილმის მთავარი გმირის ვამპირის ბუნაგი მოჩანს. როგორც ჩანს, მოსული ქალი ვამპირს ათავისუფლებს და ისინი ერთად ქრებიან თვალთახედვიდან. მალე ეს შესანიშნავი გარეგნობის ქალი მკვდარი იპოვეს. ვამპირი კი მარტო განაგრძობს სისხლიან

ზზას. იგი ყოველდღე ახალ მსხვერპლს პოულობს — როცა ყელიდან უდანაშაულო სისხლი ნაკადულივით ამოჩქეფს, ვამპირი ხარბად ეწაფება ამ სისხლს და დაუსრულებლად სვამს...

თვალწინ იზრდება დახოცილთა გვამები. მაყურებელს საშინელი გრძნობა ეუფლება. შეშინებული ხმები ირგვლივ იფანტება, განწირული შეძახილები ნერვულ კივილში გადადის. ეკრანზე კი კვლავ გრძელდება საშინელი სანახაობა: ღამეა. სასაფლაოზე ცოცხლდებიან დახოცილები. ვამპირი გაშმაგებული დადის აჩრდილებს შორის და ეძებს პირველ მსხვერპლს. როგორც ჩანს, მას შეუყვარდა ქალი, რომელმაც ერთ დროს დახმარების ხელი გაუწოდა. ქალი კი მისივე ხელებით არის მკვდარი, მისი სხეული გახრწნილია, მაგრამ შეყვარებული ამას როდი გრძნობს. დაუყოვნებლივ იღებს სამარიდან დამახინჯებულ გვამს და კოცნის, კოცნის დაუსრულებლად. თითქოს და ქალი ალერსმა გააცოცხლაო, ნელ-ნელა ახელს თვალებს, მერე სილამაზეც უბრუნდება და ვამპირი თითქმის ბედნიერებას ხელითაც სწვდება, მაგრამ...

უნდა ვიფიქროთ, რომ რეჟისორი მიზანს აღწევს. ეს იმდენად საზიზღარი სანახაობაა, რომ ბევრს ძალა არ ყოფნის, ბოლომდე უყუროს საშინელებათა შედევრს. კინოს შინაარსმა ჩვენც გაგვიფუჭა ხასიათი. არც ჭამა გვსურდა, არც ლაპარაკი. მთელი ღამე საშინელი სიზმრები მელანდებოდა.

როცა აგენტი დაინტერესდა ჩვენი აზრით, ვერ წარმოიდგენთ, რარიგ გავუცრუეთ იმედი. ჩვენმა გულგრილმა საუბარმა, ჰოლივუდის ამ უკანასკნელ შედევრზე გააოცა აგენტი — როგორ, თქვენ არც ფინალი მოგეწონათ?

მე დამავიწყდა მეამბნა ფინალიც. როცა ვამპირი საყვარელ ქალზე დაქორწინებას გადაწყვეტს, მასთან ახალგაზრდა დოქტორი გაჩნდება, ჩაშლის ვამპირის ბედნიერებას და თავად ხდება ბედნიერი საქმრო.

რით შეძლო ასეთ მხეცთან შებრძოლებაო, იტყვის ვინმე. იარაღად დოქტორს მხოლოდ ჯვარი და ყოვლისშემძლე წმინდა წყალი მოუტანია თან...

ზღვაზე აგებული ციხე-დარბაზი

ორიგინალური, ძველი ნაგებობებით გამოირჩევა ჰოლანდიის უდიდესი ქალაქი ამსტერდამი, რომელიც მეცამეტე საუკუნეში დაარსდა და მრავალი საუკუნის მანძილზე კოლონიური საქონლით ვაჭრობის ერთ-ერთ მსოფლიო მნიშვნელობის ცენტრს წარმოადგენდა.

აქ შენდებოდა ეკლესიები, ციხე-კოშკები, ინდონეზიაში გამდიდრებულ პლანტატორთა სასახლეები... და ყველაფერი შენდებოდა წყალზე ან ახლად მოსილულ ნაპირზე, რასაც საიმედო საძირკველი სჭირდებოდა. და რისთვისაც ხიმინჯებს იყენებდნენ... ცნობილია, რომ მეჩვიდმეტე საუკუნეში აშენებულ მეფის სასახლეს, რომელსაც 56 მეტრიანი კოშკი ამშვენებს, საძირკველისათვის 14.000 ხიმინჯი დასჭირდა.

ჩვენთან მიუვალ კლდეებზე აშენებდნენ ციხეებს ძველად. აქ კი წყალზეა წამოზიდული ვეებერთელა შენობები. და ამ ზღვაზე აგებულ ქალაქს ხშირად „ჩრდილოეთის ვენეციასაც" უწოდებენ, რადგან იგი ყოველი მიმართულებით გადასერილია არხებით. ამსტერდამში მრავლად არის სამრეწველო საწარმოები, ბანკები, სანაოსნოები, მაგრამ ქალაქის საქმიანი ცხოვრება როდი ჩქეფს ძველებურად.

ომის წინ შაბათ-კვირაობით ქალაქიდან უამრავი ნავი და იახტა გადიოდა ზღვაში ალმებითა და ყვავილებით მორთული. ისინი მართლაც ზღაპრულ სანახაობას წარმოადგენდნენ. ახალგაზრდობა იპყრობდა ყველაფერს, ეს ყოვლისშემძლე ახალგაზრდობა. დაუვიწყარი იყო გაზაფხულზე მეთევზეთა გასვლა ზღვაში. ძველი ადათის მიხედვით, სანაპიროზე თავს იყრიდნენ მეთევზეთა ოჯახები, მოდიოდნენ გულის რჩეულნიც. არც ძველი მეთევზეები იყვნენ შორს. იწყებოდა ცეკვები და სიმღერები. თვალწინ ცოცხლდებოდა რემბრანდტის სურათები.

ეჰ, ახლა ვისღა ახსოვს ცეკვა და სიმღერა. ვის სცალია ზეიმისათვის.

ამსტერდამიდან ჰააგაში მანქანით გავემგზავრეთ. აქ ხშირად ამბობენ, ჰააგა ყველაზე ლამაზი სოფელიაო დასავლეთ ევროპაში. მართლაც, იგი სოფელს უფრო წააგავს, ვიდრე დედაქა-

ლაქს. ქვეყნის მესვეურები, ბანკირები, პლანტატორები, უმაღლესი მოხელეები განცალკევებულნი არიან ძვირფას სასახლეებში, რომელნიც ვეებერთელა პარკებითა და ქვის მაღალი კედლებით არის დაცული გარეშე სამყაროსგან. ავ თვალს არ ენახებაო ნებიერთა სავანე და ამიტომაც იცავენ მას თურმე „ავი თვალისაგან“.

ჰააგელთა უმრავლესობა პატარა ერთ-ორ სართულიან სახლებში ცხოვრობს. სახლების წინ თვალწარმტაცი ბაღებია. ჰაიაგაში ძალიან უყვართ და აფასებენ ყვავილებს. ან კი სად არ უყვართ ისინი. უნდა ითქვას, რომ აქაური მეყვავილეები მართლაც დიდოსტატები არიან. მათი სახლების წინ გაშენებული წალკოტი ცოცხალი და თვალსაჩინო რეკლამაა მყიდველთა გულის მოსაგებად.

ჰააგაში ბევრი უცხოელია. აქ ხშირად იმართება საერთაშორისო შეკრებები. შეკრების საბაბი კი ყოველთვის მოიძებნება. გასაოცარია, მაგრამ ფაქტია, ამას წინათ, თურმე აქ კრემაციის მომხრეთა კონგრესიც შემდგარა. კონგრესს უამრავი ხალხი დასწრებია და ყვავილებიც ბევრი გაყიდულა...

სიხარულით ვეწვიეთ ლეიდენს — დიდი ჰოლანდიელი მხატვრის რემბრანდტის სამშობლოს. ამ დიდი მხატვრის სამშობლოს ნახვა ჩვენთვის განსაკუთრებით სასიამოვნო იყო, რადგან რემბრანდტის მრავალი ნამუშევარი ერმიტაჟის მუზეუმში ინახება და ჩვენი ქალაქის სიმდიდრესა და სიამაყეს წარმოადგენს.

დიდი ინტერესით ხვდებოდა აქაური მოსახლეობა ჩვენს მეზღვაურებს. ჩვენი გემის ჩასვლის დღეს ნავმისადგომთან ვიღაცას კედელზე ცარცით დაეწერა „სალამი საბჭოთა მეზღვაურებს!“ სტუმრად მოდიოდნენ ნავსადგურის მუშები, მოსწავლეები, მეზღვაურები...

როცა ჰოლანდიას გამოვემშვიდობეთ, ჩვენ თან გაგვყვა სამახსოვრო საჩუქრები, ყვავილების თაიგულები და ღრმა რწმენა, რომ ჰოლანდიის უბრალო ადამიანები ჩვენი ნამდვილი მეგობრები არიან.

ჩვენ ტრიუმებში დარჩენილი აზბესტი ანტვერპენში უნდა გადმოგვეტვირთა. ნავსადგურში მისვლისას თვალში გვეცა ფორდის ავტოქარხნის უზარმაზარი საამქროები. მარჯვნივ სამგზავრო ლაინერი დგას. ცოტა მოშორებით სატვირთო ხომალდი „კონგო-მოკო“, იქვეა ნორვეგიული ხომალდიც „ქრისტიან სმიტი“, რომელიც ქვიშისფერ ტანკებს ტვირთავს: ტანკებს აწერია „კონგო“. აქ ყველაფერი კონგოსთან არის დაკავშირებული. „კონგო-მოკოს“ ხომალდი ივსება ჯარისკაცებითა და ოფიცრებით. უყურებ და შენდაუნებურად ფიქრობ, რომ მათ იქ ცეცხლი და სიკვდილი მიაქვთ.

ბელგიაში ჩვენი ყოფნისას ერთ-ერთ პროვინციაში წყალდიდობამ დიდი ზარალი მოუტანა ადამიანებს. საღამოს ყველა კინოთეატრში მომხდარი უბედურების შესახებ უჩვენებდნენ ქრონიკას. ჩაძირული სახლები, მანქანები, ადამიანები... სურათებში დიდი ყურადღება ეთმობოდა ბელგიის მეფისა და დედოფლის მოსვლას წყალდიდობის ადგილას.

როცა ქრონიკა დამთავრდა, ვიკითხეთ, რა თანხა გამოიყო დაზარალებულთა დასახმარებლად. ახალგაზრდებმა გაოცებით შემოგვხედეს, მერე ხელი ჩაიქნიეს და წავიდნენ.

ხშირად ვკითხულობთ გაზეთებში ბელგიელ მუშათა გაფიცვების შესახებ. ჩვენ მოწმენიც კი გავხდით ასეთი გაფიცვებისა. გაიფიცნენ მეშახტეები, მერე მათ დოკერებმაც აუბეს მხარი, მერე ქალაქის მთელი ტრანსპორტი გაჩერდა.

მოდიოდნენ დემონსტრანტები ლოზუნგებით: „ძირს უმუშევრობა!“ ბელგიის კომუნისტური პარტიის გაზეთი „დრაპო რუჯი“ მოუწოდებდა ხალხს ერთიანობისაკენ.

საყოველთაო გაფიცვა 1960 წლის 20 დეკემბერს დაიწყო და 1961 წლის იანვარშიც გრძელდებოდა. ქალაქში ხშირად გვხვდებოდნენ დაჭრილი ადამიანები.

ანტვერპენს დიდი ხნის ისტორია აქვს. X ს-ის ციხესიმაგრე სტენში ამჟამად გრანდიოზული საზღვაო მუზეუმია მოთავსებული. აქვე შეიძლება საზღვაო გემების ძველი მოდელების ნახვა.

ანტვერპენის დათვალიერება ყველაზე საინტერესოა მეირის ქუჩაზე მდებარე სახლიდან, რომლის ოცდაოთხივე სართულიდან ლამაზად მოჩანს ქალაქის პანორამა.

გრუნპლენცის მოედანზე რუბენსის ძეგლია აღმართული. რუბენსის სახლიც ვნახეთ. აქ მრავალი ტურისტი მოდის, რათა დაათვალიეროს საქვეყნოდ აღიარებული მხატვრის ბინა, რომელსაც შესანიშნავი ბაღი აკრავს. სასიამოვნოდ იღვრება გამოჩენილი კომპოზიტორების მელოდიები.

ანტვერპენის მოედანზე დგას მსოფლიოში სილამაზით, ხოლო ბელგიაში სიდიდით ცნობილი ტაძარი, რომლის დარბაზებს რუბენსის სურათები ამშვენებს. ტაძრის 123 მეტრიანი სიმაღლის გუმბათიდან ირგვლივ მსოფლიოს გამოჩენილ კომპოზიტორთა მელოდიები იღვრება, როცა საათები რეკვას იწყებენ. ქალაქი მდიდარია პარკებით, განსაკუთრებით ლამაზია ის პარკი, სადაც ფრანგი არქიტექტორის გიმარდოს მიერ აშენებული მუზეუმი ამშვენებს გარემოს.

სრუტეა თუ ქუჩა?

თუ რომელიმე თქვენგანი ლა-მანშის სრუტეში მოხვედრილა, აუცილებლად დამეთანხმება მის თავისებურებაზე. პირველ ხანებში მე მაოცებდა ეს თავისებურება, მერე კი შევეჩვიე და სიამოვნებით ველოდებოდი საღამოს მოსვლას, როცა გეჩვენება, რომ წყალში კი არა ხარ, არამედ მსუბუქ მანქანაში ზისარ და ქალაქის შესანიშნავ ქუჩებში დასეირნობ. ლა-მანშის სრუტე საღამოობით ყოველთვის წააგავს განიერსა და დიდ ქუჩას, რომლის ორივე მხარე ნაირფერი ნათურებითაა გაშუქებული.

სრუტეში ბევრია შემხვედრი გემი, ამიტომ მესაჭეს დიდი სიფრთხილე მართებს, რადგან ბალტიის ზღვიდან ატლანტის ოკეანეში მიმავალი ყველა გემი ჩვეულებრივ პლიმუტის ნავსადგურში ისვენებს.

ამიტომ აქ მუდამ გემთმრავლობაა. მათ ახლა ჩვენი გემიც მიემატა.

ავი მასპინძელივით ბორგავს ოკეანე პლიმუტის ნავსადგურის მისასვლელებთან. მაგრამ მის სიავეს ორკილომეტრიანი ზვირთსაქცევი ეღობება. ეს ზვირთსაქცევი ნებიერად გაწოლი-

ლა შესასვლელში. პლიმუტი მდინარე პლიმისა და მდინარე ტეშერის შუა ძდებარეობს, რომელსაც თავზე მორკალული სერი დასცქერის. ამბობენ, რომ სწორედ ამ სერიდან შეამჩნიეს 1558 წელს ესპანეთის სამხედრო ფლოტის „უძლეველი არმადის“ მოახლოება. დამარცხდა ფლოტი და ესპანეთის საზღვაო ძლიერებასაც გამოეთხარა ძირი. სამაგიეროდ, გაძლიერდა და განმტკიცდა ახალი საზღვაო სახელმწიფო — დიდი ბრიტანეთი.



ქარგია აქ დასვენება

პლიმუტი პირველ წლებში მეთევზეთა უმნიშვნელო ახალშენს წარმოადგენდა, მაშინ მას ტეპერა ერქვა. მერე სატენი უწოდეს. ბოლოს, ჰენრიხ VI-ის მეფობისას, დაერქვა პლიმუტი. ეს უპრეტენზიო ქალაქი სულ მალე დიდი ბრიტანეთის მნიშვნელოვან სამხედრო-საზღვაო ბაზად იქცა. მისი ასეთი სახეცვლილება დააჩქარა იმანაც, რომ XVI საუკუნეში საჭირო გახდა ინგლისის სამხრეთ სანაპიროების დაცვა ფრანგების ხშირი თავდასხმებისაგან.

თუმცა პლიმუტი მარტო თავდაცვას როდი ემსახურებოდა.

მის სახელთან დაკავშირებულია ბრიტანეთის ფლოტის ავიზაკური თარეშის მთელი ისტორია. აქედან გადიოდნენ ინგლისელი მეკობრეები ადამიანებზე სანადიროდ. აქ თითქმის XIX საუკუნემდე იყო მთავარი ბაზა, სადაც მოჰყავდათ შავი მონები აფრიკიდან, აქ ტვირთავდნენ და აგზავნიდნენ მათ ამერიკაში, სადაც იყიდებოდა ადამიანი, როგორც ნივთი, უბრალო და იაფფასიანი. მილიონობით ზანგთა საშინელი ხეიდრის მომსწრეა პლიმუტის ნავსაყუდელის მისადგომები, სადაც 1815 წელს გაიარა განთქმულმა რუსმა მოგზაურმა ოტო კოცებუმ. იგი გემი „რიუნიკით" მოგზაურობდა დედამიწის გარშემო. XVIII საუკუნეში კი ცნობილი ინგლისელი მოგზაური ჯეიმს კუკი სამჯერ გავიდა ამ ნავსადგურიდან.

უფერულია და უსიცოცხლო ქალაქის ქუჩები. იქნებ სწორედ ადამიანთა წამების ნახვამ დაუკარგა ფერი მის სახეს. აქა-იქ შემორჩენილა გამხმარი და ჩაყვითლებული მცენარეები. ყოველი ნაბიჯზე გვხვდებიან უმუშევრები, ისინი ქუჩა-ქუჩა დაეხეტებიან რაიმე სამუშაოს საძებნელად.

ამბობენ, რომ შავი კატა...

ინგლისელმა მეზღვაურებმა ბევრი რამ გვიამბეს პლიმუტში. მათი ნაამბობი სასაცილოც იყო და სევდის მომგვრელიც. მე განსაკუთრებით ორი ამბავი ჩამრჩა გულში: პირველი — მეზღვაურებში გასული, ლეგენდა შავი კატისა:

თურმე პლიმუტის ნავსადგურში გლაზგოს ვეებერთელა გემი „იმპერკონლეგტონი" მდგარა. ამ გემზე ახალი ცეცხლფარეში ფრენკ მაიერი მოსულა. კოლეგებს გულთბილად მიუღიათ ახალგაზრდა კაცი და თავისუფალი მეოთხე საწოლი შეუთავაზებიათ ფრენკისათვის. მაგრამ ფრენკს კაიუტაში მეხუთე წევრიც შემოჰყოლია, შავი კატა ფრედერიკი.

ცეცხლფარეშებს მაშინვე გაუფრთხილებიათ ახალი მეგობარი, კაპიტანი ვერ ეწყობაო ცხოველებს. იგი არც ეკიპაჟისათვის ზრუნავსო ძალიან.

— მომეხმარეთ, თქვენც სთხოვეთ, ექვსი წელია ეს კატა ჩემთან ერთად მოგზაურობს ზღვაშიც და მიწაზეც, — უთქვამს

ფრეხკს, რომელსაც თურმე კატა ერთმა სიხგაპურელმა გოგონამ აჩუქა. ჰოდა, რა გასაკვირია, თუ ლამაზი ქალიშვილის სახსოვარს ასე იოლად ვერ ელეოდა ჭაბუკი.

თხოვნით არაფერი გამოვაო, — უთქვამთ ცეცხლფარეშებს, — ჩვენ დღე-ღამეში 21 ტონა ნახშირს ვწვავთ, ჯოჯოხეთური ჯაფა გვაწევს მხრებზე, მაგრამ კაპიტანი ოდნავ არ გვიმსუბუქებსო შრომას და როცა ხელფასის გადიდება მოვთხოვეთ, გემიდან კინაღამ გაგვაძევაო.

შავი კატა კი ყველას შეყვარებია გემზე. კაპიტნის თანაშემწეს სულიც არ ეშურებოდა მისთვის. კაიუტიდან არსად უშვებდნენ, თვალში არ მოხვდესო კაპიტანს.

ნათქვამია: კოკა ყოველთვის წყალს ვერ მოიტანსო. ერთხელ, მზის ჩასვლისას, კაპიტანი ბოგურაზე იყო და დურბინდით ათვალიერებდა გარემოს. უეცრად სახეზე გაოცება გამოეხატა, მერე სიბრაზემ მოკუმულ ბაგეზე გადაუარა. უფროს თანაშემწეს გამოსდო ხელი და: — ხედავთ? ხომალდზე კატაა!—დაიღრიალა მან.

უფროსმა თანაშემწემ ყურადღებით დაათვალიერა გემბანი, ყოველ შემთხვევაში ასე მოეჩვენა კაპიტანს, თავაზიანად გაიღიმა და, ვერაფერს ვხედავო, თქვა მოკრძალებით.

— თქვენ რა, ხომ არ დაბრმავდით! — წამოიძახა კაპიტანმა, — აი, იქ ზის.

— უფროსი თანაშემწე სახიფათო თამაშს აჰყვა, დურბინდი გამოართვა და ისევ მშვიდად გაიმეორა:

— მე კატას ვერსად ვამჩნევ.

გაცეცხლებული კაპიტანი ახლა მესაჭეს მიუბრუნდა.

— ხედავთ კატას?

მესაჭეს მათი საუბარი ესმოდა. ოამაში მაშინ არის საინტერესო, რაც მეტი მონაწილეაო შიგ და:

— არაფითარი კატა, ბატონო კაპიტანო.

კაპიტანი აღარ უსმენდა მათ. შუბლშეკრული ჩამოვიდა ბოგურადან. სასწრაფოდ კაიუტაში შევიდა და ილუმინატორს ეცა.

იქ, მართლაც, არაფერი იყო. ფრედერიკი თამაშიდან გამოვიდა და გაიქცა.

გავიდა რამდენიმე დღე. გემზე ეს ამბავი კიდეც გადაავიწყდათ, მაგრამ დახეთ შავ კატას. მას ისევ მოუნდა ცეცხლთან თა-

მაში... და, როცა კაპიტანი ბოგურაზე იდგა უფროს თანაშემწესთან ერთად, ვერავინ შეამჩნია, როგორ გაჩნდა ფრედერიკი მათთან და თავის მფარველს ფეხებზე მიუალერსა.

— აი, კატა, — გამარჯვებული კილოთი წარმოთქვა კაპიტანმა.

— სად ხედავთ კატას?! — თანაშემწემ სახეზე გაოცების ნიღაბი აიფარა.

კაპიტანმა ბარბაცით დაიხია უკან.

— ნუთუ ვერ ხედავთ? შავი კატა ხომ თქვენ ფეხებთან ზის.

— ფეხებთან? — თანაშემწემ თვალი მოავლო მთელ სივრცეს, ხელები გაოცებით გაშალა და დაუმატა:

— სად ხედავთ კატას, ბატონო კაპიტანო?

სიბრაზისაგან სუნთქვა შეეკრა კაპიტანს. მესაკეს მოუბრუნდა და — რა არის ეს? — მიუთითა კატაზე.

თამაში ახლაც გაგრძელდა.

— მაპატიეთ, ბატონო, ვერაფერს ვხედავ...

კაპიტანს უნდოდა დახრილიყო. კატისთვის ხელი ჩაევლო და უფროსი თანაშემწისათვის სახეში ეთხლიშა, მაგრამ უცებ გაიფიქრა: იქნებ და მართლაც არავითარი კატა არ არის? ხომ არსებობს მოჩვენებები? სჯობია გავჩუმდე, თორემ შეშლილად ჩამთვლიანო.

ის იყო და ის. -იმ დღიდან დაკარგა მოსვენება კაპიტანმა. წარმოიდგინეთ ნერვებაშლილი კაპიტანი, რომელიც არც მანამდე იყო დიდი თვინიერი, იჯდა კაიუტაში და არავის ღებულობდა. მერე, მეოთხე დღეს უფროსი თანაშემწე გამოიძახა და როცა იგი კაპიტნის კაიუტაში შევიდა, გაოცებისაგან ენა დაება. სადღა იყო ის ამაყი და ნებიერი კაპიტანი. სამ დღეში მოტეხილიყო, სახეზე წვერი მოზრდოდა, ბეჭებიც დალეოდა. უძილო თვალებს სიწითლე შეჰპაროდა, იატაკზე პაპიროსის ნამწვი ეყარა, მიყრილ-მოყრილი იყო ტანსაცმელი, წიგნები...

— მითხარით, ნამდვილად არის თუ არა ხომალდზე კატა?— ხმაში მუდარა ეტყობოდა, — დაე იყოს, ნება მომიცია, ოღონდ სიმართლე მითხარით.

— დიახ, — პასუხი მკაფიოდ იყო ნათქვამი.

— მართლა? გაიმეორეთ, სთქვით კიდევ ერთხელ.

— გემზე ცხოვრობს შავი კატა, ფრედერიკი.

— ოჰ, — აღტაცებით ამოიკვნესა კაპიტანმა, — ღმერთო დიდებულო! დე, დარჩეს, იცოდეთ, რომ ძალზე ბედნიერი ვარ, ეს ხომ მოჩვენება არაა, ეს ნამდვილად კატაა, შავი კატა...

ნაამბობზე ბევრი ვიცინეთ. ოთარმა კი სიმღერა წამოიწყო:

„ამბობენ, რომ შავი კატა
მოგიტანსო ზიანს.
შენ კი გული გამიხარე
ჩემო ფისუნიავ.
მიავ, მიავ,
ჩემო ფისუნიავ.“

ნოდარ ალექსიძემ მასპინძლებს ლექსი უთარგმნა.

სამი წერტილი

რაც შეეხება მეორე ამბავს, ახლაც გულისტკივილით ვიგონებ.

გლაზგოში მიმავალ გოგონას, რომელსაც მამა ფრონტზე ჰყავდა, დედა კი სახლის დაბომბვისას დაეღუპა, მატარებელში თვალი დაადგეს შეზარხოშებულმა ამერიკელმა ოფიცრებმა. სანდომიანი ქალიშვილის სახემ მათ ბოროტი ზრახვები აუშალა. თავს გავირთობთო, მაგრამ...

ვერ აისრულეს სურვილი. მერე, რაღ გაბედაო ურჩობა და მატარებლიდან გადააგდეს.

მერე? მერე რა. ინგლისის პოლიცია ამერიკელთა წინაშე ყრუა და მუნჯი. ეს საზღვარგარეთ არავის უკვირს. მე ეს შემთხვევა რატომღაც 1946 წელს დავუკავშირე, როცა მატარებლით მომიხდა ლონდონში ჩასვლა. ჩემთან ერთად ბევრი ინგლისელი ჯარისკაცი იყო, ნაღვლიანი თვალებით რომ შეცქეროდნენ სხვათა დამხვდურებს.

— სად არიან მათი მეგობრები, ძვირფასი ადამიანები, რომელთა სიყვარული ომის ქარცეცხლში ავგაროზივით იცავდათ უბედურებისაგან?

მახსოვს, როგორ დამაყარეს სიცილი.

— რომელი გულის მეგობრები? ჰმ, მერე და სადღა არიან ისინი? სანამ ეს ვაჟკაცები ბრძოლაში იყვნენ, ამერიკელი მფრი-

ნაევები და რადიომოკავშირენი შოკოლადის ფილებითა და იაფ-ფასიანი კონსერვებით ყიდულობდნენ ინგლისელ ქალიშვილებს, მათ სიყვარულს...

— განა ყველა ლამაზი იყიდება?

არც ამ კითხვაზე დაუგვიანებიათ პასუხი.

— ვინც არ იყიდება, ძალით იმორჩილებენ, ან...

არ დაამთავრეს მაშინ ის ფრაზა. ახლა კი მიეხვდი, რას ნიშნავდა მათი დაუმთავრებელი წინადადება. რას ნიშნავდა ის სამი წერტილი.

ნისლში მცურავი გამზირი

გემი ჩვეულებრივი სვლით მიიწევს წინ. ვდგავარ გემბანზე და ხარბი თვალებით ვაკვირდები ნაცნობ ადგილებს. ჩვენი გზის მარჯვნივ უკვე ნათლად ჩანს ქალაქის სანაპიროები. მერე თანდათან მკვეთრი ხდება მისი მოხაზულობა. ეს ხომ ლაუსტოფია. მას კარგად იცნობენ ჩვენი მეზღვაურები. ჩვენ, არაერთხელ მოგვიხდა ამ პატარა ქალაქში ცხოვრება.

მოგონებანი საწვიმარი ღრუბლებივით იშლებიან ნელ-ნელა. და მე გემბანზე მდგარს, 1956 წლის 13 დეკემბერი მაგონდება, როცა ჩვენმა გემმა ტემზის ნავსადგურში ჩაუშვა ღუზა. მაშინდელი ჩვენი მგზავრობის მიზანი ახლა ტრაულერის მიღება იყო.

მოუთმენლობა გვიპყრობდა ყველას, რაც შეიძლება მალე გვენახა ნისლში მცურავი ლონდონი. ექვსი საათის განმავლობაში ვმგზავრობდით სამხრეთ-აღმოსავლეთ ინგლისის გასწვრივ, ლაუსტოფისაკენ.

ჩვენი სურვილი — დაგვეთვალიერებინა ლონდონი, უსიტყვოდ გაიგო მძღოლმა და შესაძლებლობა მოგვცა ავტობუსის ფანჯრებიდან კარგად აღგვექვა ეს ვეებერთელა ქალაქი, განუმეორებელი ხიდებითა და მოედნებით, ეკლესიებითა და მთავრობის სასახლით.

აი, ლონდონის სიტი, — ეს დიდი ქალაქის საქმიანი ცენტრი, სადაც ირჩეოდა პოლიტიკური საქმეები.

ლონდონიდან ლაუსტოფში მოგზაურობისას ჩვენი ყურადღება ინგლისურმა გზებმა მიიპყრო. შეხიდეგბით ორმართა-ოიღმართებს, მოსახვევებსა და მოსახვევების მაჩვენებლებს. გზათა გასწვრივ თანაბარ მანძილებზე გვხვდებოდა ბენზინის გასაწყო-



ინგლისი იწყება ლონდონი, ნისლიანი ქალაქი

ბი ბოძები, გაგვაოცა გზატკეცილებზე შემხვედრი მანქანების სიმცირემ. ინგლისი ხომ მანქანების წარმოების მხრივ მესამე ადგილზეა მსოფლიოში.

მაშ, სადღა არიან ისინი?

მანქანები დგას ბენზინის რიგში, ბოძებზე კი განცხადებები ჰკიდია: „ბენზინი არ არის“.

შემდეგ გავიგეთ, რომ ინგლისში არსებობს სპეციალური დადგენილება, რომლის თანახმად, მანქანის ყოველ კერძო მესაკუთრეს ნება ეძლევა, თვეში გაიაროს მხოლოდ ორასი კილომეტრი, უფრო სწორად, მანქანის მფლობელს, თვეში იმდენი ტალონი ეძლევა ბენზინისათვის, რამდენითაც ორასი კილომეტრის გავლა შეიძლება. ეს კი ბევრ თავგადასავლების მოყვა-

რულს უსპობს გასეირნების საშუალებას, თუნდაც ლონდონის გარეთ.

ვერფის მუშებმა კარგად მიიღეს ჩვენი მეზღვაურები. ჩანდა, ისინი საკუთარი სურვილით მუშაობდნენ საბჭოთა დაკვეთებზე. სიამოვნებით ღებულობდნენ შენიშვნებს და წუნს სახელდახელოდ ასწორებდნენ. როგორც საუბარში გამოირკვა, ვერფი „ბრუკ მარინე ლიმიტედი" მხოლოდ საბჭოთა შეკვეთების ხარჯზე არსებობდა და ამჟამად გემებს მხოლოდ საბჭოთა კავშირისათვის აგებდა. გემი, რომელიც მაშინ უნდა მიგვეღო, უკვე მესუთე ტრაულერი იყო, რაც ინგლისელმა მუშებმა ჩვენთვის დაამზადეს.

გემის მიღების დროს გემსაშენმა სხვა ახალი ტრაულერიც ჩაუშვა წყალში და ამასთან დაკავშირებით გამართულ ცერემონიალზე ჩვენც მიგვიწვიეს გემსარისზე, რომელზეც დროშებით მორთული ახალი ტრაულერი იდგა. ვერფის ყველა მუშამ მოიყარა თავი. მოვიდნენ ადმინისტრაციის, საელჩოსა და საკონსულოს წარმომადგენლები.

„ნათლიამ" შამპანურის ბოთლი გახსნა და ხანგრძლივი, ბედნიერი ცურვა უსურვა ტრაულერს.

სანამ გემსაშენში ჩვენს მიერ მიცემულ შენიშვნებსა და დეფექტებს ასწორებდნენ, ჩვენმა მეზღვაურებმა გადაწყვიტეს ინგლისის დედაქალაქის გაცნობა. მით უმეტეს, ჩვენს განკარგულებაში სამი საზეიმო დღე იყო. ამან კი სელი შეგვიწყო საინტერესო ექსკურსიების ჩატარებაში.

როცა უცხოეთში ხარ, ყველაზე მეტად გაინტერესებს, რაც შენს სამშობლოსთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. ამიტომ პირველ რიგში ბოლფორდ სკვერის მოედანს მივაშურეთ. აქ ხომ 1902-1903 წლებში ცხოვრობდნენ ლენინი და კრუპსკაია. ჩვენ ამაყად გავიარეთ ქუჩა, სადაც დადიოდა დიდი ბელადი. მერე ჰაიგეტის სასაფლაოს ვეწვიეთ. აქ დაკრძალულია კარლ მარქსი. ძეგლის გარშემო ცოცხალი ყვავილები ეწყო. ყვავილები მარქსის საფლავზე არასდროს არ ჭკნება. ყოველდღე ახალ-ახალი მოაქვთ.

სასაფლაოს ზედამხედველმა გვიამბო, თუ როგორ ეწვია რამდენიმე თვის წინათ მარქსის ძეგლს აფრიკის ქვეყნების დელეგაცია. ყვავილები მათაც მოუტანიათ ხაფლავზე. და-



მეზღვაურები მარქსის საფლავთან

შოუკიდებელი ქვეყნის წარმომადგენლები დიდხანს ყოფილან რევოლუციის ფუძემდებლის ძეგლის წინაშე დაჩოქილები.

როცა უკან ვბრუნდებოდით, ღობეს წავაწყდით, მაგრამ ღობე ქუჩას გასწვრივ კი არ მიჰყვებოდა, გარდიგარდმო ტიხრავდა. იქვე ეკიდა წარწერა: „კერძო საკუთრება". ყველა ჩვენგანმა კარგად იცის, რას ნიშნავს ეს წარწერა, მაგრამ წარმოდგენაც კი არ შეგვეძლო, თუ ლონდონის ცენტრში საკუთარი ქუჩა იქნებოდა. აბა, როგორ გვერწმუნა, რომ ვიღაცას შეუძლია თავისი სურვილისამებრ გააღოს ან არ გააღოს ქუჩის ჭიშკარი და ნება დართოს ან არ დართოს მანქანების მიმოსვლას.

სტუმრად მადამ ტიუსოსთან

ხომ არ დაიღალე, ჩემო მკითხველო! აი, ახლა ჩვენ ბეიკერ-სტრიტზე მივდიეთ მადამ ტიუსოსთან. არ გამიგონიაო ასეთი ქალი, იტყვი შენ. სწორედ ამიტომ მინდა გაგაცნო მადამ ტიუსო. ხელახლა უნდა მოვიარო მისი სანთლის ფიგურების მუზეუმი, რათა შენც ნათლად აღიქვა ეს მეტად საინტერესო სანახაობა.

მართლაც და, უსაზღვრო ფანტაზია, დიდი უნარი და ფართო განათლება უნდა ჰქონოდა ადამიანს, რომ ამ დევთა შესაჭიდარს შესჭიდებოდა.

მადამ ტიუსომ საკუთარი სახსრებით დაიწყო მუზეუმის აგება. მას დიდებული აზრი მოუვიდა, შეექმნა მსოფლიოში ცნობილ პიროვნებათა სანთლის ფიგურების მუზეუმი. აქ თქვენ ნახავთ ადამიანთა ფიგურებს, იმ ზომისა და მოყვანილობისას, როგორებიც იყვნენ ცხოვრებაში. ზოგი ზის, ზოგი დგას, ისე, ვის როგორი ჩვევაც ჰქონდა სიცოცხლეში.

მუზეუმის შესასვლელშივე საოცრებათა სამყარო იწყება. აქ რამდენიმე მაგიდაა და ყველა მაგიდასთან ზის ქალი, ლამაზი ქალი... აი, ნოდარ ალექსიძე მიუახლოვდა ერთ-ერთ მათგანს და ბილეთისათვის ფული გაუწოდა. ნოდარს ფეხდაფეხ მიჰყვება მისეულ მდივანიც. ოთარ ფხაკაძე ალბათ არჩევანშია, რომე-

ლი ქალი სჯობიაო ყველას. მაგრამ დახეთ, ქალი, რომელსაც ნოდარმა ფული მიაწოდა, არც კი იძვრის. ქართველი ბიჭები, ჩვენში დარჩეს და, განებივრებულები არიან უცხოელი ლამაზმანებისაგან და უკვირთ, ყურადღების ღირსიც რომ არ გახადეს აქ. უმწეოდ შემომხედავს ნოდარი და ჩემს თვალებში რომ ღიმილს იპერს, გონს ეგება. ირგვლივ მხიარული სიცილია, ნოდარიც იცინის — მაგიდასთან მსხდომ ქალთაგან მხოლოდ ერთია ცოცხალი, დანარჩენი სანთლის ფიგურებია. ეს ისეთი ოსტატობით არის გაკეთებული, რომ პირველად მომსვლელი ვერ გაარჩევს სანთლის ქალს ცოცხალი არსებისაგან. ამიტომ შეიძლება თოჯინასთან მივიდეს. მეზობელი ოთახიდან მას თვალყურს ადევნებენ „გამოცდილები“ და გულიანად იცინიან.

პირველ სართულზე მოთავსებულია მინისტრთა გამოსახულებანი. აი, ჟოზეფ ჩემბერლენი, რომელმაც უფრო თავისი საბაჟო რეფორმებით დასტოვა კვალი ისტორიაში. გვერდით „უილიამ პიტი“ უმცროსად წოდებული დგას, რომლის პრემიერობას ნაპოლეონის ომებმა მოუღო ბოლო. აქვეა ოთხგზის პრემიერი გლადსტონი, კაცი გონიერი და გამჭრიახი. სერ ენტონ ედინ, — პრემიერი და სამჯერ საგარეო საქმეთა მინისტრი. მათი პლეადა მრავალმხრივი მოღვაწის ნევილ ჩემბერლენის ფიგურით მთავრდება. თავისი დროის დიდი სახელმწიფო მოღვაწე, პარლამენტატორი, ისტორიკოსი, მწერალი და მხატვარი— აი, ვინ იყო ნევილ ჩემბერლენი.

დიდებულია ინგლისელთა სამეფო საგვარეულოს განყოფილება. აი, ბუკინგამის სასახლის სატახტო ოთახი, რომლის სიღრმიდან ჰერცოგინია გლოუსისტერის ამაყი თვალები შემოგცქერით. მის მარცხნივ ჰერცოგინია კენტია, მხარმარჯვნივ პრინცესა მარგარიტა, ხოლო ცოტა მოშორებით ელისაბედ დედოფალი.

სამეფო გვარის მეზობლად კონსერვატული მთავრობის წარმომადგენლებს მოუყრიათ თავი. ხაზინის ლორდკანცლერი ვიკონტ ეილმერი, ჰესქოუთ ამორი — ბეკდის შემნახველი გრაფი, რეჯინალ მიდლინგი — ვაჭრობის კოლეგიის პრეზიდენტი, ჩარლზ ბილი — ლანკასტერთა საგრაფოს კანცლერი.

შემდეგ ლეიბორისტული ოპოზიციის მესვეურები ამოდგომიან — ედიტ სამასკილი, ნაციონალური დაზღვევის მინისტრი

ეუჯ გეიტსკელი, ხაზინის კანცლერი ჯეიმ კალაგინი და სხვანი.

დიდი მოწიწებით შედიხართ სახელგანთქმულ მეომართა სამყოფელში. პირველი გმირი ფრენსის დრეიკია, რომელიც სამი საუკუნეა დგას პლიმუტში. ეს იყო ელისაბედის სახელგანთქმული მეზღვაური და ნავიგატორი. ამ დიდებულ მეკობრეს მარჯვენა ხელი გლობუსზე დაუყრდნია და ყველას განაწყობს, მოწიწებით დახაროს თავი მის წინ.

ისტორია პატივისცემით იხსენიებს რომის ლეგენდარულ ამშენებელთ, მაგრამ ვაჟკაცის სახელი ეკუთვნის მას, ვინც რომი დაანგრია... ბედის ღიმილი იყო თუ ვაჟკაცობა, გრაფი ველინგტონი ყველაზე იღბლიანი მოლაშქრე გახდა მსოფლიოს გმირთა შორის. მან შეიპყრო ნაპოლეონი ვატერლოოსთან. კაცმა თუ განგებამ ერთად შეჰყარა ბოლოს მათი სანთლის გამოსახულებანი.

ნაპოლეონი... ვფიქრობ, საჭირო არ არის რომელიმე ეპითეტი ამ კორსიკელი ალექსანდრეს სახელთან. კაცი უდრეკი და უშიშარი, რომელმაც კადნიერად იქნია ხმალი და გზა გაიკაფა დიდებისაკენ. ნაპოლეონი, თავისი დროის საფიცარი რაინდი, სარდალი, იმპერატორი, ვისთვისაც ადიოდნენ გილიოტინაზე... მან საფრანგეთის ისტორიაში ახალი საბრძოლო დიდების დღე გაათენა — იბობოქრა და იქუხა, მერე კი დაცხრა. ცხენზე ამხედრებულმა შეარყია მთელი ევროპა, რომ შემდეგ ლაჩრულად მისულიყო სიკვდილი მასთან, ვინც ვაჟკაცურად გადათელა ათასი სიკვდილ-სიცოცხლე და ყველა დროის ადამიანთა გულებში დაიმკვიდრა სავანე. კაცი, რომელიც ევროპაში ვერ დაეტია, დგას ახლა მშვიდად ტიუსოს სამყაროში და ათასები კვლავ მოწიწებით ხრიან თავს მის წინაშე.

სიცოცხლეშივე ბრიტანეთის ნაციონალური გმირი გახდა ადმირალი ნელსონი. ეს ცალთვალა ლომი მხარში ამოდგომია სახელოვან ველინგტონს. დგას ცალხელა და ცალი თვალით მოგჩერებია.

ძლიერთა გვერდით ტიუსოს სულიერი მამები მოუთავსებია: მას საპატიო ადგილი დაუთმია ამერიკის პრეზიდენტთა და სახელმწიფო მოღვაწეთათვის. აი, ამერიკის პირველი პრეზიდენტი ჯორჯ ვაშინგტონი, მაღალი და შუბლნათელი ვაჟკაცი, ფრანკლინ რუზველტი, შეერთებული შტატების. საყვარელი

პრეზიდენტი, მეორე მსოფლიო ომისდროინდელი დიდი მოღვაწე; მისმა სანთლის გამოსახულებამ მე პრეზიდენტის სიკვდილის დღე გამახსენა. შვიდი დღე-ღამე ბობოქრობდა ოკეანე, რომელიც წყნარის სახელს ატარებს. ჩვენ სან-ფრანცისკოში მივცურავდით, მაგრამ ღელვამ ჩვენი წინსვლა შეაჩერა. ქანცგაცლილები ვებრძოდით სტიქიას. ბოლოს ხმელეთიც გამოჩნდა. ჩვენს წინ ამერიკულმა კრეისერმა გაიარა. მან მორზეთი გადმოგვცა, რატომ არა გაქვთო დაშვებული დროშა? ჩვენ არ ვიცოდით, რატომ უნდა დაგვეშვა იგი, გვიპასუხეს, რომ გარდაიცვალა ფრანკლინ რუზველტი. აბა, რა ვიცოდით. ჯოჯოხეთურმა ღელვამ რადიოანძები სულ დაწყვიტა. იმ საღამოს ქალაქში მგლოვიარე ხალხი ვნახეთ. ყველა კინოთეატრში რუზველტის სიკვდილს უჩვენებდნენ. დარბაზში მხოლოდ ხალხის ტირილი ისმოდა. გულწრფელი ტირილი.

რუზველტთან ახლოს დგას პრეზიდენტი დუაიტ ეიზენჰაუერი.

ბუმბერაზთა შორის თანამედროვე სახელმწიფო მმართველთა განყოფილებაში წინა პლანზე აზიდულა კაცი-ლეგენდა. მას ჯარისკაცური ფარაჯა აცვია, თავზე ქუდი ახურავს, მარცხენა მხარზე საველე ჩანთა მოუგდია, მარჯვენა ხელი ვეებერთელა გლობუსზე დაუბჯენია. იოსებ სტალინის გამოსახულების შემქმნელ მოქანდაკეთ და მხატვრებს უნდოდათ ეთქვათ, რომ ამ კაცმა, კაცმა ლეგენდამ, ფოლადის კაცმა უხელმძღვანელა საბჭოთა სახელმწიფოს ოცდაცხრა წლის მანძილზე და მის წინაშე ქედს იხრიდა მთელი მსოფლიო. აქვეა მოლოტოვის, ვოროშილოვის და სხვათა ფიგურები.

შევცქერი ი. ბ. სტალინის გამოსახულებას. მეამაყება, რომ ვარ მისი თანამემამულე.

ერთი ნაბიჯიც და ჩემს წინ ჩემი ნაცნობი ჰაილე სელასიე დგას. პატარა შავწვერულვაშიანი კაცი, სამხედრო ფორმაში გამოწყობილი. ჩემმა გონებამ 19 წლით დაიხია უკან. 1946 წელი იდგა. ჩვენმა ქარავანმა ხუთი გემის შემადგენლობით ოდესაში ბრძანება მიიღო, მედიკამენტები წაგვეღო აბისინიაში, თან გამოცდილი ექიმები გაგვეყოლებინა. იმ დროს აბისინიაში შავი ჭირი მძვინვარებდა, რომლის საშველად მიიჩქაროდნენ საბჭოთა ადამიანები.

22 დღის ცურვის შემდეგ ჩვენ ნავსადგურ ჯიბუტში შევედით. პირველი, ვინც ჩვენ შემოგვეგება, თვით სელასიე იყო. კარგად მახსოვს ის ვეებერთელა ტახტრევანი, რომლითაც იმპერატორი და მისი ოჯახი მობრძანდა. პატარა სელასიეს ძალიან მოსწონდა ჩემი ქუდი და ხშირად იხურავდა... გავიდა რამდენიმე წელი და ამ საყვარელ ჭაბუკს ბრალი დასდეს, მამის წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობდაო. ვერ წარმოიდგენთ, რა დიდი სიხარული მომიტანა ცნობამ იმის შესახებ, რომ იგი უდანაშაულო აღმოჩნდა და გაამართლეს. გულს არ უნდოდა ერწმუნა, რომ ის დიდი სიკეთე, მის წრფელ თვალებში რომ ჩანდა, ბოროტებას ფარავდა.

დომინიონების სახელმწიფო მოღვაწეთაგან აქ არის ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერი და საგარეო საქმეთა მინისტრი, საბჭოთა ხალხის დიდი მეგობარი პარდიტ ჯავაჰარლალ ნერუ, რომლის სიკვდილმა გულწრფელად ატირა საბჭოთა ადამიანებიც.

უცნაური რამ იდუმალება გეუფლება მეორე სართულზე. რევოლუციონერთა ავტორიტეტებმა აიძულეს მადამ ტიუსო გილიოტინის მსხვერპლთა თავებიდან სიკვდილის ნიღბები გაეკეთებინა. ეს შემაზრზენი სანახაობაა.

შეძრწუნებული ბრუნდები აღმოსავლეთის კედლისაკენ, სადაც თავზეხელშემოდებული ზის მადამ ტიუსო. დაღლილი და იმედგაცრუებული... შემოელია ყველა სახსარი, ეს დიდებული წამოწყება დასამთავრებელია. აი, მაშინ კი სასაცილო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ვაჟბატონი ლორდები, რომლებმაც გულცივად მოუსმინეს ქალის ჩივილს, აღარ მყოფნის სახსრები, რათა ეს დიდი საქმე ბოლომდე მივიყვანოო. ამ ჯენტლმენებმა კიდეც გააქილიკეს მისი წამოწყება.

მერე იმედდაკარგულმა ტიუსომ მუზეუმში მოიწვია ისინი, საკუთარი თვალებით ნახეთო ყველაფერი. ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა, აღტაცებული მიესალმნენ სტუმრები ბოლო დარბაზში ჩაფიქრებით მჯდომარე ტიუსოს, დახმარებაც კი აღუთქვეს ამ სასოწარკვეთილ ქალს, მაგრამ მასპინძელი მდუმარედ იჯდა სავარძელში, იქნებ არც კი სჯეროდა- ამ ლორდებისა... მერე გაიღო კარები და... შემოვიდა ტიუსო, ნამდვილი მადამ ტიუსო. წელში ამაყად გამართული, სახეზე გამარჯვების ღიმი-

ლი რომ გადაჰფენოდა, მდაბლად დაუკრა თავი სტუმრებს... ახლა, როცა დიდი ამაგდარი ქალის ძვლები კარგა ხანია მიწაში განისვენებენ, მისი სანთლის ქანდაკება ისევ ისე ზის თავზე ხელშემოდებული და ისევ უხმოდ ისმენს მნახველთა აღტაცებას, დუმს მადამ ტიუსო.

ვერსალის სასახლის ერთ-ერთი კოპწია ქალბატონის მიხედვით ტიუსომ შექმნა მძინარე მზეთუნახავის გამოსახულება. ეს თავისთავად ისეთი მშვენიერებაა, რომ სიტყვები ზედმეტია, თუნდაც ქებისა და აღტაცების გამომხატველი იყოს იგი.

აი, ვერსალელი მეფის, უიღბლო ლუი XVI ფიგურა, რომელიც საფრანგეთის რევოლუციის მსხვერპლი შეიქნა. მას გვერდს უმშვენებს მისი ბედის მონაწილე მარიამ ანტუანეტა, რევოლუციამ იგიც შეიწირა. ის კი ახალგაზრდა და სიცოცხლით სავსე გოგონა ტიუსოა. მადამ ტიუსომ ალბათ თავისი ცხოვრების ყველაზე საუკეთესო ასაკად 18 წელი შეარჩია გამოსაქანდაკებლად, ქალწულებრივი სინაზით სავსე და დიდი, ნათელი თვალებით რომ შემოგყურებთ ახლა, თითქოსდა დღეს აეხილაო თვალები პირველად.

აქვეა მარიამ სტიუარტი. პოლიტიკური მტრობის გარდა, ამ ულამაზესი ქალის დასჯაში მის გარეგნობასაც მიუძღვის ბრალი. შურიანმა დედოფალმა ელისაბედმა ნაჯახით მოჰკვეთა ამაყი თავი მარიამს.

ისევ ნაპოლეონი. მწოლიარე. დიადია ბონაპარტე ბალიშზეც და უნაგირზეც. აქვეა ნაპოლეონის ნივთები, დატყვევებისას რომ დარჩენია კარეტაში.

ათასობით გონიერს, კეთილშობილსა თუ მდაბიოს მოკვეთა თავი გილიოტინას ნაჯახმა საფრანგეთში. ამიტომ პირსისხლიანი დევს ახლა იგი მუზეუმში. ვინ იცის, ვისი სისხლი შერჩა ბოლოს ამ ნაჯახს...

და ბასტილია. ამ სახელის ხსენებაც კი მძიმე შთაბეჭდილებას ქმნის ირგვლივ. რამდენი უსამართლობა და უბედობა, რამდენი სისხლი დაღვრილა უმიზეზოდ და უშედეგოდ. სისხლმა პირთამდე აავსო ბასტილია და მსოფლიო ისტორიაში საშინელების ეპითეტად დამკვიდრდა იგი... ჩვენ ვნახეთ ბასტილიის მთავარი ჭიშკრის გასაღები, რომელმაც უამრავი მართალი ადა-

ნაპოლეონი სანთლის მუზეუმში

მიანის სიცოცხლე ჩაკეტა ამ სამარეში: საოცარია, მაგრამ დღემდე მას მაინც გასაღები ჰქვია...

სხვაზე მეტად კალმის ოსტატნი დაუფასებია ტიუსოს. მუზეუმის ყველაზე დიდებულ დარბაზში შეგვხვდნენ: ვალტერ სკოტი, უელსი, ბერნარდ შოუ, კიპლინგი, თომას ჰარდი, ჰიუგო...

ბაირონი, ბრწყინვალე ლორდი, ულამაზესი ვაჟკაცი, საბერძნეთის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას რომ შესწირა თავი. ჩვენ გვიამბეს, როგორ იბრძოდა იგი პერსი ბისი შელისთან ერთად ხალხთა თავისუფლებისათვის. სამშობლოდან გადახვეწილმა შელიმ სიკვდილის წინ სთხოვა ამხანაგებს, ჩემი სხეული დასწვით და ბრიტანეთის ნაპირებთან ზღვაში გაჰფანტეთო. მაგრამ ვერ შეუსრულეს პატრიოტს უკანასკნელი სურვილი. არ დაიწვა შელის გული. მიკვირს, რომ მუზეუმში არ არის მისი ფიგურა...

ჩოსერი, ინგლისური პოეზიის მამამთავარი, ჩარლზ დიკენსი და შექსპირი ერთად დგანან.

მუზეუმის სხვა განყოფილებაში გამოჩენილი სპორტსმენები გვეგებებიან. პოპულარული რადიო და ტელემოღვაწენი, სცენისა და ეკრანის უდიდესი ოსტატები: ჩარლზ ჩაპლინი, მერლინ მონრო, ჩიჩარდსონი, ჰერისონი, ბობი ჰოუპი და სოფი ლორენი. ეს უკანასკნელი საგანგებოდ ჩამოვიდა იტალიიდან ინგლისში, რათა საკუთარი თვალით ენახა, როგორ გამოიყურება იგი მადამ ტიუსოს მუზეუმში, როგორ გამოძერწეს მისი ქანდაკი ტანი. რას იზამ, ჭირვეულია ლამაზი ქალი!

მერე ისევ მეფეთა სამყარო. ნორმანდთა მეფე უილიამ პირველი „დამპყრობი". მეორე უილიამი, ტყეში ნადირობისას რომ გამოასალმეს წუთისოფელს ქვეშევრდომებმა. ჰენრი პირველი, დიდად განსწავლული და მეცნიერი.

პლანტაგენეტთა დინასტიის წარმომადგენლები ჰენრი მეორე. რომელმაც მხოლოდ სიცოცხლესთან ერთად დაასრულა თომას ბეკეტთან დავა, ინგლისელთა ჯვაროსანი მეფე რიჩარდ „ლომგული" — გმირი უამრავ ლექსთა, ოდათა და პოემათა; ედუარდ პირველი — გრძელწვივად წოდებული — მეომარი და კანონმდებელი მეფე.

ლანკასტერები — ჰენრი მეოთხე, იონა ნავარიელი, ჰენრი მეოთხის მეუღლე, ყველაზე უიღბლო დედოფალი, რომელსაც ჯადოქრობა დააბრალეს და დასაჯეს, ჰენრი მეექვსე — მრავალი საგანმანათლებლო დაწესებულებათა დამაარსებელი. ლანკასტერთა დაუძინებელი მტერი ედუარდ მეოთხე. ჰენრი მერვე ტიუდორი, ექვსჯერ რომ დაქორწინდა და ამით სცადა შაჰინშაჰთან გაჯიბრება. აქვე არიან მისი ცოლებიც. ელისაბედ პირვე-

ესენიც მადამ ტიუსოს ქანდაკებებია

ლი — ჭკვიანი, გონიერი დედოფალი, რომელმაც არაფრად ჩააგდო ლამაზი მარიამ სტიუარტის სიცოცხლე, ხოლო თვითონ ერთი დღის სიცოცხლისთვის ექიმებს მთელ თავის იმპერიას სთავაზობდა. ლედი ჯეინ გრეი — უდღეური დედოფალი, რო-

მელიც გამეფებიდან მეცხრე დღეს მოკლეს. მარიამ სტიუარტი — შოტლანდიისა და საფრანგეთის დედოფალი.

შთაბეჭდილებებით დატვირთული გადიხართ მეორე განყოფილებაში და უეცრად გეფეთებიან აქაფებული ცხენები. თავზარდაცემული დგები და ვერც კი ასწრებ გონს მოსვლას, გგონია, საცაა გაგქელავენ ლაგამაწყვეტილი ბედაურები... ნუ შეშინდით, ჯორჯ მეექვსის ოჯახის წევრთა სანთლის ფიგურები „მიემგზავრებიან“ სანთლისავე ცხენებით. და თქვენც საბოლოოდ გამშვიდებთ ცხენებზე ამხედრებული ქალების ღიმილი.

მერე იწყება საშინელებათა დარბაზი, სადაც შეხვდებით ცოლებისა და შვილების, დედებისა და ძმათა მკვლელებს. აქ არის ჯინ გალასიც. იგი ვაჟიშვილის მკვლელობისათვის დასაჯეს, სინამდვილეში კი ბიჭმა თავად მოიკლა თავი. გალასის სახელს ტალახი ჩამორეცხა ვოლტერმა. სამწუხაროდ, როცა იგი უკვე დასჯილი იყო.

აქ არის გილიოტინას მაკეტიც. ადრე აქ, პოროტმოქმედთა შორის იდგა მსოფლიოს ყველაზე დიდი ბოროტმოქმედი ჰიტლერი.

ათასობით წერილი და დეპეშა მოდიოდა ინგლისის მთავრობის სახელზე. პატიოსანი ადამიანები მოითხოვდნენ ჰიტლერის ფიგურა პირველ სართულზე ბოროტმოქმედთა განყოფილებაში ჩაეთრიათ. ინგლისის მთავრობა იძულებული გახდა, ავმოსაქმეთა გვერდით დაედგა ის.

ახლა კი, როცა მე განმეორებით ვეწვიე მუზეუმს, ვეღარ ეახილე ჰიტლერი და მისი ამალა გილიოტინას მაკეტის გვერდით. კარგი უქნიათ, თუ სულაც აღარ გაახსენებენ მათ თავს ადამიანებს-მეთქი, გავიფიქრე, მაგრამ, როდესაც მუზეუმის მსახურს მათ შესახებ ვკითხე, ზემო სართულზე მიმითითა. და დგას ახლა ადოლფის სანთლის გამოსახულება პატიოსან ადამიანთა შორის, მკლავზე სვასტიკით, ახალი კოსტიუმიც კი მოურთმევიათ ფიურერისათვის. დგას, ზიზღით სავსე თვალებით მისჩერებია მნახველს, საშინელებას და შეურაცხყოფას ანთხევს ირგვლივ, დგას, იმუქრება, მეორე ოთახში კი თავზეხელშემოდებული, კეთილ ფიქრებში გართული ზის მადამ ტიუსო, ზის ჩაფიქრებული და დარდიანი, ზის გაუნძრევლად და დუმს...

დადგა დღე, როცა ტრაულერზე საბჭოთა ალამი აფრიალდა. მანამდე ჩვენ დავათვალიერეთ საზეიმოდ მორთული პარლამენტის შენობა, ვესტმინსტერის სახელგანთქმული არქიტექტურული ძეგლი, პიკადილისა და ტრაფალგარის ლამაზი სკვერები.

პარლამენტი და ვესტმინსტერის სააბატო ლონდონის არქიტექტურულ ძეგლებს შორის ერთ-ერთი საუკეთესოთაგანია.



ადმირალ ნელსონთან ქედი ლომებსაც მოუხრიათ.

ტრაფალგარის მოედანზე ადმირალ ნელსონის შესანიშნავი ძეგლია აღმართული. ექვსმეტრიანი გრანიტის კოლონადა ქანდაკებით არის დაგვირგვინებული. ძეგლის ძირში ოთხი უზარმაზარი ლომი დგას. ისინი ქვეყნის ოთხივე მხარეს იყურებიან. ძეგლს განსაკუთრებით რთავენ ტრაფალგართან ბრძოლის დღეს — 21 ოქტომბერს.

ტრაფალგარში თავს იყრიან ლონდონის პოლიტიკური და საზოგადოებრივი მოღვაწეები.

აქვეა ვესტმინსტერის სააბატოს უზარმაზარი შენობა. ამ

ტაძარში აკურთხებდნენ ინგლისის მეფეებს. სამეფო აკლდამებიც აქ არის, სადაც განისვენებენ ჰენრიხები და ედუარდები. გრანიტის მძიმე ფილებქვეშ დასაფლავებულები არიან გამოჩენილი ნიუტონი და დარვინი. რაც შეეხება მწერლებისა და პოეტების კუთხეს, იგი ცალკეა გამოყოფილი.

პიკადილის მოედანი შედარებით ვიწროა. აქედან გზავნიან ტურისტებს ლონდონის ვესტ-საიდის დასათვალიერებლად. პიკადილის ცენტრში შაფტესბერის ძეგლი დგას. მისი ბრინჯაოს

ჰერცოგების სასახლე

პირამიდისებური შადრევანი ფიგურებით არის დაგვირგვინებული.

ლონდონელები ყველა ჩამოსულს პიკადილის ნახვას საღამოთი ურჩევენ, როცა თვალისმომჭრელი სინათლით ნათდება ირგვლივ ყველაფერი. ამ მოედანს ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავს, რომელთა აზრით საღამოს პიკადილი შეუდარებელია, როცა ერთმანეთში ირევა ფერები, წითელი და ვარდისფერი, მწვანე და ყვითელი...

შვიდ ნოემბერს ლონდონის სტადიონზე ფეხბურთის მატჩზე მიგვიწვიეს. ერთმანეთს ხვდებოდა ადგილობრივი „ჩელსი“ და მოსკოვის „ცსკა“. ძალიან ვღელავდით. ბუნებრივია, თანამემამულეთა გამარჯვება გვსურდა. 4:1 ასეთი იყო ანგარიში. გახარებულებმა გავსწიეთ სასტუმროსაკენ.

გზად განთქმული ჰაიდპარკი გავიარეთ. მართლაცდა, განუზომელი სიდიადის პარკი, სიცარიელით არის ცნობილი. აქ, პარკის შესასვლელთან, პატარა მოედანია, სადაც მიტინგები იმართება ხოლმე. როცა ლაუსტოფში დავბრუნდით, გემი მზად იყო და 22 დეკემბერს გამოვემშვიდობეთ ინგლისის სანაპიროებს.

...ფიქრებში წასულმა ვერც კი შევამჩნიე, როდის მიეფარა თვალს ლაუსტოფი. გვერდს ვუვლით პა-დე-კალეში ამგზავრებულ გემებს და გავდივართ ბისკაის ყურეში. არ დაგვიწყებია გაფრთხილება: ერიდეთო ბისკაის. ჩვენც ხომ ვიცოდით ამ უბის ვერაგობა, ტყუილად როდი ეძახიან მეზღვაურები მას „გმირთა სასაფლაოს“. ვფრთხილობთ, მაგრამ ახლა არც სიფრთხილეა საჭირო... საამოდ ლაპლაპებს ბისკაის ზედაპირი. თით-



ისინი იცავენ ბუკინგემს

ქოსდა ამ ცისფერ წყალს არასოდეს ენახოს ტალღების რისხვა. არც ღელვა, არც ქარი, არც რყევა, — წუწუნებენ ახალბედა მეზღვაურები. პრაქტიკანტ მიშინს გული გაუტყდა, გემზეც არ ყოფილა „რომანტიკაო". მაგრამ მოუსვენარმა ბისკაიმ სულ მალე დააკმაყოფილა ახალგზარდა რომანტიკოსის მოთხოვნა. მას შემდეგ კი, რაც მიშინმა ზღვის დაავადების მთელი გამოცდა გაიარა, ხელი აიღო „რომანტიკოსობაზე."

ქარიშხლის დროს ხასიათი მოტორისტ რომანოვსაც წაუხდა. პროფესია რად შევიცვალეო, — ალბათ გულში კიცხავდა კიდეც თავისთავს. მაგრამ როცა ქარი ჩადგა, ზღვა დაწყნარდა და ამინდი გამოკეთდა, ისინი როდი ნანობდნენ. ზღვა რომ არ-ჩიეს ხმელეთს...

ახლოვდებოდა პორტუგალიის ნაპირები...

ვივა, სოვიეტ მარინოს!

მზის ჩასვლის წინ უფროსმა თანაშემწემ რადიოთი გვაცნობა, სულ მალე ჩრდილო ტროპიკებს გადავუვლითო. ბიჭები გამხიარულდნენ: „ღვინიან პარალელზე" გავდივართო—ხუმრობდნენ ისინი. ეს გამოთქმა დიდი ხანია, რაც მეზღვაურთა ცხოვრებაში დამკვიდრდა. საქმე ის არის, რომ როგორც კი ტროპიკები იწყება, თითოეულ მეზღვაურს ღვინოს აძლევენ წყურვილის მოსაკლავად.

ტროპიკებზე გადასვლისას იგება სახელდახელო აუზი გემბანზე, მაგრამ არც აუზი, არც შხაპი, არც ღვინო არ ამსუბუქებს ჩვენს მდგომარეობას. სიცხე 55 გრადუსამდე ადის, წყლის ტემპერატურა 32-36 გრადუსს უჩვენებს.

ჩვენს ახლოს უდაბური კუნძულებია. სასმელ წყალს მაინც ვერ ვიშოვით, ამიტომ ხელს არ გვაძლევს იქ შეჩერება და გზას მადეირასაკენ ვაგრძელებთ.

უკვე მერვე დღეა, რაც ჩვენი ხომალდი ატლანტის ოკეანეში ნელ-ნელა მიიწევს წინ. წარმოუდგენელ პაპანაქებაში ვენტილატორებიც კარგავენ ძალას. ვაღებ ილუმინატორს და ტალღები ჩასაფრებული ყაჩაღებივით აწყდებიან კაიუტას.

უეცრად შემოვარდნილი წყალი მაგრილებს და პირში მლაშე გემოს მიტოვებს.

კუნძულის გამოჩენაზე გემი სვლას ამცირებს. უნდა შევისვენოთ მადეირაზე, სადაც ზამთარი არ იცის.

სახელდახელოდ ვიცვლით ტანსაცმელს. მოკლე შარვლები და თეთრი პერანგები მაინც ვერ გვშველის. თავი მიბრუის სიცხისაგან. ბიჭები შხაპქვეშ იწუწებიან. მარტო ვიქტორი ვერ გრძნობს ირგვლივ ჩამოწოლილ პაპანაქებას. იგი ჩვენი გემის ცნობილი მეთევზეა. მასთან ერთად თავი მოუყრია რამდენიმე ბიჭს. ალბათ თევზაობას აპირებენ. აქ ხომ მრავლად მოიპოვება ტმასნია თევზი, რომელიც თავისი ვიწრო სხეულით, მუქად შეფერილი მსხვილი მძიმე თავით და შესამჩნევად გამოწეული ქვედა ლაყუჩით გამოირჩევა.

ტმასნია თევზი ძალიან ხარბია, რაც ხშირად ღუპავს მას.

ბიჭებმა იცოდნენ ამ თევზის ბუნება და გადაწყვიტეს, რამდენიმე ცალი მაინც დაეჭირათ. ბასრ ანკესზე სარდინი წამოაგეს და წყალში ჩაუშვეს. მიუხედავად იმისა, რომ თევზი მაძღარი იყო, საკბილოს მაინც მიეკრა. გონზე მოსვლაც ვერ მოასწრო, რომ უკვე გემბანზე ფართხალებდა. ვიქტორმა ახალი სარდინი ჩაუშვა წყალში, რასაც ახალი თევზი ამოჰყვა.

თევზაობით გატაცებულმა ბიჭებმა მთხოვეს ჩამერთო ექოლოტი, რითაც თევზების რაოდენობას გავიგებდით. ჩვენს ქვევით 146 მეტრის სიღრმე იყო, ხელსაწყომ კი 32 მეტრი აჩვენა. როგორც ჩანს, ჩვენ თევზების უზარმაზარ ქარავანში მოვხვდით.

— აი, ეს მესმის, — აღტაცებული იყო ვიქტორ სიდორენკო. — უნდა გქონდეს ასეთი ხელსაწყო და თევზაობდე ნიადაგ. თორემ ხანდახან ცურავ, ცურავ, უაზროდ და უშედეგოდ.

მესმის ვიქტორის, მეც ხომ ძალიან მიყვარს თოფი. ალბათ ასევე უყვარს ვიქტორს ანკესი.

ჰოდა, ვიქტორ სიდორენკოს კარგი დრო დაუდგა. იგი ატლანტის ოკეანეში თევზაობდა. მისი მსხვერპლი საკმაოდ მოზრდილი თევზი იყო, მის ბადეში პირველი თინუსიც მოხვდა. ნახევარი მეტრის სიდიდის თევზი, წარმოუდგენელ ნახტომებს აკეთებდა, მაგრამ მისი ბედი გადაწყვეტილი იყო. კმაყოფილე-

ბის ღიმით ატრიალებდა ხელში დანას ჩვენი მზარეული. შესანიშნავი სადილი გველოდა.

მაგრამ ყოველთვის როდი გვიღიმოდა ბედი. ანკესს ხან მოულოდნელი ნადავლი ამოჰყვებოდა: უზარმაზარი მედუზა, ძუნწი კალმარი, რომელიც მიკვრია თავის მსხვერპლს და არ იცის, რომ თავადაც მსხვერპლია უკვე.

ყველაზე საინტერესო მაინც თინუსის ჭერაა. როგორც კი დაზუსტდება თევზის იმ მიდამოებში არსებობა, მეთევზენი მოაჯირის გასწვრივ დგებიან. ანკესებზე ცოცხალი სარდინები ფართხალებენ. თინუსი მოაჯირს იქით მიფრინავს. ამას მოსდევს ძლიერი ბიძგი, მერე ყრუ დარტყმა და მუქი, წაგრძელებული თევზი მძიმედ ეტყლაშუნება გემბანს... და მეორდება ისევ აქაფებული წყალი, გემბანზე ტყლაშუნი, მძიმე დარტყმები. ყველაფერი ეს დაუვიწყარი და ამაღელვებელია.

აზარტულია თინუსზე ნადირობა, მაგრამ ამავე დროს დამღლელიც.

თინუსი დიდი ოკეანის თევზია. მისი წონა 2-3 ცენტნერამდე აღწევს. თინუსის იარაღი სისწრაფეა. მთელი სხეული სწრაფი ცურვისათვის აქვს შექმნილი. წაწვეტებული თავი, ნაღმისებური სხეული, მუცლისა და მკერდის ფარფლები საგანგებო ღრმულებში იკეცება, როცა განსაკუთრებული სწრაფი ნახტომია საჭირო.

თინუსი მტაცებელია. თევზის გუნდების ძებნაში ისინი ძალიან შორს გადიან. ეს თევზი ძალიან ლამაზია, თევზი კი არა ცოცხალი ნაღმია. მსოფლიოს მეთევზეთა და მეზღვაურთა უმეტესობა მას ზღვის ქათმად იცნობს. რატომ? იმიტომ, რომ მას ძალიან გემრიელი და ნაზი ხორცი აქვს. გამოცდილი მზარეული ისე მოამზადებს მისგან კერძს, ვერ მიხვდები ქათმისაა თუ თევზის.

მაგრამ ბევრი დამეთანხმება, რომ ყველაზე დიდებული საჭმელი კიბო და კიბორჩხალაა და ჩვენც მრავლად ეიჭერდით მათ.

კიბოს თითქმის 20.000 სახეობა არსებობს.

მათ სხვადასხვაგვარი ფორმა და აღნაგობა აქვთ. გვინეასა და განას სანაპიროსთან მეტად საინტერესო კიბორჩხალები

შეგვხვდა. ზოგი მათგანი სოროში ცხოვრობს, ბევრი ნაპირზე მოგზაურობს, ბევრი მზეზე ნებივრობს...

კიბორჩხალას შესანიშნავი სმენა აქვს. მას არც შეგრძნება ლალატობს. კიბორჩხალა შეუჩერებლად იზრდება, ეგაა, ჯავშანი უშლის ხელს. ხშირად ხრტილოვანი ჯავშანი ტყდება და კიბორჩხალა იზრდება. კიბორჩხალები ზღვის ზღარბებით იკვებებიან. გემრიელად მიირთმევენ ლპობად სხეულებსაც. ამიტომ ხშირად მათ ზღვის სანიტრებს უწოდებენ. კიბორჩხალას უამრავი მტერი ჰყავს, მათ შორის რვაფეხა, რომელსაც ძალიან უყვარს კიბორჩხალას ნაზი ხორცი. რვაფეხა ჩრდილივით დაბობლავს ზღვის ფსკერზე. დაინახავს თუ არა თავის მსხვერპლს, წამით შედგება, მერე ერთბაშად ესხმის თავს, მწოვარა თითებით ჩაეჭიდება ჯავშანს და გამარჯვებას ზეიმობს...

და აი, თვალწარმტაცი მადეირაც. ცამდე აზიდული მთებით, ტყეებითა და ზღვებით გარშემორტყმული, აგარაკებით სავსე თეთრი ფუნშალი, მინიატურული ფუნშალი, რომლის ნავსადგურმა ძლივს დაიტია ჩვენი ქარავანი. განსაცვიფრებელი სილამაზე იშლება თვალწინ. თითქოსდა ნაირგვარი ხალიჩა დაუფენიათ მდელოზე. მთების ფერდობებზე მუხა და ვერხვი შრიალებს. ტყეები სავსეა წაბლითა და წიფელით, დაფნითა და ყვავილებით. იისფერი ყვავილები, ცისთვალა და ზღვისფერთვალა გვირილები, შავი მოცხარი, ალისფერი ბროწეულები, ვაზის ფოთლები, ვაზის ყლორტები, ვაზის მტევნები...

და რა გასაკვირია, თუ უძველეს დროშიც თვალს ადგამდნენ ამ ლამაზ კუნძულს. ჯერ ფინიკიელები მოიხიბლენ ამ ცითა და მიწით. მერე, 1419 წელს, ქარიშხალმა ორი პორტუგალიელი იხოან გონსალესი და მარტინ ვაცი სწორედ აქ გამორიყა. კუნძულზე არავინ ცხოვრობდა. მარტო ხეები ხვდებოდა თვალში უცხოელებს. ხეები, ხეები, ხეები... იქნებ ამიტომაც უწოდეს კუნძულს მადეირა, რაც ხეს ნიშნავს.

ამჟამად ფუნშალში 31.000 მცხოვრებია. რუსებიდან ამ ქალაქს პირველად 1866 წელს ცნობილი მოგზაური მიკლუხო-მაკლაი ეწვია. შემდეგ კი ფრეგატ „პალადათი“ აქ შეისვენა გამოჩენილმა მწერალმა გონჩაროვმა. ახლაც კი იშვიათია უცხო გემები აქ, მით უმეტეს, საბჭოთა გემები. ამიტომ ქალაქში სწრაფად გავრცელდა ხმა ჩვენს შესახებ. ადგილობრივი მოსახლეო-

ბა ცდილობდა ჩვენთან მოსვლას, ჩვენთან საუბარს. მიუხედავად პოლიციის მონდომებული „ცდისა“, მნახველთა რიცხვი თანდათან მატულობდა.

მერე საზღვაო აგენტიც გვეწვია. „სიხარულით“ შეგვხვდა მასპინძელი მათთვის ესოდენ „სასურველ“ სტუმრებს. სასწრაფოდ დაგაკმაყოფილებთ, ოღონდ ფუნშალი დაუყოვნებლივ დასტოვეთო...

ერთი ღამე მაინც მოგვიხდა აქ გაჩერება. იცოცხლეთ, პოლიციის უფროსი ძალზე განარისხა ამ ამბავმა, მაგრამ რაღას იზამდა.

— თქვენ კომუნისტი ხართ? — მკითხა მან.

როცა შეიტყო, უპარტიო ვარ, ძალიან გაიკვირვა.

— ბოლშევიკები კი ვართ, მაგრამ ყველა კომუნისტური პარტიის წევრი როდია, — ვუპასუხე მე.

ჩემმა პასუხმა უფრო გააოცა იგი...

— ვივა, სოვიეტ მარინოს! — სალამი საბჭოთა მეზღვაურებს! — ასეთი შეძახილებით გვხვდებოდნენ ფუნშალის მშრომელები. პოლიცია ფეხზე იდგა, ისინი მთელის მონდომებით ცდილობდნენ, არამც და არამც არ შევხვედროდით აქაურ ადამიანებს. მასპინძლებიდან კი ბევრი აღმოჩნდა ჩვენთან გასაუბრების მსურველი. თვალსა და ხელს შუა უსხლტებოდნენ ისინი პოლიციას. აი, ჩვენამდე ნავმაც მოაღწია, შიგ ახალგაზრდა წყვილი იჯდა, ხუჭუჭთმიანი ბიჭით ხელში. ისინი სულ ახლოს მოვიდნენ გემთან, ხელებით შეეხენ საბჭოთა გემს. თითქოს საანძლეო ჰქონდათო. მერე ხელსახოცები ააფრიალეს და უკან გაბრუნდნენ. მათ პოლიციის კატარღა წამოეწია, რომელიც საგანგებოდ დაეჯახა ნავს და მთელი ოჯახი წყალში გადაყარა. დიდებს მეგობრები მიეშველნენ, ბიჭი კი ჩვენი გემიდან გადაგდებულ მაშველ რგოლს ჩაებღაუჭა და სულ მალე გემბანზე ამოჰყო თავი.

პატარა როდრიგო გაბრწყინებული თვალებით იდგა ჩვენს შორის და მშველელთა თანხლებით წამოსულ მშობლებს მხიარულად უქნევდა ხელებს.

— ვივა, როდრიგო! — ვემშვიდობებით პატარა ფუნშალელს.

— ვივა, სოვიეტ მარინოს! — დიდხანს ისმოდა პორტუგალიელთა ნავებიდან.

მიუხედავად იმისა, რომ პოლიცია ცდილობდა თვალი აეხვია ჩვენთვის, ჩვენ მაინც შევძელით შეგვენიშნა, რომ აქაური მოსახლეობის უმრავლესობა დიდ სიღატაკეს განიცდის. ისინი ხშირად უცხოელი ტურისტების „რიქშებსაც“ კი წარმოადგენენ. რა ქნან, გაჭირვება ყველაფერს აკისრებინებს კაცს.

მადეირადან გვაცილებდა სანაპიროს დაცვის პროექტორები, წყნარი ამინდი და მზიანი დილა.

ასეთ ამინდებს კი ხშირად ვიყენებდით სპორტული შეჯიბრებების ჩასატარებლად. ზღვაზე იმართებოდა ნაოსნობა, ინიშნებოდა მსაჯები. იყო გამოცდა, და ახლაც, ატლანტის ოკეანეში გადავწყვიტეთ გავჯიბრებოდით ერთმანეთს. ჯერ მენიჩბეები დადგნენ სტარტზე.

ოცმა ნიჩაბმა მკერდი გაუჭრა ზღვას. დაიწყო შეჯიბრება. ხან „მიდიაა“ წინ, ხან „უშბა“, ხან კი „მარგალიტი“ მიაპობს ტალღებს ყველაზე სწრაფად, „აქტინიას“ არც „მედუზა“ რჩება ვალში. ბოლოს მაინც „უშბას“ ფალავნები — კუდრიაშოვი, კისლოვსკი, კარაევი და ბანკოვი—პირველები იპყრობენ ზღვას. შეჯიბრება შეჯიბრებას მისდევს. მენიჩბეებს აფრიანმა ნავებმა მიბაძეს. გამარჯვებულები ღიმილით ღებულობენ მილოცვებს.

მალე კანარისიც გამოჩნდა. კანარისი ბედნიერებას ნიშნავს და რით არის ბედნიერი, ეს კი არავინ იცის.

კუნძულ მადეირაზე ჩვენ მრგვალთვალებიანი მწვანე თუთიყუში შემოგვემატა, რომელიც ფუნშალში მაჩუქეს.

ახალ წევრს პირატი მტრულად შეეგება. ეს გასაგებიც იყო. კაიუტაში პირატის ყოველ გამოჩენას თუთიყუში ყურისწამღები ჩხავილითა და ფრთების ფართხუნით ხვდებოდა. აქამდე თვინიერი ჩემი ძაღლი იღრინებოდა, ამრეზილი შესცქეროდა ეკიპაჟის ახალ წევრს. მერე ნელ-ნელა შეეჩვია და აღარ აოცებდა ეს უცნაური ფრინველი.

ერთხელ, როცა მე და პირატი ჩვეულებისამებრ ვეთამაშებოდით ერთმანეთს, უცებ თუთიყუშმა ხმამაღლა დაიყვირა: პირატ! პირატ!

მე ფრინველისათვის ლაპარაკი არ მისწავლებია. თურმე კუდრიაშოვს უკისრია მწვრთნელობა. ჩიტს მრავალი სიტყვა

ესწავლა. მერე „აკადემიკოსს“ ვეძახდით. დროთა განმავლობაში პირატი და თუთიყუში დამეგობრდნენ. თუთიყუშები ბოცმან ძია ვასიასა და უფროს მემანქანეს ივანე დუდკოსაც ჰყავდათ.

სამოც წელს მიღწეულმა გოლიათური აღნაგობის ძია ვასიამ შეიტყო, რომ ახალგაზრდა ივანე დუდკომ თავის თუთიყუშს მხოლოდ ორი სიტყვა ასწავლა „ვასია სულელი“. აბა, ძია ვასია ვის აპატიებდა ასეთ ხუმრობას. მალე მისი თუთიყუშიც ალაპარაკდა და სულ „ივანე სულელს“ გაიძახოდა.

ერთხელ ძია ვასიამ თავის კაიუტაში მიგვიწვია ფრიად განსწავლული ფრინველის სიტყვების მოსასმენად.

— აბა, მეგობარო, დაგვიმტკიცე შენი ცოდნა, გვითხარ ორიოდე სიტყვა.

თუთიყუში გალიის კუთხეში მოკუნტულიყო და ხმას არ იღებდა. ამ დროს კაიუტაში ივანე დუდკო შემოვიდა. მის დანახვაზე ფრინველი გამოფხიზლდა და ხმამაღლა დაიძახა: „ვასია სულელი“.

ბოცმანი მოულოდნელობისაგან გაშეშდა. მეზღვაურები სიცილისაგან სულს ძლივს იბრუნებდნენ. ბოლოს ყველაფერი გაირკვა. თურმე დუდკოს თუთიყუშები შეეცვალა...

ხელმოცარული ნადირობა

„მწვანე კონცხთან“ მარჯვნივ მოვუხვიეთ და სამხრეთ ამერიკის ნაპირებისაკენ ავიღეთ გეზი. ქარი ზურგიდან ისე გვიბერავდა, თითქოს ეშურებოდა ჩვენს წინსვლას. წინ კი დიდი საზღვაო მგზავრობა გველოდა. ნაპირი ნელ-ნელა დაგვშორდა, მერე სულ მიეფარა თვალს. ირგვლივ წყალია, ზევით ცა, დროდადრო ფრთაბასრი ალბატროსები. თუ ჩაგვიქროლებენ ანაზდად. არც მფრინავი თევზები გვაკლებენ ხშირ სტუმრობას.

როცა ჩვენმა მეთევზეებმა გემს ამგზავრებული ზღვის ღორები შეამჩნიეს, აიყოლიეს მონადირენი და მეთევზე-მონადირეთა ჯგუფი ჩამოაყალიბეს, რომელშიც ქართველი ბიჭებიც აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ. მომზადდა ხაგანგებო ჩანგლები. დიდი ცდის შედეგად, როგორც იქნა, ერთი ღორი

წამოეგო ამ ჩანგალს. მონადირენი მთელი ძალით ეზიდებოდნენ თოკს. გამწარებული ნადირი ხან წყლიდან ამოხტებოდა, მერე თითქოს დაიღალაო, წყლის ზედაპირზე გაწვა. ჩვენ უკვე გამარჯვებას ვზეიმოდით, დანით შეიარაღებული მზარეული კმაყოფილებას ვეღარ მალავდა, მაგრამ... თოკზე დაკიდებულმა ნადირმა ერთხელ კიდევ გაიბრძოლა და მონადირეთ მხოლოდ სისხლიანი ჩანგალი შერჩათ ხელში.

რაღას ვიზამდით; ზოგი კაიუტაში შებრუნდა, ზოგმა ბიბლიოთეკას მიაშურა, არც წითელი კუთხე იყო დანატრებული მიმსვლელს.

ჩვენ დღეებს ვითვლიდით. წამდაუწუმ გავცქეროდით ჰორიზონტს, თუმცა ვიცოდით, რომ მიწა ჯერ ისევ შორს იყო. ხშირად ზღვაზე ჩამოწოლილი ნისლი მიწა გვეგონა. ასე მიდიოდა დღეები. არსად ჩანდა ნაპირი. ზღვა, ტალღები, ქარი და სიცხე, აი, ჩვენი განუყრელი თანამგზავრები ატლანტის ოკეანეში. მგზავრობის დასასრულს დელფინები შემოგვხვდა, მათთან შეხვედრა ყოველთვის სასიამოვნოა. ისინი ძალიან გვანან ერთმანეთს, ამიტომ გვგონია, რომ აქ შეხვედრილი დელფინები ჩვენი დიდი ხნის ნაცნობებია.

გარეგნული შეხედულებით დელფინები თევზებს გვაგონებენ, მაგრამ ეს თბილსისხლიანი ზღვის ცხოველები ვეშაპთა ოჯახს მიეკუთვნებიან: ისინი მხიარულნი და მიმზიდველნი არიან.

დაინახეს თუ არა გემი, დელფინები სწრაფად გამოეშურნენ ჩვენს შესახვედრად. თბომავალთან მოახლოებისთანავე რამდენიმე მაღალ ნახტომს აკეთებენ, გემის მოაჯირთან მჭიდროდ ეწყობიან და მრავალ მილზე ჩვენთან ერთად მიცურავენ. ჩვენ ვაკვირდებით დელფინებს. ისინი გამოირჩევიან ძლიერი, მოქნილი ტანითა და კუდით, მახვილი, წვეტიანი ცხვირითა და ჭკვიანი, ჭროღა თვალებით.

„თამაში“ ძალიან უყვართ. საინტერესოა მათი ნახტომები. ბევრი მათგანი მუცლით ან ზურგით ეხეთქება წყალს, გამოცდილი დელფინები კი კლასიკურ ნახტომებს აკეთებენ. კუდით ეცემიან წყალში, რაც „მერცხალის“ სახელწოდებით არის ცნობილი სპორტში. მოძრაობისას ცხოველები ძლივს გასაგებ, უწვრილეს ხმას გამოსცემენ, რითაც ერთმანეთს ეხმიანებიან. ხში-

რად დედა დელფინს სასეირნოდ გამოჰყავს პატარა დელფინი.

საერთოდ, თეთრკისერა დელფინები მცირე ქარავნებად გვხვდება. 15-20 დელფინი ერთად. ერთხელ ბედმა გაგვიღიმა. წინ უშველებელი ქარავანი შემოგვხვდა, რამდენიმე ასეული დელფინი ერთად მიემგზავრებოდა. ეს იყო ჭეშმარიტად გრანდიოზული სანახაობა. წინ უფრო მოზრდილები დაწინაურებულიყვნენ. გემთან მიახლოებისას მათ რამდენიმე წუთის განმავლობაში უტრიალეს გემს და მერე გზა განაგრძეს. ესენი უთუოდ მზვერავები იყვნენ.

წმინდა სამეული

ხიდურიდან გახარებული ხმა გაისმა: მიწა, მიწა... სადღაც შორს ხმელეთის ნამცეცი გამოჩნდა. ეს იყო კუნძული ტრინიდადი. ბრიტანეთის იმპერიის ერთ-ერთი სამფლობელო, რომელიც ცნობილია ყავის, კაკაოს და შაქრის წარმოებით. იგი ახლაც ისეთივეა, როგორიც იყო 1498 წელს, როცა ქრისტეფორე კოლუმბმა დაინახა პირველად.

კოლუმბი იმავე კურსით მიდიოდა, რომლითაც ახლა ჩვენ მივემგზავრებით. წყლისა და საჭმლის უკანასკნელი მარაგი იწურება. იყო დღეები, როცა ეკიპაჟის წევრების პირში წყლის წვეთიც არ ჩასულიყო. ამ დროს, თითქოს ბედმა გაგვიღიმა, კოკისპირული წვიმა წამოვიდა და უეცრად ამოვარდნილ ქარს ანტონიო პერესის ყვირილიც მოჰყვა: „მიწა“!

ეს იყო ნამდვილი მიწა, მთებით შემოჯარული კუნძული, რომელსაც კოლუმბმა ტრინიდადი უწოდა, რაც ესპანურად „სამეულს“ ნიშნავს.

უნდა ვიგულისხმოთ, რომ კოლუმბს მხედველობაში ჰქონდა წმინდა სამეული — მამა ღმერთი, ძე — ღმერთი და სული-წმინდა.

— ეს ულამაზესი ქვეყანაა, რომელიც კი ოდესმე უხილავს ადამიანის თვალს, — უთქვამს ანტილიის პატარა და დიდი კუნძულების შესახებ მაშინ კოლუმბს. სწორედ ამ ტრინიდადის კუნძულს შევცქეროდით ახლა. მერე მეორე კუნძულიც გამოჩნდა — ტობაგო. აქ უგემია პირველად კოლუმბს თამბაქო.

გავიარეთ კუნძულებს შორის და კარიბის ზღვაში გავედით.

ცოტა ხანიც და ჩვენმა გემმა პორტ ოფ-სპაინის ნავსადგურში ჩაუშვა ღუზა.

ქალაქი ოფ-სპაინი ორ ნაწილად არის გაყოფილი. ერთში ამერიკელები და ევროპელები ცხოვრობენ, მეორეში — ზანგები, მულატები, კრეოლები.

თეთრკანიანთა სახლები მრავალსართულიანი და კეთილმოწყობილია. სხვათა ბინები კი მიწურებისა და ქოხმახებისაგან შედგება.

ჩვენ გვაოცებდა ოფ-სპაინის მცხოვრებთა ბუნდოვანი წარმოდგენები საბჭოთა კავშირზე.

გვეკითხებოდნენ, როგორ ვმუშაობთ, ხელფასი თუ გვეძლევა, გვაქვს თუ არა ოჯახის შექმნის უფლებები. გაოცებული იყვნენ ჩვენი მეზღვაურების ცხოვრებისა და მუშაობის პირობებით.

შევცქეროდი ანტილიის ამ მართლაცდა მომაჯადოებელ კუნძულებს და ვიზიარებდი კოლუმბის აზრს საუკუნეების შემდეგ.

ამ კუნძულებში სილამაზით გამოირჩევა „ანტილიის კუნძულების მარგალიტი“ კუბა.

მაგრამ კუბაზე შემდეგ.

იქ, სადაც ბანანები ხარობს

1499 წელს ესპანეთის საზღვაო-სანაოსნო ფლოტილია ოხედის ხელმძღვანელობით ახალი ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილს მიადგა. ამ ნაოსნობაში მონაწილეობდა ფლორენციელი ამერიგო ვესპუჩი. რომელიც ოხედთან ერთად კაპიტნის ბოგურაზე იდგა და უცნობ ნაპირებს გაჰყურებდა.

— განა მშობლიურ იტალიას არ მოგაგონებს ეს ადგილები, სენიორ ვესპუჩ! — თქვა ოხედმა და ცნობისმოყვარე თვალები მოავლო გარემოს.

— თქვენ მართალი ხართ, კაპიტანო!—მხიარულად დაეთანხმა ვესპუჩი, — რით არ სჯობია ვენეციას? ეს უფრო მინიატურული, პატარა ვენეციაა, ნამდვილად პატარა ვენეცია.

— დაე, ასე იყოს, — უპასუხა ოხედმა, — ვუწოდოთ ამ ნა-

პირს ვენესუელა, რათა გასიამოვნოთ თქვენ. ასე დაერქვა ამ მხარეს ვენესუელა, რომლის ფართობი ორჯერ აღემატება ესპანეთის ფართობს. რაც შეეხება მოსახლეობას, საამაყო არაფერი აქვს ვენესუელას. სამაგიეროდ, ქვეყანა მდიდარია წიაღისეულით, ნავთობით. ამ მხრივ იგი კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის მესამე ადგილზე გამოდის. მიწის სიღრმიდან ისე ამოდის ნავთი, გეგონება მდელოში ჭაობს უძალებიაო. კარგი იქნებოდა, ეს სიმდიდრე აქაურ მკვიდრთ ეკუთვნოდეთ. ვენესუელას მხოლოდ სახელი აქვს, სახრავი კი აშშ მონოპოლიებს ეკუთვნით.

სული ეხუთება სიცხისაგან ქალაქს. მზეს დაუდნია ასფალტი.

მარკაიბოს ტბის რაიონში ნავთობის ტბები და მდინარეებია, აი, საბარგო მანქანა შეჩერდა. ეტყობა, ბენზინი გამოელია. მიწიდან შავ სითხეს იღებს და გზას აგრძელებს სევდიანი მძღოლი. უხვად არის ნავთობი, მაგრამ ამ სიუხვეს ვენესუელელი მოსახლეობისათვის მხოლოდ შიმშილი მოაქვს. ათასობით ვენესუელელი, რომელიც საშინელ პირობებში ცხოვრობს, თავისი დამაძაბუნებელი შრომის საზღაურად დღეში 3-4 დოლარს ღებულობს. ამიტომ აქ, მსოფლიოში ნავთობით ყველაზე მდიდარ მხარეში, ყოველდღიურად იღუპება ასეულობით კაცი. მათი დაღუპვის მიზეზი შიმშილობაა. ბავშვებს საკვები არ ყოფნით. შიათ პატარებს, შიათ გამუდმებით...

როცა ჩვენ მარკაიბოში შევედით, ძალიან ცხელოდა. თერმომეტრი 45 გრადუსს უჩვენებდა. ქალაქი ახალგაზრდაა, 40-45 წლის. იგი თავის დაბადებას აქ ინგლისელთა და ამერიკელთა გაბატონებიდან ითვლის. ამერიკული სული იგრძნობა ყველგან და ყოველთვის, აქ, ვენესუელას მიწაზე. განცალკევებით ცხოვრობენ ამერიკელი „მეფეები", ნავთობის მეფეები. მათ აქვთ საკუთარი ქალაქი, ამ ქალაქს პოლიცია იცავს. ყვავილებშია ჩაფლული მათი ვილები. ფუფუნება გაუბატონებიათ ირგვლივ. ნავთობმა ვენესუელას დიდება მოუტანა, ამერიკელებს სიმდიდრე, ადგილობრივ მკვიდრთ—უბედურება. აქ აღარ ვითარდება სოფლის მეურნეობა, მეცხოველეობა. ყველაფერი ნავთობს დაუქვემდებარეს ამერიკელებმა. 20.000-ზე მეტი ვენესუელელი მუშაობს ნავთის სარეწაოებზე, მათი შრომით მაგნატები წელიწადში 35.800 დოლარამდე ღებულობენ. მუშები კი 2.200 დოლარს.

ვენესუელას ბრწყინვალე ქალაქია კარაკასი — ეს ფუფუნებისა და სილამაზის სავანე. რესტორნების, სასტუმროების, ღამის კაბარეების, რეკლამების, ჯადოსნურად მოელვარე რეკლამების ქალაქი... მუშები?

მათ არ აქვთ სითბო, არ აქვთ სინათლე, წყალი და კანალიზაცია. საჭიროა ბრძოლა, რათა თანაბრად განაწილდეს სითბოც და სინათლეც, ყველას სამყოფი ექნეს საჭმელი. და ისინიც ეურჩებიან მოძალადეებს.

დიქტატორულმა რეჟიმმა მძიმე კვალი დატოვა. 1200 მილ. დოლარ ვალშია ჩაფლული სახელმწიფო. ხალხი კი დარწმუნებული თავის ძალაში, მხნედ იბრძვის, რათა მოიხმაროს თავისი განძი, თავისი სიმდიდრე, იგემოს ბანანის ნაყოფი, რაც ასე უხვადაა ვენესუელაში, და რაც ასე მიუწვდომელია ბევრი ვენესუელელისათვის. ძვირია ბანანი, მას მხოლოდ მდიდრები მიირთმევენ.

სადაც ყიდიან ადამიანებს...

როგორც კი გავცდით ვენესუელას ნაპირებს, დაიწყო კოლუმბიის სახელმწიფოს წყლები. აი პატარა ნავსადგურიც — სანტა-მარტა. აქ ისევ შეისვენა ჩვენმა გემმა. ვიწრო ქუჩები, უბრალო, სადა სახლები, ნაირგვარი ხილით სავსე ბაზარი. ბაზარზე თუთიყუშებიც და მაიმუნებიც მოუყვანიათ გასაყიდად ძირითად მცხოვრებთ, მეტისებს, ესპანელებში გათქვეფილ ინდიელ ტომთა შთამომავლებს. საერთოდ, კოლუმბიელები ლამაზი, შავგვრემანი, სიცოცხლით სავსე და მხიარული ხალხია. კაცებს გრძელი, განიერი შარვლები და ღია ფერის ხალათები აცვიათ. ქალები კოჭებამდე კაბებსა და შავ წამოსასხამებს ატარებენ.

სანტა-მარტას ცენტრში, ბოლივარის მოედანზე, ლამაზი ესპანური სტილის სახლებში ცხოვრობენ იმ ესპანელ წარჩინებულთა ნაშიერნი, რომლებიც მეთაურობდნენ ვენესუელას დაპყრობას, ინდიელთა ტომის ჩიჩ-ბასების დამონებას.

იმ დღიდან მოყოლებული ინდიელები, ინდიელ-ესპანელები, მეტისები, ზანგები და მულატები, რომლებიც კოლუმბიის მო-

სახლეობის უმრავლესობას შეადგენენ, დღემდე ბედკრულ მდგომარეობაში არიან. არის შემთხვევები, რომ გაღატაკების ზღვარამდე მისული ინდიელები ჰყიდიან შვილებს. ჩვენ გვიამბეს, რომ სულ ცოტა ხნის წინ ადგილობრივმა მემამულემ 26 დოლარი გადაიხადა 16 წლის ინდიელ ქალიშვილში.

მშრომელთა უმრავლესობა ბანანებისა და ყავის პლანტაციებში მუშაობს. განსაკუთრებით ცუდ პირობებში არიან მტვირთავები. აქ მუშებს ისე სასტიკად ეპყრობიან, როგორც კაპიტალისტური ქვეყნებისა და კოლონიების მრავალ სხვა ნავსადგურში. ჩვენ საზიზღარი შემთხვევის მოწმენი გავხდით: იტვირთებოდა გემი ბანანებით. მუშებმა — მულატებმა და ზანგებმა, ცოცხალი კონვეიერი შექმნეს და მძიმე მტევნებს ხელიდან ხელში გადასცემდნენ. მათრახით შეიარაღებული ღიპიანი ესპანელი მრისხანედ ადევნებდა თვალყურს და აჰა, ჰაერში მათრახმა გაიელვა... მსხვერპლი მოკრილ ხესავით დაეცა მიწაზე. მუშაობა კი გრძელდება. საბრალო ზანგი, გამხდარი და გაძვალტყავებული ძლივს წამოდგა ფეხზე და ლასლასით გაშორდა იქაურობას. რატომ გააგდეს? მშიერმა კაცმა ერთი ბანანი შეაწყვიტა მტევანს და შეჭამა. ერთადერთი ბანანი. აი, რისთვის მიიღო მან მათრახი, რისთვის დაკარგა სამუშაო.

ჩვენს მეზღვაურებს სიბრაზისაგან სახე აემღვრათ. — რა დაგიშავათ მაგ კაცმა? განა ვერ ხედავთ, რომ შიმშილისაგან ლანდად ქცეულა? — უთხრა ჩემმა თანაშემწემ ესპანელ ზედამხედველს.

— მით უკეთესი. ჩაძაღლდება და ერთი პირუტყვით ნაკლები დარჩება, — პასუხი მკვახე იყო. სხვაგვარად არც მოველოდი და არც სათქმელი გვქონდა, ჩვენ, უცხოელებს, უცხო მხარეში.

ბავშვები? საცოდავად გამოიყურებიან ისინი. შიმშილი მათაც აიძულებს, ეძიონ ლუკმაპური.

საკმაო იყო გავსულიყავით ქალაქში და ჩვენს ირგვლივ ნახევრად შიშველ-ტიტველი ბავშვების ბრბო გაჩნდებოდა. ისინი მზად იყვნენ ყოველგვარ სამსახურზე. გვიჩვენებდნენ გზებს, ეძახდნენ მანქანებს, წმენდნენ ფეხსაცმელებს. საუბარს კი მხოლოდ ერთი სიტყვით იწყებდნენ და ამთავრებდნენ.

— ცენტავოს! ცენტავოს!

„ცენტავოს“ გროშს ნიშნავს. მერე და რამდენი გროში ეყოფოდა მათ დამშეულ კუჭს?

ბავშვები ფულისათვის თავს არ ზოგავენ. ნავსადგურში, სადაც გემები დგას, წყალი ძალიან გამჭვირვალეა. წყნარ ამინდში ბავშვები გემებთან ახლოს დაცურავენ და თუ ვინმე გემიდან ფულს გადააგდებს, მაშინვე რამდენიმე ბავშვი ჩაყვინთავს ამოსაღებად. ხშირად ფსკერამდე დასულ ბავშვებს ზვიგენები წამოეწევიან და ფულზე ნადირობა უბედურებით მთავრდება...

კეთროვანი არც ერთ ქვეყანაში არ არის იმდენი, რამდენიც აქ, კოლუმბიაში. კეთრით დაავადებულს ათავსებენ განსაკუთრებულ ლეპროზორიუმებში და მათზე ზრუნვაც ამით მთავრდება. რის საკვები და რის სამედიცინო დახმარება, იწყება კეთროვანთა ამბოხებები.

ვტოვებთ კოლუმბიას. გზა-გზა წყალმცენარენი გვეგებებიან. გემბანზე ყველა თავისი საქმით არის გართული. ზინინი „ვეფხისტყაოსანს“ ჩასცქერის. ოსიპოვს საზღვაო ჟურნალი უდევს წინ. საერთო კაიუტიდან დომინოს ქვების ჭახაჭუხი ისმის.

უცებ კაპიტნის ბოგურაზე იუნგა ბელიჩევი ამოდის, მეტსახელად „ბუბლიკს“ რომ ეძახიან ბიჭები.

— ამხანაგო კაპიტანო! ნაღმები, შეხედეთ!

ირგვლივ გულიანი ხარხარია.

— ნაღმები? მერე და სად ხედავ ნაღმებს. ეს ხომ კუ არის, ზღვის ჩვეულებრივი კუ.

— კუ? ამოდენა?

ჩვენს ახლოს მართლაც რამდენიმე გიგანტური კუ დაცურავდა. ახლა კი გაუჩნდათ საქმე მატროსებს. როგორც იქნა, ერთი კუ ამოათრიეს გემბანზე.

— აბა, ბუბლიკ! შეახტი ამ „ნაღმს“, იქნებ აფეთქდეს! — იცინის ბოცმანი.

— არის, შევახტე, — მხიარულად პასუხობს ბელიჩევი და კუს ზურგზე ევლება.

ზღვის კუ ბევრად დიდია თავის ხმელეთელ ნათესავზე. მისი სიგრძე ხშირად ერთ მეტრს აღემატება. წონით კი 500-600 კგ იწონის; მისი სიცოცხლის ხანგრძლივობა 200-250 წლამდე აღწევს.

ჩვენი სტუმარი მალე შეგვეჩვია, თავისუფლად დასეირნობდა გემბანზე, ერთ დღეს კი უკვალოდ გაქრა. ეტყობა, წყალმა მიიზიდა წყალში განებივრებული და მოაჯირიდან გადახტა.

ქოქოსის პალმების ხეივანში

წყნარ ოკეანეში პანამის არხით უნდა გავსულიყავით. ამიტომ არხის შესასვლელთან, კოლონის ნავსადგურში ვარჩიეთ შესვენება. კოლონი პატარა, მაგრამ ლამაზი ქალაქია, რომელსაც მეტ მომხიბვლელობას აძლევს ქოქოსის პალმების ხეივნები. მაგრამ ამ ლამაზ მხარეში მისვლისთანავე გვატკინეს გული. საპოლიციო და სამხედრო კატარღებმა ნაპირზე გადასვლა აგვიკრძალეს. ეს იმას ნიშნავდა, რომ ვერ მივიღებდით ახალ პროდუქტებს და სასმელ წყალს, რაც ჩვენთვის ამჟამად ყველაზე აუცილებელი იყო.

მე ნიუ-იორკთან ლაპარაკის ნება ვითხოვე. როგორც იქნა, დამთანხმდნენ და თითქოს მატუსაღებდნენ, პოლიციის კატარღით გადამიყვანეს ნაპირზე.

საზღვაო საგენტოში გავიგე, რომ ნიუ-იორკს ორი საათის შემდეგ დაველაპარაკებოდი. გადავწყვიტე მესარგებლა შემთხვევით და ეს „აკრძალული“ ქალაქი დამეთვალიერებინა.

მიუხედავად იმისა, რომ მე ინგლისურად თავისუფლად ვლაპარაკობდი და უარი ვთქვი გამყოლზე, ის მაინც გამაყოლეს. დიდხანს დავდიოდით ქუჩებში, ვათვალიერებდით ზღვის სანაპიროს, ქოქოსის პალმათა მარაოსებურ ტოტებს;

პალმებს შორის პატარა ბიჭები დარბოდნენ, რაღაცას გაჰყვიროდნენ და ხელებს იქნევდნენ. მივიხედე თუ არა მათკენ, ერთი პატარა ბიჭი მკვირცხლად აცოცდა მაღალ, ლარივით სწორ პალმაზე, და მერე სრიალით დაეშვა ძირს. როცა დამსახურებული ჯილდო მიიღო ჩემგან, ყირამალა გადატრიალდა, ხელად წამოხტა და „გამნათებელი ხის“ მოჭრილი ჯოხი მაჩუქა. ეს ხე პანამაში მრავლად იზრდება. მისი შტოები დიდი რაოდენობით შეიცავს ცხიმს. ასეთ ჯოხს აქაურები პატრუქს უკე-

თებენ და ასე ანათებენ ბინებს. ხის პატრუქი არ ბოლავს, ამასთან ერთად იგი ხუთი საათის განმავლობაში გემსახურება.

კოლონის ქუჩები მდიდარია ხეებით, ხეებზე ნიბლიები დაფრინავენ, თითოეული ათ გრამამდე ძლივს იწონის და მსოფლიოში ყველაზე პატარა ჩიტებად ითვლებიან. ჭამით კი, თურმე ნუ იტყვით, ეს მინიატურული ფრინველი დღე-ღამეში სამჯერ მეტს ჭამს, ვიდრე თავად იწონის.—აი, ნამდვილი „ღორშუცელები“.

სანაპიროზე ქრისტეფორე კოლუმბის ძეგლთან შევჩერდი. შეჩერდა ჩემი გამყოლიც. მეტი რა გზა აქვს. კოლუმბის პატივსაცემად ეწოდა ქალაქს კოლონი, რაც ესპანურად კოლუმბს ნიშნავს.

ძეგლის ორივე მხრიდან ქუჩას პალმების რიგი მიუყვება, ტოტები დაუხრიათ პალმებს, თითქოს კოლუმბის წინაშე იხრიანო ქედს.

სიცხე მოსდებია ქალაქის სწორსა და ვიწრო ქუჩებს. ზღვის სიო ცენტრამდე ვერ აღწევს, უფრო სწორად, სიოს აქამდე არ უშვებს მწვანე ნარგავთა, პალმათა და აკაციათა მჭიდრო ზღუდენი.

ქალაქის შუაგულში ვართ. აქ ბაღია, ბაღში ხეივნებია, ხეივნებში დაფნა და პალმა მოჭარბებულა. აქ სიოც არის და არც ისე ცხელა.

„პანამა როიალ როედ კამპანიასთან“ ჩემმა გამყოლმა აღტაცებისაგან წამოიყვირა: აი, საუცხოო დარტყმა! რა კოხტად გააწნა ამ მუჩაჩოს.

„მუჩაჩო“ ესპანურად ბიჭია. ალბათ ყმაწვილები თუ წაკინკლავდნენ-მეთქი, — გავივლე გულში. თვალი გავაყოლე გამყოლის თვალებს და შუა ქუჩაში გაშხლართული ჭაბუკი დავინახე. მას თავზე ახმახი ამერიკელი მატროსი ადგა. დაცემულს სახე სისხლით ჰქონდა შეღებილი. მატროსი კი ხარხარებდა და ბანანს ილუკმებოდა. მიწაზე ჭაბუკის გვერდით ცარიელი კალათა ეგდო, იქვე ეყარა დაბნეული ბანანები.

— ფული გნებავდა? ხომ მიიღე? — მიაძახა ამერიკელმა „მკლავაძემ“ მიწაზე წაქცეულს და თავის გზას გაუდგა.

გზაჯვარედინზე მდგომი პოლიციელი წარბშეკრული დაიძრა ამერიკელისაკენ, მაგრამ ჩემი გამყოლი უფრო ადრე მივიდა

პოლიციელთან, ვიდრე პოლიციელი ამერიკელთან. პოლიციელი ძორჩილებით გაიჭიმა ჩემი თანამგზავრის წინაშე. ცხადი იყო, მეც პოლიციის წარმომადგენელი შემომთავაზეს „გამყოლად", ოღონდ სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი.

მომხდარმა ინციდენტმა ხასიათი გამიფუჭა. მინდოდა, რაც შეიძლება, ჩქარა გავცლოდი ამ მშვენიერ ბუნებას, კოპწია ქალაქს. სურვილიც აღარ მქონდა კვლავ გამეგრძელებინა ჩემი ორსაათიანი ექსკურსია.

...ნიუ-იორკთან ლაპარაკის შემდეგ მივიღეთ პროდუქტებიც და წყალიც. როცა გემი ნახშირის დასატვირთად მისადგომთან მიუშვეს, იქაურობა ჯარისკაცებით და პოლიციელებით იყო გარშემორტყმული. ვუყურებდი ამ რეზინის კეტებითა და რევოლვერებით შეიარაღებულ ხალხს და მეცინებოდა, თითქოს პანამის მთელი ჯარი დაუყენებიათო ფეხზე. და მერე რისთვის, ჩვენ ხომ მშვიდობიანად შევდივართ ყველგან.

მერე როცა გემზე ლოცმანი გვეწვია, მას „თანაშემწეებიც" ამოჰყვნენ. ჩვენთვის ძნელი არ იყო „თანაშემწეთა" ქურქში პოლიციელების დაძაბული მზერა დაგვეჭირა. ერთი სიტყვით, არხში ბლომად დაგვხვდა ქოქოსის პალმების ხეივნები და პოლიციელები. არხიდანაც მათ გაგვაცილეს...

აქ უზრუნველად მხოლოდ პეპლები დაფრინავენ...

ჩრდილოეთის სუსტი ქარის თანხლებით გავიარეთ გატუნის რაბები. შევცურეთ ღია მწვანე ფერის ხელოვნურ ტბაში. მგონია, ზურმუხტის ჯარში მოვცურავ. კუნძულები ტყეებით არის დაფარული, ჰაერში თოლიები დაფარფატებენ. თოლიებს ნაირფერა პეპლებიც ამგზავრებიან. სწორედ ამ პეპლების სიმრავლის გამო დაარქვეს მხარეს პანამა, — გვიხსნის ლოცმანი. პანამა აქაური ინდიელების ენაზე პეპლების ქვეყანას ნიშნავს.

პანამა წარმოადგენს ცენტრალური ამერიკის რესპუბლიკას, რომელსაც 74.000 კვ. კმ უჭირავს. 640.000 მცხოვრებთაგან უმეტესობა ინდიელებია, ზანგები და პანამელები.

პანამის ყელი 1502 წელს აღმოაჩინა ქრისტეფორე კოლუმბმა, რის შემდეგ იგი ესპანეთის კუთვნილება გახდა.

1904 წელს პანამის არხის ზონას ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაადგა თვალი. იმ დღიდან პანამა ამერიკის კოლონიაა, რომელსაც დიდი ეკონომიური და სამხედრო სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს ამერიკისათვის. პანამის არხით ხვდებიან ერთმანეთს წყნარი და ატლანტის ოკეანეები. არხის სიგრძე 81,3 კმ-ია, სიგანე 91,4მეტრი, სიღრმე 12,5 მეტრამდე აღწევს.

35 წლის განმავლობაში შენდებოდა ეს არხი. ამ ხნის მანძილზე აუტანელი შრომის შედეგად, ტროპიკული ციებისა და მალარიისაგან 60.000 კაცზე მეტი დაიღუპა. ასე რომ, არხის თითქმის ყოველ მეტრს მსხვერპლად ეწირებოდა თითო კაცი.

პანამაში ბევრია ტბები, მდინარეები და ბაღები. ლამაზია პანამის ბუნება, ერთობ ლამაზი, მაგრამ ამ სილამაზეს ადგილობრივი მოსახლეობა ვერ ამჩნევს. ვერ ხედავს იგი ცისკენ აშოლტილ ქოქოსის პალმებს, რადგან მათ ყოველდღიური ცხოვრება გახდომიათ საფიქრებლად. აქ უზრუნველად მხოლოდ პეპლები დაფრინავენ...

ზღვა ღელავს...
ჟარავანი მიდის

XVI საუკუნის მამაცი პორტუგალიელი მეზღვაური მაგელანი, რომელიც სამხრეთ ამერიკის შემოვლას აპირებდა, ვიწრო გასასვლელით ამერიკის მატერიკსა და ცეცხლოვან მიწას შორის რომელიღაც ზღვაში გავიდა. ზღვა მშვიდად შეეგება მამაც მოგზაურს. მანაც წყნარი უწოდა. მაგელანმა რა იცოდა, რომ ეს „წყნარი“ ზღვა მრისხანე, დიდი ოკეანის ერთი ნამცეცი იყო.

სიწყნარისა რა მოგახსენოთ და სიდიდით, მართლაც დიდია წყნარი ოკეანე. როცა მის ერთ ნაპირზე დღეა, მეორე ნაპირზე ღამე შლის ნაბადს. როცა პანამის არხით მზე იწყებს ამოსვლას, ჩინეთის სანაპიროებს ღამისეული ბინდი აწვება.

როცა ჩვენ შევცურეთ, ბობოქრობდა ავი ოკეანე.

უცებ გაჭირვებაში ხელის გამოღება დაგვჭირდა. გემ „მი-

დიას“ მთავარი მანქანა მწყობრიდან გამოვიდა. საჭირო გახდა მისი ბუქსირზე აყვანა. გემბანზე 150 მეტრის სიგრძის მაჯის სიმსხო საბუქსირო ბაგირი გვქონდა, ძნელდებოდა მისი გაშლა, რადიოთი ვამხნევებდით უიმედო მდგომარეობაში მყოფთ. იმედი კი.ყველაზე საიმედო მხსნელია მეზღვაურთათვის. მატროსები თავგანწირულად მუშაობდნენ. გემი ბუქსირზე ავიყვანეთ.

აპრილის ბოლო დღეები იდგა. ჩვენ ზღვაში შევხვდით ამ გაზაფხულს, რომელიც უკვე მიდიოდა უჩვენოდ თავისი ია-იებითა და კორჩიოტებით. გემზე საპირველმაისო დღესასწაულის მგზნებარე განწყობილება სუფევდა. რადიოთი „ოგონიოკი“ დაგვიკავშირდა. მალე კალიფორნიის ნაპირებს მივადგებოდით. ამ სამაისოდ, როგორც ყოველთვის, სამშობლოზე ფიქრით ვართ ავსებული. გახშირდა რადიოგრამები. ნათესავები და ახლობლები გვილოცავდნენ მომავალ დღესასწაულს. საბჭოთა გაზეთებისა და ჟურნალების კორესპონდენტებს აინტერესებდათ, როგორ ვგრძნობდით თავს მღელვარე ოკეანეში. პასუხი ყოველთვის სასიამოვნო იყო. მერე რა, რომ ზღვა ავია და ნიადაგ ღელავს. იღელვოს ზღვამ, ქარავანი მაინც მიიწევს წინ.

მშიერი ეგზოტიკის ქვეყანაში

მექსიკა მელოდიებისა და გრაციის ქვეყანაა, მდიდარი თავისი ნაირგვარი მცენარეებით, საინტერესო ვულკანებით და, რაც მთავარია, ადამიანებით — სიცოცხლით სავსე, შრომისმოყვარე და მხიარული ადამიანებით.

მექსიკა—ლათინური ამერიკის ერთ-ერთი შესანიშნავი ქვეყანაა, სადაც საბჭოეთიდან მხოლოდ ერთეულებს უხდებათ ჩასვლა და ბუნებრივი იყო ის დიდი ინტერესი, რასაც თითოეული ჩვენგანი იჩენდა ამ საინტერესო ქვეყნის მიმართ.

და აჰა, ისიც, მანსანილიო—მაღალი მთების სარტყელით შემორკალული პატარა ქალაქი, რომლის მოსახლეობის უმრავლესობას მექსიკელები — ტანადი, შავგვრემანი ხალხი შეადგენს. აქ ნახავთ აგრეთვე „წითელკანიან“ ინდიელებსაც. ბევრია

მეტისები და მულატები, მეტისები განსაკუთრებული სილამაზითა და თვალტანადობით გამოირჩევიან.

ჩვენი შესვლა მანსანილიოში მექსიკელთა ნაციონალურ დღესასწაულს დაემთხვა, რომელსაც ყოველთვის ზეიმითა და საჯარო სანახაობით აღნიშნავენ ხოლმე. ამ სანახაობათა შორის ჩვენთვის საინტერესო იყო დოღი. მექსიკელები განთქმული ცხენოსნები არიან. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ მექსიკაში ქალსაც და კაცსაც ისე თავისუფლად უჭირავს ხელში აღვირი, როგორც ევროპელებს ავტომობილის საჭე. როცა მათ ოსტატობას ვუყურებდი, მაგონდებოდა ჩემი საქართველო.

მანსანილიოში ყოფნისას ჩვენთან მრავალი მექსიკელი მოვიდა. მხურვალედ გვესალმებოდნენ საბჭოთა მეზღვაურებს. ყველას აინტერესებდა, როგორ ცხოვრობენ საბჭოთა მოქალაქეები. როგორი დამოკიდებულებაა რესპუბლიკებს შორის. განსაკუთრებით დიდი ინტერესი ჩვენი ქვეყნის მიმართ ახალგაზრდებს ემჩნეოდათ.

მიუხედავად იმისა, რომ მანსანილიო პატარა ნავსადგურია, სადაც ერთდროულად მხოლოდ ორი გემი თუ მოთავსდება, საითაც არ უნდა გაიხედოთ, ყველგან გეცემათ თვალში წარწერა აშშ. ტომრებია თუ ყუთები, ასანთის კოლოფები თუ საწყობის კედლები, ყველაფერი სარეკლამო განცხადებებით არის აჭრელებული. მაღაზიაში გამოფენილია ამერიკული საქონელი, ავტომობილი იქნება ის თუ რადიომიმღები, ფეხსაცმელი, ჭურჭელი თუ ავეჯი... თქვენ წარმოიდგინეთ, დამახასიათებელი ქუდები — სომბრეროებიც კი ამერიკაშია დამზადებული. წიგნების მაღაზიებში მხოლოდ ამერიკული წიგნებია ჭარბად, კინოთეატრებში გარდა ამერიკული სურათებისა, ერშვიათად თუ აჩვენებენ სხვა ფილმებს.

უნებურად გებადება კითხვა: მაშ, რაღაა მექსიკაში მექსიკური? ადამიანები, მხოლოდ ადამიანები და ეგზოტიკური ბუნება.

ამერიკა შემოჭრილია მექსიკის ცხოვრების ყოველ წვრილმანში. შეერთებული შტატები ცდილობს ამერიკული სული ჩაუდგას ადამიანებსაც კი...

მაგრამ მექსიკელი ხალხის თავისებური, ეროვნული ტრადიციების ძოსპობა როდი აღმოჩნდა იოლი. ენა, ეროვნული ტანსაცმელი, ტრადიციები, სიმღერები და ცეკვები. აი, ის, რაც ახა-

სიათებს მექსიკელებს, რაც მათ საკუთრებას შეადგენს მხოლოდ.

ისე, როგორც ყველა სამხრეთულ ქალაქში, მექსიკის ქალაქების ბაზრებშიც დუღს და გადმოდუღს სიცოცხლე. აქ იყიდება მექსიკური საქონელი, სოფლის მეურნეობის პროდუქტები, შინამრეწველთა ნახელავი. აქაური ხალხი ბაზარში მარტო საყიდლებზე ან გასასყიდად როდი მიდის. შორეულ, მთიან სოფლებიდან ჩამოდიან აქ, სასაუბროდ, ახალი ამბების გასაგებად.

ვლადიმერ მაიაკოვსკიმ მშიერი ეგზოტიკის ქვეყანა უწოდა მექსიკას. შესანიშნავი ნათქვამია.

დიდი და მთიანი ქვეყანაა მექსიკა, რომელიც 2 მილიონ კვ კილომეტრზეა გადაჭიმული და რომლის მოსახლეობა 30 მილიონამდე აღწევს. მექსიკელები ესპანურად ლაპარაკობენ. ეს ენა მთელ ლათინურ ამერიკაშია გაბატონებული. მექსიკას „მფარველობს" ამერიკა, რადგან იგი ამერიკის შეერთებული შტატების ნახევრად კოლონიას წარმოადგენს. ამერიკელებს აქ ტყვიის ის დიდი მადანიც იზიდავთ, რითაც ასე მდიდარია ეს მხარე.

მექსიკა მდიდარია ბუნებით. იგი მრავალგვარი მცენარის სამშობლოა, რაც ხშირად გაჰქონდათ საზღვარგარეთ. აქვე დაიბადა ჩვენთვის ესოდენ კარგად ცნობილი სიმინდის კულტურა, რომელიც ადგილობრივი მოსახლეობის ძირითად საკვებს წარმოადგენს.

მექსიკაში მრავალი ვულკანია, თითქმის ორასზე მეტი. მათ შორის არის მოქმედი ვულკანებიც. 1843 წელს ვულკანმა პარიკუტინმა იმდენი ნიაღვარი გადმოანთხია, რომ რამდენიმე სოფელი და ვულკანის ძირში მდებარე პატარა ქალაქი სულ წალეკა. ამ ქალაქში ეკლესიის სამრეკლოღა მოჩანდა თურმე ლავის ღვართქაფში.

უცხოელ სტუმრებს დიდი ხმაურით შეგვეგება მექსიკის დედაქალაქი მეხიკო. ქუჩები ადამიანებით იყო სავსე, ყველანი მიიჩქაროდნენ. იყო ნაცნობი ხმაური, ნაცნობი სიმრავლე, რაც ასე ახასიათებს დიდ ქალაქებს. მეხიკოში 4.000 მცხოვრებია. ეს, ლათინური ამერიკის საკმაოდ დიდი ქალაქი ცნობილია კონტრასტებით. ფუფუნება და სიღარიბე, დარდი და სიცილი, ცრემლი და სიმღერა, ოცდახუთსართულიანი სახლის წინ მდგარი ქოხმახი, აი, ამ ქალაქის მთავარი დამახასიათებელი ნიშნები.

სასტუმრო, რომელშიც ჩვენ რამდენიმე დღე მოგვიხდა ცხოვრება, ინსურგენტეს ქუჩის მახლობლად იმყოფება. ეს ქუჩა კი ცნობილია იმით, რომ მისი სიგრძე 22 კილომეტრამდე აღწევს და ქალაქის ყველაზე გრძელ ქუჩად ითვლება. მთელი საათის განმავლობაში მივდიოდით ამ ლამაზ ქუჩაზე, ინტერესით ვათვალიერებდით კაფეებსა და მაღაზიებს, რესტორნებსა და სავაჭრო ფარდულებს, რომლებსაც ყოველ ნაბიჯზე ვხვდებოდით. მაღაზიებსა და სავაჭრო ფარდულებში ჩვენ ვიძენდით ბევრ სამახსოვრო სუვენირებს.

ჩვენი ყურადღება ბაღებისა და სკვერების სიუხვემ მიიპყრო, რომლებშიც ჩვენთვის უცნობი მრავალი მცენარე ხარობს. ქალაქის ერთ-ერთი ულამაზესი პარკი ჩაპულტეპეკი მოქალაქეთა ყველაზე საყვარელ პარკს წარმოადგენს, სადაც ყოველთვის დიდი ხალხმრავლობაა. უძველესი სასახლე, რომელიც წარსულში ესპანეთის მეფეთა რეზიდენცია იყო, პარკის ცენტრშია მოთავსებული. აქ ხშირად ეწყობა სახალხო სეირნობა, ზეიმები. მოდიან ქალაქის ყოველი კუთხიდან, ახალგაზრდები და ჭარმაგები, რათა იზეიმონ. ეწყობა მხიარული საღამოები. საქვეყნოდ არის ცნობილი მათი ტემპერამენტი და ენერგია, რაც უფრო თვალსაჩინო ხდება დღესასწაულის დღეებში. სიცილი იპყრობს ყველას და ყველაფერს. სიმღერები ისმის ყველგან. ცეკვავენ და მერე ამ ცეკვას შესანიშნავ რეცენზიებს უძღვნიან ჩასული ტურისტები. ეს კი მექსიკელებისათვის მეტად საამაყოა.

როგორც ინდოეთი წარმოუდგენელია სპილოებისა და ჯუნგლების გარეშე, ასევე შეუძლებელია წარმოვიდგინოთ მექსიკა სიმღერებისა და ცეკვების გარეშე. დღეს ყველასათვის ცნობილია, რომ მექსიკელები მართლაც მუსიკალური ხალხია; განუსაზღვრელია მათი ტრფიალი ცეკვისა და სიმღერისადმი. მათთვის სრულიად ბუნებრივია, შუა ქუჩაში გამართონ კონცერტები.

მომდევნო დილა ჩვენ ძველი არქიტექტურული ძეგლების გაცნობას დავუთმეთ. მექსიკა ხომ უძველესი კულტურის ქვეყანაა. ჯერ კიდევ სამი ათასი წლის წინათ ჩვენს წ. ა. ინდიელთა ტომები, რომლებიც ახლანდელი მექსიკის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ, ჩინებული მიწათმოქმედნი ყოფილან. IV საუკუნი-

დან XIV საუკუნემდე ქვეყანას მაიას ძლიერი ტომი განაგებდა. ჩვენ ვნახეთ მათი საცხოვრებელი ადგილები, დავათვალიერეთ ძველი დედაქალაქის ნანგრევები. გავეცანით ტაძრებსა და პირამიდებს.

განსაკუთრებით საინტერესოა მაიას ტომის ვეებერთელა ტაძრის ნანგრევები იუკატანზე და ტოლტეკთა ტაძარი, რომელიც მექსიკიდან 55 კილომეტრით არის დაშორებული. „ტოლტეკი" აცტეკთა ენაზე მშენებელს ნიშნავს. ტოლტეკები კი მექსიკის უძველესი მფლობელები იყვნენ და ტესკოკოს ტბასთან ბინადრობდნენ. მათ მაღალ ოსტატობაზე მეტყველებს 40-50 მეტრიანი მზისა და მთვარის პირამიდები.

რაკი საუბარი ტაძრებზე და პირამიდებზე წამოვიწყე, აქვე მინდა ორიოდე სიტყვა ვთქვა მექსიკის მონუმენტურ ხელოვნებაზე, იმ ხელოვნებაზე, რომლის შექმნაში ვერავითარი ძლიერი მანქანა ვერ შეცვლის ხელოვანი ადამიანის ხელს.

მსოფლიოს მონუმენტური ხელოვნების ოსტატთა შორის მექსიკელებს სამართლიანად ეკუთვნით ერთ-ერთი პირველი ადგილი. მათი შემოქმედება გვაოცებს ფორმათა სიზუსტით, ორნამენტის სიმდიდრით, ძლიერი კაშკაშა ფერებით, რომელიც ბუნებრივი იყო ძველთაძველი წინაპრებისათვის — აცტეკებისათვის.

მექსიკელებს კარგად ეხერხებათ ლითონზე ჭრაც. ისინი ამუშავებდნენ ხეს, ლაკს. ერთ სოფელში ვნახეთ პრიმიტიული იარაღებით მომუშავე ხელოსანი, რომელიც ტყვიის შეკუმშვას აწარმოებდა. ამზადებდა წიგნების ყდებსა და ჩანთებს, ჩემოდნებს. გაგვიკვირდა, რომ ასეთი მძიმე და წმინდა სამუშაოები რკინის უბრალო იარაღებით სრულდებოდა.

ჩვენ ვნახეთ დეკორატიული უნაგირი. ერთი, ამ უნაგირზე და თეთრ ბედაურზე ამხედრებული ქუთაისში გამატარაო, ნატრობს ოთარ ფხაკაძე. გავიცანით ხეზე ჭრის ოსტატიც. იგი წმინდანის სტატუეტზე მუშაობდა. ვნახეთ სახელოსნოში დამზადებული ყავის ვერცხლის სადუღი. სადუღი ესპანურ სტილზე იყო შესრულებული. ძნელია დაიჯერო, რომ ასეთი სიფაქიზე შექმნილია ყოველგვარი მანქანების გარეშე.

გვაინტერესებდა ქსოვილთა წარმოების პროცესიც. საქსოვ დაზგებთან რამდენიმე ადამიანი დგას. ისინი ამზადებენ „სე-

რაპეს“, რომლის გარეშე მექსიკელს გაძლება არ შეუძლია. ეს დიდი, ყვავილებით მოჩითული ნაჭერი მათ თავსაბურავს წარმოადგენს. სიცივეში კი პალტოს მაგივრობასაც უწევს პატრონს. „სერაპეს“ მოხატულობა საოცარია. ტურისტები მას სიამოვნებით ყიდულობენ.

სერაპე მარტო ტანსაცმელი როდია. ის საბანიც არის და ქვეშსაგებიც. ქალების უმრავლესობას, თუმცა ძალიან ცხელა, გრძელი მუქი ფერის წამოსასხამი რიბოსუ აცვია. რიბოსუც უნივერსალურია. მას ხან მხრებზე წამოისხამენ, ხან თავსაფრად გაიკრავენ, ხან ზურგზე ბავშვის წამოსაკიდებლად იყენებენ, ან წელზე აქვთ შემოხვეული. მხოლოდ მდიდარ მექსიკელებს აცვიათ ევროპული ტანსაცმელი.

მიუხედავად იმისა, რომ მექსიკა მდიდარია ნავთობით, ტყვიით, ვერცხლითა და სხვა წიაღისეულით, მას თავისი მრეწველობა არ გააჩნია. უმეტესად ნედლეულის გადამუშავება ხდება ამერიკულ საწარმოებში, ამიტომ უმუშევრობა ამ ქვეყნის მარადიული თანამგზავრია.

მეორე მსოფლიო ომის დროს ნახევარი მილიონი მექსიკელი მუშაობდა ამერიკის სხვადასხვა საწარმოებში, რკინიგზებზე, სოფლის მეურნეობაში. ომის შემდეგ კი მექსიკელები დაითხოვეს და ერთი ათასად გაიზარდა უმუშევართა რიცხვი.

აქ მიწის უდიდესი ნაწილი მსხვილ მემამულეთა ხელშია. მილიონ გლეხს კი მტკაველი მიწაც არ გააჩნია. მათი ხვედრია მოჯამაგირედ მუშაობა ორიოდე გროშისათვის. ღარიბი გლეხობა უფანჯრო ქოხებში ცხოვრობს. ეზო კაქტუსებით არის შემოღობილი. მექსიკელების ყოველდღიური საჭმელია ლობიო, ტარტელესი, რომელიც ძლიერ ჰგავს ქართულ შოთ პურს. ყავა აქ მხოლოდ საზეიმო დღეებში თუ გაჩნდება მაგიდაზე. და ეს იმ ქვეყანაში, რომელიც მსოფლიოს აწვდის ამ პროდუქტს.

ცნობილი ამერიკელი მეცნიერი, მიჩიგანის უნივერსიტეტის პროფესორი პრესტან ჯემსი თავის წიგნში „ლათინური ამერიკა“ იძულებული შეიქნა, ეღიარებინა, რომ „მექსიკელთა უმრავლესობისათვის სიღატაკე არსებობის ნორმალური პირობაა.“ ამ ღატაკ მექსიკელებს სწამთ, რომ ცრემლებს არ მოაქვს ბედნიერება. ისიც სწამთ, რომ ერთხელაც იქნება მათთანაც ამოანათებს მზე ისე ძლიერად, რომ მისი სხივები გაათბობს ყველას...

ამ ტრადიციული სანახაობით მართლაც რომ განთქმულია მექსიკა. მეც ხშირად ვყოფილვარ მოწმე მამაცი მექსიკელების ხართან თამამი და შეუპრკვარი ბრძოლისა. ყოველთვის მხიბლავდა ტორეადორის ვაჟკაცობა და გამბედაობა, მაგრამ გულში მაინც მრჩებოდა უსიამოვნო განცდა.

უმეტესად ხარებთან ბრძოლა დიდ არენაზე მიმდინარეობს, ტრიბუნები მაყურებლით არის სავსე. ღელავს ხალხი.

საზეიმო პარადით იწყება ტრადიციული სანახაობა. გაიარეს მამაცმა ადამიანებმა. თვალს სიამოვნებს ტორეადორის, ბრგე და მოსული ვაჟკაცის ყურება. მას უკან მიჰყვებიან მსაჯები, შუა საუკუნეების სამოსით მოსილნი, პიკადორები, ამხედრებულნი ცხენებზე.

დაძაბულია მოლოდინის წუთი. თვალს ვერ აცილებთ პატარა კარებს, რომელიც მოულოდნელად იღება და უზარმაზარი ხარი ბრაზით აწყდება ბარიერს, თითქოს რქებზე უნდა წამოიგოსო ვეება შენობა. სცენაზე კაცი დგას, ხელში წითელი ლაბადა უჭირავს. მისი მოვალეობაა, გააღიზიანოს ისედაც გაშმაგებული ცხოველი. ეს წარმოდგენის პირველი აქტია, მერე არენაზე გულადი ტორეადორი შემოდის.

ახმაურდებიან დაფდაფები. ეს წარმოდგენის ძირითადი მომენტის დაწყების მაუწყებელია. ტორეადორი თავაზიანად ესალმება დამსწრე საზოგადოებას. ხარიც ჭკვიანად დგას და ცნობისმოყვარე თვალებით ზომავს მოწინააღმდეგეს.

იწყება პირველი შებრძოლება. ტორეადორი აღიზიანებს ხარს, წითელ მოსასხამს უფრიალებს ცხვირწინ. ხარი ჯერ განზე გახტება, შემდეგ თავდასხმისათვის ემზადება და მიიწევს ადამიანისაკენ. თანდათან შმაგდება პირუტყვი, იღლება ადამიანი.

ვინ — ვის?

ტორეადორის ვაჟკაცურ მოქმედებას ყვირილით პასუხობს მაყურებელი. თუ ბრძოლა განსაკუთრებით ბრწყინვალეა, ხოლო მაყურებელი მომთხოვნი, ტორეადორს მთელი ტრიუმფი ელის.

არენაზე მოფრინავენ ყვავილები, ხილი, ქუდები, ტუფლები და ბალიშებიც კი.

დიახ, ბალიშები. ყველა მაყურებელს თან მიაქვს დასაჯდომად პატარა ბალიში და სწორედ ეს ბალიში ხშირად სიხარულის ან აღშფოთების გამომსახველი ხდება ხოლმე.

არის ბრძოლის მეტად რთული სახეობაც. მეტი ეფექტის მოსახდენად ხარს რქებს შორის წითელ ვარდს გაურჭობენ-ხოლმე. იგი ტორეადორმა უნდა გამოაძროს. ეს ძალიან სარისკო საქმეა. პირუტყვი უკანასკნელად იკრებს ძალღონეს, მერე მისი იერიში თანდათან უძლური ხდება, ფეხები ეკეცება; უღონოდ ეშვება მუხლებზე და დრუნჩს აყრდნობს იატაკს. ასეა დაჩოქილი პირუტყვი ადამიანის წინაშე. ამ დროს ტორეადორი ირგვლივ შემოუვლის არენას და დამსწრე ქალიშვილებს ათვალიერებს.

მერე ყველაზე ლამაზად ვისაც მიიჩნევს, ყვავილს ესვრის. ხალხი ტაშს ახლად გამომცხვარ სილამაზის დედოფალს უკრავს. ქალიშვილი ბედნიერია, მას თავისებური რეკლამა აქვს და ეს კარგი ნიშანია. ჩვენ გვიამბეს, რომ ასეთი შემთხვევების შემდეგ ქალიშვილს თაყვანისმცემელთა მთელი არმია დაჰყვებაზოლმე, სთხოვენ ხელს და ქალიშვილიც მალე თხოვდება.

მაგრამ ბრძოლა ხარებთან ყოველთვის როდი მთავრდება მხიარულად. ამ „კორიდას ისტორიას“, როგორც ესპანეთში უწოდებენ, ხშირად ტრაგიკული ბოლო აქვს. სულ მცირე შეცდომა, ერთი არასწორი მოძრაობა და სისხლი გარდაუვალია. მართალია, პრესა მხოლოდ გამარჯვებულ ტორეადორებზე გაჰყვირის, მაგრამ ვინ იცის, რამდენი უცნობი მამაცი გამხდარა ამ მკაცრი და ლამაზი სპორტის მსხვერპლი. „მამაცთა დღესასწაულზე“ მხოლოდ განსაკუთრებული მამაცები იმარჯვებენ. ჩვენ დაგვაინტერესა, ტორეადორმა რად არ მოკლა დამარცხებული და კაცის წინ დაჩოქილი ხარი.

გვითხრეს, რომ ახლა ასეთი ბრძოლა აღარ ტარდება. ჯერ ერთი, მაშინ უბედური შემთხვევები უფრო ხშირია, რადგან დაჭრილი ხარი მაყურებლისკენ მიიწევს, და მეორეც, ხარი ძვირია, მისი მოკვლა როდია ხელსაყრელი.

და ტორეადორის ამოცანაც ხომ ის არის, რომ დაქანცოს პირუტყვი, მუხლი მოაყრევინოს, ქედი მოახრევინოს...

მექსიკაში ჩვენ ბევრი ტორეადორი გავიცანით, მოვასწარით შათი შეყვარება, შევიძინეთ მრავალი მეგობარი, რომლებმაც დიდი ზეიმით გაგვაცილეს. კონცერტში მონაწილეობდნენ როგორც მასპინძლები, ისე სტუმრებიც. ჩვენმა ბიჭებმა შესანიშნავად იცეკვეს ტრადიციული, მეზღვაურული ცეკვა „იაბლოჩკა.“ იგი განსაკუთრებით მოეწონათ მექსიკელებს. მერე ჩვენებმა ადგილობრივ ქალიშვილებთანაც კი გაბედეს ცეკვა. ზეიმმა ისეთი ხასიათი მიიღო, კინაღამ მეც არ გამიყოლიეს საცეკვაოდ, ჩვენს მზარეულს რომ არ გამოვეყვანე უხერხულ მდგომარეობიდან. მიუხედავად იმისა, რომ მან ესპანური ენა არ იცოდა, ჩვენდა გასაოცრად მალე იპოვა საერთო მექსიკელებთან და, თქვენ წარმოიდგინეთ, გიდის როლიც კი იკისრა გემზე.

საინტერესო იყო, როგორ ესაუბრებოდა იგი მექსიკელებს იმ ენაზე, რომელიც არც ერთმა ადგილობრივმა არ იცის. მერე ჩვენმა გიდმა შეთავსებით ცეკვის მასწავლებლობაც დაიწყო. ოფლში გაწუწვამდე ტრიალებდა გემბანზე. ვალში არც „მოწაფეები“ რჩებოდნენ.

ისმოდა გულიანი სიცილი. სიცილს კი როდი სჭირია ენების ცოდნა.

და ბოლოს დადგა დამშვიდობების წუთები. მექსიკელებმა შოგვიტანეს ხილი, სომბრეროები.

ღუზა თანდათან იწევს მაღლა. გემი ნელ-ნელა სტოვებს ნავსადგურს. ვდგავართ გემბანზე და ზღვას თან მოაქვს მექსიკელთა მოძახილები. მორიგ, მეგობრულ შეხვედრამდე, მასპინძლებო, ვფიქრობთ ჩვენ და ზღვას გავყურებთ. წინ კიდევ მრავალი საინტერესო შეხვედრა გველის.

რეკლამებისა და სენსაციების მხარეში

როგორც იქნა, გავცდით ტროპიკებს. პაპანაქებამ ფარ-ხმალი დაჰყარა და ასპარეზი ზღვიდან მონაბერ ნიავს დაუთმო. მოწყურებულებივით ვყლაპავდით სუფთა ჰაერს. მაცოცხლებელი სიო საამოდ გვესალბუნება გარუჯულ სახეებზე.

შორს დარჩა ტროპიკული პაპანაქება. სამაგიეროდ, ბარო-

წყნარია წყნარი ოკეანე...

მეტრის ისარმა სწრაფი ნახტომი გააკეთა და ცუდი ამინდი გვიწინასწარმეტყველა. შავი ღრუბლებით დაიფარა ჰორიზონტი. გრილი ნიავი ძლიერმა ქარმა შეცვალა. აღელდა ოკეანე. რძისფერი ქაფი მოადგა ტალღებს.

ასეა ყოველთვის, როცა ზღვა წყნარია. გემზეც სიმშვიდეა გამეფებული. ზღვა ღელავს და ღელავს გემბანიც. მერე თუ ქარიშხალიც გაავდა, თქვენ მტერს, თუ ყველა ნივთი დროზე და საიმედოდ არ დაამაგრეთ, ჰაერში თამაშს დაიწყებს საგნები. იღება კარადის კარი. ძირს ეცემა მაგიდის უჯრები. სამზარეულოში ხომ ყველაზე მეტი ორომტრიალი ტყდება. ქვაბები, ტაფები, დანები, ფერხულში ებმებიან. ცხელ სადილზე ფიქრიც ზედმეტია. ივანოვი ბუზღუნებს. მიუხედავად იმისა, რომ ღუ-

მელის კონსტრუქცია ღელვასაც ითვალისწინებს, ყველაფერი წინასწარ არის გაანგარიშებული, მაინც ძნელია ღელვის დროს სადილის მომზადება. სამზარეულო პატარაა, ღუმელი ცხელი. ერთიც ვნახოთ და მზარეული გავარვარებულ ღუმელს შეეხეთქოს, ან ცხელი მდუღარე გადაესხას. ვის შეერგება ასეთი სადილი?

არც სასადილოა უკეთეს დღეში, თეფშიდან წვენი იღვრება, ჭიქაში სასმელი აღარ ჩერდება, საჭიროა აკრობატიკის რთული ილეთები, სასაცილო მდგომარეობას რომ დააღწიო თავი. ამ დროს ჩვენ იძულებული ვხვდებით პურით და კონსერვით დავკმაყოფილდეთ. ახლაც, სამი დღის განმავლობაში არ მოგვკლებია ეს ერთფეროვანი საჭმელი. მეოთხე დღეს მზე ამოვიდა, მისმა სხივებმა ძალა წაართვა ქარს. მზისფერი მოედო წყლის ზედაპირს. მიწყნარდა ოკეანე.

გემი კვლავ აკვანივით ირწეოდა, თუმცა ტალღები მიმალულიყვნენ. ახალგაზრდებს უკვირდათ, „ძველებს" ეღიმებოდათ. ძია ვასია ამბობდა: ტალღები ისევ ამოხეთქავსო სიღრმეს. ბოლოს და ბოლოს ოკეანეც მიჩუმდა და ჩვენს თვალწინ კალიფორნიის თვალსაამო სანაპიროები გადაიშალა.

სან-პედროს ლამაზ და კეთილმოწყობილ ქუჩებში ურიცხვი ავტომობილი დადის. საღამოობით გვერდს ვერ აუვლი რეკლამებს. რეკლამებია ყველგან, მაღაზიებსა და კაფეებში. რესტორნებსა და ღამის კაბარეებში. მყვირალა, ჟრელი რეკლამები...

ქალაქთან ახლოა ნავთობის სარეწაოები; იქვეა მუშათა დაბა, ათასობით საცხოვრებელი ბანაკი, 3—3,5 მეტრის სიგრძითა და 1,5—2 მეტრის სიმაღლის მქონე ფირფიცრისაგან აგებული ერთმანეთზე მჭიდროდ მიკრული ქოხმახები.

სან-პედროში ძველად ინდიელები ცხოვრობდნენ თურმე. ახლა იშვიათად თუ შეგხვდებიან ქუჩებში. მათი ნაწილი ამოწყვიტეს, ნაწილი „რეზერვაციებში" — სპეციალურად გამოყოფილ უნაყოფო რაიონებში გაასახლეს, საიდანაც გასვლის უფლება არა აქვთ ხელისუფალთა საგანგებო ნებართვის გარეშე.

თუ კოლონიზაციის დასაწყისში ჩრდილო ამერიკაში ორ მილიონამდე ინდიელი ითვლებოდა, 1930 წლისათვის ხოცვა-ჟლეტასა და ეპიდემიებს მხოლოდ 330.000 სული გადაურჩა.

ჩვენ ყველანი ვოცნებობდით, საკუთარი თვალით გვენახა

ცოცხალი ინდიელები, ფენიმორ კუპერისა და მაინ რიდის მომ-ხიბვლელი მოთხრობების მამაცი გმირები, გულადი, უმწიკვლო ადამიანები. სან-პედრომ აგვისრულა ეს ოცნება. ნაცნობმა მტვირთავმა, ტომ პერკინსმა ინდიელთა თავისებური მუზეუმის მისამართი გვითხრა, სადაც დიდი ზომის ვიტრინაში, ნაციონა-ლურ ტანსაცმელში გამოწყობილი ინდიელის ფიგურა იდგა. მას ამშვენებდა შუბი და ტომაგავკი.

დარბაზის კედლებზე ეკიდა შუბები. აქვე იყო მრავალი სამ-ხედრო და სანადირო იარაღი, ინდიელ ტომთა ბელადების სხვა-დასხვაგვარი თავსამკაული, ტანსაცმელი. აქ იყვნენ ცოცხალი ინდიელებიც. ჩვენთან ერთად დარბაზში 40-50 ამერიკელი მნახ-ველიც იყო. ახალგაზრდა ინდიელი დაფზე უკრავდა. მეორე, უფრო ხანდაზმული, რომელსაც გრძელი და ჭრელი სამოსი ეც-ვა და საყურეები ეკეთა, ხოლო ცხვირში ვერცხლის რგოლი გა-ეყარა, ინდურ ცეკვას „პიპი-ქვას" ასრულებდა. „პიპი-ქვა" ნიშ-ნავს ბებერ „ბოლოქანქარას". მოცეკვავე, მართლაც, ოსტატუ-რად ბაძავდა ამ ჩიტის მოძრაობას, ჟამიჟამ უსტვენდა, თითქოს მართლაც ჩიტიაო.

ამერიკელები ხმაურით ლაპარაკობდნენ, ზიზღსა და ირონი-ას ამჟღავნებდნენ „ქორის ბრჭყალის" შთამომავალთა მიმართ. ზოგი მათგანი ველური შეძახილებით აქეზებდა მოცეკვავეს, ერთი შეზარხოშებული ოფიცერი თვითონაც აჰყვა ინდიელის მოძრაობას.

ცეკვა დამთავრდა. მაყურებელი ისროდა ფულებს. ინდიელი, წინაპართა უჩვეულო სიხარულით კრეფდა იმ ფულს. ამერიკე-ლები კი თავს იქცევდნენ, ხან ფულზე დაადგამდნენ ფეხს, ხა-ნაც წინ გადუდგებოდნენ. ერთმა საზღვაო ოფიცერმა ჩექმის ქუსლიც კი დაჰკრა მაჯაზე ინდიელ მოცეკვავეს და როცა ამ უკანასკნელმა სიმწრით შეჰყვირა, ამერიკელმა მაყურებელ-მა ხარხარი ატეხა. გული მეტკინა, როცა ამ უმსგავსო სცენის მოწმე გავხდი. ვერ ვიოკებდით ბრაზს. ოცნება, გვენახა ცოცხალი ინდიელი ძველ ინდიელთა ქალაქში, ასრულდა, მაგ-რამ რას დაამგვანა იგი ამერიკულმა ცივილიზაციამ.

როცა ამერიკის კონტინენტზე თეთრი ადამიანები გამოჩნ-დნენ, ინდიელებმა ჯერ კიდევ არ იცოდნენ, რა იყო თოფი და რისთვის შეიძლებოდა მისი გამოყენება. ამიტომ, მეტად იო-

ლად ერგოთ ევროპელებს ამ შრომისმოყვარე ადამიანების მთელი სიმდიდრე.

„ინდიელი კარგია მაშინ, როცა ის მკვდარია“. — ასეთი ლოზუნგით იბრძოდნენ მტაცებლები, ანადგურებდნენ ადგილობრივ მოსახლეობას და ართმევდნენ მიწებს.

მე მქონდა შემთხვევა, გავსაუბრებოდი ქალს, რომელმაც ლოს-ანჟელოსში მიიღო უმაღლესი განათლება. ის ამტკიცებდა, ინდიელებმა არ ინდომეს სწავლა, წებაყოფლობით არ დამორჩილდნენ თეთრებს და ეს უკანასკნელნიც იძულებული გახდნენ, თავიანთი ძალა ეჩვენებინათო. ქალი მარწმუნებდა, შეერთებული შტატების მთავრობა ცდილობს, შეუნარჩუნოს ინდიელებს მათი ჩვეულები და ტრადიციებიო, მაგრამ მას არ უთქვამს არაფერი იმაზე, რატომ იყვნენ ინდიელები მოწყვეტილი მშობლიურ მხარეს. გაფანტულად რატომ ცხოვრობდნენ სხვადასხვა ადგილებზე, მოკლებული ყოველგვარ უფლებებს. ჰხრებზე გაჭირვებული ცხოვრება რომ აწვათ. საცოდაობა იყო მათი არსებობა და რომელ მზრუნველობაზე შეიძლებოდა ლაპარაკი? ყველა საუკეთესო მიწის ნაკვეთი ინდიელების ხელიდან მილიონერების ხელში გადავიდა ფაბრიკების, ქარხნებისა და რკინიგზების მშენებლობისათვის.

ამერიკის შეერთებული შტატების მიერ გამოცემული სპეციალური კანონით ინდიელებს თავიანთი მიწების გაყიდვის უფლება ეძლეოდათ, რითაც მაშინვე ისარგებლეს „საქმოსნებმა“ და სახელდახელოდ გამდიდრდნენ. გაუნათლებელი ადამიანების ანგარიშზე ისინი კაპიკებად ყიდულობდნენ მიწებს და მერე მაღალ ფასებში ყიდდნენ სხვადასხვა მეურნეებზე. ემატებოდა ათასებს ათასები, მილიონებს — მილიონები. მრავალმა საქმოსანმა მილიარდერის სახელიც კი მოიხვეჭა ასეთი „შესაფერისი“ შემთხვევის გამოყენებით.

1960 წელს შეერთებულ შტატებში 523.491 ინდიელი ითვლებოდა. ამჟამად ეს ციფრი ბევრად შემცირდა, რადგან ისინი ბუზებივით იხოცებიან. ინდიელის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 37 წელს არ აღემატება. ძალზეა გავრცელებული ტუბერკულოზი, რის გამოც მასობრივად იღუპებიან ამერიკის კონტინენტის ნამდვილი მეპატრონეები...

კრაუს, სინეკას, ჩიროკის, იროკეზის, გორონისა და სხვათა

შთამომავლობა განადგურებულია და ეს ხდება მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში, ტექნიკისა და პროგრესის საუკუნეში.

კი მაგრამ, როგორ პირობებში ცხოვრობენ ინდიელები, ეს სიკვდილმისჯილი ხალხი? საცოდავი ქოხები და გამოქვაბულები. განა ეს შეესაბამება ადგილობრივ მცხოვრებლებზე თუნდაც უმნიშვნელო მზრუნველობას? მერედა, რად არის მათ მიერ გამომუშავებული ხელფასი? საგრძნობლად მცირე თეთრკანიანების ხელფასთან შედარებით.

დღევანდელ ამერიკაში ყველა „პროგრესული" ამერიკელი ბოროტებად თვლის მათ მიწაზე შავკანიანის არსებობას. ისინი საქვეყნოდ გამოდიან ამის შესახებ, როგორც პრესაში, ისევე რასისტებისაგან შემდგარ ყოველგვარ თავყრილობაზე. მათ ხომ ხმის ჩახლეჩამდე შეუძლიათ ამტკიცონ, რომ, თუ ზანგი თეთრკანიანს დაელაპარაკა, ან მათთვის განკუთვნილ კვარტალში გაიარა, ამით საშინელი დანაშაული ჩაიდინა. ხოლო იმ ფაქტს, რომ ეს ზანგი პოლიციელების მიერ ცემით სიკვდილის პირამდე იყო მიყვანილი, რა თქმა უნდა, უკანონობად არ ჩათვლიან, იქით გაიმართლებენ თავს — ღმერთს უმადლოდეს, სიცოცხლე რომ შეინარჩუნესო. მე მოწმე ვიყავი, როგორ დასაჯეს ზანგი მხოლოდ იმიტომ, რომ მან თეთრკანიანს შეასწრო ტრამვაიში შესვლა.

ერთხელ ლონგ-ბიჩის ერთ-ერთ ქუჩაზე მივდიოდით. უეცრად შორიდან უმსგავსო ხარხარი მომესმა. მოვიხედე...

იდგა სახლი, სახლის კედელთან თეჯირი, რომელსაც შუაში მრგვალი ნახვრეტი ჰქონდა. ნახვრეტში თავი გამოეყო ზანგს. ჩვენ აგვიხსნეს, რომ რამდენიმე ცენტად შეიძლება შეიძინო ხუთი საკმაოდ მძიმე ბურთი და თვალის სიზუსტე ხელის სიმარჯვესთან ერთად შეამოწმო.

ესროლე ზანგს სახეში, მოახვედრებ, ბიჭობაც ეს იქნებაო. მიზნამდე 15 ნაბიჯი იყო. როცა ნასროლი ბურთი ზანგს ცხვირში მოხვდებოდა, სეირის მაყურებლები სიცილით იხოცებოდნენ. გამარჯვებული საჩუქარს იღებდა. ზანგი იღიმებოდა. ვაი ამ ღიმილს. ცრემლზე უფრო მწარე იყო დაბეჩავებული რასის წარმომადგენლის ღიმილი. რა ექნა?! ის ხომ დაქირავებული იყო და „ჯენტლმენებისათვის" უნდა ესიამოვნებინა. მერე ტრამვაის გაჩერებასთან ჩვენ წინ გალახეს ზანგი ჭაბუკი. იგი

გასისხლიანებული დაეცა ქვაფენილზე. აღვირახსნილი ბრბო მაინც განაგრძობდა ცემას. როცა ბრბო დაიშალა, პოლიციელი მხოლოდ მაშინ „ჩაერია“ საქმეში. ზანგს ფეხი ჰკრა და დაუყვირა: აეთრიე და გასწი აქედანო.

ჭაბუკი არ იძროდა. მაშინ პოლიციელმა ქუჩაში მიმავალ ზანგებს დაუძახა: — გაათრიეთ აქედან ეს შავი ძაღლიო. ზანგებმა სწრაფად წაიყვანეს გონდაკარგული ბიჭი. როგორც გავიგეთ, დაზარალებული შემთხვევით დასჯახებია თეთრკანიანს და ბოდიშის მოხდაც ვერ მოუსწრია, ისე დაუსისხლიანეს ცხვირ-პირი „შეურაცხყოფისათვის“...

ეს სამწუხარო ამბავი მოხდა იქ, სადაც ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის — აბრაამ ლინკოლნის ძეგლი დგას, პრეზიდენტისა, რომელმაც თავისი სიცოცხლის ფასად გაატარა კანონი მონობის გაუქმების შესახებ.

ქალაქში ყოველ ნაბიჯზე ნახავთ წარწერას: „მხოლოდ თეთრკანიანებისათვის, შავკანიანებს შესვლა ეკრძალებათ.“

ერთხელ პავილიონში შევედით. მაგიდებთან მხოლოდ შავკანიანები ისხდნენ, უმეტესად ახალგაზრდები. ეს იყო ზანგების კაფე, სადაც თეთრკანიანები არასდროს არ შედიან. ესტრადაზე ზანგების ორკესტრი უკრავდა. ჩვენი დანახვისას მუსიკა შეწყდა. გაოცება და შიში ემჩნეოდათ თვალებში.

მერე ნავსადგურის ერთ-ერთმა მუშამ გვიცნო. რაღაც თქვა და ჩვენკენ წამოვიდა. ზანგებს სახეები გაუბრწყინდათ, ორკესტრი უფრო მძლავრად უკრავდა. გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს! წამოიძახა ახალგაზრდა ზანგმა, რომელსაც ამერიკელი მეზღვაურის ფორმა ეცვა.

ყველანი ფეხზე წამოდგნენ. მხურვალე ტაშში ორკესტრმა ჩვენი საყვარელი სიმღერა დაუკრა: «Широка страна моя родная», სიმღერა, რომელსაც დიდი სიყვარულით ასრულებს პოლ რობსონი.

მღეროდა დარბაზი. ერთმა ხანდაზმულმა ზანგმა გვითხრა, რომ ზანგებს ძალზე უყვართ ეს სიმღერა პოლ რობსონის შესრულებით. რობსონი ხომ შავკანიანი ხალხის სიამაყეა, საუკეთესო მოკრივე, საუცხოო ფეხბურთელი, ოტელოს როლის უბადლო შემსრულებელი.

ამიტომ გაუხარდათ აქ მყოფ ზანგებს, როცა ჩემი და რობ-

სონის ნაცნობობა შეიტყვეს. უცებ კაფეში ცნობილი მსახიობები, ახალგაზრდა ქალ-ვაჟი შემოვიდნენ, რომლებიც თურმე ჩვენთვის მოიწვიეს. მათ იმღერეს და იცეკვეს. ტემპერამენტიანი იყო ზანგური ცეკვა. ნაციონალური, სევდიანი იყო სიმღერის მელოდია, სევდიანი, მაგრამ მტკიცე.

ჩვენ გავიცანით 10 წლის თეთრკაბიანი ჰელენი და თეთრ ფრაკში გამოწყობილი 11 წლის ვინი. ისინი დიდი ოსტატობით მღეროდნენ, ცეკვავდნენ.

ჩვენი ყურადღება სამხედრო ფორმაში გამოწყობილმა ვაჟკაცებმა მიიპყრეს. მათ მკერდზე საბრძოლო წარჩინების ნიშნები ეკეთათ. რისთვის ან ვისთვის იბრძოდნენ ისინი? იქნებ სჯეროდათ, რომ ფაშიზმის განადგურებას მათი თავისუფლება მოჰყვებოდა?!

ამ ჯგუფიდან ორი ზანგი მოგვიახლოვდა და რუსულად გაგვესაუბრა. თურმე ისინი ომის დროს მურმანსკში ყოფილან, ახსოვთ საბჭოთა ადამიანების გულისხმიერება, სტუმართმოყვარეობა.

„ვარსკვლავები" ინთებიან და ქრებიან

ყველას, ვინც კი ლოს-ანჟელოსში ყოფილა, უთუოდ უნახავს ჰოლივუდი. ეს ამერიკის ცნობილი კინო-ქალაქია. ჩვენც თავს ვალდებულად ვთვლით, ვეწვიოთ ჰოლივუდს. ვათვალიერებთ ცნობილი კინოვარსკვლავების სახლებს, ყოველმხრივ შემკულ ვილებს.

ეროლა ფლინის სახლთან შევჩერდით. ეროლა ჩვენს მაყურებელს უნახავს „რობინ ჰუდის თავგადასავალში", „სამ მუშკეტერში", „დედოფლის პირატებში" და ფილმში „მწუხარების კუნძული". მწვანეშია ჩაფლული ეროლა ფლინის გოთური სტილით ნაგები ვილა.

კარგ დროს მოგვიხდა ვილასთან გავლა. ეროლა სახლიდან გამოდიოდა. მხიარულად მოგვესალმა. ცოტაოდენ გაგვაცა მისმა გარეგნობამ. ფილმის მიხედვით მას მუქი თვალები და თმები უნდა ჰქონოდა, სინამდვილეში კი ლურჯი თვალებით შემოგვცქეროდა ქერათმიანი მსახიობი.

შემდეგი ვილა ეროლა ფლინის შეუცვლელ პარტნიორს, კლარკ ჰეიმლს ეკუთვნის. ვილა დამაბრმავებელ სითეთრეს აფენდა ირგვლივ. თოვლივით ქათქათა შენობას მხოლოდ დარაბები ჰქონდა მწვანე, რომლის ფონზე უფრო მკვეთრად მოჩანდა ღია ყვითელი, სხივიანი ფარდები.

მსუბუქი და ჰაეროვანია ცნობილი მსახიობის ბინგა კროსბის ვილა, რომელიც პავილიონს უფრო წააგავს, ვიდრე საცხოვრებელ სახლს.

მოკირწყლული გზა ლამაზი ბაღისკენ მიუყვება, ბაღი კოხტად შეკრეჭილი ბალახით არის გარშემორტყმული. ბაღში ერთსართულიანი, მყუდრო სახლი დგას. იგი ბეტი დევისს ეკუთვნის, დევისი მონაწილეობს ფილმებში: „მარვინა ბლეიკის დანაშაული", „მელია" და „ყველაფერი ევაზე."

ზღაპარში წაკითხულს გაგონებთ მიკი რუნის ვილა. აქ თითქოს თითოეულ ხესაც საიდუმლო იერი აქვს. ეზოში ლამაზი ქვებით მოპირკეთებული საცურაო აუზია, გამჭვირვალე დაკამკამა.

ჰოლივუდში რამდენიმე კინოფაბრიკაა განლაგებული. მთელი სამყაროსთვის ცნობილი „პარამოუნტი" და „ფოქსის XX საუკუნეც" ჰოლივუდში იმყოფება, სადაც ყოველწლიურად წარმოებს გრანდიოზული გადაღებები. უნდა ითქვას, რომ ტექნიკა აქ უმაღლეს დონეზეა ასული. მაგრამ, სამწუხაროდ, ფილმები უშინაარსო და უიდეოა. ძირითადად, ჰოლივუდი დანაშაულობათა, ძალადობასა და სამხედრო ისტორიებზე აგებულ ნაწარმოებებს იღებს.

საინტერესოა თვით ქალაქის სახე, რომელიც დეკორაციებისაგან შედგება. დეკორაციები ხანგრძლივი პერიოდისათვის არის დადგმული საძირკველზე. აქ მთელი კვარტალებია, სხვა საუკუნიდან და სახელმწიფოდან გადმოტანილი. ჰოლივუდში ვართ და „ვენეციაში" ვხვდებით. დიდი ოსტატობით არის აგებული ვენეციური სახლები, რომლებიც არხის ორივე მხარეს მდებარეობენ, არხზე ტრადიციული ხიდებია გადებული. აქვეა გონდოლები. მოსახვევებში შუა საუკუნეთა კბილოვანი კოშკურები გვეგებებიან. იგი ხავსითაა დაფარული. აქ არის ასაღები ხიდები უჟანგავი ჯაჭვებით.

შემდეგ ჩინური კვარტალი იწყება. გვერდით ძველი პეტერბურგია, იქვეა ინდოეთიც.

აქ ყველაფერი ამერიკულ სტანდარტს ემორჩილება, სილამაზის ტიპიც კი. ჰოლივუდში ერთმანეთისაგან მხოლოდ ცნობილი მსახიობები განსხვავდებიან. სხვა დანარჩენი ერთმანეთის ალიკვალია.

სამწუხაროდ, ჰოლივუდი ბევრისთვის ზღაპრული ოცნებაა. აქ მოდიან მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან, მოდიან ისინი, ვისი ოცნებაც კინოვარსკვლავად გახდომაა. ნიჭი, როგორც ჩვენ მოგვეჩვენა, აქ თითქმის საჭიროც არ არის. ამიტომ ჩამოსულები ცდილობენ, რეჟისორის ყურადღება სხვა საშუალებებით მიიპყრონ.

ჩვენ ვნახეთ ნაირგვარად ჩაცმული ქალები. ზოგი ნახევრად შიშველი იყო და ამით ცდილობდა სხვების ყურადღება მიექცია. ერთ მათგანს იისფერი თმები ჰქონდა, ერთს მუქმწვანე დალალები.

სეირნობდნენ ბრჭყვიალა, თამბაქოსფერი საბანაო კოსტუმებითა და მუხლზევით ასული კაბა-ხაბარდათი. ზოგს ტანზე შემოტმასნილი ჰქონდა შარვალი, ზოგს შიშველი ფეხები ქოშებში წაეყო. მხოლოდ ერთს ეცვა ღრმად დახურული შავი კაბა, გრძელი, მაჯებამდე შეკრული სახელოებით, მაგრამ მასაც ბეჭები მოშიშვლებული ჰქონდა.

ქალები, თუ ფული აქვთ, თუ მდიდარი ქმრები ჰყავთ, დიდ თანხას უხდიან ფირმებს რეკლამისათვის.

ბედი ყველას როდი უღიმის. ჰოლივუდს უყვარს სენსაციები და „ვარსკვლავები" როგორ სწრაფადაც ენთებიან, ასევე სწრაფად ქრებიან. აქაურ ცაზე მხოლოდ ცოტას თუ შეუძლია მოიდგას ფეხი.

სერიოზულ, ნამდვილ მსახიობებს უმძიმთ ჰოლივუდში მუშაობა, ამიტომ იოლად სტოვებენ ისინი შორიდან ასე საოცნებო და სათაყვანო ჰოლივუდს.

ისეთი ცნობილი მსახიობი, რეჟისორი და კომპოზიტორი, როგორიცაა ჩარლზ ჩაპლინი, მატერიალურმა უზრუნველყოფამ ვერ დააკმაყოფილა. ჩაპლინი—სიცილის მეფე—კარგა ხანს მუშაობდა ჰოლივუდში და მის მიერ გადაღებულმა ფილმებმა აალაპარაკა მსოფლიო. მე რამდენჯერმე მისაუბრია ჩარლზ ჩაპლინთან. პირველად ომის წლებში შევხვდით ერთმანეთს, ლოსანჟელოსში მის სახლს იცავდა პოლიცია.

როგორია ჩაპლინი ცხოვრებაში? არის თუ არა ისეთი, როგორიც ეკრანზეა? მთელი შეხვედრის მანძილზე ჩაპლინმა მხოლოდ რამდენჯერმე გაიღიმა. ეს ისე არ გაიგოთ, თითქოს იგი სიტყვაძუნწი კაცი იყოს, მაგრამ ცხოვრებაში არაფერია სასაცილო და ჩაპლინიც არ იცინის.

და ჩაპლინი — ესოდენ დიდი მსახიობი, იძულებული გახდა, დაეტოვებინა ამერიკა. ასევე მოუხდა ჯონ ჰელენსაც. მაღაროელის შვილი პირველად ფეხბურთმა გაიტაცა, მერე ბოქსზე იყო შეყვარებული. ბოლოს ჰოლივუდშიც მიიწვიეს. ხელშეკრულების თანახმად, ჰელენს უფლება ჰქონდა ამოერჩია სცენარი, სადაც უნდა გადაეღოთ იგი. ჰელენიც კითხულობდა სცენარებს, მაგრამ მათში ვერ პოულობდა ნამდვილ, შესაფერ როლს. ოჯახი კი მატერიალურ გაჭირვებას განიცდიდა, და იგი იძულებული გახდა დათანხმებულიყო გადაღებაზე, რომელმაც ფული მოუტანა, სამაგიეროდ, ბედნიერება შორს დარჩა.

ახლა ჯონ ჰელენი ორმოცი წლის მამაკაცია, ჰყავს ცოლი და სამი შვილი. ჯონმა დატოვა ჰოლივუდი. იგი ოჯახით გაემგზავრა ევროპაში, რათა ნამდვილ ხელოვნებას ზიარებოდა და ოჯახიც კმაყოფილი ჰყოლოდა.

მე მაგონდება ჰოლივუდის „მსუბუქი" ფილმი „უგუნური ქალი", რომელსაც სიამოვნებით შევუცვლიდი სათაურს და „შეშლილ ქალს" დავარქმევდი. ფილმის მთავარი გმირი ახალგაზრდა, საინტერესო ქალია, რომელიც სახეზე ნიღაბს ატარებს, ჯიბით კი იარაღს. თუ ვინმეს მოეწონება, უნდა იმსხვერპლოს. ასე დაიღუპა ოთხმოცდაცხრამეტი ახალგაზრდა და აი, მეასედ უნდა დაექუხა იარაღს, მაგრამ მოხდა სენსაცია. ქალს შეუყვარდა მეასე კაცი. სახიდან ნიღაბი მოიძრო და ვნებააშლილი მოეხვია თავის სამსხვერპლოს.

ასეთ ფილმებს ასობით უშვებს ჰოლივუდი, რომლის მიზანია, რაც შეიძლება მეტი ფული მოხვეტოს. რაღა თქმა უნდა, ასეთ ფილმებში არ ითამაშებდა ჯონ ჰელენი.

მე გავიცანი დუგლას ფერმენსკი, მერი პიკფორდი, არაერთხელ ვყოფილვარ პოლ რობსონთან.

რობსონი პოლის ბატონის გვარია, ვისთანაც მუშაობდა პოლის მამა. შემდეგ სვეგამწარგბული კაცი კანადაში წავიდა. გაქცეულმა თავისი ბატონის გვარი აირჩია და არმიაში ჩაეწერა.

პოლმა თავისი ბუნებრივი ნიჭის წყალობით თეთრკანიანთა სკოლა დაამთავრა, მერე უნივერსიტეტშიც შევიდა, სადაც მარტო ის იყო შავკანიანი. ახალგაზრდა იურისტი თამაშობდა ფეხბურთს, რადგან ქიმიკოსი ცოლის ხელფასი ოჯახს არ ჰყოფნიდა. 1925 წელს პოლი ცნობილი მომღერალი გახდა. 1929 წლიდან იწყება მისი გასტროლები. მეუღლესთან ერთად მან მრავალი ქვეყანა მოიარა. იგი ლონდონში ჩავიდა, როგორც ეკვით შეპყრობილი ოტელო. საბჭოთა კავშირში პოლმა ელექტროტექნიკურ ინსტიტუტში სასწავლებლად ჩამოიყვანა თავისი ვაჟი.

1956 წელს ინგლისის პრემიერ მინისტრის იდენის მიწვევით პოლ რობსონი საგასტროლოდ უნდა გამგზავრებულიყო, მაგრამ აშშ მთავრობამ უარი უთხრა ამ გასტროლებზე. მე პირადად მინახავს პოლი — ოტელო და აღტაცებული დავრჩენილვარ მისი მაღალოსტატური თამაშით.

ჩვენს გემზე ხშირად მოდიოდნენ ცნობილი ადამიანები. არასდროს დამავიწყდება ტარზანის როლის შემსრულებლის ჯონი ვეისმიულენის სტუმრობა. როცა ის გემბანზე დადიოდა, გემი თითქოს სიმძიმისაგან იზნიქებოდა. მე მისი მონაწილეობით მინახავს ჩვიდმეტი ფილმი იმ ორმოცი სერიიდან, რომელსაც ამერიკელი მწერლის ედგარ ბერროუზის ნაწარმოების მიხედვით იღებდნენ. ედგარს ოცდასამი ტომი აქვს დაწერილი ტარზანზე.

იების სურნელი მოჰყვა მილიცა კორიუსის იისფერ თვალებს ჩვენს გემზე. ღიმილი? ოო, მე არასოდეს არ დამავიწყდება ამ ჰაეროვანი ქალის ღიმილი. მისი ღიმილი შენც გემახსოვრება, ჩემო მკითხველო, ფილმიდან „დიდი ვალსი“, სადაც კარლა დონერის როლს ასე შესანიშნავად თამაშობს მილიცა კორიუსი.

მე გავიცანი გრიგორი პეკიც, მასზე ამბობდნენ, ქართველიაო. ამიტომ, ყურადღებით ვათვალიერებდი პეკს და ვეძებდი რაღაც ქართულს, რაღაც მშობლიურს. პეკს მართლაც, ჰქონდა რაღაც ქართული, ნათესაური.

სიამოვნებით ვისმენდი, როგორ გახდა პეკი ჰოლივუდის ვარსკვლავი. 1944 წელს პეკის, კემბრიჯის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის განყოფილების სტუდენტს ფიქრადაც არ ჰქონდა

მსახიობობა. ერთხელ სტუდენტურ წრეში მიიწვიეს, მერე მაყურებლიდან სცენაზე გადაინაცვლა, ჯერ უნივერსიტეტში, მერე პროფესიონალურ თეატრში, და ნიუ-იორკის დრამატულ სკოლაში იგი, სტანისლავსკის სისტემით გატაცებული, სტრასბერგის გავლენის ქვეშ მოექცა.

1947 წელს ახალგაზრდა მსახიობმა პირველად ითამაშა კინოში. ეს იყო ფილმი „დიდების დღეები", სადაც პეკმა საბჭოთა პარტიზანის სახე განასახიერა.

1952 წლიდან კი თავისი ბედი სამუდამოდ დაუკავშირა კინოს. ჩვენმა მაყურებელმა აღტაცებით მიიღო რომაული არდადეგები". პეკს ძალიან უყვარს ფინჩის სახე, რომელიც ბრალდებულ ზანგს იცავს სამხრეთ ამერიკაში. ფილმიდან „მოკვდეს ჯაფარა", და არც ტყუილად, მან ხომ ოსკარის პრემია დაიმსახურა.

ვის არ უნახავს ფილმები, სადაც პეკი თამაშობს: „მილიონი ფუნტი სტერლინგის ბანკის ბილეთი", „რომაული არდადეგები", „უკანასკნელ ნაპირზე". შესანიშნავი სახე შექმნა პეკმა ფილმში „მირაჟი", სადაც იგი ბრალს სდებს ბიზნესს. ამ ფილმში პეკი მეცნიერი ფიზიკოსის როლს ასრულებს.

მე ვიცნობ მას, როგორც წმინდა და პატიოსან კაცს, ცოტა მიამიტსაც კი, დიდი სულიერი სითბოსი და იუმორის პატრონს. მე მიყვარს პეკი. და არც შეიძლება იცნობდე და არ გიყვარდეს იგი. უკანასკნელად ჩვენ ჟერარ ფილიპის დაკრძალვაზე შევხვდით ერთმანეთს.

ჩალის ფასად გაყიდული ციხესიმაგრე

გემი ნელ-ნელა უახლოვდებოდა კალიფორნიის იმ ნაწილს, სადაც ოდესღაც რუსების ციხესიმაგრე მედიდურად გადასცქეროდა სანაპიროს.

მამაცმა რუსმა მეზღვაურებმა თავიანთი სიტყვა ჩაწერეს ამერიკის წყნარი ოკეანის სანაპიროს ჩრდილოეთისა და ჩრდილო-დასავლეთის აღმოჩენის, შესწავლისა და ათვისების ისტორიაში. 1732 წელს ფედოროვმა და გვოზდევმა შეადგინეს მა-

ნამდე უცნობი ალასკის ნაპირების დაწვრილებითი რუკა და აღმოაჩინეს კუნძული უნმაკი.

1741 წელს რუსეთის ექსპედიციებმა ჩირიკოვის და ბერინგის მეთაურობით შეისწავლეს ამერიკის ჩრდილო-დასავლეთი სანაპირო და მოგვცეს ამ სანაპიროსა და მახლობლად მდებარე კუნძულების დეტალური აღწერა.

XVIII საუკუნის დასასრულს რუსმა მრეწველებმა და მეზღვაურებმა დაიწყეს დასახლება ალასკასა და ამერიკაში, აგებდნენ ციხესიმაგრეებს, აწყობდნენ კოლონიებს.

რუსებმა მალე გამონახეს საერთო ენა ინდიელებთან. შეასწავლეს მათ პირუტყვის მოშენება, მარცვლეულის თესვა-მოყვანა, გახსნეს სკოლები. ადგილობრივმა ხალხმა ნებაყოფლობით მიიღო რუსეთის ქვეშევრდომობა.

XIX საუკუნის დასაწყისში, სან-ფრანცისკოს უბის ჩრდილოეთით 60 კმ დაშორებით ნავსადგურიდან, ამერიკაში აშენდა რუსეთის სამხრეთი საყრდენი ციხე-სიმაგრე — როსი. ამ კარგ თაოსნობას ბოლოც კარგი ესაჭიროებოდა. მეფის ბეც მოხელეებს ძალა არ ეყოთ, გაეთვალისწინებინათ, თუ რა დიდი მნიშვნელობა ექნებოდა მის კოლონიებს წყნარ ოკეანეში და იგი 1839 წელს იჯარით მისცეს ერთ ინგლისელ კამპანიას. შემდეგ ნიკოლოზ პირველის ბრძანებით კოლონია როსიც გაიუქმეს. მისი მეურნეობა ხელთ იგდო ერთმა შვეიცარიელმა. ცოტა გვიან, 1867 წელს, მეფის მთავრობამ ჩალის ფასადო, რომ იტყვიან, ისე მიჰყიდა აშშ-ს ამერიკის ხმელეთზე და კუნძულზე არსებული რუსეთის მთელი სამფლობელო. 7,2 მილიონი დოლარი მიიღო მეფის რუსეთმა ამ ადგილებში. სამაგიეროდ, დაჰკარგა ეკონომიური და სტრატეგიული თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანი პოზიციები წყნარ ოკეანეში. ამერიკელებს ახლა მოგონებაც არ უყვართ იმისა, რომ წყნარი ოკეანის ჩრდილოეთი ნაპირი და მიმდგომი კუნძულები რუსებმა აღმოაჩინეს. თანამედროვე ინგლის-ამერიკელი გეოგრაფების და კარტოგრაფების მიერ შედგენილ სახელმძღვანელოებსა და რუკებში ამაოდ დაუწყეთ ძებნას ალასკისა და ჩრდილო კალიფორნიის რაიონების იმ სახელწოდებებს, რომლებიც გეოგრაფიულ აღმოჩენათა ისტორიაში ოდესღაც რუსმა ადამიანებმა ჩაიწერეს.

ლოცმანმა ჩვენი გემი ოკლენდის ნავსადგურში დააყენა. საშუალება მოგვეცა გამოგვეძახა ტაქსი და პირველ რიგში წავსულიყავით სან-ფრანცისკოს შვიდკილომეტრიანი ხიდის სანახავად.

ნავსადგურის ერთ-ერთმა მუშამ საკუთარი „სახლით" შემოგვთავაზა ექსკურსია.

ეს „სახლი" მოძველებული მანქანა იყო, რომელსაც მუშა საცხოვრებლად იყენებდა. (ამერიკის შეერთებულ შტატებში ათასობით ადამიანი ცხოვრობს ავტომობილებში, რომლებსაც უვარგისობის გამო აგდებენ პატრონები).

ჩვენ ვნახეთ ძველი მანქანების „სასაფლაო". აქ ბევრი უსახლკარო შოულობს შესაფერ „ბინას". ჩვენს ნაცნობ მუშასაც აქ უპოვია დანგრეული და გადაგდებული ძარა, აღუდგენია და ახლა თავისუფლად დააქროლებს ქუჩებში.

ხიდი მართლაც რომ შესანიშნავია. ქვედა სართულზე რკინიგზის მატარებლები დადიან. ზედაზე — ავტომანქანები. ტექნიკის ეს ნამდვილი სასწაული ყველა მნახველის გაოცებასა და აღტაცებას იწვევს.

გასაოცარი კი აქ ხშირად შეგხვდება. გაგვაკვირვა ნავსადგურში უმოქმედოდ მდგარმა მრავალმა გემმა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როცა იმპერიალისტურ სისტემას რამდენიმე ქვეყანა გამოაკლდა და ეკონომიური კრიზისი გაძლიერდა, მკვეთრად შემცირდა აშშ-ს საზღვაო ტვირთბრუნვა. ასე რომ, აქ, სან-ფრანცისკოში, მანქანების „სასაფლაოდან" ცოტა მოშორებით, გემების „სასაფლაოცაა", სადაც 2 000-ზე მეტი გემი განისვენებს.

ჩვენი ჩასვლის მეორე დღეს გემზე რამდენიმე ათასი დოლარი მოგვიტანეს ეკიპაჟისათვის. როცა აგენტი მანქანიდან გადმოვიდა, მას რამდენიმე პოლიციელიც მოჰყვებოდა.

სადილის შემდეგ აგენტი და პოლიციელები გამოგვეთხოვნენ. ფული მაგიდაზე დავტოვე ჩემს კაიუტაში და მათ გასაცილებლად გამოვედი. მასპინძლებმა გაოცებით ამათვალიერეს და გამახსენეს, რომ ფული არ შემინახავს.

— კი, მაგრამ ვინ წაიღებს? — ვკითხე მე.

— როგორ თუ ვინ?! — და დაბნეულად გადახედეს ერთმანეთს, მერე მზერა ჩემს მეზღვაურებზე გადაიტანეს. მე გა-

მეცინა, არა, ისინი არასოდეს აიღებენ, რაც მათ ბრ ეკუთვნით-მეთქი.

აგენტმა მითხრა, როცა ათას დოლარზე მეტი გაქვთ, ყოველთვის პოლიციაა საჭირო, პოლიცია და დაჯავშნული მანქანა.

ჩვენ დიდხანს ვიცინოდით ამაზე, მერე მათაც გაეცინათ. მე გამახსენდა ჩარლზ ჩაპლინის ნათქვამი: ამერიკელებს უყვართ იუმორი და ბრწყინვალედ აჩვენეს ეს, როცა აშშ-ში დაბრუნება ამიკრძალესო.

ჩვენი იუმორი კი სევდიანად დაბოლოვდა. ამერიკელმა თავისი მანქანა ვერ იპოვა. პოლიციელებმა აქაც გაიხუმრეს, ერთი საცოდავი მანქანისათვის ნერვების მოშლა არ ღირსო.

ზღაპრის დასასრული

სან-ფრანცისკოში ჯეკ ლონდონის ლუდხანაში შევედით. ლუდხანას „ოქროს დასავლეთი“ ჰქვია. ეს წარწერა ახალია. ძველად სხვა წარწერა ჰქონია. გამოხუნებული ასოები ახლაც ეტყობა მკრთალად: „პირველი და უკანასკნელი შანსი“. ეს სახელი, როგორც გვითხრეს, ჯეკს უწოდებია ლუდხანისათვის, რომელიც მყუდრო მუზეუმს ან კლუბს უფრო წააგავს. ლუდხანა გემების ნამსხვრევებისაგან არის აგებული, იმ გემებისა, რომლებიც წყნარ ოკეანეში დაიღუპა და ნაწილ-ნაწილ ამოიღეს სანაპიროზე. კედლებზე ილუსტრაციებია ჯეკ ლონდონის მოთხრობებიდან. აქვეა მისი გმირები, მრავალ ენაზე გამოცემული ლონდონის წიგნები და შთაბეჭდილებათა წიგნი, სადაც არაერთ გამოჩენილ ადამიანს ჩაუწერია თავისი აზრი.

ჩვენ ერთ-ერთ მაგიდას ვუსხედით და ლუდს ვსვამდით, როცა ხმაურით გაიღო კარი და ბარში ახალგაზრდების ჯგუფი შემოვიდა. მათ წინ სახეშეღებილი ქალიშვილი მოუძღოდათ. ეტყობოდათ, კარგად ექეიფათ, და ახლა აქ სურდათ გაეგრძელებინათ ნადიმი.

ქალიშვილს კარგად ეცვა, ეტყობოდა, მდიდარი ოჯახიდან იყო. ამას ისიც ამტკიცებდა, რომ მისი თანამგზავრი ვაჟები

შოწიწებით ექცეოდნენ ასულს, ერთს ქალის ქოლგა ეჭირა, მეორეს ქუდი და ხელჩანთა. ქალიშვილი მიუახლოვდა ჩვენ პირდაპირ მდგარ მაგიდას და საუკეთესო ღვინო და საუზმე შეუკვეთა. ეტყობა, კავალრების დაჩრდილვას ფულებით ცდილობდა. იგი ნებიერად ფანტავდა დოლარებს. მერე მისი მზერა ჭურჭლის კარადაში დადგმულ მოზრდილ ბროლის კათხაზე შეჩერდა.

— მომაწოდეთ აი ის კათხა, მსურს ჩემი სადღეგრძელო იმით შეისვას, — ჟინიანად წამოიძახა ქალმა.

— ოო, ეს კათხა ჩვეულებრივი როდია ქალიშვილო. ამ კათხით თვით ჯეკ ლონდონი სვამდა ლუდს.

— მით უმეტეს, — წამოიყვირა ქალმა, — ჯეკ ლონდონის კათხა ეს ხომ სენსაციაა, მე ვყიდულობ მას.

დახლზე ხუთდოლარიანი ქაღალდები დაცვივდა.

ბარმენს უნდოდა სასმისი გაეწმინდა, მაგრამ მყიდველმა არ დაანება.

— ხელი არ ახლოთ, მტვრიანად შემიხვიეთ, ეს ხომ ჩვეულებრივი მტვერი არ არის.

კათხა სათუთად შეახვიეს და ქალს გადასცეს. ჩვენ დავინტერესდით ამ ამბით და თასის ისტორიით.

ბარმენმა ღიმილით გვაუწყა: ასეთი კათხა უკვე რამდენჯერმე გავყიდეო.

ლუდხანის პატრონი ჯეკ ლონდონის პირადი მეგობრის ჰაინოლდის შვილია. ჰაინოლდთან კი, ვინ იცის, რამდენჯერ უმოგზაურია მწერალს და იგი მოთხრობებშიც არ დავიწყებია. ახლა კი ლუდხანა ჰაინოლდის შვილს სახელსაც აძლევს და სახრავსაც.

ჩვენი ბარში მისვლაც დიდი რეკლამა იყო ბარმენისათვის. ვინ იცის, შემდეგ ტრაბახობდა კიდეც: აი ნახეთ, საბჭოთა ქვეყნიდანაც კი მოდიან ჩვენთან ლუდის დასალევადო.

აქედან ჩვენ ჯეკ ლონდონის საფლავზე წავედით. მწერალი მაღალ ბორცვზეა დამარხული, სან-პაბლოს სრუტის ნაპირას, საიდანაც კარგად ჩანს გემებით სავსე ნავსადგური და სან-ფრანცისკოს ხედი. საფლავის ქვაზე უბრალო წარწერაა: „1876—1916 წ. წ. ჯეკ ლონდონი“. იქვეა დამარხული „პასუ-

მი" — ლონდონის საყვარელი ძაღლი. სასაფლაოსთან ახლოა მწერლის ბინაც.

ჯეკ ლონდონის ქვრივმა, ჩერმიან ლონდონმა, დიდხანს როდი გვალოდინა, ტკბილი ღიმილით შემოგვეგება საბჭოთა მეზღვაურებს. სიხარული და მოკრძალება თან შეგვყვა განთქმული მწერლის, მოგზაურისა და მეზღვაურის ბინაში.

ჩემი მეზღვაურად გახდომის მიზეზი სწორედ ლონდონის ნაწარმოებებია. მე, ქუთაისელ კაცს, რომელსაც ბავშვობაში ორჯერ თუ მენახა ზღვა, როგორ შეიძლებოდა ასე ძალუმად შემყვარებოდა მეზღვაურობა...

მისაღებ ოთახში წიგნებით სავსე ორი კარადა დგას. აქ არის ლონდონის ნაწარმოებები საბჭოთა ქვეყნის სხვადასხვა ენებზე თარგმნილი.

ჩერმიანმა იცის, რომ საბჭოთა ქვეყანა ერთადერთი ქვეყანაა, სადაც ლონდონის ყველა ნაწარმოებია თარგმნილი.

ერთ-ერთი კარადის თავზე რუსი მეზღვაურის ქუდი დევს. იგი ლონდონს შეუძენია. როგორც დიასახლისმა გვიამბო, მწერალი უკანასკნელ წლებში გატაცებით სწავლობდა რუსულ ენას და რუსეთში ჩასვლასაც აპირებდა, პირველ იმპერიალისტურ ომს. რომ არ შეეშალა ხელი.

ჩვენ სამუშაო ოთახში ვართ, სადაც 1911 წლის სექტემბერში გადმოვიდა ლონდონი. სახლი ექვსი ოთახისაგან შედგება. საწოლი და სამუშაო ოთახი სამხრეთ აღმოსავლეთის მხარეს მდებარეობს. მწერლის ლოგინის სასთუმალი ხან მაღლა იწევს, ხან დაბლა. მწერალს ხომ ლოგინში მჯდომარეს უყვარდა კითხვა და წერა. აქ იწერებოდა უკვდავი ნაწარმოებები.

საწერი მაგიდის ზემოდან მწერლის სურათი დაგვაცქერის. მაგიდაზე ქაღალდებია გაფანტული, ისე როგორც ლონდონმა დატოვა. ფანქრებიანი ჭიქა, პაპიროსები, რძის ბოთლები.

მეორე ოთახში თავმოყრილია მრავალ ენაზე გამოცემული ლონდონის თხზულებანი.

ჩერმიანი სევდიანად შესცქერის კედელზე დაკიდებულ სურათს, ცრემლიანი ხმით გვესაუბრება გარდაცვლილ მეუღლეზე. გვაწვდის ლონდონის მშობლების, ფლორასა და ჯონის სურათებს. აი, პატარა ჯეკიც, იგი 1876 წელს დაბადებულა ქა-

ლაქ ფრისკოში. ზანგი მოახლე ქალი, მისის პრენტისი, რომელიც ჯეკს ძუძუს აწოვებდა, დედაზე მეტად უყვარდა პატარას და ხშირად დედასაც ეძახდა თურმე.

დაწყებითი სკოლის უკანასკნელ კლასში იყო ჯეკი, როცა მისმა ნარკვევმა „ტაიფუნი იაპონიის ნაპირებზე" პირველი პრემია დაიმსახურა, რამაც სახელთან ერთად 25 დოლარი მოუტანა. თოთხმეტი წლის ჯეკი მუშაობას იწყებს კონსერვების ქარხანაში. მსახურობს სავაჭრო გემებზე მატროსად, მუშაობს ჯუთის ფაბრიკაში, არის ელექტროსადგურის მეცეცხლური, სკოლის მეკარე, ოქროსმაძიებელი.

1899 წელს მტვირთავადაც მოინდომა მუშაობა, მაგრამ არ გაუმართლა.

ჩერმიანი ნაღვლიანად იგონებს 1900 წელს, როცა გაიცნო ჯეკი. ისინი ჩქარა დაქორწინდნენ. 1910 წელს მათ შეეძინათ ქალიშვილი ჯოი, რაც ნიშნავს სიხარულს. ლონდონი ბევრს მოგზაურობდა; სურდა საკუთარ თავზე გამოეცადა ყველაფერი.

სიკვდილი? ლონდონს სრულებით არ ეშინოდა მისი. „სიკვდილი დასვენებაა, სამუდამო სიმშვიდე. მე გპირდები, სადაც არ უნდა გადავეყარო სიკვდილს, ყოველთვის ღიმილით შევხვდები მას," — ეუბნებოდა ხშირად მეუღლეს.

შეუძლებელი იყო მასთან ერთად მანქანით მგზავრობა, ისე სწრაფად დაჰყავდა მანქანა.

ჯეკ ლონდონი კუჭნაწლავის კენჭოვანი დაავადებით მომკვდარა. მისი სხეული ოკლენდის კრემატორიუმში დაწვეს. ჯეკი გარდაიცვალა მოულოდნელად სავარძელზე, რომელზეც 24 საათით ადრე ნებიერად მიწოლილი ცოლს ეუბნებოდა: — შენ უნდა გამიგო. შენ ყველაფერი ხარ, შენ ერთადერთი სიმდიდრე ხარ, რაც მე გამაჩნია...

მრავალსართულიანი ამერიკა

ნიუ-იორკი. ჩრდილო ამერიკის უდიდესი ნავსადგური, ცნობილი თავისი ცათამბჯენებით. აი, ამერიკული საოცრება: სართულები, სართულები, ნაირფერი და მრავალრიცხოვანი.

ნელ-ნელა ვუახლოვდებით ამ თვალსაამო სანახაობას. მერედა რა რიგ ლამაზია ნიუ-იორკი, განსაკუთრებით ღამით, როცა რეკლამებით გაშუქებული ტანმაღალი და მოხატული შენობები სულიერივით აფორიაქებს ადამიანის სულს. თავზე ასორსართულიანი „ემპაიერ სტეიტ ბილდინგი“ დაგვცქერის, ეს ამერიკის თანამედროვე „სასწაული“, რომელშიც 20.000 ადამიანი ცხოვრობს და მუშაობს და რომლის გიგანტური სიმაღლე 500 მეტრს აღწევს. ეს არის ამერიკის შეერთებული შტატების სიამაყე, რომელსაც 1931 მოეხსნა ხარაჩოები.

და ჩვენც მივეშურებით საოცრებათა სამყაროში. ვინ ფეხით ირჩევს გასეირნებას, ვინ მანქანაში ჯდება. გავდივართ ბრუკლინის ხიდზე. ხიდი 1883 წელს შევიდა ექსპლოატაციაში და საინჟინრო ხელოვნების შედევრს წარმოადგენს. ამ ხიდს სხვა ღირსშესანიშნაობაც გააჩნია. ამ ხიდზე ბევრი ხელმოცარული ადამიანი წყვეტს თავის ბედს, რისთვისაც მას თვითმკვლელობის ხიდს ეძახიან.

ნიუ-იორკში სულ 50 ხიდია. მათ შორის ყველაზე უდიდესი აკავშირებს ბრუკლინს რიჩმონდთან. ბროდვეი ქალაქის უდიდესი სავაჭრო მაგისტრალია. აქ შეიძლება, იყიდო ნემსი და იყიდო აქლემი. ეს მაგისტრალი ქალაქს დიაგონალზე ჰყრფს.

აქ გამეფებულია ფუფუნება, მილიონები, ნებიერი ადამიანები, ახირებული სურვილები... მაშინ სადღა არიან მუშები და უმუშევრები?

ჰარლემში ყოველთვის ნახავთ შიმშილს, ნახავთ სიცივეს, სიღარიბეს და პატიოსნებას, აქ ხშირია შეტაკებები. ერთ-ერთი ასეთი შეტაკება 1964 წელს მოხდა, როცა პოლიციელებმა უდანაშაულო ზანგები დახვრიტეს. ექვსი დღე-ღამე მიმდინარეობდა ბრძოლა ზანგებსა და პოლიციელებს შორის. სახურავებიდან წვიმასავით მოდიოდა ქვები და აგურები, ასაფეთქებელი აირებით სავსე ბოთლები. ფაქტიურად ჰარლემი გეტოს წარმოადგენს, თავისი დამახასიათებელი სოციალური და ეკონომიური პირობებით.

აქ ზანგებს ხშირად ავიწროებენ. ცდილობენ თავიანთი ავანტურისტული მიზნებისათვის გამოიყენონ ისინი. იყო ასეთი შემთხვევა. ქუჩაში ერთმა ზანგმა, რომელიც ზურგიდან

მომიახლოვდა, ხელი ჩამიყო ჯიბეში. მეორემ ფეხი დამიდო... ვიცოდი, ისინი თავისი სურვილით როდი იქცეოდნენ ასე. მათ უკან ფოტოაპარატებით შეიარაღებული ამერიკელი ცნობისმოყვარენი იდგნენ. ალბათ უნდოდათ გადაეღოთ, საბჭოთა მოქალაქეებიც სცემენო ზანგებს, რომ მერე მსოფლიოს პრესას მოსდებოდა ეს ამბავი, ახალი და სენსაციური, მაგრამ... ვერ გადაიღეს ასეთი ფაქტი. მე მშვიდად ამოვაღებინე ხელი ზანგს, მეორეს კი, ფეხი რომ დამიდო, მოხერხებულად გავეცალე. ასე რომ, ამჟამად თამაში წააგეს ამერიკელმა სენსაციონერებმა.

ამერიკა „თავისუფლების" ქვეყანაა.

მანქანის სპიდომეტრი 150 კმ უჩვენებს საათში. ჩვენ ლონგ აილენდზე ვართ, რაც ინგლისურად გრძელ კუნძულს ნიშნავს. კუნძულზე ბრწყინვალე აგარაკებია.

ბენზინის ჩასასხმელთან ახლოს, ლუდისა და სხვა სასმელების ფარდულში, სავაჭრო ფლოტის მეზღვაურები მოგვიახლოვდნენ. უნდა ითქვას, რომ ამერიკაში მოულოდნელ ადგილას წააწყდება კაცი სასაუზმეებს. თქვენ აფთიაქში ხართ წამალზე და გიწევთ მოცდა, შეგიძლიათ დანაყრდეთ იქვე. ან თქვენს მანქანას ბენზინი შემოაკლდა... იქვე შეგიძლიათ დალიოთ ლუდი. როცა ამერიკელებმა გაიგეს, საბჭოთა მეზღვაურები არიანო, გვინდოდა თუ არ გვინდოდა, მაინც მოგვაყარეს ლუდის ბოთლები.

საუბარი სავაჭრო ფლოტის მეზღვაურების მდგომარეობას შეეხო. მასპინძლებმა გვითხრეს, რომ მათ ფლოტს პირველი ადგილი უჭირავს მსოფლიოში... თვითმკვლელობის მხრივ.

აქ, აშშ სავაჭრო ფლოტში, ჯანმრთელობის შემოწმება თითქმის სრულებით არ ხდება, საბჭოთა ქვეყანაში კი ერთი მეზღვაური ყოველწლიურად ათი ექიმის ხელში გაივლის. გაანგარიშებულია, რომ მეზღვაურის ერთი დღის მკურნალობა შეერთებულ შტატებში 49 დოლარი ღირს, ქირურგიული უფრო მეტიც. როცა ერთ ამერიკელს ჰკითხეს, რისი გეშინია ყველაზე მეტადო, გულწრფელად აღიარა, ავადმყოფობისაო.

ამერიკა ხომ „საოცრებათა" ქვეყანაა. ეს „საოცრება" ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეგიძლიათ ნახოთ და ჩვენც როდი მოგვანატრა თავი. ტყავის ნაწარმის მაღაზიაში შესვლისთანავე

წავაწყდით მას. შესასვლელთან. მოზრდილ მოედანზე ნაირგვარი ხარისხის ჩემოდნები იყო გამოფენილი. უკრავდა მუსიკა და მუსიკის ხმაზე გასაოცარი სიჩქარით ცეკვავდა მშვენიერი ნახევრადშიშველი ქალიშვილი, ცეკვავდა ჩემოდნებზე. რეპროდუქტორიდან გვატყობინებდნენ, რომ ეს ჩემოდნები იშვიათი გამძლეობისანი იყვნენ და სიმაგრით რკინის ყუთებსაც არ უდებდნენ ტოლს. „იყიდეთ ჩემოდნები მხოლოდ ჩვენთან", — ისმოდა რეპროდუქტორიდან. ორიგინალური რეკლამაა. ვერაფერს იტყვი.

ბოლო წლებში რეკლამებს სხვა მოვალეობაც დაეკისრათ. მისი მნიშვნელობა მიმართულია ამერიკელი მოქალაქის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებისკენ, ახალგაზრდობის მორალურ-პოლიტიკური აღზრდისაკენ.

შევდივართ ერთ მაღაზიაში და გვაოცებს გამყიდველთა სახეები. ისინი რატომღაც თვალთმაქცურად იღიმებიან, როცა დახლთან მყიდველი მიდის.

არ გეცინება? მერე რა. მაინც უნდა გაიცინო, არ გაიცინებ და სამუშაოსაც დაკარგავ.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საქმოსნების ერთმა ჯგუფმა წყნარი ოკეანის კუნძულებზე დარჩენილი ნაომარი იარაღი შეიძინა. რკინის ფასად იყიდეს ეს იარაღი. ადგილობრივი მოსახლეობა კმაყოფილიც დარჩა, რომ მოაცილეს იქაურობას ეს ომისა და სიკვდილის მაცნე, ცეცხლსა და ტყვიას რომ აგონებდა გამვლელს. რამდენიმე თვეც არ გასულა და საქმოსნებმა ამ იარაღის მეშვეობით მილიონობით დოლარი ჩაიჯიბეს.

ამერიკაში ამბობენ, ყველას შეუძლია გამდიდრდეს და პრეზიდენტიც გახდესო.

სენ-კლოუელი
პენი ბენერი

ცოტა რამ სპორტზე.

შორეული ნაოსნობის მეზღვაურებს არაერთხელ გვინახავს კაპიტალისტური ქვეყნების სპორტი. „სქელთა მუსიკას" ეძახდა ამ ისტერიულად გაგრძელებული ჯაზების ხმაურს მაქსიმ გორკი. მუსიკა გასუქებულ ბურჟუებს ართობს მხოლოდ. და ასე ჩნდება „მსუქანთა სპორტი". ამ სპორტს უბედურება

შოაქვს ბევრისათვის, ხშირია სიკვდილიც. სქელები მოსაწყენად თვლიან ნორმალურ, სპორტულ პაექრობას. ეს ხომ მათ ნერვებს არ აღიზიანებს, არ აღაგზნებს ცხოველური ინსტინქტებით და ამიტომაც შეიქმნა სპორტის ახალი სახე „კეტჩი“. იგი ამერიკული ცხოვრების ერთ-ერთი ნაწილია. ამ სპორტში არავითარი კანონი არ არსებობს. მოწინააღმდეგეს შეგიძლია დაუმტვრიო ხელები, ფეხები, გააგდო საასპარეზო მოედნიდან და მოაკვნიტო ყურიც.

ჩვენ ვნახეთ, რა არის „კეტჩი“.

ერთ-ერთი მატჩის დროს მსოფლიო ჩემპიონმა კილერ კო-



იცნობდეთ კილერ კოვალსკის, მსოფლიო ჩემპიონს კეტჩში
და „დატკბით“. მისი ძალოვნებით

ვალსკიმ ყური მოაკვნიტა მეტოქე იუხანუ ერიკს. იმავე კოვალსკიმ ბრძოლის განსაკუთრებული მეთოდი შეიმუშავა — ბრჭყალებით ბრძოლა, რაც ძლიერი ღონის ადამიანებს შეუძლიათ მხოლოდ, თუმცა ისედაც ვერავინ უმაგრდებოდა, როცა კოვალსკი ამჩნევს, რომ მეტოქეს მუცლის კუნთები დაურბილდა, ფრჩხილებით ჩააფრინდება ნაღვლის ბუშტის არეში ისე ძალუმად, რომ მოწინააღმდეგე მაშინვე კარგავს გონებას და „კეტჩიც“ ხომ ამას ნიშნავს — „იმოქმედე როგორც გინდა“ — სამართლიანი სახელწოდებაა.

მაგრამ ყველაზე საზიზღარ ბრძოლად ქალთა „კეტჩი“ გვევლინება. ვნახეთ ამერიკის ჩემპიონ ქალთა ბრძოლაში პენი ბენერი. მან დაამახინჯა მოწინააღმდეგე ლორიენ ჯონსონი. მერე ხელი ამოუგდო კეიზ როუბლს. პენი ბენერი 20 წლის ქალიშვილი ყოფილა, როცა დაუტოვებია სენ-ლოუ და კოლუმბიაში ჩამოსულა, ოჰაიოს შტატში. ოქროსთმიან ქალიშვილს მემანქანედ დაუწყია მუშაობა. ერთხელ ვიღაც მამაკაცს წალაპარაკებია და ისეთი ძალით გაურტყამს სილა, რომ კაცი დაცემულა, მაგრამ პენი ბენერი მაინც აგრძელებდა ცემას. ხალხი გაოცებული იყო. თვით პენი კი აღფრთოვანებული შესცქეროდა მსხვერპლს და უხაროდა, რომ აჯობა კაცს.

წარმოიდგინეთ, როგორი მოულოდნელი იყო ეს პენისათვის და პენიმაც იპოვა თავისი ადგილი. ამერიკაში არსებობს „ბილი-ვულფას“ სკოლა, სადაც ქალიშვილები ეუფლებიან „კეტჩს“. პენი ბენერმა შეძლო ჩქარა აეთვისებინა სპორტის ეს სახე. რამდენიმე წელია მას მეტოქე არა ჰყავს. პენი მეტოქის ცემას უფრო იფერებს, ვიდრე მამაკაცის ალერსს.

ხდება ასედაც. გამწარებული მოწინააღმდეგე ასპარეზს ტოვებს და ბრძოლას დარბაზში აგრძელებს. ასეთ ბრძოლაში ხშირად მაყურებელიც ჩაერევა ხოლმე. პოლიცია კი ჩხუბის დასასრულს გამოჩნდება. ან რად შეუშალოს ხელი? ეს ხომ სპორტია. სპორტის სახეა ისეთი ველური შეჯიბრებანიც, როგორიცაა — ვინ უფრო მეტ ხანს შეძლებს ბრძოლას ყინულზე. ვინ უფრო მეტ ცოცხალ თევზს გადაყლაპავს. ვინ მეტ ლუდს დალევს... არის ასეთებიც: ცირკის არენა დაფარულია 15—20 სმ სისქის ტალახით. მასში 20—25 კაცი და ქალია. მათი მიზანია, რაც შეიძლება სწრაფად გაირბინონ განკუთვნილი

რაოდენობის წრე და ამასთან ერთად უნდა შესძლონ მოწინააღმდეგის ტალახში ჩაგდება. ხან ასეც ხდება, დაცემული წამოდგომას ვერ ასწრებს, ისე ახრჩობენ ტალახში და ემატება მსხვერპლი მსხვერპლს.

რაკი სიტყვამ ქალთა სპორტი მოიტანა, მინდა გავიხსენო, დასავლეთ გერმანიის ნავსადგურში, კილში ქალთა ფეხბურთის მატჩის მოწმენი რომ გავხდით. თამაში დამთავრდა იმით, რომ ერთ მონაწილეს ცხვირიდან სისხლი წამოუვიდა და, როცა იგი მოედნიდან გაიყვანეს, დარჩენილთა შორის ჩხუბი ატყდა. ასე ერთობიან „სქელები“.

შეიძლება ამგვარ ნამდვილად უცნაურ გართობაზე ბევრი ვილაპარაკოთ, მაგრამ აქ გვინდა მოგითხროთ ამერიკაში მეტად პოპულარული „გველების ცეკვის“ შესახებ. გველებს აქმევენ ბლომად. მერე დანიშნულ საათზე გამოჰყავთ ხელში დაჭერილი და იწყება გიჟური ცეკვა, მეოცე საუკუნის გიჟური მუსიკის ტაქტზე. იგრიხებიან ადამიანები, ხელებზე იხვევენ გველებს. ხელებიდან ყელზე გადადის, ყელიდან ფეხებზე ცურდება და ცეკვაეს გველი და კაცი.

ჩვენ მიგვიწვიეს ერთ სანახაობაზე. ოთახის შუაგულში კუბოს მაგვარი ყუთი დევს. მისი სიმაღლე იატაკიდან მეტრნახევარია. ყუთს ზემოდან ბადე აქვს გადაკრული. როცა ოთახი მაყურებლით ივსება, რთავენ შუქს, ნათდება. ყუთის ფსკერზე ახალგაზრდა ქალი წევს და იგრიხება. წევს ფეხებს, ხელებს, შიშვლდება თანდათან, რაც უფრო მეტი ფული შემოდის, მით უფრო აჩქარებს ქალი გახდის ტემპს. საბოლოოდ ის სულ შიშვლდება. იცინის, კვნესის, ხელებს წინ იშვერს, თითქოსდა, გულის საყვარელს უხმობსო. ოთახში ხმაურია, ექსტაზში მოსული მაყურებელი ცდილობს მიუახლოვდეს ყუთს. ხალხი აღგზნებულია, აღტაცებულია. ამას ხშირად ჩხუბიც მოსდევს ხოლმე.

და გასაგებია ყველაფერი ეს. რად უნდა ამერიკას დრამატული თეატრები. ხომ არის ე. წ. „ბურულესკოები“. ეს საუკეთესო შენობები ყოველდღიურად სავსეა ამერიკელებით, აღტაცებულნი რომ შესცქერიან სცენას. სცენაზე ჩაცმული ქალები გამოდიან. ნელი მუსიკა იღვრება ირგვლივ და მუსიკის ტაქტზე ნელ-ნელა იხდიან ტანთ ქალები. მერე კი სრულიად

შიშვლები სეირნობენ მაყურებელთა წინაშე. არც ცეკვავენ და არც მღერიან. დარბაზიდან კი მოფრინავს დოლარები. მამაკაცები ექსტაზში შედიან და ამ წუთებში მზად არიან ყოველგვარ ბოროტებაზე.

კუნძულად ქცეული მარჯნის ნატეხი

წყნარი ოკეანის თვალუწვდენელ სივრცეში ფართოდ გადაშლილა კუნძულოვანი სამყარო ოკეანია.

ოკეანია — სამეფო ქოქოსის პალმებისა და ბანანის ჯალების, ცამდე აწვდილი ხეებისა და საოცრად ლამაზი ფრინველების, უღრანი ბარდების და ფანტასტიკური ზომის გვიმრების.

ოკეანია — ნანგრევები უძველესი ტაძრებისა, შესანიშნავი ჩუქურთმებისა და ქანდაკებებისა.

ოკეანია — სამშობლო ადამიანებისა, რომლებმაც აყვავებულ ბაღნარად აქციეს უდაბური სივრცეები, მშრომელი, ნიჭიერი და გულადი ადამიანების აკვანი.

წყნარი ოკეანე ამჯერად მართლაც წყნარია, ისე განაბულა, თითქოსდა კაშკაშა ტროპიკულ მზეზე თბებაო. ქამიქამ თუ ამოიოხრებს და ცისფერ, გამჭვირვალე ზვირთებს ოდნავ ატყორცნის.

ახალბედა მატროსი ბარანოვი მონუსხულივით შესცქერის ზღვას — რა ზუსტად დაურქმევიაო მაგელანს წყნარი ოკეანე. მე მეღიმება. მაგონდება რამდენი რისხვა, რამდენი ღელვა გამოვიარეთ ამ ოკეანეში ამას წინათ. როცა ზღვა მშვიდია, ვერ წარმოიდგენ, რა გაშმაგება იცის ანაზდად. ახლა კი მართლაც საოცრად დაგვიტკბა ზღვა. ვუახლოვდებით ჰავაის კუნძულებს. მოუთმენლობა გვიპყრობს.

ეს ბუნებრივიცაა, ოკეანია ხომ მუდამ საიდუმლოებებით იყო მოცული მსოფლიოს მეცნიერთათვის. მხოლოდ ლეგენდების წყალობით იცოდნენ მისი წარსული. და მეც ვიგონებ ერთ-ერთ ლეგენდას: თურმე, შორეულ წარსულში უკვდავმა ღმერთებმა კანემ, კუმ და ლონომ შექმნეს ცა და მიწა. მეთევზე კაპუ-ჰეე-უა-ნიუმ თევზაობისას ერთხელ ჩანგალი მარჯნის ნატეხს მოსდო. ის იყო, უკან უნდა გადაეგდო, რომ ქურუმმა

ურჩია: შესწირე ღმერთებს ტახი, ილოცე და ეგ მარჯანი კუნძულად გადაიქცევაო.

ასრულდა ქურუმის ნათქვამი, მარჯანი ჰავაის კუნძულად იქცა. ასე გაჩნდა სხვა კუნძულებიც: მაუი, საჰუ, ნიიჰაუ, მოლოკაი, კაჰულავი, ლანაი. მათ ყველას ჰავაის კუნძულები ეწოდება.

ჯერ კიდევ შორიდან ნათლად მოჩანს ყველაზე მაღალი მწვერვალი მაუნა-კეა (თეთრი მთა).

ტროპიკების შუაგულში, ჩამქრალი ვულკანის მწვერვალზე, მზის სხივებში გახვეული უზარმაზარი მარგალიტივით ბრწყინავს მარადიული ყინული. ფერდობებზე ჯერ ისევ ბოლავს დილის ნისლი.

მთელი ეკიპაჟი მოჯადოებული დგას გემბანზე, თვალს ვერ აცილებს ამ სანახაობას. განსაკუთრებით აღტაცებულია ცეცხლფარეში სმოხინი. ხუმრობა ხომ არ არის საცეცხლურთან განუწყვეტელი მუშაობა და ისიც ტროპიკებში. ამიტომ ნატრობს სმოხინი, ნეტა ნახევარი საათით მაინც ამიყვანა იმ თოვლიან მწვერვალზე, „აი, იმ მთაზედა, თოვლიანზედაო“,— იცინოდნენ მერე ნოდარ ალექსიძე და ოთარ ფხაკაძე. ახლა ალპინისტობაც მოინდომა ჩვენმა სმოხინმაო...

„ა ლ ო ჰ ა“

ლოცმანის მოლოდინში ჩვენ ჰონოლულუზე დავიწყეთ საუბარი. ჰონოლულუ ჰავაის კუნძულების უდიდესი ქალაქი-ნავსადგურია, რომლის შესასვლელში თეთრად აზიდულა ლამაზი კოშკი. პალმის მომწვანო ტოტები ისე გადაფარებია კოშკის გუმბათს, თითქოს ეშინია, არ შეაკრთოს რაიმემო, ცა მუქლურჯად ჩამოღვრილა და კოშკის თეთრ ფონზე კიდევ უფრო ლურჯია, დაუსაბამო ლურჯი. თეთრი კოშკი, თითქოსდა, თეთრი ღრუბლებია შერეული ცის სილურჯეში. ცის ხვაშიადი ლურჯად იღვრება პალმების მწვანე ტოტებზე. „ალოჰა“ — „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება“—ასეთი სიტყვებით ხვდებიან ჰავაელები უცხოელ სტუმრებს.

წინათ იშვიათად თუ გამოჩნდებოდნენ ევროპელები ჰავაის

მიწაზე. ვეშაპზე სანადირო გემები თუ შეიკლიდნენ აქ, ნავსადგურში, ხან მოგზაურები თუ შეყოვნდებოდნენ წუთით, სურსათის მოსამარაგებლად.

ჰავაის რუსი მეზღვაურები ლისიანსკი და კოცებუ ეწვივნენ. მათ მეტად ძვირფასი აღწერილობანი დაგვიტოვეს ამ კუნძულზე. მერე ამერიკელმა ვაჭრებმა და მისიონერებმა დაიწყეს აქ დასახლება. ხელში იგდებდნენ საუკეთესო მიწებს, ეწეოდნენ ვაჭრობას, ექსპლოატაციას უწევდნენ ადგილობრივ მოსახლეობას. XIX საუკუნის შუა წლებიდან კი აშშ მთავრობა ცდილობს, ჰავაის კუნძულები კოლონიად გამოაცხადოს და სამხედრო ბაზად აქციოს.

1893 წელს ამერიკელებმა ამბოხება გაითამაშეს ჰავაის სამეფო ხელისუფალთა უკანასკნელი წარმომადგენლის დედოფალ ლილუსკალანის წინააღმდეგ. „ამბოხების" დაწყებისთანავე ამერიკელებმა გემით გადმოსხეს დესანტი და კუნძულები რესპუბლიკად გამოაცხადეს. პრეზიდენტად კი ერთ-ერთი უძველესი პრეზიდენტთაგანი დოული აირჩიეს, რომელიც ცნობილი გახდა, როგორც „ანანასის მეფე".

რესპუბლიკის მთავრობის პირველი ნაბიჯი ვაშინგტონში დელეგაციის გაგზავნა იყო, რათა ჰავაის კუნძულები აშშ შეეერთებინათ. 1893 წლიდან მთელი არქიპელაგი ამერიკის კოლონიად გადაიქცა. ჰავაიზე ყოველწლიურად იზრდებოდა ამერიკული ბაზები. კუნძულები კი კვლავ ეკონომიურად ჩამორჩენილ აგრარულ ქვეყნად რჩებოდა. ჰავაიდან გაჰქონდათ და გააქვთ შაქრის ლერწამი და ანანასი. ჰავაის ანანასი მსოფლიო მოსავლის ცხრა მეათედს შეადგენს. რაც შეეხება შაქრის ლერწამს, აქ მისი დამამუშავებელი ქარხნები არ არის. ჰავაი შაქარს ამერიკისაგან ღებულობს.

ჩვენ წინაა პალმებისა და ანანასების მხარე, მანგოსა და ყვავილების ქვეყანა, რომლის სიტურფეს ქებას ასხამდნენ ლექსებსა და სიმღერებში. დახლართული ლიანები, ლიანებში მოქღურტულე ჩიტები, ჭრელ-ჭრელი პეპლები, ძირს ხავერდოვანი ბალახის ქათიბი, მაღლა ლურჯი ცარგვალი.

აი, რას წერდა მარკ ტვენი ამ კუნძულებზე ყოფნის ოცი წლის შემდეგ: „მთელ დედამიწაზე არცერთ უცხო ქვეყანას არა აქვს ასეთი თვალწარმტაცი, კაშკაშა სიტურფე. არცერთი

ქვეყანა, არც ცხადში, არც სიზმარში არ მომჩვენებია ესოდენ მომხიბლავად. ყველაფერი ქრება გონებიდან, ყველაფერი იცვლება. ეს კი მარად უცვლელი რჩება, მარად ცოცხლობს ჩემს მეხსიერებაში და მე ყოველთვის ვგრძნობ სურნელებას მისას. ვხედავ მზით გაკაშკაშებულ ზღვის ციმციმს, მესმის ზღვაური. თვალწინ მიდგას აყვავებული მთები, აქაფებული ჩანჩქერები, მწვანექათიბა პალმები, ღრუბლებში ასული ძწვერვალები და კვლავ განვიცდი ისეთ განწყობილებას, რომელიც მის უდაბურ ტყეებში ხეტიალისას ვიგრძენი. კვლავ მესმის წყაროს ჩუხჩუხი, კვლავ ვგრძნობ იმ დამათრობელ სურნელებას ყვავილებისას, ოცი წლის წინათ რომ დაჭკნა...“

რაღა დავუმატო ამ ლამაზ სიტყვებს...

ნავსადგურში ახალგაზრდა ჰავაელების გარემოცვაში მოვხვდით. შიშველ სხეულზე თხელი შარვლები აცვიათ. ბრინჯაოსფერ მხრებზე ყვავილწნულები აქვთ გადაკიდებული. ჩვენ ერთი მათგანი ვირჩიეთ გამყოლად. ტაჰაუს ჰავაის ცასავით ლურჯი და ნათელი თვალები ჰქონდა, კარგად იცოდა ინგლისური და, როგორც მერე გაიჩრკვა, გიდობაც კარგად ეხერხებოდა.

ბიშონ სტრიტის ორივე მხარეზე ლამაზად მორთულ სახლებს მცველად ქოქოსის მაღალი პალმები მიუყვება. სახლის ფანჯრებზე ჭილობის ჩამოსაშვები ფარდებია. მხოლოდ ასე თუ შეიძლება თავი დაიცვა მცხუნვარე მზისაგან.

ფარტ სტრიტით მწვანე ბალახით დაფარულ მოედანზე გავედით. შუა მოედანზე სახლი დგას. სახლი კი არა სასახლე, ყოფილი მეფის სასახლე. კარგია მისი სვეტებიანი აივანი, თეთრი და განიერი კიბე, მისი არქიტექტურული სიმსუბუქე, მისი ჩუქურთმები...

ჰონოლულუს ცენტრში ნაცრისფერი ქვისგან გამოთლილი მონუმენტია აღმართული. ეს ჰავაის მეფის კამეამეა პირველის ძეგლია. მაღალი კვარცხლბეკიდან ამაყი და ჭკვიანი სახე გვიცქერის. თავზე მუზარადი ახურავს, განიერ მხრებზე ლაბადა წამოუსხამს.

ვიგონებთ რუსი მეზღვაურის ო. კოცებუს სიტყვებს: კამეამეა ღირსია ძეგლი დაუდგანო. იგი ჯერ ჰავაის კუნძულის ჩრდილო ნაწილში იყო ერთ-ერთი სამთავროს ბელადი. დიდი

ნებისყოფის მქონე ამ ჭკვიანმა კაცმა ჰავაის მთელი არქიპელაგი გააერთიანა და ბრძენი მეფეთა მეფის სახელი გაითქვა.

მისი მეფობის დროს, XIX საუკუნის დასაწყისში, ჰაეელმა ხალხმა დიდი ნაბიჯი გადადგა წინ ქვეყნის ეკონომიური და კულტურული განვითარების გზაზე. რუსმა მეზღვაურებმა, რომლებიც იმ დროს, კუნძულზე იყვნენ, მეორე პეტრე I უწოდეს კამეამეას.

ცნობისმოყვარე თვალებით შემოგვცქერიან ჰავაელები და მათი მზერა მეგობრული სითბოთი არის სავსე.

შავი ვარდი

გავცდით ქალაქს და ჩვენ წინ შაქრის ლერწმის, ბანანებისა და ანანასების პლანტაციები დაიწყო. მათ რკალად ერტყმით სწრაფი მდინარეები, აქა-იქ ჩაღარული მაღალი ბორცვები, ტყეებით დაფარული და ხეებში ჩაკარგული.

გასაოცარია ჰავაის ბუნება. ხეები წარმოუდგენელი სიმაღლისანი არიან, მშვენიერი და უჩვეულო ხასხასა ფერის ფოთლები აქვთ.

წვიმის შემდეგ თეთრი სქელი ნისლი აწვება ბორცვებს, ყვავილების სურნელებით გაჟღენთილა ჰაერი და ჩვენც ხარბად ვსუნთქავთ ამ სასიამოვნო სურნელს.

მიჰქრის მანქანა, ავდივართ კუნძულის ყველაზე მაღალ მწვერვალზე. აქედან კარგად მოჩანს რეიდზე და ნავსადგურში მდგომი გემები, სათამაშო ნავებივით რომ ჩამწკრივებულან.

მივუყვებით ლაის მთის კალთებს. მის მოწითალო, შეეულ კედელზე უზარმაზარ ნისკარტივით მოზრდილა ოკეანისკენ აშვერილი წვეტიანი კლდე. კლდეზე დროთაგან შებოლილი, ხავსითა და ბალახით შემოსილი შუქურა დგას. იგი ალბათ ისევე ძველია, როგორც მასზე ნათქვამი მითი და ლეგენდები, რასაც ტაჰაუც ადასტურებს.

შუქურაზე სინათლე თურმე იშვიათად ინთება, ისიც მაშინ, როცა ოკეანის ტალღებში გზააბნეულ მეთევზეს შინ დაბრუნება დაავიანდება.

დიდხანს შევყურებთ პანდანუსის ბანჯგვლიან ყავისფერ

ტოტებს, ბაწარივით რომ ჩამოუშვია საცეცები, რითაც ძვ-ზობელ ხეებს ეხვევა, თითქოს მათი დახრჩობა სწადიაო.

ირგვლივ ვეებერთელა გვიმრების გაუვალი ტევრია. ხა-ვერდოვანი ხავსი, დაგრეხილი სურო, ყვავილები თეთრი და ათასფერადი...

ალოროუტები, ჰიბისკუსები, ყაყაჩოები, რბილი და ხავერ-დოვანი, ზამბახები, გვირილები და ბოლოს ვარდები, ვარდები თეთრი, წითელი, ყვითელი, ბაცი ცისფერი და შავი ვარდები.

ლამაზია თუ არა შავი ვარდი? ამას მე ვერ გადმოგცემთ. ამისათვის საჭიროა აუცილებლად ნახოთ შავად გაშლილი ვარდი...

სოფლებში მხოლოდ სიცხეა ბარბად

ჩვენ სოფლებიც გვაინტერესებს. ტაჰაუ უხალისოდ ჯდება მანქანაში.

— შორსაა?

— არა, აქვეა, — გვპასუხობს უხალისოდ.

— იქნებ აღარ გსურთ ჩვენთან მგზავრობა?

— რას ბრძანებთ.

— მაშ, რად მოიწყინეთ?

— სოფელში კარგს ვერაფერს ნახავთ...

ავდივართ სერზე. არც ქუჩაა და არც ღობე. პანდანუსის ხეები ყველაზე უკეთ იცავს ბინებს. ანდა რა არის დასაცავი. ქოხები — ბამბუკის კედლებითა და ლერწმის სახურავით, პალ-მის ტოტების სახურავით.

ერთ ქოხთან ვჩერდებით. ეზოში მწვანედ ბიბინებს ნაზი ბალახი. მოშორებით ქვით შემოზღუდული კერაა, სადაც საჭ-მელი მზადდება თურმე. ქოხის კედლებზე ყლორტები გაბარ-დულა, ვაზი ხეხილზეც გასულა ონავარი ბიჭივით. ბაღში ფორთოხლისა და ლიმონის, კომშის და ლეღვის ხეებია.

მასპინძელი შინ გვეპატიჟება. გარს გვეხვევიან ბავშვები, ტიტლიკანები, ყელზე ყვავილწნულები შემოუხვევიათ. ყვა-ვილწნულების სამაჯურები უკეთიათ... სიმღერით გვესალმე-ბიან ისინი.

ალვინ კალამას რამდენიმე წლის წინათ გარდაცვლია ᲨᲔᲣᲦᲚᲔ. თვითონ ადრე შაქრის ლერწმის პლანტაციებში მუშაობდა თურმე, მერე ხელები ამტკივდაო და სამუშაოდან დაუთხოვიათ.

— უნდა იმკურნალოთ, — ვეუბნები მე, როცა მის შესიებულ სახსრებს ვაკვირდები.

მასპინძელი იცინის. მერედა სად არის ფული, წამლები აქ ისე ძვირია...

სინანულით ვიხედებით ირგვლივ, ხუთსულიანი ოჯახის შთელი აელადიდება რამდენიმე ჰილობია. ჰო, კედელზე ზღვის კუს ჯავშანი ჰკიდია, „ავი თვალისაგან“ იცავსო ოჯახს. ან რა ᲗᲕᲐᲚᲝ არის ეს ქოხი, ცარიელი და უდიასახლისო.

— ᲧᲕᲔᲚᲒᲐᲜ ᲐᲡᲔᲐ? — ᲕᲙᲘᲗᲮᲣᲚᲝᲑᲗ ᲩᲕᲔᲜ.

— მეტნაკლებად, — თავის ქნევით გვპასუხობს კალამა.

მასპინძელს ხილი მოაქვს, მერე ამოქარგულ სუფრას გვთავაზობს. ეს სუფრა ცოლს მოუქარგავს. ფულის დატოვება შინდოდა. ეწყინა. — საჩუქრად გაძლევთო, ცოლის დანატოვარს ფულზე არ ვყიდი ისე ძვირფასია ჩემთვისო. გამოთხოვებისას ბავშვები გვაცილებენ.

„ო, ოი ოკა უ ალოჰა,
Ე ᲚᲝᲙᲘ Ი ᲰᲔᲜᲔ ᲜᲔᲘ.“

(კეთილად იმგზავრეთ, კეთილო კაცებო,
კეთილი იყოს ეს ჩვენი გაცნობა).

შითარგმნის ტაჰაუ ინგლისურად, მე კი რუსულად ვუთარგმნი ჩვენიანებს.

სოფელში სიცარიელეა. ბავშვები ზღვისპირას გახულან. შოხუცები მზეს ემალებიან პანდანუსის ტყეში, ახალგაზრდები სამუშაოზე არიან.

სიცხე აუტანელი ხდება. მე ახლა არ მიკვირს, რად არ აცვიათ აქ ჩვენნაირად. მამაკაცებს მხოლოდ წინსაფარი აუფარებიათ. ქალებს მცენარის მოკლე „კაბები“ აცვიათ.

ზღვისკენ ვისწრაფვით. ზღვაურს თან მოაქვს შორეული სიმღერა:

„შენც დედასავით დიდი სითბო გჩვევია ზღვაო,
შენი სუნთქვა კი მე მაგონებს მიჯნურს, ენებიანს.
გახარე. გეხვევი, ისე როგორც ჩემიანს, ზღვაო,
როგორც დედას, და როგორც სატრფოს ნაზს და ნებიერს.
ო, ზღვაო, ჩემო...
მშობლიურო ზღვაო, ო, ზღვაო“.

მივყვებით ამ ტკბილ მელოდიას, რომელსაც მზისგან გარუჯულ მეთევზესთან მივყევართ.

— ალოჰა!

— ალოჰა!

ვესალმებით ერთმანეთს. მასპინძელი თევზების ჯიშებში გვარკვევს. პოუ — შავხალებიანი თევზია, ცისფერი მუცელი და ზურგი აქვს. ძვლიანი და უგემურია ნუკუ-ომაკახა, ესეც ზღვის ზღარბი ნუკუ-ნუკუ, კიხი-კიხი...

რა მოთვლის მათ. ოკეანეებსა და ზღვებში რამდენიმე ათასი სახეობის თევზი დაცურავს.

მეთევზე ღიმილით გაცქერის ბილიკს, რომელსაც ჭაღარა ქალი მოუყვება. გრძელი თმები მაღლა აუკრეფია, ბალახის კაბა წელს ქვემოთ ჩამოსწევია, ქალს ბავშვები მოსდევენ.

— დეიდა პეპეა, — გვიამბობს მეთევზე. — შარშან შვილი დაეღუპა. სამუშაოზე დაუზიანდა ფეხი და სანამ საავადმყოფოში წაყვანას მოახერხებდნენ, სისხლისაგან დაიცალა.

დეიდა პეპე გვესალმება, მერე მზერა ზღვის ზღარბზე გადააქვს. მეთევზე ხვდება ქალის სურვილს და ზღარბს საჩუქრად აძლევს.

აქ, როგორც ეტყობა, ძვირია საქმელიც, აქაურ ბავშვებს ენატრებათ ხილი, სადილი, ჩასაცმელზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი. სოფელში მხოლოდ სიცხეა ჭარბად.

ახალგაზრდა ყველგან ახალგაზრდაა

საათზე ვიხედები. უკვე გემზე დაბრუნების დროა. გვინდა გამოვემშვიდობოთ მეთევზეს, მაგრამ მოულოდნელი სანახაობა ადგილზე გვაქვავებს.

— რვაფეხა, — წამოიძახა მეთევზემ და მიწაზე დაგდებულ დანას დაავლო ხელი. ჩვენ კლდის გამონაშვერზე ავდივართ და იქიდან ვუყურებთ, რა მოხდება წყალში.

მეთევზეს დანა პირში გაურჭვია. ხელებს თავისუფლად ამოძრავებს, მიცურავს და რვაფეხას ეძებს. რვაფეხა კი დიდ ლოდს ამოფარებია, ჯერ ერთი ფეხი ჩნდება წყალზე, მერე მეორე, მესამე და ბოლოს საზიზღარი გარეგნობის, ობობას მსგავსი ცხოველი, დინჯად მიეშურება ადამიანისაკენ.

საკმარისია რამდენიმე წუთი და თავისი საცეცებით მსხვერპლს სისხლისაგან დაცლის.

ჩვენ ვღელავთ. ტაჰაუ გვამშვიდებს. მეთევზე შემობრუნდება და მტრისაკენ მიდის. დანის სწრაფი მოქნევა და... დაცილა. რვაფეხამ საცეცები გაშალა, მხარში წვდა მეთევზეს. მეორე საცეცი ადამიანის კისრისკენ მიიწევს. რვაფეხა დიდია, ადამიანზე მაღალი.

— უნდა მივეშველოთ.

— ვერ მოერევა.

— დაიღუპება, რა ვქნათ, ბიჭებო.

ვღელავთ ჩვენ. ტაჰაუ იცინის — ნუ გეშინიათო, გვეუბნება მისი სიცილი. მართლაც, მეთევზე ძალ-ღონეს იკრებს, ურჩხულს მისწვდება და...

საცეცები ჯერ აძიგძიგდა, მერე უღონოდ ჩამოეკიდა, რვაფეხამ თქვენი ჭირი წაიღო.

მეთევზე ღიმილით ამოდის ნაპირზე, სახე მკრთალი აქვს, ცალ მხარეზე მოწითალო ლაქა აზის...

ვბრუნდებით უკან. წითლად იღებება ცის დასალიერი. ეზოებიდან კვამლის ენები მიიწევს მაღლა, ვახშამს თუ ამზადებენ ქალები. გზად მამაკაცები გვხვდებიან, პლანტაციებიდან მოდიან დაღლილნი და ეშურებიან შინ, სადაც ელოდებათ დედა და ცოლი, სითბო და ალერსი.

ღამდება. იძინებს სოფელი. მერე ლაის ზვრებში, მაინალიას სანაპიროებზე ახალგაზრდების ხმები გაისმის. სიცილი იკარგება ზღვის სივრცეში. მათი სიმღერა ლაღია, თბილი და ტკბილი. ახალგაზრდობას თავისი გააქვს. რარიგ ღარიბიც არ

უნდა იყოს ჭაბუკი, მაინც მიილტვის სიყვარულისკენ. რარიგ სევდიანიც არ უნდა იყოს ქალწულის გული, მაინც მიელტვის შორეულ გრძნობას. ახალგაზრდები ახალგაზრდებად რჩებიან ყველგან...

დღესასწაული ტალღებზე სეირნობს

ტაჰაუმ კამეამეას დღესასწაულზეც მიგვიპატიჟა. ეს ჰავაელების ყოველწლიური ზეიმია, პირველი მეფის პატივსაცემად გამართული. ცა ისევ ლურჯია, მთა თეთრი, ზღვა ცისფერი...

აი, ოკეანის ნაპირიც — ვაიკიკი. მშვენიერი სასტუმროები, რესტორნები, მაღაზიები, ადამიანები ალამაზებს ისედაც ლამაზ ვაიკიკს.

ვუყურებთ ზღვას და თვალს არ ვუჯერებთ. ადამიანები ზღვაზე დადიოდნენ, სეირნობდნენ, მხიარულობდნენ.

„ფიცარი ტალღაზე" — ასე შეარქვეს ინგლისელებმა ამ სპორტს. ამერიკელებს ძალიან ხიბლავთ ეს თამაში. ადამიანი უბრალო დაფაზე დგება და იწყებს „სიარულს" წყლის ზედაპირზე. ტალღით გადიან ზღვის შუაგულამდე და იმავე ტალღით ბრუნდებიან უკან. არც ნიჩაბი და არც იალქანი.

— ეს მხოლოდ აქ, ჰავაიზე იციან, — თვალები უბრწყინავს ტაჰაუს. მერე ისიც იხდის ტანთ და ყვავილწნულებით მოჭრთული დგება დაფაზე.

თამამია მისი მოძრაობა, სხეული მოქნილი. მერე მეც ვბედავ. ვიხდი ტანსაცმელს, შევდივარ წყალში და ვცდილობ შევდგე დაფაზე. რა იოლია, როცა სხვას უყურებ, რა ძნელია თავად თუ მოინდომე. ჰავაელები მეშველებიან. ხელი რომ გამიშვეს, ბარბაცი დავიწყე, ვერ შევიკავე თავი, და ყირამალა ჩავვარდი წყალში. იცინიან ჰავაელები, ეს მეგობრული სიცილია და არ მწყინს. დაუძლეველი სპორტი ყოფილა და ჩვენც ვეშვებით. არაფერი არ მინდა, შავ ზღვაში მასეირნაო, ნატრობდა მიხეილ მდივანი.

მივდივართ ზეიმზე. გაშლილ მინდორში დგას ნაირნაირი სასმელ-საჭმელით სავსე მაგიდები. ოვაციებით გვხვდებიან მასპინძლები, მხრები და მაჯები ყვავილწნულებით მოურთავთ.

ინთება კოცონი, იწყება ცეკვა. ისმის დაფის ხმა, ორი ვაქკაცი გამოდის ცენტრში. ველურ მეომრებს ჰგვანან ისინი. სახეზე საღებავები უსვიათ, თავზე ფრთები და ტანზე ყვავილები მოსჭარბებიათ. ხელში ხის „ფარები“ და ლერწმის „შუბები“ უჭირავთ. ეს უძველესი საომარი ცეკვა ყოფილა. მას ოჩოფეხებით ცეკვა მოსდევს. მერე ჰავაური გიტარა კვნესის. მდელოზე ქალი გამოჩნდა: თმები გაშლილი, ყელზე მძივი უკეთია, მაჯაზე ყვავილწნული. თეძოებს მწვანე ხავერდოვანი ბალახის მოკლე კაბა უფარავს. ცეკვავს ასული, ნარნარი და მოხდენილია სხეული მისი. თანდათან მატულობს ტემპი, უფრო ჩქარა ცეკვავს ქალი, ჩქარა, ჩქარა, ჩქარა... ტაშის გრიალში მაღლა ისვრიან სახეალეწილ ლამაზს, დღესასწაულის დედოფალსა და ფერიას.

ნახვამდის, ჰავაი!

ჰონოლულუდან გასვლის წინა დღეს ნაცნობები მოვინახულეთ. ტაჰაუ ხალისით დაგვყვება მაღაზიებში. ვიყიდეთ სათამაშოები და ალვინ კალამას ეზოს მივაშურეთ.

გაგვაოცა ბავშვების გულგრილმა სახეებმა, როცა სათამაშოები გადავეცით.

— ჩვენი ბავშვები ხომ არასდროს თამაშობენ ასეთი სათამაშოებით,—ბოდიშის კილო ეტყობა მასპინძელს, მერე ტაჰაუმაც დაუმატა, ჰავაელი ბავშვები როდი არიან ასე განებივრებულნი. ისინი მხოლოდ თევზაობითა და ბანაობით ერთობიან.

ჩვენ ვცდილობთ, დავაინტერესოთ ბავშვები. ბავშვი ხომ მაინც ბავშვია. თანდათან ხიბლავს პრიალა ავტომობილი, კოხტა გემები...

— რა უნდა გითხრათ, — სევდიანად იღიმება კალამა. — თავადაც ხედავთ, რაოდენ თვალწარმტაცია ჰავაის კუნძულები, მერე და ვინ იყენებს ამ სილამაზეს. ამერიკელებს სურთ ადამიანის სულზეც იბატონონ, ჰავაელებს კი ამაყი ბუნება მოსდგამთ.

ძველად დიდი დავა და შფოთი ყოფილა, ესხმოდნენ, ძარცვავდნენ ერთმანეთს. როცა ძლიერი რაინდი გამოჩნდა, სან-

დო და სამართლიანი, მამაცი და შეუპოვარი კამეამეა, მან რჩეულ ვაჟკაცთა რაზმი შემოიკრიბა, გაანადგურა მტერი და გააერთიანა მთელი ჰავაი. კამეამეა წინამძღოლად აირჩიეს. მან განაახლა წინამძღოლთა არჩევის ძველი ტრადიცია. რომლის მიხედვით არჩეული პირი ყოველწლიურად დანიშნულ დღეს გადიოდა ზღვაში და მეორე დღეს ბრუნდებოდა უკანნაპირზე ხალხი ხვდებოდა გმირს. საუკეთესო მსროლელი ჰოროლს სტყორცნიდა და თუ წინამძღოლი ჰაერშივე დაიჭეოდა, მეფედ რჩებოდა ისევ, თუ არა და მაშინ სხვა უნდა აერჩიათ, უფრო ძლიერი გმირი.

კამეამეას უთხრეს, საჭირო არ არის, თავი ჩაიგდო ხიფათში, მაგრამ მამაცმა ჰავაელმა განაცხადა: მეფე ყველაზე ძლიერი და გულადი უნდა იყოსო. ვინც მამაცურად ხვდება ხიფათს, ვისაც სიკვდილის არ ეშინია, ბელადობის ღირსიაო.

ასე დაამთავრა ლეგენდა კალამამ თავიანთ გმირ თანამემამულეებზე. მერე გულწრფელად გვთხოვა, კიდევ ჩავსულიყავით მათ სოფელში. გული დაგვწყვიტა მისმა სიტყვებმა, თუ კვლავ მოგინდეთ ჰავაელების ნახვა, ნუ გადადებთ შორს, თორემ...

იღუპებიან ჰავაელები.

მართალი იყო კალამა. ერთ-ნახევარ საუკუნეში 400.000 კაციდან 14.000 შემორჩა მხოლოდ. კიდევ ნახევარი საუკუნე და თუ ასე გაგრძელდა, სანთლით საძებნელი გახდება ჰავაელი.

რატომ იღუპებიან?

ისიც საკმარისია, რომ ჰავაის კუნძულები ამერიკის კოლონიაა.

ნაცნობი სიმღერით გამოგვაცილეს ბავშვებმა, მათ ჩვენს საუბარში მანქანა ყვავილებით მოერთოთ. ეს კალამას ოჯახის უკანასკნელი სახსოვარი იყო.

ვტოვებდით ჰავაის, ჩვენს გასაცილებლად შორეული სოფლების მცხოვრებლებიც კი მოვიდნენ. ჰაერში ისმოდა ჰავაური ჰანგები. კვნესოდა გიტარა...

გემბანი ყვავილებით იყო სავსე...

ნახვამდის, ჰავაი!

ნელა გავდივართ ზღვაში და ზღვაურს კვლავ მოაქვს ჰავაელთა ტკბილი სიტყვა —

„ალოჰა“.

ისევ ზღვაᲫია გასული გემი, აგვდევნებია გზად თოლიები. არც მფრინავი თევზები გვანატრებენ თავს. უნდა მივადგეთ ბონინ-სიმას კუნძულს. იაპონურად ბონინ-სიმა უდაბნოს ნიშნავს და მართლაც, კუნᲫული უდაბურია. ამიტომ უარს ვამბობთ იქ შეჩერებაზე და მივიწევთ წინ, იაპონიისაკენ.

გამოჩნდა იაპონიის ერთ-ერთი უდიდესი ნავსᲐდგური და ქალაქი იოკოჰამა. თითქოს და ჩვენ გველოდებოდნენო, გზად დემონსტრანტები გვხვდებიან პლაკატებით:

„მოგვეცით სამუშაო! ბრინჯი, ბინა!“

ისევ უმუშევრობა, ისევ შიმშილი, ისევ სიღარიბე. და ყველაფერი ეს ხდება ქვეყანაში, რომლის ფლოტს მეორე მსოფლიო ომამდე მესამე ადგილი ეკავა მსოფლიოში და ფართო ვაჭრობა ჰქონდა გაჩაღებული თითქმის ყველა ქვეყანასთან.

ახლა?

ახლა უმოქმედოდ არის ბევრი ნავსადგური. ომმა გაანადგურა იაპონიის ფლოტი. მართალია, შენდება ახალი გემები, მაგრამ ძალიან ცოტა. მეზღვაურების ნაწილი მტვირთავად მუშაობს. ბევრი სულ უმუშევარია.

იოკოჰამას ქუჩები სავსეა მათხოვრებითა და ამერიკელი ჯარისკაცებით. ქუჩებში დაჰქრიან ლამაზი ავტომანქანები, რომლებშიც თავგადასავლების მოყვარული ამერიკელი ლამაზმანები ნებივრობენ. ამაყი ხალხია იაპონელები, ვერ ეგუებიან მორჩილებას, ამიტომ შეიარაღებულან „წესრიგის“ სადარაჯოზე ამერიკელი ჯარისკაცები ავტომატებითა და რეზინის კეტებით. მათ იაპონელი პოლიციელებიც ეხმარებიან. ტყვია ბლომად აქვთ, ციხეებიც ასევე...

და დავდიოდით ქალაქში, სადაც ხელგაწვდილია დიდი და პატარა. ერთ პავილიონში შესვლისას კინაღამ სასაცილო მდგომარეობაში აღმოვჩნდით. თურმე ეს პავილიონი იაპონელთა „დახურული“ კაფე ყოფილა. მე თავისუფლად დავჯექი მაგიდასთან და მეგობრებიც მივიხმე. მსახურებს ფუსფუსი აუტყდათ. გამყიდველი ქალი მოგვიახლოვდა და პავილიონის დატოვება მოსთხოვა ჩემს მეგობრებს.

— აქ ევროპელებს არ ღებულობენ, — მკაცრად განაცხადა ქალმა.

მე არაფერი მითხრეს, თურმე იაპონელი ვეგონე ქერათმიან რუსებთან მყოფი ქართველი.

რაღას ვიზამდით. კარებში როცა გავდიოდით, მე ისე, ყოველშემთხვევისათვის ვთქვი: საბჭოთა მეზღვაურები ვართ-მეთქი.

ბოდიშით დაგვედევნენ უკან, საპატიო სტუმრები ყოფილხართ, ეს როგორ მოგვივიდაო, — კიცხავდნენ თავიანთ თავს.

ბაზარში უამრავ ხალხს შევხვდით. უმეტესობა იაპონელები იყვნენ, ისინი ზიზღით გვაკვირდებოდნენ. ჩვენ ვერ აგვეხსნა ეს გულგრილობა. უთუოდ ამერიკელი მეზღვაურები ვგონივართ-მეთქი და იქაურობის დატოვება გადავწყვიტეთ, როცა უეცრად ვიღაცა იაპონელი მოიჭრა ჩემთან: — რუშკი, რუშკი! — რუსები, რუსებიო, — მერე მე მომიბრუნდა, — თქვენ ხომ კაპიტანი ხართ. გახსოვთ 1946 წელი, იაპონელი ბრიგადირი, იხვები?

მე ვიცანი ჩემი მოსაუბრე. 1946 წელს ოლღას ყურეში ათას ტონაზე მეტი ტვირთი უნდა გადმომეზიდა. დასახმარებლად იაპონელი ტყვეები გამოგვიგზავნეს, დაბალი, ჯმუხი ადამიანები. მათთან მალე გამოვნახეთ საერთო ენა. მეზღვაურები ეჭიდებოდნენ კიდეც ერთმანეთს. იყო შემთხვევა, როცა ზოგი ცეროდენა იაპონელი ორივე ბეჭებზე დასცემდა ახოვან რუსს. ტყვეთა ბრიგადირი ყვრიმალგამოწეული კაცი, ხშირად იყო ჩემი კაიუტის სტუმარი. ხშირად სანადიროდაც დაგვყავდა. ამ ადგილებში ბლომად იყო იხვები და ჩვენც სიამოვნებით შევექცეოდით შამფურზე შემწვარ ან ჩახოხბილ იხვს. მზარეულობას მე ვკისრულობდი. იაპონელს მოსწონდა იხვის ხორცი და ისიც ჩვენებურად ჩახოხბილი.

და აი, ბაზარში შეიცვალა ჩვენდამი დამოკიდებულება, თითქოს ხალხი გამოიცვალაო, ყველა ცდილობდა პატივი ეცათ ჩვენთვის. დუქნებიდანაც გვეპატიჟებოდნენ. ერთმა გამყიდველმა, რომ დარწმუნდა, საშიში ადამიანები არ ყოფილანო, დახლის ქვემოდან თეთრი ფოლადისა და ხის მოჩუქურთმებული კოლოფი ამოიღო. კოლოფს შიგნიდან ცისფერი აბრეშუმი ჰქონდა გამოკრული, მასზე ოქროს ასოებით ეწერა „ლენინი“.

ჩემმა ნაცნობმა ბრიგადირმა ქაღალდზე იაპონურად დაწერა: „ჩვენ მშვიდობა გვინდა“, — ჩადო კოლოფში და მაჩუქა, რომელსაც დღემდე დიდი მოწიწებით ვინახავ.

იმ დღეებში იოკოჰამას კინოთეატრებში საბჭოთა ფილმს „თქმულება ციმბირის მიწაზე“ უჩვენებდნენ. სალაროებთან რიგის სიგრძე, მაყურებელთა ხალისიანი სახეები ნათლად მეტყველებდა ფილმის ავკარგიანობაზე.

ვნახეთ იაპონური ფილმები: „ჩვენ კიდევ ცოცხლები ვართ“, „ისინი თორმეტნი იყვნენ“, „კუნძულ საიპანის ტრაგედია“, რომელთა ძირითადი თემა იყო მშვიდობა, დემოკრატია.

იოკოჰამელები სიამაყით ლაპარაკობენ „იაპონიის მომღერალთა გუნდის შესახებ“, სამწუხაროდ, ჩვენ ვერ მოვუსმინეთ მას, რომლის ხელმძღვანელმა აკაკო სეკიმ ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის საერთაშორისო ლენინური პრემია დაიმსახურა.

...თავისებური სტილით არის აშენებული იმპერატორის სასახლე ტოკიოში. მუდამ ხალხმრავლობაა ტოკიოს სავაჭრო ცენტრში. ბრწყინვალე და დიდებულია ოპერის თეატრი.

ომამდე უფრო ლამაზი იყოო აქაურობა,—ამბობენ ტოკიოელები. ომმა მილიონ 560 ათასი კაცი შეიწირა თურმე მსხვერპლად. ვის დაავიწყდება ხიროსიმა და ნაგასაკი, პირველებმა რომ განიცადეს ატომური ომის საშინელება... ამომავალი მზის ქვეყანაში.

არა, ეს არ უნდა განმეორდეს

ხიროსიმა. რაღა უნდა ვთქვა მეტი. უსიტყვოდ დავტოვეთ სასტუმრო და დაღუპულთა ხსოვნის მუზეუმს მივაშურეთ. ყველა მომსვლელის ვალდებულებაა, პირველ რიგში მუზეუმს ეწვიოს, რომელიც 1945 წლის ხოროსიმას ასახავს. აქ შეიძლება ნახოთ გვამებით ამოვსებული მდინარეები. დანახშირებული სახლები, დაჟანგული ჭიშკრები...

ძალაუნებურად ჩერდები მათ წინ და ფიქრობ, რომ აქამდე არსებობს ბოროტი ძალა, გაანადგუროს ადამიანის მიერ შექმნილი, ადამიანის აშენებული, ადამიანის მოვლილი...

ამ სურათებს შესაფერისი სახელი ჰქვიათ: „მეორე დღეს“, „მსხვერპლნი“, „საწყალი ბავშვები“, „შავი წვიმა“. ეს სურათები თვითონ ლაპარაკობენ შინაარსზე.

ხიროსიმას პარკი. აქ უსასრულოდ მოედინება ხალხთა ნაკადი, რათა დაათვალიეროს ეს წმინდა ადგილი, პირველი ატომური აფეთქების ადგილი. ოთასობით მსხვერპლთა ძმათა სასაფლაო.

სასაფლაოს წინ ამოკვეთილია შემდეგი სიტყვები:

„განისვენებდეთ მშვიდად! დაე, არასდროს განმეორდეს ხიროსიმა“ და ყვავილებით ივსება ირგვლივ ყველაფერი. „ხეივა“ — მშვიდობა — ამბობს აქ ყველა მომსვლელი.

ოცი წლის წინათ მიწასთან გასწორებული ხიროსიმა აღსდგა. მიუხედავად იმისა, რომ ბევრის ბოლო იყო სიკვდილი, მაინც მოდიოდა ხალხი ქალაქში და იქედებოდა ახალი თაობის ბედი.

ახლა იმ ადგილზე ხშირად ეწყობა სილამაზის კონკურსი— „მის ხიროსიმა“. გალავანზე, სადაც „ატომური სახლის“ ბნელი ჩონჩხია, მხატვრული პლაკატი „სისეიდოს კოსმეტიკური ფირმა“, თითქოს ცდილობს თავის ხსოვნიდან განდევნოს საშინელი წარსული. მაგრამ წარსული ყოველ ნაბიჯზე გახსენებს თავს. თუმცა ამ საშინელი შემთხვევიდან ორი ათეული წელზე მეტია გასული, დღეს ყოველ 100 იაპონელიდან 50—60 კაცი კვდება სხივური დაავადებით.

აქამდე იბადებიან გონებაჩლუნგი, არასრულყოფილი ბავშვები, მახინჯები და საოცრად დაბალნი. ეს ყველაზე საშინელია, რაც ატომურმა აფეთქებამ დატოვა იაპონიაში!

საბჭოთა კავშირმა დიდი დახმარება გაუწია იაპონელებს და მათ დიდად დააფასეს ეს მეგობრული თანაგრძნობა.

როცა ჩვენ მშვიდობის პარკში მდუმარედ თავდახრილნი ვიდექით დაღუპულთა საფლავების წინაშე, ჩვენთან მოვიდა ხალხის ჯგუფი, მათ მადლობა გადაგვიხადეს დაუფასებელი ამაგისათვის.

ნავსადგურ ჰოლმსკში გავიგეთ, რომ დიდი ხანი არაა, რაც იაპონიიდან სამკურნალოდ მეშახტეთა ჯგუფი მოვიდა. ისინი მოიწამლნენ, როცა იუბარის შახტში აფეთქება მოხდა და 62 მეშახტე იმსხვერპლა. საბჭოთა მეშახტეებმა ხელმეორედ

აღმოუჩინეს მეგობრული დახმარება დაზარალებულთ. რის გამოც ჰოკაიდოს მეშახტეთა პროფსაბჭომ გაზეთ „ჰოკაიდო სიმბუნის“ მეშვეობით მადლობა გადაუხადა საბჭოთა მეშახტეებს.

ავადმყოფებთან ერთად საბჭოთა ბავშვებთან დაღუპულ მაღაროელთა შვილებიც უნდა გადმოსულიყვნენ, მაგრამ როგორც შემდეგ გაირკვა, იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ აკრძალა ეს გამგზავრება.

ყოველ წელს ხიროსიმაში ეწყობა პროცესია ახალი ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ. ასობით და ათასობით ადამიანი იკრიბება მდინარის ნაპირას და ანთებს სანთლებს. მერე ანთებულ ქაღალდებს, რომლებსაც ნავის ფორმა აქვთ, წყალში უშვებენ. ირგვლივ ინთება მდინარე, იწვის ქაღალდის ნავები და მათთან ერთად ინთება იაპონელთა გულებიც.

დარწმუნებული ვარ, ყოველი საღად მოაზროვნე ადამიანი ხშირად კითხულობს: რატომ იყო ეს საჭირო? რამ აიძულა აშშ ჩაედინა ასეთი საშინელება.

ამაზე ძალიან ბევრს წერდნენ და ლაპარაკობდნენ იაპონიაში. ბროშურებიც კი გამოსცეს, რათა ყოველ მომსვლელს, ტურისტი იქნება ის თუ ოფიციალური პირი, წარმოდგენა ჰქონდეს 1945 წლის საშინელებაზე. ბროშურებში ამავე დროს ლაპარაკია ატომურ იერიშზე. „ენოლა გეის“ — ეკიპაჟის წევრთა ჩანაწერებზე. აი, ისინიც:

ლუისი (მეორე პილოტი): — „ტრუმენი მაშინ პოტსდამში იყო და უნდოდა 2 ან 3 აგვისტოს ჩამოგვეგდო ბომბი. ჩვენ ვერაფრით შევძელით ეს უამინდობის გამო. ველოდებოდით აფრენას და ვღელავდით. ასე რომ, ამ დღეებში ძალიან ცოტა გვეძინა“.

კერონი (მსროლელი): — „ირგვლივ თვითმფრინავებმა იმდენი პროჟექტორები და დაცვა დააყენეს, რომ ეს ყველაფერი ჰოლივუდის კინოგადაღებებს ჰგავდა“.

სტიბორკი (რადიომოტორისტი): — „წინათ ჩვენ, 509 ჯგუფს, დაგვცინოდნენ, ზლაზვნიები ხართო, მაგრამ როცა ბომბი ჩამოვაგდეთ, ყველამ დაინახა, რომ მამაცი ჯარისკაცები ვართ“.

ტიბეტსი (ხომალდის უფროსი): — „ჩვენ ისეთი ხალხი

გვეირდებოდა, რომლებსაც არავითარი წინათგრძნობები არ უნდა ჰქონოდათ“.

დაზენბერი (ბორტმექანიკოსი): — „დიახ, ჩვენ ვიცოდით, რომ ახალ ერას ვიწყებდით. მთელი ეკიპაჟის გაფრენა ინსტრუქტირებული იყო. ტიბეტსი შემდგომში ამტკიცებდა, რომ თითქოს მხოლოდ მან იცოდა საქმის ვითარება. მაგრამ ეს სიცრუეა. ყველამ ვიცოდით ამის შესახებ“.

ჯეპსონი (მომმარაგებელი): — „აფრენიდან დაახლოებით ორი საათის შემდეგ საყუმბარო განყოფილებაში ჩავედი. იქ სასიამოვნო სიგრილე იყო. ყველაფერი მოვაწესრიგე და დამცველები მოვაცილე, რომლებსაც დღემდე ვინახავ, როგორც სუვენირებს“.

ლუისი: — „ხანდახან მე ვტოვებდი სავარძელს. მანქანა სწორად მიჰყავდა ავტომატურ მფრინავს. ჩვენი ძირითადი მიზანი ხიროსიმა იყო, სათადარიგო — კოკურა და ნაგასაკი.

ვან კირკი (შტურმანი): — „ამინდს უნდა გადაეწყვიტა, რომელი ქალაქი უნდა აგვერჩია დასაბომბად“.

ფერები (ბომბდამშენი): — „ძალიან გაგვიმართლა. პირველივე გასროლით მიზანს მივაღწიეთ. მე ადრევე ვგრძნობდი, რომ ამოცანა უბრალო იყო“.

კერონი: — „მე მევალებოდა ხანძრის კერების აღრიცხვა. ეშმაკმა წაიღოს, მაშინვე მივხვდი, რომ ეს უაზრობა იყო, მბრუნავი, ლავის მსგავსი მდუღარე ბურუსი მთელ ქალაქს მოედო და მთების ძირებთან გაწვა“.

შუმარდი (მსროლელი): — „ირგვლივ ყველაფერი სიკვდილმა მოიცვა. კვამლთან ერთად ჰაერში რაღაცნაირი შავი ნამტვრევები დაფრინავდნენ. ერთ-ერთმა ჩვენგანმა თქვა, ცაში იაპონელთა სულები ადიანო“.

ბეზერი (რადიომოტორისტი): — „დიახ, ქალაქში ყველაფერი იწვოდა, რასაც კი წვა შეეძლო. „ბიჭებო, თქვენ ისროლეთ პირველი ატომური ბომბი ისტორიაში“, — ისმოდა მიკროფონში პოლკოვნიკ ტიბეტსის ხმა“.

ეს ყველაფერი წარსულია. ახლა შეიძლება შეეკითხოთ მათ: „გააკეთებდით კიდევ ასეთ, რამეს?“ ამ კითხვაზე კარგ პასუხს იძლევა პატარა ლურჯყდიანი ბროშურა.

გაფრენის მონაწილენი, გარდა დაღუპულ კაპიტან პარსონ-

სისა, ყველა ცოცხალი და ჯანმრთელია. ხუთშაბათობით ისევ ძველებურად დადიან სამხედრო სამსახურში. აწუხებთ თუ არა დანაშაულის სიმძიმე? აქვთ თუ არა მათ სინანულის გრძნობა? ისევ თვითმფრინავ „ენოლა გეის“ ეკიპაჟს მივმართოთ და მათი სიტყვები მოვისმინოთ:

ტიბეტსი: — „არავითარ დანაშაულს არ ვგრძნობ. თუ ისევ დამავალებენ, ულაპარაკოდ დავეთანხმები“.

ლუისი: „დიახ, მე აფეთქების შემდეგ ჩავწერე ხომალდის ჟურნალში: „ღმერთო, ეს რა გავაკეთეთ!“ მაგრამ მხედველობაში მქონდა კაცობრიობა, ვინც შექმნა იარაღი, რომელსაც შეუძლია ერთიანად გაჟლიტოს მთელი ქალაქი. ცდება ხალხი, თითქოსდა სინანულის გრძნობა მაშინვე დაგვეუფლა“.

ვან კირკი: — „ასეთ მდგომარეობაშიც ვყოფილვარ: მიფიქრია, ჩვენს ადგილზე ალბათ ყველა ასევე მოიქცეოდა“.

ბეზერი: „ვღებულობდი მონაწილეობას როგორც ხიროსიმაში, ისე ნაგასაკში. ვგრძნობ მომხდარის შედეგს. უკვე ისეთი გრძნობა დამეუფლა, რომ კვლავ შემიძლია ვიყო მეომარი“.

არ შეიძლება 1946 წლის 6 აგვისტოს დავიწყება. 8 საათსა და 18 წუთზე მდინარის შესართავთან ვეებერთელა ცეცხლის ბირთვმა თან გაიყოლა ათასეული ადამიანის სიცოცხლე. 9 აგვისტოს ქალაქ ნაგასაკზე „მსუქანი“ ბომბი ჩამოაგდეს.

ამბობენ და ეს ასეც არის, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში არ არის სახლი № 13. იანკების აზრით, 13 თარსი რიცხვია. ალბათ, ამიტომ იყო ატომური შეტევის შესახებ გამოცემული ბრძანება დანომრილი 13-ით.

თავზე დაგვხარის ცა მშობლიური

მოღუშული ქარიანი დილა იყო, იოკოჰამა რომ დავტოვეთ, სანგარის სრუტით გავედით იაპონიის ზღვაში. ეს ერთადერთი ზღვა გვაშორებდა მშობლიურ ნავსადგურს.

მოუთმენლად ვითვლით სამშობლოს ნაპირებამდე დარჩენილ მანძილს. გემზე გაცხოველებული მზადებაა.

დავალება შესრულებულია. უკან დარჩა უძილო ღამეები,

გაავებული ქარიშხალი და ათასი განცდა, ათიათასი განსაცდელი...

თავზე დაგვხარის ცა მშობლიური. აი, სამშობლოს ნაპირებიც. მძლავრმა ვაშამ გუგუნით გადაუარა გემბანს. იქ კი, მშობლიურ ვლადივოსტოკში, თვალს არ აცილებენ ზღვას, როდის გამოჩნდება გემი...

შორიდან ვამჩნევთ ნაპირზე თავმოყრილ დამხვდურებს, ყველაზე ძვირფასსა და ახლობელს.

გემბანზე კი ყველაზე მოუთმენლები — ოთარ ფხაკაძე, ნიკოლოზ ივანოვი, ნოდარ ალექსიძე, ძია ვასია და მიხეილ მდიკანი გადმომდგარან და თვალებით ნაცნობებს ეძებენ.

ისევ ნებივრობს ჩემს ფეხებთან ალერსისმოყვარული ფავა და ისევ ერთგულად მომჩერებია პირატი.

ამაყად შედის გემი ნავსადგურში, რამდენი ხანია, არ გვინახავს ჩვენი ქვეყანა და მერე რა ტკბილია, როცა შორეული მგზავრობიდან ბრუნდები.

შეუძლებელია ამ განცდის გადმოცემა. ეს რომ განიცადო, უნდა იმოგზაურო დიდხანს და გამარჯვებული მობრუნდე უკან...

ტურკუ, ტამპერე, ჰელსინკი

აი, ჩვენ ისევ გემზე ვართ. მე და უფროსი მექანიკოსი ნიკოლოზ ივანოვი ხშირად ვყოფილვართ „კრეიტონ ვულკანის“ სტუმარი. აქ ჩერდებოდა მაშველი გემები. ამიტომ ჩვენს ირგვლივ ცნობისმოყვარე თვალები მრავლდება. ვინც არ ყოფილა ფინეთში, უნდა ცოტა რამ მაინც შეიტყოს მასზე წინასწარ. ჩვენც მხიარულად ვსაუბრობთ ტურკუზე, რომლის გემთმშენებელ ვერფს „კრეიტონ ვულკანს“ საუკუნეების ისტორია აქვს და ბუნებრივია, 1741 წელს აშენებული საკმაო გამოცდილებას დააგროვებდა. სწორედ ამ ვერფში შენდებოდა საბჭოთა ყინულმჭრელი გემები: „კაპიტანი ვორონინი“, „კაპიტანი მელეხოვი“, „კაპიტანი ბელორუსოვი“, — ოთხხრახნიანი და 10 500 ცხენის ძალიანი. აქვე აშენდა ექსპრეს-ელექ-

ტრომავალი „მოსკოვი“, რომელიც შეუფერხებლად მიარ-ღვევს ზღვებსა და ოკეანეებს.

ნაპირზე ძველი მეგობრები გვხვდებიან. მათი ღიმილი გულწრფელია, მათი საუბარი გულახდილი. მივდივართ სასტუმრო „ხოსაიტში“, რომელიც ერთ-ერთ საუკეთესო სასტუმროდ ითვლება ტურკუში. იგი ეკლესიის გვერდით აუშენებიათ და სასტუმროს სახელწოდებაც ქრისტეს სახელთანაა დაკავშირებული. სხვა გზა არც ჰქონდათ, სასტუმრო ხომ ეკლესიის სახსრებით გაიმართა წელში. გონივრულად მოქცეულან ღვთისმსახურები. ეკლესიას არ ჰქონდა შემოსავალი, სამაგიეროდ სასტუმრო აანაზღაურებს ეკლესიის ხარჯებს.

აქ ყველგან ეკლესიის გავლენა იგრძნობა, კედლები აჭრელებულია ხატებით. ყველა მაგიდაზე დევს სქელტანიანი ბიბლია. იღიმებიან ჩვენი კომუნისტები, აქ შეიძლება მორწმუხე გახდეო.

ტექნიკის უკანასკნელი სიტყვა გაბატონებულა სასტუმროში. იქნებ თქვენ რადიომიმღების მოსმენა გაინტერესებთ, იქნებ ტელევიზორს უფრო ეწყობით. სიამოვნებით, ოღონდ წინასწარ გადახდა არ დაგავიწყდეთ.

სასტუმროს შესასვლელში საბჭოთა კავშირის ალამი აფრიალდა. წესად ჰქონიათ ფინელებს, რომელი ქვეყნის ხალხიც დაბინავდება სასტუმროში, იმ ქვეყნის ალამი აღმართონ.

ჩვენ გრძელი გზა გვიდევს ნავსაშენისაკენ და ეს გზა ყოველდღე უნდა გავიაროთ. ხან მანქანებით ვერევით მანძილს, ხან ავტობუსებშიც კარგად ვგრძნობთ თავს. ქუჩებში მრავლად გვხვდება საბჭოთა მარკის ავტომანქანები „ვოლგა“ და „მოსკვიჩი“. როგორც ჩანს, იგი დიდი რაოდენობით შეუსყიდია ფინეთს.

ავტობუსებში არ არის კონდუქტორი. ეს არაფერი. არ არის ავტომატი. ალბათ კერძოა ავტობუსი და ფულსაც მისი მფლობელი — მძღოლი იღებს.

ფინეთის უძველესი ქალაქია ტურკუ, რომელიც 12 ასეული წლის წინათ მოიხსენიეს მატიანეში. 1812 წლამდე ფინეთის დედაქალაქი იყო ტურკუ. ახლა კი 132.000 მცხოვრებით

სახელმწიფოში მეორე ქალაქად ითვლება და იგი ცნობილია, როგორც მსხვილი სამრეწველო სავაჭრო ცენტრი, ნაოსნობისათვის ესოდენ შესაფერი, ადგილმდებარეობის წყალობით ეგზომ მნიშვნელოვანი, სადაც 1640 წელს დაარსდა ფინეთის პირველი უნივერსიტეტი. მხოლოდ 1827 წელს გადაიტანეს იგი ჰელსინკში, როცა ხანძარმა შიში აჭამა ფინელებს. ახლა ტურკუში შვედური და ფინური უნივერსიტეტებია, ტექნიკური და პედაგოგიური ინსტიტუტები, საზღვაო და სახელოსნო სასწავლებლები, მუშათა და სახალხო უნივერსიტეტები.

1827 წელს ხანძარმა ბევრი ღირსშესანიშნავი შენობა შეიწირა. გადარჩენილი ნაგებობებიდან პირველად ყურადღებას იმსახურებს ფინეთის ისტორიული წარსულის სიმბოლო, ვეება ტაძარი. როგორც ამბობენ, მისი მშენებლობა 1229 წელს დაწყებულა. ტაძარს ვერ მოერია ცეცხლის ენები. ხანძარს გადაურჩა აგრეთვე 1280 წელს აშენებული ქოხმახების ჯგუფი, სამონასტრო მთას რომ უწოდებენ ფინელები და მუზეუმად რომ გადააკეთეს.

მდინარე აურას ნაპირებზე გაშენებულ ქალაქს გარს ბაღებითა და პარკებით დაფარული გორაკები არტყია. ქალაქში უამრავი სკვერია. ტურკუ სპორტული ქალაქიცაა. ფინეთს ხომ ძველად სპორტის ქვეყანასაც უწოდებდნენ. გასული საუკუნის დასასრულს ტურკუში კიდევ ერთი ახალი პარკი გაშენდა — სპორტული პარკი, რომლის თექვსმეტ ჰექტარ ფართობზე არაერთი მსოფლიო რეკორდი დამყარებულა. აქ პატივისცემით ინახავენ მორბენალ პაავო ნურმის ხსოვნას, რის დასადასტურებლად ქალაქის ცენტრში მისი ძეგლი ააგეს. სამი ათეული წლის წინათ ფინელმა მძლეოსნებმა ნურმიმ, რიტულამ, სოლომინენმა, მიაკიმ, რეინომ, 30 წუთში დაფარეს 10.000 მეტრი დისტანცია, რითაც მსოფლიო გააოცეს. მაგრამ 1965 წელს ქალაქ ოსლოში ცნობილმა ავსტრალიელმა სტაიერ რონალდ კლარკმა ეს მანძილი 27 წუთსა და 39,4 წამში გაირბინა. ჯერ კიდევ არ იყო დამტკიცებული რეკორდი, რომ 28 დღის შემდეგ, 34,6 წამით გაუმჯობესა გამარჯვება. მერე—28 წუთსა და 16,6 წამში. საგულისხმოა, რომ რეკორდის დამყარებას მხოლოდ 23 მაყურებელი დაესწრო, მელბურნის „ოლიმპია-პარკის“ ტრიბუნები ცარიელი იყო მეტწილად. მაგ-

რამ არ გასულა დიდი დრო და კლარკის გულშემატკივრებს ვეღარ იტევდა 10.000 ადგილიანი ტრიბუნები.

დიდებული გზაა ტურკუდან ტამპერემდე: ტყიანი, კლდოვანი, მკაცრი და ლამაზი.

ტამპერეში აშენებული თეატრი პირველი არაჩვეულებრივი თეატრია, რომლის სცენა უმოძრაოა. ბრუნავს მხოლოდ დარბაზი თავის მაყურებლით. დეკორაციებიც დარბაზის ირგვლივ არის დადგმული, რომელსაც კარგად ამჩნევს მაყურებელი. მბრუნავია ადგილმდებარეობის რელიეფი, მწვანე ნარგავებით მდიდარი მოწყობილობა საშუალებას იძლევა, ანტრაქტის გარეშე ჩატარდეს სპექტაკლი. რეჟისორებს საშუალება ეძლევათ, სპექტაკლში გამოიყენონ ბუნებრივი სიმწვანე. ხელოვნური ტბორები...

ახალი თეატრი დიდი პოპულარობით სარგებლობს გემოვნებიან მაყურებელთა შორის.

ტამპერეს შემდეგ ჩვენ ცნობილ ადამიანთა დედა სამშობლოს ჰიამენლინას ვეწვიეთ. ამ პატარა ქალაქში დაიბადა დიდი სიბელიუსი, სახელოვანი კომპოზიტორი, ფინური ლიტერატურის ფუძემდებელი ალექსი კივი, მწერალი მარტი ლარნი და მრავალი სხვა.

ქალაქში სულ 30.000 მცხოვრებია, ისინი გამოირჩევიან თავშეკავებულობითა და კარჩაკეტილობით. აქ არ იცინან მასლაათი. მათ სიტყვაძვირობა ახასიათებთ. ეს ადრიანად შეამჩნიეს სწავლულებმა. მათ აინტერესებდათ, რამდენ სიტყვას იტყოდა სკანდინავიელი დღეში. გამოირკვა, რომ ყველაზე ნაკლებს აქაურები ლაპარაკობენ. საღამოს რვა საათიდან ქალაქში სრული სიჩუმე ისადგურებს. ძილი სწვევია ყველას. იშვიათია გამვლელი. ახალგაზრდობაც დამორჩილებია აქაურ კანონს, დაუწერელსა და მტკიცეს.

— აი, აქაური ქალი გამოგადგებაო ცოლად, — ხუმრობს ოთარ ფხაკაძე, — როგორც არ უნდა გააბრაზო, სიტყვას არ გეტყვის ზედმეტს. თუმცა მე ვიცი, რომ ამ სიტყვებში უბრალო ხუმრობაა, რადგან ოთარ ფხაკაძეს შესანიშნავი მეუღლე ჰყავს, კარგი დედა და კარგი დიასახლისი.

ტურკუში ძალიან ბევრი შვედი ცხოვრობს, ამიტომ გვიან ღამემდე მხოლოდ შვედური რესტორანი მუშაობს. ქალაქებს

შეტწილად ორი სახელი აქვს: ფინური და შვედური — ტურკუ — აბო, ჰელსინკი — ჰელსინგფორსი.

თავისუფალ დროს ფინელები ბუნების წიაღში ატარებენ, თავისებურია ეს დასვენება.

ქალაქგარეთ უხვად არის ტბები. ჩვენ კვირაობით ხშირად წავსულვართ სასეირნოდ. ტბებზე ძალიან ბევრი ლეგენდაა შექმნილი.

ამბობენ, როცა ღმერთმა სამყარო შექმნა, ანგელოზს წყალი გაატანა, ზღვაც საჭიროაო. გზაზე ანგელოზმა ცას ახედა, უნდოდა თვალი შეევლო ვარსკვლავებისათვის, ამ დროს ფეხი წამოჰკრა რაღაცას და წყალი დაეღვარა. სწორედ ამ დაღვრილი წყლიდან ქვიშიან მიწაზე 50.000 ტბა გაჩნდაო.

ფინელები თავიანთ ქვეყანას „სუომს" უწოდებენ, რაც „ჭაობიან მიწას" ნიშნავს. თავიანთ თავს კი „სუომოლაინელს", რაც „ჭაობის კაცად" ითარგმნება.

როცა ჩვენ ქალაქგარეთ წავედით, თან გავიყოლიეთ ბურთი და აკორდეონი. მოგეხსენებათ მეზღვაურების ტემპერამენტი, ძალიან მალე გამხიარულდნენ, ვინ ბურთს დასდევდა, ვინ ჭიდაობაში ცდიდა ჯანს, ბევრი მღეროდა, ცეკვავდა.

ფინელები ისხდნენ თავისთვის და დუმილით გვაგრძნობინებდნენ თავიანთ ბოცებას. მათ ალბათ არასერიოზულადაც მოეჩვენათ ჩვენი სიხალისე. ვერავითარმა ძალამ ვერ გაჭრა. ისინი საერთო მხიარულებაში ვერ ჩავითრიეთ.

დედაქალაქსაც ვეწვიეთ. ჰელსინკს სამი მხრიდან ზღვა აკრავს. ქალაქი მშვიდია და დიდებული. ჩვენ დავდიოდით ქუჩებში, ვიყავით ტაძარში, უნივერსიტეტში, ფოტოგამოფენაზე, აღტაცებული შევცქეროდით მამაცთა შეჯიბრს, სახლის ზღურბლებზე რომ ეშვებოდნენ ხის ძელებით. ეს თავისებური სპორტია. ჩვეულებრივი სპორტის ყველაზე არაჩვეულებრივი სახეობა, რომელიც შეიძლება ჰავაელთა ზღვაზე ფიცრებით სეირნობას შეედაროს.

მოვინახულეთ სტადიონი. მე აქ ადრეც ვყოფილვარ. 1954 წელს, როცა ოლიმპიური თამაშები მიმდინარეობდა, ნავსადგურში გემების სიმრავლის გამო შესვლაც არ შეიძლებოდა. მახსოვს, როგორი მოხერხებით მივაღწიეთ ნავსადგომს. მოლაპარაკების შემდეგ გემების კაპიტნებმა თანხმობა განვაცხა-

დეთ, ერთმანეთზე მიგვება გემები. ასე გადავდიოდით ერთი გემიდან მეორეზე და ასე მოვხვდით ნაპირზე.

ჰელსინკს მცირე როლი როდი უთამაშია ჩვენი პარტიის ისტორიაში. ახლა იმ სახლებზე მემორიალური დაფებია ყველგან — ლენინი, სტალინი, გორკი... აი, ვისზე გვიამბობს ეს დაფები.

ქალაქში განსაცვიფრებელი სისუფთავეა გამეფებული. ალბათ ძალიან ადრე ჰგვიან ქუჩებს, თვალში არც ერთი მეეზოვე არ მოგვხვედრია. სიტყვამ მოიტანა და მინდა 1963 წელი გავიხსენო, როცა სინგაპურში იაპონელი ფოტორეპორტიორი გამაცნეს. იგი სამშობლოში ბრუნდებოდა საბჭოთა კავშირიდან. დიდხანს ყოფილა თბილისშიც. ფოტორეპორტიორს ძალიან მოსწონდა თავისი ნამუშევარი და მეც სიხარულით ვათვალიერებდი ჩემთვის ესოდენ ახლობელ მთაწმინდას, მეტეხს, ნარიყალას, სვეტიცხოველსა და ჯვარს... თითქოს თერგის აქაფებული ტალღების ხმაც კი მომწვდა შორეულ სინგაპურში და უცებ... ჰრელ ტანსაცმელში გამოწყობილი ქვაფენილებზე მორთხმული ქურთები. დიდხანს ვაჯერებდი თავმომწონე იაპონელს, რომ მათ არავითარი კავშირი არ აქვთ ქართველებთან, რომ ისინი სხვა ერის წარმომადგენლები არიან. ეს სხვათა შორის.

არასოდეს დამავიწყდება საუბარი მარტი ლარნთან. მარტი ლარნს კარგად იცნობს ქართველი მკითხველიც. ჩვენ დიდხანს გულწრფელად ვსაუბრობდით, იგი თანამემამულეთაგან განსხვავდება, მხიარულია და მჭევრმეტყველი. დაუსრულებლივ შეგიძლია უსმინო ამ ტანბრგე, ჭარმაგ კაცს, ბავშვური სიხარული რომ ჩასდგომია კეთილ თვალებში. ლარნი თბილისშიც ყოფილა. როგორ მოსწონს საქართველო? როგორც სხვას, ყველას, ვინც აღტაცებულია ქართული თავაზიანობით, სტუმარმასპინძლობით, ქართველი ქალების მომხიბვლელობით.

მარტი ლარნიმ თავისი წიგნები მაჩუქა და თან გულთბილი სიტყვები გამოაყოლა. სურათიც გამომატანა. მოხარული ვიქნები შენი სტუმრობით ყოველთვის — ასე წერია იმ სურათზე. ბოლოს ფინელი მწერალი ხვანჭკარითა და ტვიშით გამიმასპინძლდა...

ქართული ღვინოები ფინეთში არსად არ იყიდება. ეს იმას

ნიშნავს, რომ თბილისელები არ ივიწყებენ ახლადშეძენილ მეგობარს. შორეულ ფინეთშიც თავისუფლად მიდის მეგობრული ამანათები.

კუნძული რუისადო. ამ კუნძულზე ნადირობდნენ შვედი მეფენი. მეფეთა დარბაზებში ნაწილებად დაყოფილი სარკეები ჰკიდია. გვითხრეს, აქ ძველად სარკეში ჩახედვისათვისაც ფული იყოო გადასახდელი. რაც უფრო დიდი ყოფილა სარკე, მით უფრო ძვირი ღირებულა ჩახედვა.

აი, მეფე ერიკ XIV სავანე — ღალატით მოკლული მეფისა. ძმამ აღმართაო მასზე ხელი.

ციხესიმაგრესთან ხშირად მოდიოდაო ერიკ მეფის ულამაზესი მეუღლე და დასტიროდა საყვარელ ვაჟკაცს. ვნახეთ გასაშლელი საწოლი, რომელზეც ალექსანდრე I იძინებდა. კედლებზე კარლოს XII პორტრეტები ჰკიდია.

ტუომიო კირკოს ტაძრის შესასვლელში დგას მისაელ აკრიკოლას ქანდაკება, აკრიკოლამ თარგმნა ფინურ ენაზე ბიბლია. ტაძარი 1227 წლიდან ითვლის თავის ასაკს. აქ განისვენებს მეფეთა ჯალაბი. შავი მარმარილოს სარკოფაგში წევს ემილ XIV ლამაზი მეუღლე კატერინა. ამბობენ, 1929 წელს, როცა სარკოფაგი გახსნეს, ყველა გააოცა ნანახმა, მკვდარიც კი აუწერელი სილამაზისა იყოო. ამიტომ თუ დაკრძალეს მის გვერდით XVI საუკუნის მამაცი გენერალი სტოლხანსკი, არ შეაწუხონო თაყვანისმცემლებმა დედოფალი.

ტაძარში ბოშები შემოგვხვდნენ. ისინი თურმე მრავლად ცხოვრობენ აქეთ. ჰყავთ თავიანთი ბელადი, იცავენ ადათ-წესებს. 3000 ბოშა უსიტყვოდ ემორჩილება შუახანს გადაცილებულ ლამაზსა და წარმოსადეგ კალე ხაგერტს.

ჩვენ მალე დაგვიმეგობრდა კალე ხაგერტი, ვაჟის ქორწილშიც მიგვიწვია. რძალი ფინელი ქალი იყო. ჰელსინკის ყველაზე დიდ ტაძარში „სუდურ კირკაში“ დაიწერეს ჯვარი.

ჩვენმა ფინელმა მეგობარმა ტერტი ვალტაკარმა, რომელიც კარგად ლაპარაკობდა რუსულად, გვიამბო ბოშათა ცხოვრებაზე, რომელნიც XVII საუკუნეში მოსულან აქ, აქვე ცხოვრობდნენ ებრაელებიც. ტერტიმ გვიამბო ისიც, რომ, როცა ფინეთში გერმანელები შემოსულან, მაშინდელ პრეზიდენტს, მანერ ჰაიმსს სიტყვა ჩამოურთმევია უპირო ფაშისტებისათვის,

არ შეხებოდნენ ებრაელებსა და ბოშებს. საკვირველია, მაგრამ ფაქტია, რომ მომხვდურს შეუსრულებია მიცემული სიტყვა.

ჩვენთან, სასტუმროში, ახალგაზრდა ფინელი მხატვარი დაბინავდა. მან მალე გამოფენა გახსნა ტურკუში.

მხატვარს, მიმზიდველსა და ქერა ჭაბუკს, პორტრეტების ხატვის დიდი უნარი ჰქონდა, თავისუფლად ლაპარაკობდა ევროპის თითქმის ყველა ენაზე. მხატვარი შეაძრწუნა ბორის პასტერნაკის გარდაცვალებამ...

ტურკუში ყოფნისას ჩვენთან ერთად მოსკოველი ჟურნალისტი ჰენრიხ გურკოვიც იყო. ჩვენ ერთად დავდიოდით ექსკურსიებზე. ვიყავით კუნძულ ჰარაინენზე, სადაც 1907 წლის დეკემბერში ცხოვრობდა ლენინი. სახლის ადრინდელ პატრონს სვანტე ბერგმანს, რომელიც მაშინ პატარა ბიჭი იქნებოდა, კარგად ახსოვს დიდი ბელადის სახე. საერთოდ, ლენინი ფინეთში ცხრაჯერ იყო. ჩვენ ყველაფერი ვნახეთ, რაც კი ლენინთან იყო დაკავშირებული.

სასტუმროს ადმინისტრატორმა კოსტი სანტალამ დაბადებიდან 60 წლისთავზე დაგვპატიჟა. ტურკუს გაზეთებმა კოსტის სურათები და ბიოგრაფია მოათავსეს თავიანთ ფურცლებზე.

ქალაქის ქუჩებში ბევრი საინტერესო ქანდაკებაა. შესანიშნავია შადრევანი „რუსალკა“, მისი მოქანდაკე ვილე ვალგრენია. თეატრი ქანდაკებათა მთელი ჯგუფია. ორი ერთმანეთზე გადახვეული ცხენი დგას. ერთზე ქალიშვილი ზის, მეორეზე ჭაბუკი. ცხენებიც კი ეალერსებიან ერთმანეთს. საინტერესოა, რომ ეს ქანდაკება ქალაქ გეტებორგის შვედ მცხოვრებთა სახსრებით ააგეს.

ტურკუში ჩვენს ჩასვლას დაემთხვა დემონსტრაციები, რომლებიც ქალთა და მამაკაცთა თანასწორუფლებიანობას მოითხოვდნენ.

დავათვალიერეთ სპეციალური სახლები, საიდანაც მიცვალებულს ასვენებენ. აქ ყველას შეუძლია მოიხადოს უკანასკნელი ვალი, — მივიდეს მიცვალებულთან.

ფინეთში რამდენიმე ლუდის ქარხანაა. მათ მეპატრონეებად რუსული წარმოშობის გვარის ადამიანები არიან, მაგალითად სინებრიუხოვები. ამბობენ, 200 წლის წინათ ჰელსინკელ ქალზე ჯვარი დაუწერია რუს სოვდაგარს კრასნობრიუ-

ხოვს. ცოლმა უარის თქმა დააპირა ქმრის გვარის მიღებაზე. ატყდა დავა და კამათი. მეფემდე მივიდა ეს ამბავი. თუ კრასნობრიუხოვი არ მოგწონთ, სინებრიუხოვი ატარეთო, უთქვამს მეფეს.

ჩვენს სასტუმროში ესტონელი ტურისტები გაჩერდნენ. მათთან ლტოლვილი ესტონელები მივიდნენ, მაგრამ საბჭოთა მოქალაქეებმა არ მიიღეს სამშობლოდან გაქცეულები.

მერე ტურკუში, სოფლის მეურნეობის გამოფენაზე, ესტონელმა მომღერალმა გეორგ ოტსმაც მიიღო მონაწილეობა, სასტუმროში ესტონეთის ალამი აფრიალდა.

ლტოლვილმა ესტონელებმა ვერაფერი მოიფიქრეს ადამიანური და ალამის მოგლეჯა გადაწყვიტეს, მაგრამ პოლიცია საკადრისად გაუმასპინძლდა.

მდიდარია ფინური ბაზრები. აქ შეიძლება იყიდო სახლი, აბანო. აბანო აქ ყველა სახლის აუცილებელი ნაწილია. შხაპის გარეშე არცერთი ფინელი არ წავა სადმე სტუმრად ან სასეირნოდ...

სასტუმროში საბჭოთა კავშირის ალამი მოიხსნა, სამაგიეროდ, ხომალდზე აფრიალდა იგი. წინ გრძელი გზაა, საინტერესო, თავგადასავლებითა და ხიფათით სავსე. ჩვენ გვიზიდავს ერთი და არ ვუშინდებით მეორეს...

აქ არ იციან, რა არის ომი

სტოკჰოლმს მივუახლოვდით.

ჩვენს დანახვაზე შეკრული შუბლი უმალ გაეხსნა სტუმართმოყვარე ლოცმანს. სინანულით გვიამბო, როგორ მოვიდა ამ რამდენიმე დღის წინათ ინგლისის სამხედრო გემები სტოკჰოლმში და როგორ დაურღვია სიმშვიდე შვედებს. გემებს თან მოუტანია ღრეობა და აყალმაყალი, ჩხუბი და ლანძღვა-გინება. ადგილობრივი პოლიცია ვერას გამხდარა ინგლისელ სამხედროებთან.

— არ მიყვარს ეს თავგასული ადამიანები, — გულწრფელად ამბობდა ლოცმანი, — აი, საბჭოთა კავშირიდან კი გინდა

სამხედრო გემი ჩამოდგეს, გინდა სავაჭრო. ამასწინათ ნავსადგურს ორგზის წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტის ჯგუფი ეწვია, რომლის შემადგენლობაში იყო კრეისერი „კომკავშირელი", ესმინცები „პირქუში" და „ბრაზიანი". მიუხედავად მათი სახელებისა, ოთხი დღე იყო საკმარისი, რომ საბჭოთა მეზღვაურებს აღტაცებაში მოეყვანათ შვედები.

გაგვიხარდა, რა თქმა უნდა, გაგვიხარდა. უცხო ქვეყანაში ლოცმანი ხალისიანად გვესაუბრებოდა. ჰყვებოდა თავის ქალაქზე, ხიდებითა და არხებით სავსე ქალაქზე. აქ მრავლად დადიან ძრავიანი ნავები, კატერები. ალბათ ამიტომაც უწოდეს სტოკჰოლმს ჩრდილოეთის ვენეცია.

ქალაქი ლამაზია, სუფთა. თვალში გეცემათ რეკლამები, მყვირალა, ფერადი რეკლამები, რაც პირველად მოსულზე „მდიდარი ფონის" შთაბეჭდილებას ტოვებს. შვედის ცხოვრების დონე ბევრად მაღალია მსოფლიოს სხვა ქვეყნის მცხოვრებთან შედარებით, რაც იმით აიხსნება, რომ შვეციას 150 წლის მანძილზე არ უომია. მსოფლიო ომების დროს მის ტერიტორიაზე არც ერთი ყუმბარა არ ჩამოვარდნილა, არც ერთი სახლი არ დანგრეულა. უფრო მეტიც. ვაჭრობამ მეომარ ქვეყნებთან ხელსაყრელი პირობებიც კი შექმნა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის.

მაგრამ ძველმა კონკურენტებმა ძალ-ღონე მოიკრიბეს და შვეციის შევიწროებას ცდილობენ. მაღალ მოგებას დაჩვეული კაპიტალისტი იოლად როდი შეელევა, დაკარგოს შემოსავალი. მათ იერიში მიიტანეს მშრომელთა საცხოვრებელ პირობებზე. იზრდება გადასახადები, მატულობს ფასები.

ექსკურსიამძღოლმა ჩვენი ყურადღება ლამაზ, თანამედროვე შენობაზე გადაიტანა, — ეს ყველაზე მაღალი შენობაა სტოკჰოლმში, — გვიხსნის ის.

— რა ხდება იქ? — დავინტერესდით ჩვენ.

— მასში საგადასახადო სამმართველოა, — გვპასუხობს მასპინძელი ქალი, — აქაურები ხუმრობენ, ძალიან სიმბოლურიაო შენობა. ასეთი მაღალი გადასახადები არასდროს არ ყოფილა შვეციაში.

არასასიამოვნო ხუმრობაა.

შვეციაში ძალიან ძვირია ტრანსპორტი. ავტობუსში შვედი

რომ ბილეთის ფულს გადაიხდის, უბის წიგნაკში ინიშნავს დანახარჯს. თუ ვინმემ ფული ისესხა, ნათესავიც რომ იყოს, აუცილებლად პროცენტი უნდა გადაიხადოს. იშვიათად დადიან სტუმრად შვედები. ვინც მიწვეულია ვახშმად, ფული თან მიაქვს, რადგან მასპინძელი აუცილებლად უანგარიშებს, რამდენია დანახარჯი. ეს არც სწყინთ სტუმრებს. ასეთი წესია და რა მათი ბრალია.

მასპინძლობს პრინცის სამშობლო

მე ვიცი დანიის ბუნების ცვალებადი ხასიათი. ვიცი და არც მიკვირს. ჩვენთან, ბათუმშიც ხომ ასეა. დაიწყებს წვიმას, გგონია, არ გადაიდარებსო არასდროს და უეცრად გადაიყრის ცა ღრუბლებს, მზე გადმოხედავს ზღვასა და ხმელეთს. ჰოდა, დანიაშიც ჭირვეულია ამინდი. ამიტომ არაფრად ჩავაგდეთ პირქუში ზეცა და საწვიმრად გამზადებული ღრუბელი, პირველი რომ შეგვეგება კოპენჰაგენში, შეგვეგება და თავი არ მოვაბეზროო უცხოელ სტუმრებს, სულ გადაიკარგა ნავსადგურიდან. მზის დანახვაზე კი ჩვენი ბიჭები ხმაურით გავიდნენ ნაპირზე.

პირველი, რაც თვალში მოგვხვდა, ეს იყო ველოსიპედისტების სიმრავლე. პატარები თუ დიდები, მოხუცები თუ ახალგაზრდები ყველანი უშიშრად მიიჩქაროდნენ თავიანთ საქმეზე. როგორც ჩანს, აქ ველოსიპედი მოძრაობის განუყრელი საშუალებაა, ისევე, როგორც ჰოლანდიაში.

ველოსიპედით მიდიან სამუშაოზე, სკოლაში, ბაზარში, ველოსიპედით სეირნობენ ქალაქგარეთ. ხშირია სპეციალური სადგომები და გაჩერებები, სადაც თავისუფლად შეიძლება დატოვო ველოსიპედი.

არ შეიძლება ყურადღება არ მიაქციოთ იმ ფაქტს, რომ კოპენჰაგენში ღირსეულად აფასებენ ფეხით მოსიარულეთ. მძღოლები ყოველთვის ჩერდებიან და საშუალებას გაძლევენ, თავისუფლად გადაკვეთო ქუჩა. ჩვენ ერთბაშად ვერ შევეჩვიეთ ამ წესს და ხშირად სასაცილო მდგომარეობაში ვვარდებოდით.

როცა დაისი ჩამუქდა, აინთო ნაირფერი რეკლამები. რეკ-

ლამები ბრწყინავდნენ რესტორნისა და ბარების კარ-ფანჯრებზე. ისმოდა ჯაზური მუსიკის ხმა, ქუჩებში ხალხი თანდათან მატულობდა. ეს ბუნებრივიცაა. ქალაქში ერთ-ნახევარი მილიონი მცხოვრებია, რომლებიც ძირითადად ხუთსართულიან აგურის ნაცრისფერ სახლებში ცხოვრობენ.

ყვავილებისათვის დამახასიათებელი მკვეთრი ფერების სიმცირე აქ ბუნების თავისებურებაზეც მიგვანიშნებს. ფერმკრთალი ყვავილები კი ქალაქს სიმშვიდის იერს მატებს. თეთრთმიანი და ცისფერთვალა, ტანადი კაცებიცა და ქალებიც დინჯი, სიტყვაძუნწი ხალხის შთაბეჭდილებას ტოვებენ.

კოპენჰაგენი სკანდინავიის ერთ-ერთ მსხვილ ქალაქად ითვლება, კალვებუდის ვიწრო სრუტე ორ ნაწილად ჰყოფს მას.

დანიის დედაქალაქი არა მარტო საზღვაო ნავსადგურია, დიდი სარკინიგზო ცენტრიცაა. მასზე მსხვილი საერთაშორისო საჰაერო ნაზებიც გადის.

კოპენჰაგენში განვითარებულია მანქანათმშენებლობა, გემთმშენებლობა, სოფლის მეურნეობა...

მთელი ქალაქი სამი ნაწილისაგან შედგება. თითოეულ ნაწილს თავისი დამახასიათებელი ნიშნები აქვს.

ახალი, თანამედროვე კოპენჰაგენი, რომელსაც დასავლეთი, ჩრდილო და სამხრეთ ნაწილი უჭირავს, დედაქალაქის მთავარ საცხოვრებელ ნაწილს წარმოადგენს. აქ გამეფებულია ფუფუნება. ვესტერბრიუსა და ტორიბიუს რაიონებში ბევრი ფაბრიკა-ქარხანაა. მუშათა საცხოვრებელ კვარტალებში პატარა აგურის სახლები კოპწიაობენ.

„ძველ ქალაქს“ დედაქალაქის აღმოსავლეთი ნაწილი დაუჩემებია. იგი ადმინისტრაციულ და კულტურულ ცენტრად გვევლინება. აქ არის სამინისტროს შენობები, პარლამენტი, ბირჟები, ძველი ციხესიმაგრენი და სასახლეები, უნივერსიტეტი, თეატრები, მუზეუმები, ბიბლიოთეკები და სხვა სახელმწიფო დაწესებულებანი, რომელსაც დიდი და მრავალრიცხოვანი ბაღები აკრავს.

გემთმშენებელი ვერფი, საწყობი და სამხედრო ნავსადგური მდებარეობს ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, ამაგერის კუნძულზე. დანია ხომ იუტლანდიის ნახევარკუნძულსა და ხუთას სხვა კუნძულზე არის გადაჭიმული.

იუტლანდიის ნახევარკუნძული შედარებით მომცროა. 340 კმ სიგრძე აქვს და 180 კმ სიგანე.

დანია მრავალრიცხოვანი ტბების ქვეყანაა. აქ არც მთათა ნაკლებობაა. ჰარმონიულად შერწყმიან ერთმანეთს მთები და ტბები.

როგორც სკანდინავიის ყველა სხვა ნახევარკუნძულზე, არც დანიაში გამოირჩევა ბუნება. იგი მკაცრია და მშვიდი, თითქოსდა ჩრდილოეთის პირქუშობასა და სიდიადეს უსვამდეს ხაზს. რბილი და ნესტიანი ჰაერი, ნოყიერი ნიადაგი დიდად უწყობს ხელს მცენარეთა ზრდას. განსაკუთრებით ხარობს აქ ბალახი. ტყეები შედარებით ცოტაა, მას მთელი დანიის 10 პროცენტი უჭირავს. ალბათ ამის გამოცაა ცოტა გარეული ცხოველები; მელიები და თხუნელები, სამაგიეროდ, ბევრია ჩიტები, განსაკუთრებით ზღვაში და წყალში მცურავი ჩიტები.

ელსინორი. ყველა ჩვენთაგანმა იცის მისი სახელი. ყოველთვის ვეწვევით ხოლმე, როცა კოპენჰაგენში ვართ. ეს ხომ ჰამლეტის ქალაქია. ძველი ციხე კრონბერგი ჩვენ დანიის მშვენიერ პრინცს გვაგონებს, რომლის ტრაგედია ასე ახლოს მივიდა ყველა ჩვენთაგანის გულთან. ჰამლეტი შეიყვარა საბჭოთა მკითხველმა და მაყურებელმა. აქამდე არ შენელებულა ინტერესი დანიის პრინცისადმი. ახლაც ხალხმრავლობაა თეატრის დარბაზში, როცა უჩვენებენ ჰამლეტს, ახლაც გაისმის სცენიდან მისი ნაღვლიანი სიტყვები: „ყოფნა არ ყოფნა, საკითხავი აი, ეს არის“.

ჩვენ ჩვეულებისამებრ მივეშურებით იმ ადგილებში, სადაც ძველ დროში დიდი ტრაგედია გათამაშებულა.

გამცილებელმა ელსინორის მიწისქვეშეთში ერთ ქანდაკებასთან მიგვიყვანა. ეს იყო ხოლმერა დანსკეს ქანდაკება. მას სძინავს, ხელში მსხვილი მახვილი უჭირავს. გადმოგვცემენ, როცა ქვეყანას საფრთხე ემუქრებოდა, დანსკე სამშობლოს თავისი მკერდით იცავდაო.

უკან დაბრუნებისას ჩვენ დავარღვიეთ მარშრუტი და ლილეროდისაკენ გავწიეთ, სადაც დანიის გამოჩენილი მხატვარი ხერლუფ ბიდსტრუპი ცხოვრობს.

ჩალით გადახურული სახლიდან მომღიმარი ქალი გამოვი-

და ბოდიში მოიხადა, მხატვარი სახლში არ არისო. ძალიან გვეწყინა: ამ შემთხვევაში არ გაგვიმართლა და ვერ ვესაუბრეთ ცნობილ ადამიანს.

ყველა საბჭოთა მეზღვაური ცდილობს, უცხოეთში ყოფნისას წუთიც არ დაკარგოს უქმად და მაქსიმალურად გამოიყენოს თავისუფალი დრო.

ასე იყო ახლაც. თუმცა ცოტა დრო გვქონდა, ჩვენ ჰანს ქრისტიან ანდერსენის სახლისაკენ გავეშურეთ.

იდენი ძველი, ათასწლეული ქალაქია, თავისი სიდიადით კოპენჰაგენისა და ორხუსის შემდეგ არავის უდებს ტოლს. იქ შეხვდებით თავისებურ სოფელ-მუზეუმს, სადაც შორეული ძველი სახლებია თავმოყრილი. სამჭედლოები, ქარის წისქვილები, ძველი ავეჯი, სოფლის მეურნეობის იარაღები, ჭურჭელი და ყველა საოჯახო ავლადიდება.

ასეთი ორიგინალური მუზეუმი არსად არ შემხვედრია. მუზეუმს ძალიან ბევრი დამთვალიერებელი ჰყავს.

ვიგონებდით ანდერსენის ზღაპრებს. ვეჯიბრებოდით, ვის მეტი ზღაპარი ემახსოვრებოდა 15—20 წლის წინათ მოსმენილი და წაკითხული.

დიდი ხანია მივეჩვიეთ ხომალდზე მოსულ სტუმართა მიღებას.

ერთხელაც, კოპენჰაგენის ნავსადგურში ჩვენთან ორი ინგლისელი მეზღვაური მოვიდა — საბჭოთა გემი დაგვათვალიერებინეთო. იყვნენ განყოფილებებში, კაიუტებში, დუმილით ამოწმებდნენ ყველაფერს, ილუმინატორების ფარდებს და საწოლების საფენებსაც. გასინჯეს კერძიც, ბოლოს ვერ მოითმინეს და:

— საბჭოთა მეზღვაურებზე ბევრს ლაპარაკობდნენ კარგს. ჩვენ ახლა დავრწმუნდით ამაში. თქვენთან მთავარი ადამიანია. ეს იგრძნობა გემზე. დაფასებულია მისი შრომა. თქვენს მეცეცხლურებს თითო საცეცხლურზე თანაშემწენიც ჰყავთ. ჩვენთან კი ერთი კაცი ემსახურება ორ საცეცხლურს, — გულახდილად აღიარა ერთმა.

როცა დანია დავტოვეთ, ბევრს ვფიქრობდით ახლადშეძენილ მეგობრებზე. გულწრფელი მეგობრის ყოლა ხომ დიდი ბედნიერებაა და ვინ იცის, კვლავ რამდენ ახალ მეგობარს შე-

ვიძენთ. ვინ იცის, რამდენჯერ შეგვხვდებიან და გაგვაცილებენ ახალი მეგობრები, როგორც ხვდებოდა და აცილებდა ანდერსენის ბრინჯაოს ხომალდს პატარა ალი, რომელიც ქვებზე მოყუჟული იხედებოდა შორეთში...

ნანსენი ოსლოში ცხოვრობდა

ვამბობ, ნორვეგია და თითქოს ახლაც ვუყურებდე ზღაპრული მშვენებით სავსე სანაპიროს. გამჭვირვალე წყალს. თოვლით დაფარულ მთებს. თეთრსა და მიუკარებელს. როგორ იქნება, თვალი დაადგა ეირანგერ-ფიორდს, თავზე რომ უზარმაზარი კლდეები გადმოსწოლია, და მერე აღარ გახსოვდეს მისი მოჩუხჩუხე ღელეთა ხმაური.

შესანიშნავი განწყობილება სუფევს გემბანზე. ერთი სული გვაქვს როდის მივადგებით ნორგეს ნაპირებს, როგორც ნორვეგიელები უწოდებენ თავიანთ ქვეყანას. თამამად გავკვეთეთ ზღვაზე ჩამოწოლილი ნისლი და კუნძულ ტრისტეინს მივუახლოვდით, რომლის შუაგულში აღმართული წითელი კოშკი — შუქურა ფერერი 1691 წლიდან ესალმება და აცილებს ნორვეგიის დედაქალაქში მიმავალ გემებს.

მოგვიახლოვდა დიდი და თეთრი კატარღა, რომელსაც ლოცმანი მოჰყავდა ჩვენთვის. ლაკით გაპრიალებული გემბანით, პრიალა ილუმინატორებით, კრიალა ხელსაკიდებით, კატარღა სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს ჩვენზე. როგორც ჩანს, ნორგეს მთავრობა ცდილობს, რაც შეიძლება კარგი იყოს პირველი შეხვედრის შთაბეჭდილება. გემოვნებით ჩაცმულმა ლოცმანმა ღიმილით წარმოგვიდგინა თავი, ცოტა არ იყოს, აქ კი გამიცრუვდა მოლოდინი. რატომღაც მეგონა მაღალ, გამხდარ და ქერა ლოცმანს შევხვდებოდი, ეს კი დაბალი, საკმაოდ ჯმუხი, შავგვრემანი და ცხვირპაჭუა კაცი იყო. გამოთხოვებისას ლოცმანის ბლანკი გადმომცა, სადაც თავისივე ხელით ჩაეწერა „1022. სვერე ერლინგსენ". ამ ხელნაწერს მე ახლაც ვინახავ, კარგი ლოცმანის სამახსოვროდ, იმ ლოცმანისა, რომელმაც შესანიშნავად იცოდა თავისი საქმე და შეუფერხებლად გაჰყავდა ოსლოს ფიორდებზე გემი. ოსლოს ფიორდი კი სახუ-

შარო საქმე არ არის. გრძელი 100 კმ მანძილზე დაკლაკნილი ფიორდის სიგანე შესასვლელთან 20 კმ აღწევს, მერე კი ორ კილომეტრამდე ვიწროვდება, რომლის ნაპირებს გასაოცარი კლდეები და ტყიანი ნაპირები მიუყვება.

რაც ღრმად შევდივართ, მით მეტი გვხვდება სილამაზე და სიმშვენიერე, ცადაზიდული არყის ხეები. სოკოებივით ჩამალული საagარაკო სახლები.

აი, ოსკარბორგის პატარა კუნძული, მაღალი ციხე-სიმაგრე, ნორვეგიის კრონშტადტად წოდებული. იგი თავისი მიუდგომლობით ყოველთვის აოცებდა მნახველს. აქ სალუტით ესალმებიან ძველ კოშკებს და ჩვენც არ ვუღალატეთ ტრადიციას.

ახლა გარკვევით მოჩანს ოსლოს კვამლიანი მილები, დიდი საზღვაო ქალაქი, თავისი მისადგომებით. ჩვენ უკვე მეორე ლოცმანი გვხვდება, მაღალი, მდუმარე ნორვეგიელი. დუმილი მეფობდა ირგვლივ. უსიცოცხლოდ გაციებულიყო ამწეები. მხოლოდ თოლიები კვნესოდნენ მწუხარედ და თოლიებსაც, ვინ იცის, რა დარდი აწუხებდათ. ქარი ნაღვლიანად არწევდა ვენტილატორის ფრთებს. ვეება ნავსადგური დუმილით გვხვდებოდა საბჭოთა ადამიანებს. ფირმის აგენტმა, მისტერ ლანდპეიმ ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ნორვეგიაში არავითარი საშვი არაა საჭირო და საერთოდ, არავითარი გასასვლელები არა აქვთ დაკანონებული. მერე გემს არასასიამოვნო ხალხი მოუახლოვდა, არაყი მოგვყიდეთო. როცა მათ აუხსნეს, რომ ჩვენთან სპირტიანი სასმელები არ არის, ბუზღუნით შეერივნენ ღამის ნისლს. ისე, რომ პირველი შთაბეჭდილება არცთუ სასიამოვნო იყო.

მეორე დღეს ქალაქის დასათვალიერებლად წავედით; „პობედები“ დიდის პატივისცემით წარმოგვიდგინა ჩვენმა საკონსულომ და ვაჭრობის წარმომადგენელმა. პირველ მანქანას თვით კონსული უწევდა მძღოლობასაც და გიდობასაც. მეორეში საზღვაო სავაჭრო თანამშრომელი იჯდა.

ჩვენ შკიპერის ქუჩაზე გავდივართ, მერე კარლ-იუხანსგატეზე ვუხვევთ.

ოსლო 1048 წელს დაარსდა. XIII-XIV საუკუნეებში იგი სამეფო ქალაქი იყო. ქალაქში ხშირად ჩნდებოდა ხანძარი.

1624 წელს დიდმა ხანძარმა ქალაქის მოსახლეობა იძულებული გახადა, ბიორვიკის ყურის დასავლეთით ეძია სამოსახლო. აქ მეფე ქრისტიან IV სურვილით ახალი დედაქალაქის შენება დაიწყეს, რომელსაც ეწოდა ახალი ქრისტიანე. 1924 წელს ქალაქის 300 წლისთავის იუბილეზე ნორვეგიის პარლამენტმა სტორტინგმა ქალაქს ძველი სახელი დაუბრუნა.

ამჟამად ოსლო ნორვეგიის მთავარი ნავსადგურია და სამხედრო საზღვაო ბაზაც. ქალაქის მოსახლეობა 500 000 კაცისაგან შედგება. ეს მთელი ქვეყნის ერთი მეშვიდედია.

ოსლო გარეუბნებით დიდ სამრეწველო ცენტრს ჰქმნის ე. წ. დიდ ოსლოს. იქ კარგად იყენებენ წყალვარდნილებს. უნდა ითქვას, რომ ამ ქვეყანაში ელექტროენერგიის რაოდენობა ერთ კაცზე ყველაზე მეტი მოდის, ვიდრე მთელ მსოფლიოში. განვითარებულია მანქანათმშენებლობა, ელექტროშრეწველობა, გემთმშენებლობა, ხისდამუშავება, მსუბუქი შრეწველობა.

კარლ-იუხანსგატე. ეს არის ევროპული დედაქალაქის ტიპიური ქუჩა. ზემოდურ მაღაზიებს ამშვენებს უზარმაზარი შემინული ვიტრინები. ამ ქუჩაზე დგას სტორნიგის ვეება შენობა. იგი მუქია. მომრგვალო ღია აივნები აქვს. განიერი სკვერი ასწლოვანი ხეები და საამო შადრევანი უფრო მიმზიდველს ხდის ქუჩას.

კარგია ნაციონალური თეატრი, უნივერსიტეტის შენობათა ანსამბლი.

ქალაქგარეთ არის მამაცი ადამიანების სასაფლაო. ეს მამაცი ადამიანები, საბჭოთა ადამიანები, მშვიდად განისვენებენ უცხო მიწაში. ყველა ჩასული საბჭოთა მოქალაქე ქედს იხრის მათი ძეგლების წინაშე.

დგას ნაცრისფერი ობელისკი, საბჭოთა მეომრის ბარელიეფი, ხელში შაშხანით.

„ნორვეგიელი ხალხი მადლობელია თქვენი“, აწერია ამ ობელისკს.

ისტორიას არც ერთი სამხედრო კონფლიქტი არ ახსოვს საბჭოთა და ნორვეგიელ ხალხთა შორის. მაგრამ ისტორიამ იცის შემთხვევები დახმარებისა და სიყვარულისა. 1028 წელს იაროსლავ ბრძენმა ნოვგოროდის სასახლეში პატივით მიიღო

ნორვეგიის შევიწროებული და ლტოლვილი მეფე ოლაფ მეორე.

ოსლოდან 10 კილომეტრზე არის დაშორებული ხოლმენ-კულენის ტრამპლინი, მსოფლიოს სპორტის მნიშვნელოვანი კერა, სადაც 1892 წლიდან ყოველწლიურად ტარდება საერთა-შორისო შეჯიბრებები.

გზა შეუმჩნევლად მაღლდება, ხვიასავით დაკეცილ გზაზე ჩვენი „პობედა“ უკანასკნელ ღონეს ხარჯავს. უკვე მოედანზე ვართ. ვუყურებთ მსოფლიოში ცნობილ ტრამპლინს.

აქედან ლამაზია დედაქალაქის ხედები. შეიძლება საათო-ბით უცქირო ოსლოს ბუნებას და არ მოგბეზრდეს ეს ცისკენ აწვდილი არყის ხეები, ქვა და სინჯთლე, წყალი და ტყე, ცაზე თეთრი და თბილი ღრუბლების გროვა.

მერე ბიუგდოის ნახევარკუნძულსაც გავუარეთ. ჩვენი მან-ქანა სწრაფად ეშვება ქალაქის ცენტრში და მუზეუმების სამ-ყოფელოში შევდივართ, სადაც გემ „ფრამის“, „კონ-ტიკისა“ და ვიკინგთა ხომალდების მუზეუმებია. პირველ რიგში ვათვა-ლიერებთ ტივს, რაც საშუალებას გვაძლევს ნათელი წარმოდ-გენა ვიქონიოთ „კონ-ტიკზე“, რომელსაც ექვსი მამაცი მეზ-ღვაური გადაუყვანია წყნარი ოკეანიდან, პერუს ნაპირებიდან, პოლინეზიის კუნძულამდე. ამ არაჩვეულებრივ ექსპედი-ციას სწავლული ეთნოგრაფი ტურ ჰეიერდალი ხელმძღვანე-ლობდა. ამ პრიმიტიული ტივის საშუალებით ჰეიერდალს სურ-და ხელში ჩაეგდო ყველაზე ხელსაყრელი არგუმენტი, რითაც მის მიერ წამოყენებულ თეორიას გაამაგრებდა, ოკეანის კუნ-ძულებზე სამხრეთ ამერიკიდან წამოსული ადამიანები ცხოვ-რობენო. მამაცური დრეიფი 100 დღეზე მეტ ხანს გრძელდე-ბოდა და 1947 წლის 7 აგვისტოს დამთავრდა. ზოგი სწავლუ-ლი სპეციალისტი და მეზღვაური ამ ჯიუტი ნორვეგიელის საქ-ციელს მეტისმეტად სარისკოდ თვლიდა. მაგრამ ამ შემთხვე-ვაში სტიქიამ ქედი მოუხარა ვაჟკაცობასა და შეუპოვრობას.

ლეგენდარული მეფის კონ-ტიკის პატივსაცემად მოგზაუ-რებმა ტივს „კონ-ტიკი“ უწოდეს. ტივი ცხრა ხის ელისაგან არის გაკეთებული. მუხის გამძლეობისანი არიან ეს ხეები. ანძა რკინას არ უდებს ტოლს სიმაგრით. ტივზე ბამბუკისა და ბანა-ნის ფოთლებისაგან გაკეთებული ქოხი დგას, სადაც ჰეიერ-

დალი და მისი მეგობრები ცხოვრობდნენ. აქვეა ათასგვარი ანკესი სათევზაოდ, ფოტოსურათები, ორიგინალური ჟურნალი. ტივის ქვემოთ ზვიგენის უზარმაზარი ფიტული მოუთავსებიათ. წინა ნაწილზე გრძელი ნიჩაბია დამაგრებული, რითაც მართავდნენ ტივს. ოთხკუთხა იალქანი კი, რომელიც სამ თვეზე მეტ ხანს ფრიალებდა წყნარი ოკეანის ზვირთებზე, ახლა ვალმოხდილი ისვენებს მუზეუმში. იალქანზე წითელწვერიანი კონ-ტიკი ხატია. დროს გაუცრეცია საღებავები, მაგრამ მაინც ჩანს ინკების ბელადის ვაჟკაცური ნაკვთები — პოლინეზიის კუნძულებზე მცხოვრები ხალხის ტიპიური წარმომადგენლის ნიშნები.

„ფრამის“ მავზოლეუმი 1935 წელს დაარსებულა. იატაკამდე დაშვებულია ცნობილი იალქანი, შავ ძაძაში გახვეული იალქანი. ღუზა სამარადისოდ ჩაუშვიათ. სევდისმომგვრელია დაღუპული გემის კორპუსი.

ნორვეგიელი მეცნიერი ფრიტიოფ ნანსენი ახალგაზრდობაში შორეულ ლაშქრობებს აწყობდა სკანდინავიის მთებში. იგი არ უშინდებოდა დაბურულ ტყეებს, აქაფებულ მდინარეებს.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ნანსენი სარეწაო გემით გაემგზავრა პირველ არქტიკულ ნაოსნობაში. მან იცოდა, რომ პოლარული გამოკვლევებისათვის აუცილებელი იყო საგანგებო გემი, რომელიც ყინულს გაუძლებდა. ამისთვის კი საჭირო იყო მეტად გამძლე კორპუსი. ეს იდეა ბრწყინვალედ განახორციელა ნანსენმა. გამოცდილმა ნორვეგიელმა გემთმშენებელმა კულინ არჩენემ 1892 წელს აუგო სწორედ ისეთი გემი, როგორიც ნანსენს უნდოდა. ნანსენის მეუღლემ, ევამ, გემს ლამაზი და სიმბოლური სახელი „ფრამი“ უწოდა.

პირველად ნანსენის გემმა არქტიკის აუზის ყინულებში ისახელა თავი. ეს იყო 1893—96 წლები. მეორე დიდი ცურვა „ფრამს“ 1898—1902 წლებში მოუხდა, კარის ზღვის არქიპელაგის ჩრდილო დასავლეთ ნაწილში. გემს ხელმძღვანელობდა კაპიტანი ოტო სვერდრუპი — ნანსენის ახლო მეგობარი და მრჩეველი. მესამე შორეული რეისის დროს გემს გამოჩენილი ნორვეგიელი, პოლარეთის მკვლევარი რაულ ამუნდსენი კაპიტნობდა. ეს ლაშქრობა 1909 წლიდან 1911 წლამდე გაგრძელ-

და. ამუნდსენმა საზეიმოდ შეაღო სამხრეთ პოლუსის კარი.

დიდი და შესანიშნავია იტალიური მუხისაგან აშენებული „ფრამი“, დიდებულია მისი ეკიპაჟი. ნანსენმა კი ასახელა სამშობლო და ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა მსოფლიო მეცნიერებაში.

ნანსენს როდი ჩამოუვარდებოდა პოლარეთის მეორე შესანიშნავი მკვლევარი კაპიტანი რაულ ამუნდსენი, ნორვეგიის ნაციონალური გმირი, რკინის ნებისყოფის კაცი, რომელიც პირველი მივიდა სამხრეთ პოლუსზე და სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე დაკავშირებული იყო პოლარეთთან.

უსამართლობა იქნება ამ მამაც ადამიანებს გამოვაკლოთ ოტო სვერდრუპი — მამაცი და ბრწყინვალე კაპიტანი, რომელმაც ნანსენთან ერთად 1888 წელს თხილამურებით გადასერა გრენლანდიის ყინულეთი.

იგი 1921 წელს საბჭოთა კავშირის მთავრობის თხოვნით კარის ზღვის ცნობილი ექსპედიციის საზღვაო ნაწილსაც ხელმძღვანელობდა.

უკან დაბრუნებისას ჩვენ ფროგნეპარკში, ნორვეგიის სახალხო პარკში შევიარეთ. აქაურებს ძალიან უყვართ ეს პარკი. იგი გამოჩენილი მოქანდაკის მუსტაფ ვიგელანის ქანდაკებებით არის სავსე.

ვერც ერთი პარკი ვერ დაიჩემებს ასეთ დიდებულ სიმდიდრეს, თითქმის ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეხვდებით ბრინჯაოსა და გრანიტის ქანდაკებებს. ამ უნიკალურ კოლექციაზე ვიგელანი ოცდაათ წელზე მეტს მუშაობდა. შესანიშნავია ნაცრისფერი გრანიტისაგან ჩამოქნილი გრძელი კოლონა. ეს მრავალტანჯული ადამიანები გადახლართვიან ერთმანეთს. უნებურად გაოცებს ომის საშინელი კვალი, თუმცა უსიცოცხლო, მაინც საგრძნობი, დამაფიქრებელი...

საინტერესოა ოსლო ღამითაც. რეკლამების შუქში გახვეულ დედაქალაქში მოდურად ჩაცმული, მხიარული და კმაყოფილი ადამიანები დასეირნობენ.

ნუთუ ყველა ოსლოელი უზრუნველყოფილია? უნებურად ფიქრობ მათი შემხედვარე. რა თქმა უნდა, არა. კაპიტნის მესაშე თანაშემწემ ვალენტინ მოროზოვმა მეტად სევდიანი ისტო-

რია გვიამბო, იგი ამ ისტორიის უნებური მოწმე გახდა, რადგან გემზე მორიგეობდა.

ნავსადგურს სახალხო გემი მოსდგომია. როცა მგზავრებმა დატოვეს ხომალდი, გემი დაუსუფთავებიათ და ნარჩენები სანაგვე ყუთებში გადმოუყრიათ ნაპირზე. მერე ნაგვის ყუთებს კარგად ჩაცმული კაცები მიახლოვებიან და დარწმუნებულებს არავინ გვიყურებსო, წინასწარ მომზადებული გაზეთის პარკები აუვსიათ ნარჩენებით. მერე იქვე ჩამომსხდარან და ვახშამს შედგომიან.

— არაფრით დავიჯერებდი უმუშევართა სანაგვე ყუთებზე თავდასხმას, თავად რომ არ მენახა, — ამბობდა მოროზოვი.

დიახ, აქაც, ნორვეგიაშიც გამეფებულია კონტრასტები. აქ ერთ-ერთი მაღაზიის ვიტრინაში გერმანელი ჯარისკაცის მუნდირი, მოკლე და გაცვეთილი ჩექმები, დაჟანგული თოფი იყო გამოტანილი. ამით გამოფენის ორგანიზატორებმა მიზნად დაისახეს, ფაშისტური ოკუპაციის მძიმე დღეები გაეხსენებინათ ხალხისათვის. გვერდით, დიდი წითელყდიანი წიგნის გარეკანზე მოლაპარაკე ორატორია გამოსახული — გებელსი! — უმალვე ვიცანი. ჩანს, ჰიტლერის უდღეური მინისტრის გამოსვლები სიამოვნებას ანიჭებს ზოგიერთს.

სამეფო პარკთან მთავრდება დედაქალაქის მთავარი მაგისტრალი. ფართო ხეივანი გვაცილებს ნორვეგიის მეფის სამყოფელოში. სამსართულიანი შენობა სადად გამოიყურება, და ძლიერ განსხვავდება გრანიტის ჩუქურთმებით მოხატული ამერიკის საელჩოსაგან.

როგორ ცხოვრობენ ძლიერნი ამა ქვეყნისანი? სასახლეს მეფის გვარდიელები დარაჯობენ, შავ მუნდირებში გამოწყობილნი. როცა შენობას სჭირდება გუშაგი, საჭირო არაა თქმა იმისა, თუ როგორ ცხოვრობენ შიგ.

ნავსადგურში სტორტინგატეთი დავბრუნდით. ცენტრალურ კინოთეატრ „სკალასთან“ გრძელი რიგი იდგა ბილეთებზე. უჩვენებდნენ საბჭოთა სურათს „იდიოტს“.

სანაპიროზე ქალაქის რატუშას ვეებერთელა შენობა დგას. წინ დიდი შადრევანია, რომელსაც ზღაპრულ იერს აძლევს წყალში ჩადგმული პროჟექტორები.

ვტოვებთ ნავსადგურს და იმავე გზით მივდივართ, სადაც 67 წლის წინათ გაიარა „ფრამმა“. მარცხნივ ჩრდილოეთის ზღვაა, მარჯვნივ მთიანი ნაპირები. მთები და მთები, კლდეები, ნორვეგიული კლდეები. ვიგონებთ აქაურების ნაციონალურ ჰიმნს.

„დიახ, ჩვენ გვიყვარს
მთები ესოდენ“...

მშვიდობით, ნორვეგიავ, — მამაცი მეზღვაურების სამშობლოვ, მკვლევარებისა და მოგზაურების სამშობლოვ, მშვიდობით!

ედვინ კნუკორის მწარე წარსული

ნორვეგიის ჩრდილო პროვინციის დედაქალაქი ჰამერფესტი ვიწრო ყურეში მდებარეობს. ამ ქალაქის საავადმყოფოში სასწრაფო ოპერაციის გამო იწვა ჩვენი მეზღვაური, რომელიც თან უნდა წაგვეყვანა. სანამ ავადმყოფი მომჯობინდებოდა, ჩვენთან ხშირად მოდიოდნენ მასპინძლები. განსაკუთრებით დაგვიახლოვდა ადგილობრივი გაზეთის რედაქტორი კნუტ არსენი — ოთხმოცდახუთი წლის გამხდარი, სოლიდური მამაკაცი, რომელიც დიდი სიამოვნებით გვიყვებოდა საინტერესო ამბებს. თან მოჰქონდა „პრავდის“ ახალი ნომერი. არც თავისი გაზეთი ავიწყდებოდა. გვიანობამდე ერთობოდა მეზღვაურებთან ჭადრაკის დაფაზე თავდახრილი. და რადგან კნუტი ჩვენთან შინაურულად გრძნობდა თავს, თარჯიმნობაც კი დავავალეთ.

ერთმა სტუმარმა, ლამაზმა და მოხდენილმა, ედვინ კნუკორმა, სურვილი გამოთქვა, გაგვჯიბრებოდა ჭადრაკში, მხოლოდ მეტოქე საუკეთესო უნდა ყოფილიყო.

გამოწვევა მიიღო მეორე მექანიკოსმა კიმ მიხაილოვმა. ედვინმა წააგო, მერე საშუალო მოთამაშე მოითხოვა. მაინც წააგო, მერე მზარეულს ჭადრაკის რა ეცოდინებაო, და აქაც უმუხთლა ბედმა. — როგორც ჩანს, აქ ყველა საუკეთესო ყოფილა. — იქნებ ხელის ძალა გვესინჯაო და მაგიდაზე იდაყვდაყრდნობილი ორთაბრძოლაში იწვევდა მეტოქეს.

როცა გაიგო, გემზე ბიბლიოთეკაა, გაუკვირდა, შინ დაბრუნებისას წიგნებს როგორ იყოფენო. მერე სხვა შეხვდა გასაოცარი. არ სჯეროდა, ყველა მეზღვაური საშუალო განათლებით რომ იყო. ეს რომ მცოდნოდა, ჭადრაკის თამაშს ვერ გავბედავდიო. უკვირდა თანრიგოსნებიც რომ გეყავდა, ძლიერი სპორტსმენები და ტანმოვარჯიშეები. მერე კითხვები დაგვაყარა. სულ ბოლოს გაგვიტყდა, ნორვეგიელი არა ვარ, ემიგრანტი ვარ შორეული კუნძულებიდან, ევროპის საზღვართან რომ იმყოფება და თავისუფალ კუნძულებად რომ ითვლებაო.

მერე ბავშვობაც მოიგონა ამ მხრეგანიერმა ჭაბუკმა. თორმეტი წლისას დაუწყია ზღვაზე ცურვა. მამამისი ზღვაში დაიღუპა თურმე. წყალქვეშა ნაღმმა დაფლითაო. მემკვიდრეობად პატარა სახლი დარჩა ესტერიას კუნძულზე, სადაც ფეხს მხოლოდ კლდე თუ იკიდებს, ხავსი და ქვა მოჭარბებულია ირგვლივ.

ედვინს პატარა დაც ჰყოლია — ჰელგა, ამან ბიჭს პასუხისმგებლობის გრძნობა დააკისრა. ედვინი ზღვაზე მუშაობდა, უვლიდა სნვის ცხვარს, რისთვისაც მას კაპიკებს უხდიდნენ.

ასე გადიოდა წლები.

რამდენიმე ხნის შემდეგ ედვინი კოოპერაციაში მიიღეს, რომელსაც მილიონერი კუნიო რიდევიგი ხელმძღვანელობდა. სწორედ კუნიომ მისცა ედვინს პატარა კანჯო „ფუგლე", რაც ქართულად „ჩიტს" ნიშნავს.

მისტერ კუნიო როდი შემცდარა, იგი იცნობდა ბიჭის მამა-პაპას, ჩინებული მეთევზეები იყვნენ. ბიჭსაც გამოჰყვა მათი ყისმათი.

იმედი დიდი იყო, მაგრამ...

კანჯომაც ვერ მოუტანა ბედნიერება ყმაწვილს. ასეთი იყო ხელშეკრულება: რაც მეტს გავიდოდა ედვინი ზღვაში, რაც მეტ თევზს დაიჭერდა, მით უფრო იაფდებოდა ქაშაყიცა და ქორჭილაც. ძნელი ხდებოდა კუნიოსთან ანგარიშგება.

ბიჭი მოთმინებიდან გამოვიდა. ვერ შეეგუა უსამართლობას.

— აჰა, წაიღეთ თქვენი კანჯო, ასე ხომ ვერასდროს ვერ გავსწორდებით. მირჩევნია, მეზღვაურად ვიმუშაო, — უთხრა მან რიდევიგს.

სიცილი აუტყდა ედვინის სიტყვებზე რიდევიგს. იქ ხომ უშენოდაც მრავლად არიანო უსაქმურები.

ედვინი თავის სიტყვაზე იდგა. ეგონა, ნორვეგიაში მალე იშოვიდა ფულს, დააგროვებდა ჰელგასთვის მზითეკს (რაც აუცილებელია იქაური გასათხოვარი ქალიშვილისთვის)...

მართალია, პირველ ხანებში ვერსად მოეწყო, მაგრამ ახალგაზრდობამ თავისი გაიტანა და ამჟამად სამუშაო იპოვა. პირველ რიგში კანჯოს ვალის გადახდას ფიქრობდა და ერთხელაც:

— ნუ იდარდებ ძმაო, — წერდა ჰელგა, — ცოლად გავყევი კუნიო რიდევიგს. მან ვალიც გვაპატია და მე კუნძულების უმდიდრესი ქალი ვარ. შენ კი თავისუფალი ხარ, როგორც გსურდეს, ისე იცხოვრეო.

სევდიანად იღიმებოდა ედვინი.

გამახსენდა მსოფლიოში ცნობილი სკანდინავიური სადღეგრძელო „მინ სკულ, დინ სკულ...“

„მე გამიმარჯოს, შენ გაგიმარჯოს, გაუმარჯოს ყველა ლამაზ ქალიშვილს“. მწარე მეჩვენა ამ სადღეგრძელოს აზრი.

ედვინი გვიან წავიდა. მეორე დღეს ერთად გავიდნენ ჩვენი გემები. ერთი ზღვა გვარწევდა, ერთნაირად ვეწინააღმდეგებოდით ქარსა და წვიმას...

თომიკო, ფავა და პირატი

თითქოს პირატმაც იგრძნოო ჩვენი მხიარული განწყობილება, გათამამდა და გახალისდა. ხან ფავას ეთამაშებოდა, ხან თომიკოზე ირთობდა თავს. მე აქამდე არ მიხსენებია გემის კიდევ ერთი ახალი ბინადარი დათვის ბელი. მას შავი მოლაპლაპე ცხვირი და პაწაწკინტელა ცბიერი თვალები ჰქონდა. თომიკოს მოსვლამ საზრუნავი მოგვიმატა. საწოვარათი ვასმევდით რძეს, პატარა იყო და გვეცოდებოდა. ყველაზე მეტად მე მომენდო, მე შემეთვისა, რაც პირატს დიდად არ სიამოვნებდა. სკამზე დავჯდებოდი თუ არა, სკამქვეშ თომიკო მოკალათდებოდა ხოლმე. ეს „საპატიო ადგილი“ კი დიდი ხანია პირატს ეკუთვნოდა. იწყებოდა ჩხუბი, აყალ-მაყალი. „ბრძოლის ველიდან“ პირველი მე გავრბოდი ხოლმე. თომიკოც ჩემთან ცხოვ-

რობდა კაიუტაში, როგორც პირატი. ისინი მალე შეეწყვნენ ერთმანეთს და დამეგობრდნენ. მათი გართობა ხანდახან საზღვარსაც სცილდებოდა. მე გაბრაზებული ვდგებოდი საწოლიდან და ერთ-ერთ მათგანს გარეთ ვაგდებდი. მერე იწყებოდა „მოლაპარაკება". ჯერ პირატი აწკმუტუნდებოდა, საცოდავად და გულისმომკვლელად. მერე თომიკოც დაიწყებდა ბურდღუნს, იძულებული ვხდებოდი, უკან შემომეყვანა დასჯილი.

დათვის ბელი ხშირად ეშმაკობდა. პირატის საწოლქვეშ მოკალათდებოდა, მე კი სულ გემზე ვეძებდი ხოლმე. ერთხელ, როცა კაიუტიდან მის საძებნელად გავეშურე, ჩუმად გამომყვა უკან და ფეხდაფეხ დამდევდა, სანამ არ მოვიხედე.

მახსოვს, როგორ შეაშინა ჩვენთან მოსული ექიმი თომიკომ. ექიმი მზარეულს ტუქსავდა, წესრიგი არა გაქვსო. დათვის ბელმა იფიქრა, ვინ ბედავს, ჩვენიანს ხმა გასცესო და ექიმს ხალათში ჩააფრინდა. ღრიალით მიიწევდა მისკენ. შეშინებული ექიმი ხმას ვერ იღებდა, ელდანაცემი იდგა უმწეოდ.

გადავწყვიტე თომიკოსათვის საცხოვრებელი გამომეცვალა, მაგრამ სამშობლოში დაბრუნებისთანავე მან თავისი ბედი თვითონვე გადაწყვიტა. ნადირობისას ნელ-ნელა მიეფარა თვალს. ამაოდ ვუხმობდით მე და პირატი. თავისუფლება არჩია...

არც ფავა იყო მოკრძალებული და თვინიერი. ყველაზე მეტად ძაფი აინტერესებდა. ხლართავდა ძაფებს, მერე გაზეთებს მიადგებოდა და ნაკუწებად აქცევდა ხოლმე. ჩემს მაგიდაზე უყვარდა ძილი. როცა შევიდოდი, ისე მედიდურად ჩამოხტებოდა, თითქოს მეუბნებოდა: შენი გულისათვის კი არ მივდივარ, ჩემი სურვილიაო ასეთი.

გემზე მაინც გამინებივრეს ფავა. ნაირფერი ბაფთებით რთავდნენ, ნაირ-ნაირ საჭმელს სთავაზობდნენ. განსაკუთრებით გემის უფროსის მოადგილე ეფერებოდა ჩემს კატას.

ცას გაუღია ყველა სარკმელი

გემბანზე ვდგავართ. ზღვა ლურჯია და საკმაოდ წყნარი. სამაგიეროდ, ვღელავთ ჩვენ და ჩვენი ღელვა არ არის შემთხვევითი.

ტალღებიც აღარ გვეღობებიან წინ. მათ, პირველებმა შეიტყვეს ჩვენი განწყობილება და კისრისტეხით მიისწრაფვიან ნაპირისაკენ. ალბათ ჩვენს ამბავს ახარებენ დამხვდურებს. ბრუნდებიანო ქარდაკრული და მზეზე დამწვარი მეზღვაურები, თამამნი და ძლიერნი, — მშობლიურ მურმანსკში.

ვიცი, ნაპირზე უკვე დამხვდურსაც ემატება ღელვა.

სანაპიროზე თითქოს და ყვავილების მოძრავი ბაღი გაუშენებიათ, ნავსადგური სავსეა ხალხით. ზღვის ფერს ცისფერი ერევა, მერე მზისფერი ედება ყველაფერს.

ცას გაუღია ყველა სარკმელი...

შეხვედრა ატლანტის ოკეანეში

საფრთხე ჩრდილოეთის ზღვაშიც გადმოგვყვა. კუშტად გამოიყურებოდა აზვირთებული ტალღები, ზღვა ბობოქრობდა, ქარიშხალი ძლიერდებოდა, მერე გრიგალად გადაქცევაც შემიძლიაო, ჰაერში წყლის კორიანტელი აატრიალა. ტალღებმა დააზიანეს ილუმინატორები, წყლით აივსო კაიუტები. გემი თანდათან კარგავდა ძალას, ზღვას კი თანდათან ემატებოდა ღონე.

მხოლოდ სამი დღის შემდეგ დაშოშმინდა ზღვა მრისხანე და აზვირთებული. დაქანცული ვისვენებდით კაიუტებში, როცა კარებზე კაკუნი ჩამესმა, ბოგურაზე მიხმობდნენ სასწრაფოდ.

რა მოხდა-მეთქი, — გაოცებულმა გადავიხედე ილუმინატორიდან და მოახლოებული მეორე გემი დავინახე, რომლის ბოგურაზე მდგომი კაცი მეძახოდა ქართულად, შინაურულად.

გემი ლატვიის ფლოტილიას ეკუთვნოდა.

გარეთ გამოვედი. ჩემს წინ შორეული ნაოსნობის კაპიტანი ვახტანგ გაბესკირია იდგა და სიხარულით უციმციმებდა თვალები.

ჩემო მკითხველო! უთუოდ გამიგებ, სამშობლოდან მოშორებულს როგორ გამახარებდა თანამემამულის ნახვა.

კაიუტაში ლატვიელმა მატროსებმა ვეებერთელა ყუთი შე-

მოიტანეს... აღტაცებული იყო ვახტანგი. როგორც კი ჩემი აქ დგომა გაუგია, გადაუწყვეტია, პირველ რიგში მწვეოდა. თან მოიტანა ქართული ღვინო, ქართული პურ-მარილი, ტყემალი, პამიდორი, ჩურჩხელები, ტკბილი კვერი, ხაჭაპურები...

ვახტანგს ალბათ შენც კარგად იცნობ, ჩემო მკითხველო! ისიც გეცოდინება, ატლანტიის პიონერს რომ ეძახიან მას მეგობრები. პირადად არ შეგხვედრია? სამაგიეროდ, ბევრი გაგიგონია მასზე, საზღვაო ფლოტილიის გმირულ და მხიარულ თავგადასავლებზე. ისიც ხომ იცი, რომ ვახტანგი კოლხიდელია.

შავ ზღვაში ეზიარა პირველად მეზღვაურობას. იუნგად მოეწყო იალქნიან გემზე, სადაც მშიშარებისათვის არასდროს იყო ადგილი. განა ტყუილად ამბობდნენ: ხის ფლოტი და რკინის მეზღვაურებიო. ჰოდა, ვახტანგსაც რკინის კუნთები ჰქონდა, რკინის გული და რკინის ნებისყოფა. მერე დიდხანს ცურავდა ვახტანგი სამგზავრო და საბარგო ხომალდებზე. სამამულო ომის დაწყებისას უკვე შორეული ნაოსნობის კაპიტანი იყო და მონაწილეობას იღებდა შავი ზღვის სამხედრო-საზღვაო ოპერაციებში. სამგზავრო ხომალდები სადესანტო გემებად გადაიქცეოდა ხოლმე, ერთ-ერთი მათგანი უშიშრად დაჰყავდა ვახტანგ გაბესკირიას.

ვინ ჩამოთვლის მის კარგ კაცობას, სავაჭრო ფლოტის კაპიტანი თევზსაჭერ გემებსაც ეწვია და ლატვიის თევზმჭერი გემების რაზმის ფლაგმან-კაპიტანი იყო.

ხშირად ყოფილა ატლანტიკაში. უნახავს წყნარი ოკეანეც და რისხვადქცეული მისი ტალღები. ხიფათიც ბევრი შეხვედრია. მერე სწერდნენ ამ ხიფათზეც, მაგრამ ვახტანგს ალარც კი ახსოვს ის საშიშროება, ასე რომ ემუქრებოდა და გვერდით რომ ჩაუარა. ახლა რომ ანეკდოტად ახსენებენ ხოლმე, რადგან მამაცმა მეზღვაურებმა სძლიეს ყოველგვარ ხიფათს. მერე საბჭოთა კავშირის თევზის მრეწველობის სამინისტროდან მადლობის ბარათებიც მიიღეს. მერე ნორვეგიის ზღვა, ატლანტის ოკეანე და რა ვიცი, კიდევ რამდენი მერე...

კაპიტან-დირექტორზე ყვებოდა რადიო, ლაპარაკობდა პრესა... და შენც ხომ გაზეთში წაგიკითხავს მასზე, ჩემო მკითხველო! ჰოდა, სწორედ ეს ვახტანგ გაბესკირია იყო ჩემი სტუმარი იქ, ატლანტიკაში.

იგი შოტლანდიის და ორკნეისის კუნძულებს შორის მდებარეობს. შორიდან როცა უცქერი, გგონია, ნიანგს ვუყურებო, მაგრამ მსგავსება თანდათან ქრება ნიანგთან და ბოლოს თვალში მხოლოდ მოღუშული და ცივი კლდეები, ფერ-აილის ფერდაკარგული ფრიალო გეცემა. ფერ-აილი მეზღვაურთათვის იოლი კუნძული როდია. აქ მრავალი გემი გამხდარა წყალქვეშა კლდეების მსხვერპლი. ჩვენ ახლო მისვლა არც გვიწევს კუნძულთან, შორიდან ვუვლით გვერდს. მისი შუქურის თეთრი მაღალი კოშკი კი თვალს არ გვაცილებს მზვერავიკით. ამბობენ, შოტლანდიის კუნძულები რომაელებმა აღმოაჩინესო. მეინლენტი, ელი და უნსტი ყველაზე დიდი კუნძულებია იმ ას კუნძულში, რომლის უმრავლესობა დაუსახლებელია. ხაწილზე კი ჩვეულებრივად სუნთქავს სიცოცხლე. მოსახლეობა მეთევზეობას მისდევს. არც მეცხოველეობაა დაბალ დონეზე განვითარებული. განსაკუთრებით განთქმულია აქაური მცირეტანიანი ცხენი ამინი, მეტად ამტანი და გამძლე ცხოველი.

ბრტყელთხემიანი კლდეა კუნძული დოკზოლში. კუნძული დორნგსიც წითელი ქვის კლდეა. თითქოს სახლი დანგრეულა და ნანგრევები შემორჩენია ზღვასო, იფიქრებ, როცა კუნძულს გაჰყურებ.

მეზობლად არის ორკნეისის კუნძულები, რომელთა მოსახლეობა ნორმანების შთამომავლები არიან. აქაც განვითარებულია მეთევზეობა, მესაქონლეობა..

ზომიერია აქაური ჰავა. ნესტიანი და უსიცხო, ყინვას მოკლებული, მზიანი, დარიანი ზაფხული, ქარიანი და ნისლიანი ზამთარი... ქარი ხან ოდნავ გაქეზებული, ხანაც გრიგალად ქცეული... და როცა მშვიდია ატლანტის ოკეანე, ლამაზია მისი მოცისფრო-მომწვანო ზვირთები...

კუნძულები ქარიანი, ნისლიანი...

ამბობენ: ადრე შოტლანდია, ისლანდია და გრენლანდია ხმელეთის ქედით ყოფილაო შეერთებული. დროთა განმავლობაში ქედი ოკეანეს დაუფარავს და მწვერვალები შემორჩენია წყალს კუნძულებად. იმასაც კი ამბობენ, სწორედ ამ

მწვერვალებს შეადგენსო ფარერის კუნძულები, ვიწრო და ღრმა ხეობებით დასერილი, მთის მდინარეებით უხვი კუნძულები, სადაც იშვიათია ხე, მცენარეები ვერ უძლებენ აქაური ქარის ძლიერებას. ბუნება მკაცრად მოქცევია ფარერის კუნძულებს. ნისლი და წვიმა, სუსხი და ყინვა, აი, მათი განძი და ავლადიდება. ცივია ბუნებაც და ცივები არიან ადამიანებიც, ოდესღაც ფეოდალებისაგან თავდაღწეული, თავისუფლების საძებნელად გამოქცეული ნორვეგიელი გლეხკაცის შთამომავალნი, წინაპრებივით ძლიერნი და ამტანნი.

და როცა ნორვეგიელები კუნძულებზე მოსულან, თან შოტლანდიელი ბერები და რამდენიმე ათასი სული ცხვარი მოუყვანიათ, მაგრამ ბერები ვერ შეეგუენ პირქუში ბუნების ხასიათს, ვერც ნორვეგიელებს აუბეს მხარი. ზოგი უკანვე გაიქცა, ბევრი დაიღუპა, ცხვარი კი უფრო ამტანი გამოდგა ბერებზე. ამიტომ მიიღო კუნძულმა ფარერის სახელწოდება, რაც ცხვრის კუნძულს ნიშნავს თურმე.

24 კუნძულიდან მხოლოდ 18 კუნძულზე შეიძლება ცხოვრება. აქაური მოსახლეობის ძირითადი საქმიანობა მეცხვარეობაა. საინტერესოა, რომ ცხვარს ელექტროხელსაწყოთი ან დუქარდით კი არ პარსავენ, უბრალოდ, ხელით გლეჯენ ბეწვს.

კუნძულთა ცენტრი და დედაქალაქია ტორსხავი, სადაც 6.000-ზე მეტი კაცი ცხოვრობს. საერთოდ, კუნძულთა მთელი მოსახლეობა 35.000 კაცს შეადგენს, ისინი ძველი სკანდინავიური დიალექტით მეტყველებენ და თავისი დამწერლობაც არ გაუჩნიათ.

ფარერის კუნძულების დასახლება მხოლოდ IX საუკუნეში დაიწყო. მეცხვარეობის გარდა მოსახლეობა მეთევზეობასაც მისდევს. ნადირობენ ვეშაპებზე, ფრინველებზე, პური აქ არ მოდის. ძალიან ცივა. ყველაზე ცივი თვე მარტია, რადგან მარტში ოკეანის წყალი ყველაზე დაბალ ტემპერატურას აღწევს. ქარი აქ მძაფრია და დაუნდობელი. „ვულკანები“ რომ შემოუბერავს მთებიდან, მკვდრის ფერი ედება ზღვას და სანაპიროს. საჭიროა დიდი სიფრთხილე. „ფელკასტენი“ მოულოდნელად შეიძლება ახირდეს და თავი აიშვას.

„პოდლამიერჰკე“ ცოტა ქვევით იდებს ბინას. „მიერკპე“ იპყრობს მთასაც და ბარსაც. წვიმა ხშირია.

ჩრდილოეთისაკენ კუნძულ იან-მაიენის უდაბური ნაპირებია, რომელიც ნორვეგიისა და გრენლანდიის ზღვების მიჯნაზე მდებარეობს. ჩვენც იან-მაიენს უნდა ვეწვიოთ. რადისტები დაუკავშირდნენ ექსპედიციას. მალე მიზანსაც მივაღწიეთ. ექსპედიციის „ქალაქი“ არც ერთ რუკაზე არ არის აღნიშნული. ჩვენ მაინც გავწიეთ ამ „ქალაქისაკენ“, სადაც ასე მოუთმენლად გველოდნენ მეთევზეები, რომლებსაც ჩავუტანეთ ყველაზე სასიამოვნო ტვირთი სხვა ტვირთთან ერთად. ეს იყო ფოსტა. ვინ იცის, რამდენი თბილი ამბავი ჩამოიტანა ამ ფოსტამ, რამდენი სიხარული და რამდენი ბედნიერება. იქნებ შენი წერილიც იყო იმ ფოსტაში, იქნებ შენი ამბავიც მიგვქონდა, ჩემო მკითხველო!

იან-მაიენი ცნობილია თევზის ჰერის ორგვარი წესით. ჰოლანდიურითა და შოტლანდიურით და ისინი სრულებით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

გამძღოლით ზევიდანო, როცა ამბობენ, ეს ნიშნავს თევზის ცივ პერიოდში დაჭერას. გამძღოლი — ბადესთან მიყრდნობილი ჩვეულებრივი მსხვილი ეკის ბაგირია. ბადეს ქვევიდან მთელ სიგრძეზე რაიმე სიმძიმეებს ჩამოკიდებენ, რომ არ ამოტივტივდეს. მერე ზედა ნაპირებზე მთელ სიგრძეზეე წვრილი თოკის სადავეებს გაუკეთებენ და გამძღოლზე მიაბამენ.

გამძღოლზე სადავეებია, სადავეებზე მიბმულია ტივტივები — რეზინის ბირთვები. ზევით ტივტივებიანი გამძღოლია, ქვევით — ბადე.

სამუშაო მძიმეა. ბადის სიგრძე სამ კილომეტრს აღწევს, ზოგჯერ კი მეტსაც. კაი ბიჭი ხარ და ასეთ ტვირთს მოერიე. აქ მარტო ღონე როდია საკმაო. გამოცდილებაც უნდა გაგაჩნდეს, რომ ბადე ისეთ ადგილას ჩაუშვა, სადაც თევზია თავმოყრილი. თევზის აღმოჩენა კი იოლია. სადაც ბლომადაა თევზი, იქ ყოველთვისაა ვეშაპები, ზვიგენები. მათაც უნდათ ნადირობა.

გაება თუ არა თევზი ბადეში? არც ამის ამოცნობაა ძნელი. გემბანზე დადგმულ ჯალამბარს ამოაქვს ბადე.

საამო სანახავია, როცა თევზი თანდათან ამოდის ზევით,

მზეზე ლაპლაპებს მისი კრიალა კანი — ვერცხლისფერი და მზისფერი. ხშირად 1200—1500 კილოგრამი თევზი მოჰყვება ბადეს. ახარისხებენ ამ თევზებს, აწყობენ კასრებში, ამარილებენ... მერე თევზით დატვირთული ტრაულერი გემ-მაცივარს აბარებს ტვირთს, მერე თევზი ვაგონ-მაცივრებს მიაქვთ, ავტომაცივრებს, თვითმფრინავ-მაცივრებს და...

ინებეთ, ახალი, მსუყე და გემრიელი ატლანტური ქაშაყი.

სხვა მხრივ იან-მაიენი არავის არ აინტერესებს. აქ მარტო მეტეოროლოგიური პუნქტია და რადიოსადგური. არავინ მოდის კუნძულზე სტუმრად. ქარიშხალს გამოქცეული გემი თუ შეაფარებს თავს მის ნაპირებს ხანდახან.

ამიტომ არის, ასე რომ გაუდგამს ფეხი ხავსს. სამაგიეროდ, ბევრია ფრინველი, მათ შორის ყველაზე მეტი — ჩერჩეტა. იგი ლამაზია, მაგრამ უჭკუო.

იან-მაიენზე ვულკანიც არის. მიერნბერგეტი ღრუბლებითაა გარემოცული, ორ-ნახევარი კილომეტრის სიმაღლეზე რომ აღმართულა. ძნელია მის მწვერვალთან მიდგომა, მაინც ასულან და ყინულით ამოვსებული ჩამქრალი ვულკანის ყელიც უნახავთ. მაგრამ ჩვენ ვერ დავინახეთ მისი ყინულოვანი თხემი. ვულკანი ღრუბლებს ძალიან იშვიათად თუ გადაიყრის და გამოაჩენს შიშველ ფერდობებს.

კუნძულის მცხოვრებთ კი მაინც უყვართ სტუმარი, სიხარულით ეგებებიან მეზღვაურებს.

ვტოვებთ კუნძულებს და გვტოვებს სიმშვიდეც. იწყება ღელვა. მძვინვარებს ქარი, ვეძებთ თავშესაფარს, ვუხვევთ გრენლანდიისაკენ.

ნორვეგიულ ენაზე გრენლანდია მწვანე მხარეს ნიშნავს. ეს ცოტა არ იყოს პარადოქსულადაც კი ჟღერს. კუნძულზე სრულებით არ არის მცენარე. მაშ, რად დაერქვა მარადიული სიმწვანის სახელი?

თურმე ეს ასე ყოფილა:

ნორვეგიელი მეფის სურვილით სამშობლოდან გააძევეს ერიკ რიკი. უსამშობლო ჰაბუკი მეგობრებთან ერთად გემით გაემგზავრა ახალი მიწების საძებნელად, ახალი სამშობლოს მოსაპოვებლად. ერიკი ისლანდიაში შეჩერდა, მაგრამ თავისი ფიცხი ბუნების გამო იქიდანაც გაუძევებიათ. ჰაბუკი გზას გა-

ნაგრძობდა და იმედს არ კარგავდა. ახსოვდა თურმე, რომ სადღაც სულ ახლო დიდი მიწა უნდა ყოფილიყო. ისიც ახსოვდა, გრიგალს გამოქცეული ნორვეგიელები როგორ მღეროდნენ ამ მიწისა და ცის სხვადასხვაობაზე.

ბოლოს ერიკმა და მისმა თანამგზავრებმა ამ ნაკლებადცნობილ მიწაზე მიიტანეს სიცოცხლე, ვეება ყინულის მომწვანო-მოთეთრო ენები ჩანდა მხოლოდ.

ყინულები, თოვლი, ისევ ყინულები... განდევნილებმა სწორედ ამიტომ დაარქვეს კუნძულს მწვანე კუნძული. ამით თანამემამულეთა ყურადღებაც კი მიიქციეს თურმე, რის გამოც ეს უსიერი კუნძული მალე ადამიანებით აივსო.

გრენლანდია მართლაც რომ ყინულებითაა დაფარული. ზაფხულზე თუ გადნება აქა-იქ. მამაცი ნორვეგიელის ერიკ რიკის შერქმეული სახელი გრენლანდია კუნძულს დღესაც შერჩა.

არსენას მოჰგავს „არსენიევი“

ტალღები ხმაურით გვეწევიან. „არსენიევი“ ისე მიცურავს მოლურჯო წყალში, როგორც კარგ ცხენზე ამხედრებული ვაჟკაცი. სახელიც შესაფერი აქვს ჩვენს ხომალდს. (არსენიევი ცნობილი რუსი მოგზაური იყო). 7200 ცხენის ძალა აქვს ჩვენს ექსპრეს ელექტრომავალს. მისი სიგრძე 132 მეტრია, სიგანე 18 მეტრი. მის ტრიუმებში რამდენიმე ათასი ტონა ტვირთის მოთავსება შეიძლება, ვუყურებ მის ლამაზ სხეულს და მადლობას ვუხდი მშენებლებს.

სქელტანიანი წიგნებით სავსეა კარადები. წიგნებში ზღვათა და ოკეანეთა ამბებია გადმოცემული. აქ შეიძლება გაეცნო ქართა სხვადასხვა სახეობას, თბილ დინებასა და მუსონებს, სიმკაცრით ცნობილ ბისკაის კაპრიზებს, რომელსაც მრავალი გემის ცოდვა აწევს.

ეკიპაჟი ყოველდღიური საქმით არის გართული. ბიბლიოთეკის ფართო დარბაზში კედლის გაზეთის მორიგი ნომერი მზადდება. გემის „მხატვარი“ — უფროსი მატროსი, კომკავშირელი დანდინი დინჯი ახალგაზრდაა. გასაოცარი ძალისა და

ღონის პატრონი, მშვიდი, გულკეთილი და მუყაითი. დიან, ჩვენს გემზე მსახიობებიც არიან, მხატვრებიც, მწერლებიცა და პოეტებიც.

გადის დღეები. გზადაგზა სანადიროდ გამოსული მეთევზეთა ნავები და გემების ქარავანი გვხვდება. ჰორიზონტზე ციცაბო კლდის შვერილები მოჩანს. კლდის ძირში ციხე-სიმაგრიანი ქალაქია დიდი ბრიტანეთის სამხედრო-საზღვაო ბაზა— ჰიბრალტარი, საიდანაც იღვრება ასე უხვად პროჟექტორების სინათლე ზღვაზე. ინგლისელი მეთვალყურეები კონტროლს უწევენ გემების მოძრაობას.

მავრი ტარიკის სახელი

ციცაბო კლდეზე წამოზიდულა 429 მეტრის სიმაღლის კონცხი — ჰიბრალტარი. იგი ჯერ კიდევ უძველეს ხანაში იყო ცნობილი. მას ჰერკულესის სვეტს უწოდებდნენ.

711 წელს ესპანეთში მავრები შეიჭრნენ. მავრთა ბელადმა ტარიკმა ციცაბო კლდეზე ციხესიმაგრე ააგებინა, რომელსაც



ეს ჰიბრალტარი

ჯაბელ ტარიკი (ტარიკის კლდე) დაერქვა. მერე თანდათან იცვლებოდა ციხის სახელი. ჯაბელტარი, ჯიბრალტარი, ბოლოს ჰიბრალტარი.

1704 წელს ჰიბრალტარი ინგლისელებმა იგდეს ხელთ და სამხედრო საზღვაო ბაზად აქციეს. შორიდან მოჩანს კლდეში შეჭრილი გვირაბები, სადაც ინგლისელთა იარაღის არსენალი და საწყობებია. კლდეში მიმალული ზარბაზნები თავგამოდებით დარაჯობენ სრუტეს.

ქალაქში ვიწრო, ხმაურიანი ქუჩებია, ტურისტებით სავსეა ტარიკის კლდე. ირგვლივ ფოტოაპარატების გამოფენა გეგონება.

გზაზე გამყიდველები გამოსულან. ისინი პირდაპირ დაურიდებლად გეპატიჟებიან თავის მაღაზიაში. ყველას სურს დაჯაბნოს მეტოქე. იწყება გამყიდველთა შემოტევები. ვერც ჩვენ გადავურჩით მათ „თავდასხმებს“. ყველას კი შავგვრემანმა ინდუსმა აჯობა, რომელსაც რუსული სიტყვების მთელი მარაგი დასჭირდა ჩვენს შესაყვანად მაღაზიაში. „ოდესა-დედა“, „როსტოვი-მამა“, „რაშენ-კარაშო“.

ჰიბრალტარში მსოფლიოს სხვა ქალაქებთან განსხვავებით თითქმის სრულებით არაა მუშათა კლასი. არ არის არავითარი სამრეწველო დაწესებულება. ყველაფერი შემოაქვთ, პროდუქტი იქნება ის თუ ტანსაცმელი, წყალი თუ სათბობი.

მოსახლეობა სამ ჯგუფად არის გაყოფილი ჰიბრალტარში. ესენი არიან ჩინოვნიკები, ვაჭრები, სამხედროები. რაც შეეხება ღარიბებს, როგორც სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში, აქაც ბლომადაა. თუ თქვენ ქალაქის მთავარ, ცენტრალურ ხმაურიან ქუჩაზე, მაინ-სტრიტზე გაივლით და მერე ამ ქუჩით გუბერნატორის სასახლისაკენ დაუყვებით, ხახადაღებული ლომების ქანდაკებებს შეეფეთებით. თუ იქიდან ნავსადგურისაკენ მოინდომებთ გასეირნებას, უკან დარჩება კომფორტაბელური აგარაკები და ლამაზად გაფორმებული სასახლეები. ერთბაშად წყდება პალმათა სიმწვანე და სამაგიეროდ იწყება სიღატაკე და სიცივე, მიწაში ჩაფლულ კასრებს მოგაგონებთ საცხოვრებელი სახლები, რკინის უცნაური სახლები, მტვერში ამოგანგლული ბავშვები, გამხდარნი და გაძვალტყავებულნი...

ერთ-ერთი სახლის კარები ღია იყო. სახლიდან არნახული

სიცხე გამოდიოდა. ეს არც გამკვირვებია. ტემპერატურა ჩრდილში 32 გრადუსს უჩვენებდა. ოთახი დიდი და ნახევრადბნელი იყო. ბინის მთელ ავლა-დიდებას ერთადერთი მაგიდა, რამდენიმე სკამი და საწოლი შეადგენდა.

ამ უბანში ნავსადგურის მუშები ცხოვრობენ. მიუხედავად იმისა, რომ მათი საშუალო გამომუშავება შედარებით დიდია, მაინც აი, როგორ ცხოვრობენ ისინი, ლითონის ამ ცხელ ყუთებში.

ქალაქის მკვიდრნი ესპანელები არიან. თუმცა შეხვდებით ინგლისელებს, პორტუგალიელებს, იტალიელებს...

რაც შეეხება მაღაზიებს, იგი ჰარბადაა ქალაქში. მაღაზიაში ყველაფერია, სუვენირებიდან დაწყებული, ტელევიზორამდე, გარდა მყიდველისა.

აქ იყიდება მანდარინი და ფორთოხალი, იყიდება ბანანი, მაგრამ სადაა მყიდველი?! ესპანელებისათვის მიუწვდომელი ხილია ბანანიცა და მანდარინიც.

ვაჭრობა მაინც ვაჭრობაა. სხვა მხრივ კი ქალაქი თითქმის გაქვავებულის შთაბეჭდილებას ტოვებს. აი, ხარაჩოებმოუსსნელი საცხოვრებელი სახლის შენობა. მისი მშენებლობა სამი წლის წინათ დაწყებულა, მაგრამ არ იციან, როდის დამთავრდება, ამიტომ მრავლდება პატარა ვაგონების მსგავსი რკინის ბარაკები...

ქუჩებში ინგლისელი სამხედრო პატრულები დადიან. ავტომატებით შეიარაღებული ჯარისკაცები დაალაჯებენ ქალაქში: საპატრულო სამსახურს შოტლანდიელი მსროლელებიც ეწევიან, გეხამუშება მათი ფორმა: მუხლამდე მოკლე კაბა. წელზე სქელი ქამარი, სამხრეებიანი სამხედრო ბლუზა, თავზე ჩვეულებრივი თანამედროვე ქუდი, ფეხზე მოდური ფეხსაცმელი...

გემზე ოქტავიოც მოვიდა

ესპანელები ხშირად მოდიოდნენ ჩვენთან. მოჰქონდათ იაფფასიანი ყალიონები, ხელით მოწნული კალათები, ხილი, მაგრამ ინგლისელები ნებას არ აძლევდნენ გლეხებს, თავიანთი ნაშრომი გაესაღებინათ.

საერთოდ, ინგლისელები ყოველ ღონეს მიმართავენ, რომ უცხოელი მეზღვაურები მათ მაღაზიებში ყიდულობდნენ საჭირო ნივთებს. მხოლოდ მათ სასაუზმეებსა და რესტორნებში სურთ იარონ ჩამოსულებმა. ეს კი დავას იწვევს ესპანელებსა და ინგლისელებს შორის. ესპანელებს ეკრძალებათ უცხოელებთან შეხვედრაც. მიუხედავად წინააღმდეგობისა, ესპანელები მაინც მოდიოდნენ ჩვენთან. ერთხელ გემს პატარა ნავი მოადგა. სტუმარი, ოცდაათიოდე წლის ტანადი, მხარბეჭიანი ვაჟკაცი, ღიმილით გაგვეცნო. მშვენიერ ხმა ჰქონდა ოქტავიოს. ჩვენი კოლეგა აღმოჩნდა, ცეცხლფარეშად უმუშავია გემებზე. მეტყველი თვალები ჰქონდა, მზით დამწვარი სახე და თამამი გამოსედვა. საბჭოთა კავშირში ჩემი დები როზიტა და დოლორესი ცხოვრობენო, — გვითხრა მან. 1937 წელს სამოქალაქო ომის დროს წაუყვანიათ გოგონები მშობლიური ესპანეთიდან. მათთან ერთად მისი პატარა ძმა რამონიც ყოფილა, მაგრამ როცა საბჭოთა კავშირს გერმანიასთან ომი ჰქონდა, პატარა ძმა მაშინ დაღუპულა.

ოქტავიოს მკერდზე შავი ნიშანი უკეთია, ნიშნად დაღუპული ძმის ხსოვნისა. დედას შვილის სიკვდილი ვერ გაუმხილეს. ისედაც გამწარებული ყოფილა, მეუღლე ციხეში გარდაცვლია.

ახლა არც დებისაგან ისმის რაიმე. იქნებ იცოდეთ, როგორ ცხოვრობენ თქვენში უცხოელი ახალგაზრდებიო. მე დავპირდი, უკან დაბრუნებისას აუცილებლად ვიპოვი შენს დებს-მეთქი. თვალები გაუფართოვდა სიხარულისგან. ინგლისელებს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ მისი ხანგრძლივი სტუმრობა და პოლიციელებსაც გაუჩნდათ საქმე.

მაგრამ მამაცი ესპანელი არ დაბნეულა. თამამად მიუახლოვდა პოლიციელთა კატარღას და სანამ ისინი გონს მოვიდოდნენ, ხელი ჰკრა ჯოხაღმართულ ინგლისელს. ინგლისელი წყალში ჩავარდა, რომ არ მიშველებოდნენ, დაიხრჩობოდა კიდეც. მეორე პოლიციელმა ხელი იარაღზე იტაცა, მაგრამ ვერ მოასწრო ავი საქმის ჩადენა, ერთმა მეთევზემ ნიჩაბი სთხლიშა და იარაღი გააგდებინა.

ჩვენ გვიხაროდა, რომ ოქტავიო ვერ დაჯაბნეს ვერც იარაღითა და ვერც მუქარით.

ზღვასაც ჰყოლია დედა

მეზღვაურები ხმელთაშუა ზღვას „ზღვების დედას" ეძახიან. ალბათ იმიტომ, რომ იგი ოდითგან ცნობილი იყო, როგორც დიდი ნაოსნობის ასპარეზი. აქ ცურავდნენ ფინიკიელები, კართაგენელები, ეგვიპტელები, რომაელები, ბიზანტიელები...

დღეს კი ხმელთაშუა ზღვისაკენ ისწრაფვის ინგლისიცა და ამერიკაც. გზას ვაგრძელებთ. მარჯვნივ აფრიკის მწვანე გორაკებია. ზღვაში აქა-იქ შემოჭრილი კლდოვანი კონცხები გვხვდება.

ალჟირი. მიწისძვრების სიმძლავრეში რომ ეჯიბრება იაპონიას. 1716 წელს მომხდარმა დიდმა მიწისძვრამ მსხვერპლად შეიწირა ქალაქი ბლიდე. 1885 წელს მიწისძვრამ მუსრი გაავლო ქალაქ ჯიჯელს.

აფრიკა უმრავლესობის წარმოდგენაში გადამწვარი უდაბნოებისა და ჯუნგლების ქვეყანაა, ამიტომ ერთი შეხედვით კეთილმოწყობილი ქალაქი ცოტა არ იყოს, გაოცებასაც იწვევს. საკვირველი კი არაფერია. აფრიკის იმ ნაწილში, სადაც ნამდვილი აფრიკელები ცხოვრობენ, არაფერი არ შეცვლილა. იქ ყველაფერი პირველყოფილ მდგომარეობაშია. გამონაკლისს მხოლოდ ევროპელი კოლონიზატორების მიერ აფრიკაზე ბატონობის განსახორციელებლად შექმნილი ციხე-ქალაქები შეადგენს. ალჟირიც ხომ ასეთი ქალაქია. აქედან განაგებდა საფრანგეთი აფრიკის ამ მხარეს. მწვანეში ჩაფლულა ალჟირის ქუჩები. ქალაქის ირგვლივ ბაღები და ხეივნებია, ზეთისხილისა და კორპის ხეების სურნელი მოაქვს ზღვაურს.

ვემშვიდობებით ალჟირს. მარჯვნივ ვტოვებთ ტუნისის საზღვარს. აქ იყო ოდესღაც ძლიერი კართაგენი, რომელიც შემდეგ რომაელებმა მიწასთან გაასწორეს.

გამოჩნდა კუნძული მალთაც. იგი სიცილიასა და ტუნისს შორის მდებარეობს და დღეს ინგლისის იმპერიალიზმის სამხედრო საგუშაგოს წარმოადგენს.

ამ კუნძულის ახლოს 1831 წელს მოხდა კურიოზული ფაქტი, რომელმაც კინაღამ ომი გამოიწვია. ზღვაში გამოჩნდა

ახალი კუნძული. ინგლისსა და სიცილიას შორის ომი გარდაუ
ვალი იყო, ვულკანური წარმოშობის კუნძული ოცდათორმ
ტი წლით რომ არ გაუჩინარებულიყო.

„მარსელიოზას“ ჭალაქშ

განსაკუთრებით თბილად შეგვხვდნენ მარსელის ნავსად
გურში. მიუხედავად დიდი წვიმისა, ჩვენს გემზე ქალაქი
მცხოვრებლების რიცხვი სულ უფრო და უფრო მატულობდ
ჯულწრფელად ესალმებოდნენ ჩვენს მეზღვაურებს.

მარსელი პარიზის შემდეგ მეორე ქალაქია მოსახლეობი
მიხედვით. 640.000 კაცი ცხოვრობს ამ უძველეს ქალაქში.
ჯერ კიდევ 1402 წელს დააარსეს უნივერსიტეტი.

მარსელი საყოველთაოდ ცნობილი გახადა სამხედრო ინჟ
ნერმა რუჟე დელიდმა, რომელმაც 1792 წლის 25-26 აპრილ
დაწერა რევოლუციური „მარსელიოზას“ ტექსტი და მუსიკ
მერე ეს სიმღერა თავისუფლებისათვის ბრძოლის ჰიმნად იქც
„მარსელიოზა“ აღაფრთოვანებდა მეფის სასახლის იერიში
დროს ფრანგებს, ძალას ჰმატებდა პარიზის კომუნის ბარიკ
დებთან მებრძოლ ადამიანებს.

ჩვენთან მოვიდნენ ფრანგი დოკერები. ისინი გვიჩვენებ
დნენ საბჭოთა მეზღვაურებისაგან მიღებულ სხვადასხვა სუვე
ნირებს, რომლებსაც ისე ინახავენ, როგორც ძვირფას რელ
ქვიებს.

ისინი ჰყვებოდნენ რუსეთში ადრინდელ მოგზაურობებზ
ლენინგრადელ და ოდესელ კოლეგებზე...

აქვე მინდა მოვიხსენიო ერთი შემთხვევა. რომელიც საფ
რანგეთის ერთ-ერთ ნავსადგურში დგომისას მოხდა.

გემზე საზღვაო აგენტი მოვიდა, ფული მოგვიტანა. 50
ფრანკიანი მონეტის დანახვაზე ერთმა მეზღვაურმა სიხარუ
ლით წამოიძახა, ჩემი საყვარელი მწერალიო. საქმე ის არის
რომ მონეტაზე ვიქტორ ჰიუგო იყო გამოხატული. აგენტს გაუ
კვირდა, საიდან იცის ამ მეზღვაურმა ვიქტორ ჰიუგოო დ
თითქოს ჯიბრზე ახლა სხვა მონეტა ამოიღო, ათას ფრანკიან
მონეტა.

— ეს ხომ კარდინალი რიშელიეა, — თქვა მეზღვაურმა. უცნაურია, მიმართა მერე აგენტს, თქვენს ფულზე მწერალიც არის და კარდინალიც.

— კი მაგრამ, მითხარით ბოლოს და ბოლოს, ვინ არის ეს ახალგაზრდა. — აღელვება ვერ დაფარა აგენტმა.

— მეზღვაურია, რიგითი მეზღვაური, — ღიმილით განვუმარტე მოსულს.

— უბრალო მეზღვაური? მერედა. საიდან იცის რიგითმა მეზღვაურმა კარდინალი, საიდან იცნობს ჰიუგოს? — ეეღარ მალავდა გაოცებას აგენტი.

და როცა მას უთხრეს, რომ საბჭოთა ხალხმა არა მარტო ჰიუგო იცის, არა მარტო კარდინალი სმენია, არამედ საფრანგეთის ისტორიაშიც კარგად ერკვევა, ხმა არ ამოუღია, დაბნეული შემოგვცქეროდა ერთ ხანს. მერე ადგა და თითქოს თავისი უმწეობის შერცხვაო, უსიტყვოდ გაგვეცალა...

მარსელს საოცრად ლამაზი და თვითმყოფადი იერი აქვს. ხმაურიანი, ხალხმრავალი ქუჩები, სადაც მუდამ ჩქეფს სიცოცხლე, ხალხთა უსასრულო ნაკადი, მანქანების გაუთავებელი კოლონები... შეუდარებელია მისი ცენტრალური ქუჩა. მას მართლაც შეუძლია დაამშვენოს პარიზიც. — მშვენიერების ეს ძველისძველი სავანე. ლამაზად გაფორმებული ვიტრინები არ ჩამოუვარდება პარიზის რეკლამებს. მარსელი მეორე პარიზია.

განუმეორებელია მარსელის სილამაზე. დიდი სიცოცხლისუნარიანობით ხასიათდება აქაური ბუნება. ტემპერამენტი... ხშირად ქუჩებში თავს იყრიან ახალგაზრდები, რომლებიც გაცხოველებით მსჯელობენ, საუბრობენ, ვუყურებ მათ და მაგონდება თბილისი, სადაც ასევე იყრის თავს ახალგაზრდობა, სადაც ასევე ძალუმად იგრძნობა სიცოცხლისადმი ტრფიალი...

მერი—ლოცმანი

თბილისის აისი კორსიკას მაგონებს. როცა აივნიდან გავცქერი დედაქალაქის თვალწარმტაც მშვენებას, მაგონდება ზღაპრული კუნძული. აქ მტკვრის ნაპირას ვგრძნობ კორსიკის სურნელებას.

კორსიკა... ეს მარტო ნაპოლეონის სამშობლო როდია, ეს მარტო ახლანდელ ფრანგ ხელისუფალთა სტრატეგიული პუნქტი როდია, სინათლის და დამათრობელი სურნელების, მოულოდნელობის კუნძულია, სადაც დღემდე არსებობს „ვენდეხტი“ — საგვარეულო შურისძიება. კუნძული სადაც მღერიან, მაგრამ არ ცეკვავენ, კუნძული, რომელზეც ასე ბევრი და ასე ლამაზი სიტყვები დაუწერია პროსპერ მერიმეს.

მყუდროებაა. ხმელთაშუა ზღვა სარკესავით გლუვია და პრიალა. მზის სხივებით ამოქარგულა წყლის ზედაპირი. ზღვა მუქია და ცისფერი, ნაზი და გამჭვირვალე. ირგვლივ ყველაფერი ზღაპრულად გამოიყურება. არაჩვეულებრივია ზღვაცა და ზეცაც.

შორს ჰორიზონტთან მოჩანს ხომალდები. გგონია, ჰაერში დაცურავენო. მერე კი თითქოს წყლის სილურჯეში იკარგებიან ერთბაშად.

შორიდან კარგად მოჩანს კუნძულის მოხაზულობა. არასწორი ელიფსი სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ გამოწეულა. ნელა ქრის სამხრეთ-დასავლეთის მსუბუქი ქარი და კუნძულიდან გამაბრუებელი სურნელება მოაქვს. ამბობენ; როცა გაზაფხულზე მაგიუსები ჰყვავიან, ქარს მისი სურნელი იტალიის ნაპირებამდე მიაქვსო. იტალიის ნაპირები კი რამდენიმე ასეულ კილომეტრზეა აქედან...

ჩვენ პორტო ვეკიოში ვართ. ვჩერდებით ნავსადგურის შესასვლელთან და ვთხოულობთ ლოცმანს. ლოცმანი იგვიანებს. ისევ ვიძახებთ, ისევ დუმან ნავსადგურის ხელისუფალნი. რა გზა მოვნახოთ? უნდა ვიცადოთ. თუმცა როდი გვწყინს ეს ლოდინი. ირგვლივ იმდენი სილამაზეა, რომ თვალი არასოდეს დაგეღლება მისი ცქერით. მთები, მთები, მთები, ხეებითა და ბუჩქებით დაფარული, ყვავილების ნაირფერი ხალიჩები.

საოცარი სინათლე მოდის ნაპირიდან და მერე ეს სინათლე ირგვლივ იფრქვევა. ლურჯად ნათდება ნაპირი, მწვანედ ენთება მთების კალთები... აქ საღამოც განსაკუთრებული ცოდნია. ხავერდოვანი საღამო უცბად ეშვება ძირს და ყოველგვარი დაისის გარეშე დგება ღამე.

სინათლე ინთება პორტო ვეკიოში. ეს პატარა ქალაქი ორი-

ათასამდე მცხოვრებს ითვლის, გვიან ვბრუნდებით კაიუტებში. სამარისებური დუმილი მეფდება გემზე.

დილაადრიან კარებზე კაკუნი ისმის. გუშაგი ტოლია ბორისოვი გვიხმობს. სასწრაფოდ ვიცვამ და გავდივარ გემბანზე. გაოგნებული დავჩერებივარ ზღვას. წყალში ნაპირის მიმართულებით გრძელი კვალია. ნელა მოძრაობენ ერთსართულიანი სახლის სიდიდის თეთრი ღრუბლები. თითქოსდა ამომავალ მზის სხივებს გაურბიანო. გასაოცარი სანახაობაა. რაც უფრო მეტი სინათლე ამოდის ზღვის მხრიდან, მით უფრო გარბიან ღრუბლები. აღწევენ ნაპირს და თავზე ევლებიან კუნძულს, ედებიან კლდეებსა და ქარაფებს, მერე ნელა ეშვებიან წყალში და ისევ ძველ გზას უბრუნდებიან.

მოჯადოებულები ვდგავართ გემბანზე, არც ლოცმანი გვახსოვს და არც ნაპირი. არც კი ვიცით, რომელი სილამაზე აღვიქვათ, წყალში მოცურავე თეთრი ღრუბლები თუ ნაირფერად მოხატული სანაპირო.

კარგია ლამაზი სანახაობით ტკბებოდე მარად, მაგრამ საქმე თავისას მოითხოვს. კვლავ ვაგზავნით რადიოგრამას.

— ნეტავი რაღას გვამქაევებენ,—ბუზღუნებს რადისტი ვალოდია ლეონტიევი, და თითქოს მის ბუზღუნს მოჰყვაო. ნავიც გამოჩნდა. ნავში ორი კაცი დავლანდეთ, ერთი მათგანი ფეხზე იდგა, ხელში ფუთა ეჭირა. ჩქარა გვიახლოვდება კაპარჭა. ჩასხმული, საშუალო სიმაღლის კაცი, მიუხედავად ხანდაზმულობისა, სწრაფი ნაბიჯებით ამოდის ბოგურაზე და გვესალმება პორტო ვექიოს მერი. მერე ბოდიშის კილო ეტყობა ხმაში, ნავსადგურს არა ჰყავს ლოცმანი, ამიტომ შეგაყოვნეთო და თავად კისრულობს ლოცმანის საქმეს.

ცნობისმოყვარეობით ვათვალიერებთ ქალაქის მერს. მერე მზერა რუკაზე გადაგვაქვს. რუკა 1887 წელს გამოუციათ, რუკასთან მერის ბინოკლი დევს. ისიც ძველისძველი.

სამი საათის შემდეგ ჩვენ უკვე ნავსაყუდელში ვართ. ათასი ფუთა საცობი მზად არის დასატვირთად. სამოცამდე მტვირთავი ზის ამ საცობების ფუთებზე და მუშაობის დაწყებას ელოდება. საცობის გარდა აქ მარმარილოს უზარმაზარი ლოდები აწყვია. მარმარილოს აქ მოიპოვებენ და მერე საზღვარგარეთ აგზავნიან.

იწყება დატვირთვა. კორსიკელები დუმილით აკეთებენ მათზე მინდობილ სამუშაოს. „პირველი მერცხალი" — საცობის გრძელი და განიერი შეკვრა, რომელიც ორასამდე კილოგრამს იწონის, ტრიუმში ჩადის...

ლამაზი სიცილი იცის სევერიამ

სტუმართმოყვარე კორსიკელებმა პატარა ავტობუსი გამოგვიყვეს, ავტობუსს მსუბუქი მანქანაც მოაყოლეს და გამცილებლებიც გამოგვიგზავნეს.

გამცილებელთა შორის ახალგაზრდა ლამაზი ქალია, დაუსრულებლად რომ შეიძლება უსმინო მის მელოდიურ ხმას. იგი ცხენზე ამხედრებული მოვიდა ჩვენთან.

სევერიას შავი აბრეშუმის ლაბადა — მეზერო წამოუსხამს. შავი ლამაზი თვალები აქვს სევერიას, შავი მბზინვარე თმები. ალბათ საგანგებოდ თუ აგვირჩიეს-მეთქი ლამაზი გიდი, ვფიქრობ ქალის შემხედვარე, მაგრამ როცა ქალაქში გავდივართ, ვრწმუნდებით, რომ სევერიას სილამაზე შემთხვევითი არ არის.

სევერია თავისუფლად ლაპარაკობს ინგლისურად, იცის გერმანული, ფრანგული, იტალიური.

— უნივერსიტეტში ვსწავლობდი, — ამბობს სევერია.

— ეს ყველასთვის მისაწვდომია? — დავინტერესდი მე.

— რა თქმა უნდა, არა, — მპასუხობს ქალი, მე, უბრალოდ, გამიმართლა.

სევერია თავისუფლად გვესაუბრება თავის სამშობლოზე. ტრაგიკულიაო კორსიკის ისტორია.

კორსიკა (ლამაზი კუნძული) ყოველთვის იწვევდა სხვადასხვა სახელმწიფოებს შორის განხეთქილებას და საუკუნეთა განმავლობაში ხელიდან ხელში გადადიოდა ეს განხეთქილების ვაშლი, რომაელები ორ საუკუნეს ბატონობდნენ კუნძულზე, მერე კორსიკა დამოუკიდებელ პიზეს რესპუბლიკას აჩუქეს.

ეს ყოფილა კორსიკის სულიერი და მატერიალური აყვავების პერიოდი. აშენდა ნავსადგურები, გაყვანილ იქნა გზები და ლიანდაგები, ააგეს ეკლესიები, შესანიშნავ ძეგლებად რომ შემონახულა დღემდე.

პიზეს რესპუბლიკის დამარცხების შემდეგ კორსიკა ჯერ გენუას ხელში გადადის, მერე ფრანგები ისაკუთრებენ. ბოლოს ისევ გენუელები ეუფლებიან.

დაიწყო პატრიოტული გამოსვლები კუნძულზე. ცნობილმა კორსიკელმა სარდალმა სამტიერო კორსომ, რომლის ხსოვნას დღემდე ინახავს კუნძული, გადაწყვიტა სამშობლოსათვის დამოუკიდებლობა მოეპოვებინა და უცხოელ მჩაგვრელთაგან გაეთავისუფლებინა იგი.

როცა სევერია კორსიკაზე ჰყვებოდა, მე გამახსენდა სტენდალის „ვანინ ვანინი". ანალოგიური იყო კორსიკელი სარდლის ისტორიაც. იგი საკუთარმა ცოლმა გასცა. ღალატისათვის კორსიკაში სიკვდილით სჯიან. გამცემი ცოლი თავად დასაჯა განრისხებულმა სარდალმა.

ღალატის შემდეგაც წამოდგა ფეხზე კორსო და ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა.

ბედი მაინც ირიბად უმზერდა გამარჯვებულს. ჩაუსაფრდნენ სარდალს მოშურნენი. მისი სიკვდილიდან მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისამდე, კორსიკა გენუამ დაიმონა. ამ დროს წარმოიშვა „ვენდეტაც", რადგან სახელმწიფოში მართლმსაჯულება აღარ არსებობდა.

დაუსრულებელ ომებში ნადგურდებოდნენ ადამიანები, ინგრეოდა სახლები... მაგრამ პატრიოტები მაინც არ ნებდებოდნენ. მათ შორის ყველაზე ცნობილმა პასკალ პაოლმა კორსიკის გენერალად გამოაცხადა თავი. მან ბევრი რამ გააკეთა შშობლიური ქვეყნისათვის. გახსნა სკოლები, დააარსა კორტეს უნივერსიტეტი, შექმნა არმია და ნაციონალური ფლოტი. 1768 წელს კომპენში ხელშეკრულება დაიდო, რომლის ძალით გენუა ხელს იღებდა კორსიკაზე, მაგრამ კორსიკა ახლა ფრანგების ხელში გადადიოდა. პასკალ პაოლიმ გენუას შემდეგ ფრანგებთან გამართა ბრძოლა. ასე გადადიოდა ხელიდან ხელში მშვენიერი კუნძული...

კორსიკელები ისტორიულ ადგილებს ფაქიზად უვლიან და მას საპატიო სტუმრებს აცნობენ ყოველგვარი ბილეთებისა და საზღაურის გარეშე.

მთათა კალთებზე კორსიკელთა სახლებია შეფენილი, რომელთაც ერთმანეთთან ქვით მოკირწყლული ქუჩები აკავშირებს.

ქალები თავზე იდგამენ წყლით სავსე სურას, მსუბუქია და გრაციული აქაური ქალის მოძრაობა.

და იწყებს სევერია კორსიკულ ლეგენდებს:

როცა ღმერთმა მსოფლიო გააჩინა, ნარჩენები ხმელთაშუა ზღვაში ისროლა, საიდანაც შექმნილა კუნძული კორსიკა. გწამთ ღმერთი? — გვეკითხება კორსიკელი ლამაზმანი.

— თქვენ რამდენი ღმერთი გყავთ? — კითხვას უბრუნებს ენაკვიმატი ვალოდია.

— ერთი, — უპასუხა ქალმა.

— ჩვენ ორი ღმერთი გვყავს, — შეაგება ვალოდიამ.

სევერიას უკვირს, და შავ თვალებში უნდობლობას ვამჩნევთ.

— ცის ღმერთი ხომ არის და არის, ზღვის ღმერთმა რაღა დააშავა, — მიუგო ბიჭმა.

იცინის სევერია.

ლამაზი სიცილი იცის სევერიამ, რადგან საოცრად ლამაზია იგი.

ვათვალიერებთ საცობის ფაბრიკას, თამბაქოს, ტყვიისა და სპილენძის ქარხნებს, სადაც სუსტია ტექნიკა, მძიმეა მუშის ხვედრი. ცოტაა ანაზღაურება და დღითი დღე მცირდება მოსახლეობის რიცხვი.

ვუახლოვდებით წყაროებს. სევერია გვიმასპინძლდება.

ნელი ბაასით მივუყვებით მთიან ფერდობებს. აი, „ვენდეტას“ ადგილიც. ველური და უცნაური, როგორც თვით „ვენდეტაა“. იგი ახლაც ძლიერია, კორსიკელები მტკიცედ იცავენ ძველ ადათ-წესებს, თუმცა ახლა მართლმსაჯულებაც არსებობს და სისხლის აღების ძველი ჩვეულებაც აკრძალულია.

კორსიკელები პატივს სცემენ წმინდა ხუთშაბათს. ამ დღეს ამტვრევენ ყუთებს, თაროებს, ჰაერში ისვრიან ტაფებს. მათი რწმენით, რაც მეტი იქნება ხმაური, მით მეტი იქნება მოსავალი.

კუნძულზე ბლომად არის ეკლესიები. აი, სენ მიშელის დე მიურატის ეკლესია. თეთრი და მწვანე ქვით ნაგები, ათეული კილომეტრიდან რომ შეიმჩნევა მისი ფერთა ელვარება. მას ტოლს არ უდებს სან-დომინკის ეკლესია, გოთურ სტილზე ნაგები და მდიდრული ფრესკებით მოხატული.

ცოტაოდენი დასვენების შემდეგ გზას განვაგრძობთ. გარს ვუვლით ტბებს. სოფლებში ქერა ქალები და ბავშვები გვხვდებიან.

განა კორსიკაშიც არიან-მეთქი ქერა ადამიანები? — ვეკითხები სევერიას. სევერია მომხიბვლელად იღიმება, — ამბობენ, კუნძულის ეს ნაწილი ოდესღაც ვიკინგებსაც ეკავათო.

— ესე იგი, აქ ვიკინგების შთამომავლებიც არიან?

— დიახ, ისინი ძლიერ განსხვავდებიან კორსიკელებისაგან, — მარწმუნებს სევერია და მერე ეკლესიაზე გადააქვს საუბარი, — თუ გამოიცნობთ, რად ააშენეს აქ ეკლესია? — ღიმილით გვეკითხება სევერია.

— ალბათ ყველაზე ლამაზი აქ არის ბუნება.

— ალბათ აქედან კარგად მოჩანს ქალაქის ხედი.

— ალბათ ეს ადგილი რაიმე ისტორიულ ამბავთან არის დაკავშირებული, — მეც ვღებულობ მონაწილეობას, მაგრამ...

— ვერ გამოიცანით, — ამბობს სევერია და მერე ისევ თავად გვიხსნის: დიდხანს იყო ბჭობა, სად აეშენებინათ ეკლესია, მერე ერთ ბრძენს უთქვამს, ქალწულ მარიამს მივენდოთო. ასულან კლდეზე, აუტანიათ ღვთისმშობლის ხატი და გადაუგდიათ კლდიდან. სადაც ხატი დაცემულა, სალოცავიც იქ აუშენებიათ.

ნაპოლეონი აქ, ნაპოლეონი იქ...

აი, აიაჩოც. დეპარტამენტის დედაქალაქი. სადაც იმყოფება კუნძულის უმაღლესი პრეფექტი, ნაპოლეონის დროინდელი დაწესებულება.

ნაპოლეონი აქ, ნაპოლეონი იქ... ყოველ სახლში და ყოველ ქუჩაზე, მისი ძეგლი და მისი ქანდაკება...

მარმარილოს კვარცხლბეკი, კვარცხლბეკზე დადგმული ნაპოლეონი, გვერდით ისევ ნაპოლეონი ძმებთან ერთად. ნაპოლეონი როცა კონსული გახდა, სახლი, სადაც ცხოვრობდა ნაპოლეონი და სადაც ახლა მუზეუმია მისი.

გენუელთა მიერ აგებულ ციხე-დარბაზის წინ ვჩერდებით. ეს ნამდვილი შუასაუკუნეების ციხე-დარბაზია.

გზად სამგლოვიარო პროცესიას დაეეწიეთ, მრავალი ადამიანი მიაცილებდა სამუდამო განსასვენებლისაკენ ცხედარს.

საქართველოს მაგონებს აქაური რიტუალი. დაღუპულის ოჯახში, ისევე როგორც ჩვენთან, თავს იყრიან ახლობლები, მეგობრები, შინაურები. მზადდება ქელეხი, ცხედართან ახლოს დამჯდარა ჭირისუფალი. გარდაცვლილს საუკეთესო ტანსაცმელი აცვია. ხმამაღლა ტირიან მიცვალებულს. საგანგებო მოტირალებიც კი არიან, როგორც სამეგრელოში იცოდნენ წინათ. ახლობლებს სახე დაკაწრული აქვთ, თმები დაგლეჯილი, მკერდში იცემენ მჯიღს და გულდამწველ ხმაზე ტირიან გაბმით.

კუბო მამაკაცებს გააქვთ. ქალები სასაფლაოზე არ გადიან. სასაფლაო შორს არის ქალაქიდან, მაღალი კვიპაროსებით შემოჯარული. აქ ყოველდღე დაიარებიან მკვდრის ახლობლები, უვლიან სასაფლაოს... კორსიკელები საგანგებოდ სამგლოვიარო ტანსაცმელს არ ატარებენ.

როცა კორსიკას ვტოვებდით, აღარ იცინოდა სეევერია, ნაღველი ჩადგომოდა ლამაზ თვალებში.

გემმა ღუზა აუშვა, ნაპირზე გაისმა შეძახილები „ევივა!“

— „ევივა!“ — ვეხმიანებოდით ჩვენც და ხელებს ვუქნევდით ამაყ კორსიკელებს.

მერი კი ისევ ლოცმანად გამოგვეცხადა.

გავცქერი ჩემ უკან დარჩენილ კუნძულს და ვიცი, დიდხანს, დიდხანს მემახსოვრება ეს თვალწარმტაცი მხარე, მისი მთები და მისი კლდეები.

„ო, იტალიის ზეცა ლურჯია...

„ო, იტალიის ზეცა ლურჯია, ამბობენ ჰგავსო საქართველოს ცას..“ — მაგონდება ერთი ქართველი პოეტის ლექსის სტრიქონები, როცა ჰორიზონტზე ლიგურიის ცენტრი გენუა გამოჩნდა. ეს ხმელთაშუა ზღვის უდიდესი და უძველესი ნავსადგურია.

ქალაქში შესვლამდე დავინახეთ მსოფლიოში უძველესი

შუქურა, 825 წელს რომ ითვლის დაბადებიდან, მას თურმე პირველად შეშით ანათებდნენ, მერე ნავთით, ახლა კი ელექტრონის ძალით გაცისკროვნებული დგას და განიშნებს, რომ შენ გენუაში შედიხარ.

გენუა გემთმშენებლობის წარმოების დიდი ცენტრია. აქ სწრაფი ტემპით ვითარდება ვაჭრობა, ტრანსპორტი, გაჰყავთ ახალი გზები.

გენუა გასული საუკუნის ბოლოდან ჩრდილო იტალიის მნიშვნელოვან კულტურულ ცენტრად ითვლება, სადაც მრავლადაა უმაღლესი სასწავლებლები, აკადემიები. ლამაზი ყურე მჭიდროდ მიკვრია გენუას.

ნავსადგურის დათვალიერების შემდეგ ჩვენ ქალაქისაკენ გავწიეთ. მივუყვებით განიერ სანაპიროს, გზას მეტად ლამაზსა და მომხიბვლელს და ქალაქის ახალ ნაწილში ვჩერდებით.

გენუა სულ სამი ნაწილისაგან შედგება: ახალი, ჩრდილოაღმოსავლეთით რომ მდებარეობს, ძველი და ქარხნის კვარტალები, რომელიც ნავსადგურის დასავლეთით დიდ სიგრძეზეა გაჭიმული. ქალაქის ცენტრია ფერარის მოედანი. მოედანი დიდი და მჭიდრო შენობებით არის შემოჯარული, მისი მშვენება მარმარილოს შადრევანია. გარიბალდის ძეგლით სახელგანთქმული შადრევანი. მოედნის მახლობლად დანტეს ქუჩაა. ამ ქუჩაზე ორსართულიანი სახლი დგას. აქ დაბადებულა კოლუმბი... მერე პრინჩიპესა და აკუავერდეს მოედნებზე გავდივართ. ეს მოედნები გენუას ცხოვრებაში დიდ როლს თამაშობენ. აქ იმყოფება სადგური და იწყება ლამაზი გასასვლელი. ამ გასასვლელს ისევ ნავსადგურში გავყავართ. გენუაც კონტრასტებით მდიდარი ქვეყანაა. ცენტრში ლამაზი ქუჩები. ფართო გამზირები, მდიდარი მაღაზიები, კინოთეატრები, რესტორნებია, საღამოებიც სხვაგვარი იცის აქ, ნეონის რეკლამებზე ელექტრონების ჯადოქრული აელვარება, მაგრამ საკმარისია, გვერდი აუარო ამ რეკლამებსა და თვალისმომჭრელ სინათლეს, რომ ყოველგვარი ჯადოქრობა ქრება, „ვიკოს“ ქუჩებში ძნელია გავლაც კი.

სტალიენოს სასაფლაოსაც ვეწვიეთ. ეს უფრო დიდი და ლამაზი პარკია, ვიდრე სასაფლაო. სასაფლაოზე უცნაური ძეგლებია, ადამიანის სიმაღლისანი იმდენად ნატურალური, რომ

ბგონია, პარკში ცოცხალი ადამიანები დგანანო. იქვე, მახლობლად უბრალო სამარხია, აქ განისვენებს გასული საუკუნის ბემოჩენილი მოღვაწე ჯუზეპე მაზონი, რომელმაც სიცოცხლე სამშობლოს ნაციონალური დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას შესწირა.

ყველაფერს თავს დაჰქათქათებს ზღვისფერი ზეცა, ისეთი, როგორც ჩვენთან იცის, ლურჯი და დაუსაბამო...

ამ ქუჩებს ახსოვთ კარუზოს ბავშვობა

ჩვენ ისევ გზაში ვართ. შემდეგი ნავსადგური, რომელშიც შევდივართ, ნეაპოლია. მის აღმოსავლეთ სანაპიროს შენაკადზე გადმოკიდებულია ორად გაყოფილი ვეზუვის მაღლობი, ხოლო სამხრეთით განლაგებულია ქალაქი სორენტო. აქ რამდენიმე წლის მანძილზე ცხოვრობდა დიდი მწერალი მაქსიმ გორკი. 1908 წლის გაზაფხულზე კაპრის კუნძულის გვერდით, სადაც იგი ისვენებდა, სტუმრად ჩამოვიდა დიდი ლენინი, სტუმარ-მასპინძელი ყურადღებით ათვალიერებდა კუნძულს.

ნეაპოლს ჰეროდოტემ სამართლიანად აღრევე უწოდა მსახიობთა ქალაქი. ნეაპოლი—პუჩინის, ლეონკავალოსა და სკარლატის, ჩიმაროზის, იომელისა და ენრიკო კარუზოს სამშობლო. განა შეიძლება ახსენო ნეაპოლი და არ მოიგონო დიდი კარუზო, რომლის ბავშვობა კარგად ახსოვს ნეაპოლის ლამაზ ქუჩებს. ნეაპოლელები წმინდად ინახავენ მათ ხსოვნას, ვინც სახელი და დიდება შეჰმატა ქალაქს.

ყოველი ადგილობრივი მკვიდრი მოვალეობად თვლის, დაგათვალიერებინოთ თავიანთი ქალაქის ღირსშესანიშნავი ადგილები.

სანაპიროზე ვიდექი და მეგობრებს ველოდებოდი. ჩემთან რვა-ცხრა წლის გოგონა მოვიდა და თავის ენაზე დამიწყო საუბარი. მე, მართალია, არ მესმოდა მისი ენა, მაგრამ, როცა მის მუდარით სავსე თვალებს შევცქეროდი, ვგრძნობდი, რაღაცას მთხოვდა, მერე ხელი მომკიდა და ქუჩისკენ გაგზავნა. მეც მივყევი დაინტერესებული. გზად თავისივე ასაკის ბიჭიც

წამოგვეწია, სიხარულით მომყვებოდნენ და თან ირგვლივ ამაყად იხედებოდნენ. ბავშვებმა ერთ სახლთან მიმიყვანეს, სახლზე მიკრული დაფა იუწყებოდა: „ამ სახლში 1873 წელს, 24 თებერვალს დაიბადა ენრიკო კარუზო“. მე ბავშვებს მოვხედე, ამაყად იდგნენ ჩემ გვერდით ჩემი პირველი მასპინძლები, გამოჩენილი ადამიანის სახლთან და სიხარულით შემომცქეროდნენ ბავშვური ცნობისმოყვარეობით სავსე თვალებით, ალბათ აინტერესებდათ, კმაყოფილი ვიყავი თუ არა მათი გიდობით.

ამ ქუჩებში დარბოდა თურმე პატარა ენრიკო. აქ მღეროდა იგი ტოლებთან ერთად, მღეროდა ყველგან, სადაც კი შეიკრიბებოდა ხალხი. ნეაპოლსაც ჭეშმარიტად მომღერალთა ქალაქი უნდა ეწოდოს. ვერ მოვასწარით ქალაქის კარგად დათვალიერება, მაგრამ მუზეუმში მაინც მოვახერხეთ წასვლა. ვნახეთ კაიაიას სანაპირო და კორსე უმბერტოს გამზირი. ნაციონალური მუზეუმი ხომ ქალაქის სიამაყეა. აქ უხვად არის წარმოდგენილი სტაბიისა და პომპეის გათხრების შედეგად აღმოჩენილი განძეულობანი, ეპოქის აღორძინების დროინდელი მხატვრების ტილოები, რაც შეეხება ანტიკურ ქანდაკებებს, ნეაპოლს ტოლი არა ჰყავს მსოფლიოში. ლამაზია კაიაიას სანაპიროც. პალმებითა და ევკალიპტებით დამშვენებული...

ნეაპოლი მდიდარია საინტერესო ძეგლებით. როგორიცაა სან-ჯენარის ეკლესია, სანტა-კიარასა და სანტა-მარტინოს მონასტრები.

ნეაპოლში ძალიან უყვართ მუსიკა. ხან მელანქოლიურია მისი ჰანგები, ხანაც მხიარული. მღერიან ქუჩებში, რესტორნებში, კაფეებში...

თუ გსურთ კარგად გაეცნოთ ნეაპოლელთა ცხოვრებას, აუცილებლად უნდა ეწვიოთ ქალაქის ბაზარს. აქ დუღს და გადადუღს ცხოვრება. აქ ყველაზე მეტია „ზღვის ხილი“. „ზღვის ხილს“ იქაურები თევზებსა და კიბორჩხალებს, კიბოსა და რვაფეხას ეძახიან.

ყველა გზა რომში მიდის

სან-ჯიოვანოს კარებით შევდიეართ ხმაურიან ქალაქში. ვიწრო ქუჩებით ვუახლოვდებით ანტიკური სამყაროს უდიდესი ძეგლის ნანგრევებს. მოპირდაპირედ უძველესი რომის სა-

ვაკრო და პოლიტიკური ცენტრის ფორუმის ნანგრევები
აღმართული. IV ს-ის დამლევიდან (ჩვ. წელთაღრიცხვამდე
რომი დაქვეითების გზას დაადგა. მაგრამ ეპოქის აღორძინები
ხანაში მეტეორივით გაიელვეს ცნობილი კორიფეების სახე
ებმა: მიქელანჯელომ, რაფაელმა, ბრამანტემ. ხელიდან ხელშ
საგოგმანებელი გახდა მათი უკვდავი ქმნილებები.

1870 წელს რომი იტალიის დედაქალაქად გამოაცხადეს
მასში უკვე 226 ათასი მცხოვრები ითვლებოდა. ამჟამად კ
რომში მილიონ შვიდასიათასი კაცი ცხოვრობს.

ერთი საათის განმავლობაში ვათვალიერებდით კოლიზეი
ნანგრევებს. გვაოცებდა მისი გრანდიოზულობა. აღტაცება
ველარ მალავდნენ ჩვენი ბიჭები.

განსაკუთრებით შესანიშნავია კოლიზეი ღამით, როცა მუ
ცაზე პროჟექტორის შუქით განათებული მისი კედლების კონ
ტურები საამოდ და თვალწარმტაცად იხატება. დღისით ე
ადგილები სავსეა უცხოელი ტურისტებითა და მოხეტიალ
ვაკრებით. მნახველებისათვის თეატრი 24 საათის განმავლობა
ში ღიაა.

მერე პანთეონში ვიყავით ანტიკური რომის მშენებლობა
ში ერთადერთ ტაძრად რომ ითვლება და რომლის კედლებ
დღესაც უვნებლად არის თავშენახული. ყველა „ღმერთები
ტაძარს“ ეძახის თურმე ამ პანთეონს. იგი ახლოსაა ქალაქი
ცენტრთან. აგურის სწორი, საშუალო შენობაა. დაგვირგვინე
ბულია დაბალი, განიერი თაღით. ცილინდრული ფორმი
კედლებს სისქე 6 მმ აქვს, სიმაღლე 43 მეტრს უთანაბრდება
შუქი აქ თაღიდან შემოდის, თაღში სანათურებია დატანებული
1608 წლიდან ტაძარი სამუდამო განსასვენებელ ადგილა
აქციეს. აქ არის იტალიის მეფეთა მუდმივი სავანე, აქვეა და
კრძალული გამოჩენილი იტალიელი მხატვარი რაფაელი. მის
ნეშტი უბრალო ფილაქნებს დაუფარავს, მაგრამ ამ ფილაქნებ
ზე მუდამ ცოცხალი ყვავილები აწყვია.

ოქრო-ვერცხლით არის მოზარნიშებული წმინდა პეტრე
ტაძრის კედლები, მისი მშენებლობა 1506 წელს დაწყებულ
ამ დიდი ძეგლის ავტორები არიან რაფაელი, მიქელანჯელო
ბრამანტე. ტაძარი ოთხმოცი ათას მლოცველს იტევს ერთ
დროულად. იგი სიდიდით მსოფლიოს მრავალ დიდ ტაძარ

აღემატება და თავისი გრანდიოზულობითა და ჰარმონიულობით წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს მნახველზე.

რომის ყველა მოედანი ლამაზად და მხატვრულად არის გაფორმებული. შეუდარებელია ნავონის მოედანი. იგი ქალაქის ცენტრში მდებარეობს და პატარების საყვარელი ადგილია. ყვავილების მოედანზე დგას ბრინჯაოს უზარმაზარი ქანდაკება, ირგვლივ ბაზარია.

შეუძლებელია რომის ყველა ღირსშესანიშნაობათა ხილვა, იმდენად მრავალია იგი. კარგად თქვა გოეთემ: „რაც შორს მიდიხარ ზღვაზე, მით უფრო ღრმაა იგი. ასევე ითქმის რომზეც“. ჯგუფ-ჯგუფად დაყოფილი დავდიოდით, მერე კი როცა თავს ერთად ვიყრიდით, ერთმანეთს ვუზიარებდით ნანახსა და აღქმულს. ვნახეთ რომაელების საყვარელი პარკი, დიანას ტაძარი, გოეთესა და ჰიუგოს ძეგლები, იანკულიის მაღლობი. რომზე საუბარი სრულყოფილად არ ჩამეთვლება, თუ არაფერს ვიტყვი ვატიკანზე, რომელიც მთელი ძალით ცდილობს, იტალია ამერიკელ იმპერიალისტებს დაუმორჩილოს. ყოველ ნაბიჯზე ვგრძნობდით, რომ ვიმყოფებოდით პაპებისა და ცენტროკათოლიკურ სამყაროში.

ვატიკანის დამოუკიდებელი სახელმწიფო 44 ჰექტარზეა გადაჭიმული. მისი მოსახლეობა მხოლოდ ათას კაცამდე აღწევს. სამაგიეროდ, დიდია მისი ავტორიტეტი მორწმუნე მსოფლიოში.

მოტყუებისა და სულიერი ტერორის გზით ვატიკანი ნელ-ნელა მოქმედებს მსოფლიოს მილიონობით კათოლიკეებზე. ძლიერია მისი ზემოქმედება ფაშიზმზე. ვატიკანის საიდუმლო აგენტები აღმაშფოთებელ მოქმედებას ეწევიან სახალხო დემოკრატიულ ქვეყნებში. ვატიკანი გვევლინება, როგორც უდიდესი საკრედიტო სახლი მთელ მსოფლიოში, რომელსაც მეთხუთმეტე საუკუნის ტანსაცმლით მორთული მცირე არმია ჰყავს, თავისი ფული, ფოსტა და ციხე, სადგური და ძლიერი რადიოკვანძი, რომელიც მსოფლიოს მრავალ ენაზე აწარმოებს გადაცემებს. აქვს საკუთარი გაზეთი „ოსერვატორო რომანო“, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე რეაქციული გაზეთია.

დილიდან საღამომდე რომის ქუჩები სავსეა წითელ, შავ

და ლურჯ სამოსებში გამოწყობილი ბერებითა და მონაზვნებით. ვატიკანის ეს „შავი ფრინველები“ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან არიან მოფრენილნი.

ვატიკანში ყველაზე მეტი მუზეუმებია, რომელიც მნახველთა დიდ ინტერესს იწვევს. გვაკვირვებს ნაწარმოებთა სიმრავლე და სიმდიდრე. ვატიკანის სურათების გალერეა ერთ-ერთ ყველაზე მდიდარ გალერეად ითვლება იტალიაში. აქ ნახავთ რაფაელის, ტიციანის, ლეონარდო და ვინჩისა და სხვათა ნამუშევრებს, ანტიკურ მუზეუმში ინახება აპოლონ ბელვედერელის და ჰერმესის ცნობილი ქანდაკებები. მუზეუმის მთავარ ვანძად მაინც მიქელანჯელოსა და რაფაელის შემოქმედება ითვლება...

ლა-სკალას თეატრში ვუსმენდით „ტოსკას“

როცა მილანისაკენ გავუხვიეთ, გზად პადუა გავიარეთ. ამ უძველეს ქალაქში დღემდე შემონახულია ძველი დროის ძეგლები.

წმინდა ანტონიოს ტაძარი. მისი მშენებლობა 1232 წელს დაუწყიათ და მეთხუთმეტე საუკუნეში დაუმთავრებიათ. ტაძრის წინ მაღალ შემოგარენზე ბრინჯაოს ცხენი დგას, რომელზეც ვენეციის გენერალისიმუსი გადამელატა ამხედრებულა. ტაძარში პადუელი ანტონიოს სამარხია. ტაძარს ზედ ეკვრის მუზეუმი და ბიბლიოთეკა.

კოლოსალურია პალაცო დელა რაჯიონის სასახლე, მას „ჰკუის სასახლეს“ ეძახიან. სასახლეში მოთავსებული დარბაზების სიმაღლე 24 მეტრია, სიგრძე 82 მეტრი, სიგანე 28 მეტრი. ეს მართლაც რომ საკვირველებაა მეცამეტე საუკუნეში შექმნილი. აქვეა ძველთაძველი უნივერსიტეტი. კედლებზე შარმარილოს დაფები ჰკიდია, დაფებზე ძველ პროფესორ-მასწავლებელთა გვარები წერია. ცნობილი პროფესორების სახელები უკვდავყოფილია ათეულ ქანდაკებებში.

დღეს ძნელად თუ მოიპოვება ისეთი კაცი, რომელიც არ ოცნებობდეს, „ლა-სკალაში“ მომასმენინაო იტალიელი მომღერლებისათვის.

მაგრამ ლა-სკალა ყველასათვის მისაწვდომი თეატრი როდია. მის ფოიეში მხოლოდ ქალბატონები და ბატონები დასეირნობენ. საღამოს კაბებისა და სმოკინგების თეატრია „ლასკალა“. ოფიციალური შესასვლელი ღიაა მისთვის, ვისაც შავი სმოკინგი აცვია და ვისაც გრძელ კაბაში გამოუკვართავს მოქნილი სხეული. ბილეთის ფასი კი იმდენად მაღალია, რომ ბუნებრივია, მშრომელებს ხელი არ მიუწვდებათ.

ჩავედით თუ არა მილანში, მაშინვე დავუკვეთეთ ბილეთები. გადიოდა ოპერა „ტოსკა“. გვიანობამდე ვეღარ დავიძინეთ იმ ღამით.

დილით ქალაქში გავედით. სობორის მოედნით იწყება მილანის ცენტრი. აქ საქმიანი და სავაჭრო უბნებია მოთავსებული. მერე მოდის ნაპოლეონის ქუჩის რაიონები, კრისის მოედანი, სან ბაბილა და სხვები. ქალაქში მრავლად არის გემოვნებით მოწყობილი რესტორნები, მაღაზიები, კინოთეატრები, სასტუმროები...

მილანის სიტში განლაგებულია ბანკების უშველებელი შენობები, მილანის ბირჟები. აქვეა შეხვედრებისა და სეირნობათა ტრადიციული თავშესაფარი. მილანის სიტში მარტო მაღალი საზოგადოების ხალხი როდი გროვდება. ეს ბირჟაში შესასვლელი თავისებური ჭიშკარია. აქვე მიმდინარეობს უცხოეთის ვალუტით სხვადასხვა აქციებისა და ფასიანი ქაღალდების „თავისუფალი“ გაცვლა.

მილანი არა მარტო სამრეწველო და ეკონომიური ქალაქია, იტალიის კულტურისა და ხელოვნების მსხვილი ცენტრიცაა, სადაც მრავლად არის მუზეუმები, ბიბლიოთეკები, სურათების გალერეები, ინსტიტუტები, აქაა უნივერსიტეტი, კონსერვატორია...

გარდა ამისა, მილანი გამომცემლობის ცენტრიც არის. აქ იბეჭდება გაზეთები „კოროორე დელა ხერა“, „ვენტიკუატროორე“, აქვეა რეაქციული ილუსტრირებული ანტიკომუნისტური ჟურნალები. აქ არის უდიდესი გამომცემლობა „ჰოპლი, შინდადორი“, სადაც იბეჭდება „სიკვდილის ზეიმი“, „მსუბუქი სიკვდილი“, „მკვლელობა უკანასკნელ მოდაზე“... ასეთი წიგნები ბლომად აწყვია მილანის წიგნის მაღაზიებში, ყვითელყდიანი და სულიერად აღმაშფოთებელი წიგნები, რისთვისაც მას „ყვითელ“ წიგნებს ეძახიან.

დემოკრატიულ გამომცემლობათა დაუღალავი შრომით იტალიელ მშრომელებს შესაძლებლობა ეძლევათ გაეცნონ პროგრესულ იტალიელ და სხვა საზღვარგარეთელ მწერლებს.

საქმიანი ხალხია მილანში. აქ თავისებურია ყველაფერი, ჩაცმის მანერა, ლაპარაკი, როცა რომში იკეტება საპარადო კარები, მილანში იწყება სეირნობა.

ოცნება და სინამდვილე

ზღვა თითქოს ნაცნობ მელოდიებს უსტვენდა. სამშობლოსაგან დიდი მანძილით დაშორებულებს შუაგულ ზღვაში გვესმოდა „მოსკოვური საღამოების“ დაუვიწყარი ტკბილი და ლამაზი მელოდია. ვინ უნდა იყოს? — მოთმინება ეკარგებოდა ოთარ ფხაკაძეს. იქნებ ჩვენიანია ვინმე, ვფიქრობდით ჩვენ. მაშ, იტალიაში ვინ უნდა მღეროდეს „მოსკოვურ საღამოებს“? გამოცანა სულ მალე ამოიხსნა. სტვენა ლოცმანის კატარღიდან მოდიოდა. სასიამოვნო იყო, რომ აქაური ადამიანები ნაცნობი



ეს, რა თქმა უნდა, ვენეციაა!

ბელოდიებით გვსვდებოდნენ. ეს ჩვენდამი დიდი სიმპათიის გამოხატულება იყო.

შესანიშნავი განწყობილება დაგვეუფლა ყველას. მხიარულად გადავედით ნაპირზე. ჩვენ წინ ვენეციაა — „ადრიატიკის მარგალიტად" მონათლული ტურფა ვენეცია. შუასაუკუნეების ცნობილი ქალაქი — რესპუბლიკა. დიდებულია მისი წარსული, საიდან არ მოდიოდნენ თავისუფლებისმოყვარე ვენეციელებთან. ნოვგოროდელი რუსი ვაჭრები რამდენჯერ ჩამოსულან სასელოვან ვენეციაში.

წყალზე ტივტივებს თითქოს ქალაქი.

წყალში ამოსული გეგონება შესანიშნავი შენობები, ნაირფერი აივნებითა და მოაჯირებით მოხატული. შეუძლებელია ამ სილამაზის სრულყოფილად გადმოცემა, სილამაზისა, რომელმაც გოეთეს ათქმევინა: „ვენეცია ეს ოცნებაა ჰაერისაგან მოქსოვილი, წყალი, მიწა და ცა..."

საინტერესოა ფერას სასახლის თვალმიმტაცი მშვენიერება. აქ ცხოვრობდა შექსპირის დეზდემონა.

როცა ჩვენ ვენეციაში ჩავედით, ყვავილების დღესასწაულს

ესეც ვენეცია!

ზეიმობდნენ ვენეციელები. ეს შესანიშნავი სანახაობაა. ზეიმის ცენტრი იყო გრანდეს არხი, რომელიც ყვავილებით დაეფარათ ვენეციელ ახალგაზრდებს. ნაირფერი ყვავილებით სავსე ნავები თითქოსდა წყალზე ამოსული ყელყარყარა ვარდები და მაგნოლიები არიანო. დაგვინახეს თუ არა, უცხო სტუმრები მოგვსვლიაო, დაუნანებლად გვესროდნენ ყვავილებს ვენეციელი ლამაზმანები.

განსაკუთრებით ლამაზი იყო წმინდა მარკოზის მშვენიერი მოედანი, ცაში აჭრილი ლამაზი ტაძარი, ფრიად ორიგინალური სტილით ნაგები. მოედანზე ბევრი მტრედია. მტრედები თამამად დადიან ქუჩებში ადამიანებთან ერთად. საღამოობით იტალიური მელოდიები იღვრება, მღერიან ახალგაზრდები...

ვენეციაში ბევრია ხიდები, ერთ-ერთ მათგანს „ოხვრის ხიდს“ ეძახიან. ეს ხიდი ერთმანეთთან აკავშირებს სასახლესა და საპყრობილეს.

თვალს ვერ ვაცილებთ ტიციანის კოლექციებს. ექსპონატებზე არავითარი ახსნა-განმარტება არ არის, რადგან მუზეუმები შემოსავლის წყაროდ გადაუქცევიათ მესვეურთ. მეგზური გნებავთ? სიამოვნებით მოგიყვანენ, მაგრამ მეგზური აქ ძვირი ღირს და თანაც ხელოვნებისა არაფერი გაეგება.

აქ, ბარბარიგას სასახლეში, მუშაობდა და ცხოვრობდა ტიციანი ხოლო მოჩენიგოს სასახლეში, ვერაგ მოჩენიგოს სასახლეში, ცხოვრობდა თურმე ჯორდანო ბრუნო...

ნავსადგურში კი დგას ავიამზიდი, რომლის ანძაზე აშშ ალამი ფრიალებს, გემზე დადგმულია ზარბაზნები და ზარბაზნების ტუჩი ქალაქისაკენ არის მიშვერილი, თითქოსდა მიზანში იღებს ლამაზ ვენეციას.

ვდგავართ გემბანზე და გავცქერით თვალწარმტაც ვენეციას, ეს მართლაც ოცნებაა ჰაერისაგან მოქსოვილი, სიოსგან მოტანილი ნაზი და ხელუხლებელი ოცნება...

აქ გაიტაცესო კოლხელი მედეა

ხმელთაშუა ზღვიდან კორინთის არხით შევცურეთ ეგეოსის ზღვაში. ყველაზე პატარაა კორინთის არხი, მაგრამ ყველაზე ლამაზი.

...ჯერ კიდევ არ ჩაგვეშვა ღუზა, რომ ჩვენკენ ათეულობით ნავი და კატარღა გამოემართა.

ბერძნულად მოგვესალმა ნავსადგურის კაპიტანი. გაოცებულმა შევხედე. საიდან უნდა ვიცოდე ბერძნული-მეთქი, გავიკვირვე.

— როგორ, განა თქვენ ბერძენი არა ხართ? — გაოცება ახლა კაპიტანს დაეტყო.

ღმერთო ჩემო! იაპონიაში იაპონელი ვეგონეთ, აქ ბერძნად მნათლავენ, მაგრამ ბერძნებს ჰქონიათ საბაბი. როცა ალბანეთიდან გამოვედით, იქაურმა მეგობრებმა რადიოგრამა შეადგინეს ბერძნულად და ჩემი სახელით გამოგზავნეს. აი, თურმე შეცდომის მიზეზი. მაგრამ როცა ვთქვი, ქართველი ვარ-მეთქი, უფრო მეტად დაინტერესდნენ. მათ უყვართ ქართველები. ამიტომ, ზეიმად იქცა ჩვენი ნავსადგურში შესვლა. სახელდახელოდ გამართეს ნაციონალური კონცერტი. ვუყურებდი მათ ტემპერამენტიან ცეკვას და ჩვენი ქართული ცეკვები მედგა თვალწინ. რამდენი რამ აქვთ ბერძნებს საერთო ჩვენთან, ქართველებთან. მათმა ცეკვებმა ჩვენი ცეცხლოვანი ხორუმი და განდაგანა მომაგონა. აქ კი გამოიჩინეს თავი ჩვენმა ბიჭებმა. ოთარ ფხაკაძეს მარტო სიმღერა როდი ცოდნია. ისე „ღაკვანწა" ეს გოლიათი სხეული, რომ გეგონებოდა, საცაა, წელში გადატყდებაო. „სათამაშო ვაშლი მქონდა..." ცეკვას სიმღერაც ააყოლა და ბერძენ ასულებს სახელდახელოდ ჩაუგანდაგანა. მერე მიხეილმაც გაშალა ხელები, ნოდარიც ჩაება საერთო ფერხულში...

— დედაქალაქი უნდა განახოთ! — შემოგვთავაზეს მასპინძლებმა. არხით პირინეიში გავედით და აქედან გავემგზავრეთ ათენში, ჰომეროსის სამშობლოში.

რამდენი საქვეყნოდ ცნობილი ადამიანი მისცა ამ ქალაქმა მსოფლიოს. აქ მოღვაწეობდა სოფოკლე — „ტრაგედიების დედა", აქ დაიბადა ევრიპიდე — მედეას უნაპირო ტრაგედიის ავტორი. აქ შეიქმნა მსოფლიო კლასიკური ხელოვნების უბადლო შედევრი „ვენერა მილოსელი..." გვიან ღამემდე შევცქეროდით მთვარით განათებულ ათენს და ნაზად გვეჩურჩულებოდა სიო: აქ გამოიტაცესო ლამაზი მედეა.

მიტოვებულმა მავთულხლართებმა თავისთავად გათქვა კუნძულ მაკრონისოს საშინელი წარსული. აქ, დიახ, აქ იყო საკონცენტრაციო ბანაკი. ამ მავთულხლართებს შიგნით იღუპებოდა ათასობით პატიოსანი და მამაცი ადამიანი. მრავალმა შინმოუსვლელმა პატრიოტმა ჰპოვა აქ სამუდამო განსასვენებელი.

მოპირდაპირე მხრიდან ბულგარეთის გემი „მეგობრობა“ გამოჩნდა. გულთბილად მივესალმეთ ერთმანეთს. აქ, მარმარილოს ცნობილ კუნძულებთან ისმოდა ჩვენი მეგობრული შეძახილები.

ეგეოსის ზღვაში თავისდაუნებურად იშლება ისტორიის ფურცლები. ჩვენს ახლოს ჩავლილმა იალქნიანმა გემმა მოტორისტ დიაჩენკოს ეგეოსის წარსული გაახსენა და ჩვენც სიამოვნებით, თუმცა გულდამძიმებულები, ვუსმენთ ამ ავბედით ისტორიას.

კუნძულ კრეტას მფლობელს მინოსს ათენზე გამარჯვება შვილის ფასად დაჯდომია. სისხლიანი ხარკი დაუდვია მინოსს დამარცხებულთათვის. ყოველწლიურად შვიდი ქალ-ვაჟი უნდა შესწიროდა დაკარგული ვაჟის ხსოვნას. ახალგაზრდები კუნძულ კრეტაზე იგზავნებოდნენ, სადაც საშინელ მიწისქვეშეთში სამუდამოდ იკარგებოდნენ. მიწისქვეშეთში ვეება ურჩხული ელოდებოდა უდანაშაულო მსხვერპლთ.

წლების განმავლობაში განიცდიდა მეფე ეგეოსი ამ დანაკლისს. შოვიდა ჟამი, როცა თვით მეფის ვაჟი უნდა გასდგომოდა სასიკვდილო გზას.

თეოსი თავის მეგობრებთან ერთად ავიდა ხომალდზე და სიტყვა მისცა მამას, გამარჯვებული დავბრუნდებიო მშობლიურ ქალაქში.

იმედის თვალით შესცქეროდნენ მამაც მეფისწულს განწირულები.

— ნუ გეშინიათ, — ამხნევებდა იგი ტოლებს, — როგორიც არ უნდა იყოს ურჩხული, მის დამარცხებას მაინც შევძლებთ.

გემი კუნძულ კრეტას მიადგა. მეფე მინოსთან მოენები გაიქცნენ, ეგეოსის ვაჟის მოსვლა აცნობეს. კმაყოფილების

ღიმილმა გადაუარა მინოსს ბაგეზე, მოვიდაო სამაგიეროს გადახდის შესაძლებლობა.

მინოსის ტურფა ქალიშვილმა თვალი დაადგა სასიკვდილოდ განწირულ ჭაბუკს, მოიხიბლა თეოსის ეაჟკაცობით და გადაწყვიტა, სიკვდილისაგან ეხსნა იგი.

სიყვარულმა გაათამამა ლამაზი არიადნა. ძაფის გორგალი გადასცა თეოსს, იოლად გამოხვალო ბნელი ლაბირინთებიდან. მერე ხმალიც გაატანა, მხოლოდ ამ ხმალს შეეძლო ურჩხულის მოკვლა.

ძნელი და სისხლიანი ბრძოლა თეოსის გამარჯვებით დამთავრდა. მოკლა ვეება ურჩხული, უკან დაბრუნებულებს გამოსასვლელში არიადნა ელოდათ.

გამარჯვება და სიყვარული ერთად ეწვია ბედნიერ ჭაბუკს. სიხარულით ბრუნდებოდა უკან მამასთან, თან სასურველი ქალი მოჰყავდა, მაგრამ უბედურება მაინც წამოეწიათ. სიზმარში მყოფ თეოსს გზად ღმერთი გამოეცხადა და ლამაზი არიადნას დათმობა სთხოვა. ვით იქნებოდა უარეყო ღვთის სურვილი მორწმუნე ვაჟს. ღმერთი ხომ უბრალო მოკვდავი არ იყო, დუელში გამოეწვია მამაც მეფისწულს, და დარჩა კუნძულზე მძინარი არიადნა. გულმოკლულმა თეოსმა უგულოდ გაიგრძელა გზა სამშობლოსაკენ, არად უღირდა ეს გამარჯვება და სამშობლოს ნაპირებთან მიახლოებულს სულ დაავიწყდა მამისათვის მიცემული პირობა; გამარჯვებული თეთრ იალქანს ავუშვებო.

ან კი რა გაახსენდებოდა საყვარელი ქალის დამკარგავ ჭაბუკს. ეგეოსი კი ყოველდე ელოდებოდა თეთრაფრიან გემს. მეფე მთაზე ასული გაჰყურებდა ჰორიზონტს როდის გამოჩნდებაო ხომალდი და როცა შავ აფრას მოჰკრა თვალი, აბობოქრებულ ზღვაში გადაეშვა.

ასე გამხდარა შავი იალქანი მეფის სიკვდილის მიზეზი და ასე გამხდარა მეფის სახელი ზღვის სახელად.

სტამბოლში ცხოვრობს იუსუფი

სხვადასხვა სახელით იცნობდნენ ამ ქალაქს: კონსტანტინეპოლი, ცარგრადი, სტამბოლი... ბევრი რამის მომსწრე და მნახველია იგი. ერთ დროს მის ციხე-სიმაგრეს სვიატოსლავისა

და იგორის მამაცი რაზმებიც იცავდნენ. საბოლოოდ მუსლიმანთა გამგებლობაში გადავიდა. ამ ინტერნაციონალური ქალაქის ქუჩებში დედამიწის თითქმის ხუთივე კონტინენტის წარმომადგენლებს შეხვდები. ყველაზე ლაღად თავს მაინც ამერიკელები გრძნობენ.

ფეხშიშველა ბიჭები საპარიკმახეროს ფანჯრებში იყურებოდნენ.

ჩვენც გავაყოლეთ თვალი ბავშვების მზერას. დალაქები ამერიკელებს პარსავდნენ. ბიჭები პირველად შეშინდნენ, მაგრამ მალე მიხვდნენ, რომ ჩვენ არ ვგავდით იმ ამერიკელ მეზღვაურებს და თამამად მოგვიახლოვდნენ. გამხდარ სხეულებს ვერ უფარავდათ ძველმანები. თვალებში სევდა ჩადგომოდათ, ბაგეზე გაუბედავი ღიმილი ეკერათ, ბეჭებზე მძიმე თოკი ეკიდათ. ისინი ყველანი მტვირთავები იყვნენ...

უფროსი თოთხმეტიოდე წლისა თუ იქნებოდა, იუსუფი ერქვა. ამერიკელ მეზღვაურებს მოუკლავთ მისი მამა. რატომ? მიზეზი თურქი გოგონები ყოფილან, რომლებსაც გამოსარჩლებია პატიოსანი კაცი. დედა ადრევე ავადმყოფობდა, მამის სიკვდილმა კი სულ გაანადგურა. იუსუფი დედის ბავშვობის მეგობარს შეუფარებია. აღარ გვცილდებოდა იუსუფი, — გვეკითხებოდა ჩვენს ბავშვებზე, როგორ ცხოვრობენო ისინი. ყველამ დავასაჩუქრეთ იუსუფი, რწმენა მიეცა ბიჭს, ქვეყანაზე პატიოსანი და კეთილი ადამიანებიც ყოფილანო.

ბოსფორით ორ ნაწილად გაყოფილი ქალაქი გორაკებზეა გაშენებული. ცისკენ მიისწრაფვიან სახლები, თითქოს მიწაზე არსებულ უთანასწორობას გაურბიანო. მომრავლებული სიმწვანეც მიილტვის ცისკენ. ბოსფორის სრუტიდან კარგად მოჩანს წმინდა სივიის ტაძარი, ბიზანტიური არქიტექტურის ეს უბადლო ნიმუში. ცეცხლი რომ მოეწია შუა მშენებლობაში, მერე დარბევაც რომ განიცადა მისმა კედლებმა, მაგრამ მაინც რომ აშენდა და ახლა ასე ამაყად დგას სტამბოლის შუაგულში.

ზღვიდან ამოდის მზე
ცეცხლისფერი

დიდხანს არ დავრჩენილვართ სტამბოლში. სამშობლოსაკენ მივიჩქაროდით. მხოლოდ ბოსფორის სრუტე გვაშორებდა მშობლიურ შავ ზღვას. შესანიშნავად გავიარეთ. აი, შავი ზღვაც. მსოფლიოში ერთ-ერთი ულამაზესი ზღვა. ლამაზია შავი ზღვა, ლამაზია აქ მზის ამოსვლა, არანაკლები მიმზიდველია მზის ჩასვლა ზღვაზე.

და ჩვენც მშობლიურ წყლებში მივცურავთ. ვდგავართ გემბანზე და ველოდებით მზის პირველ სხივებს. მეზღვაურები, ვინ რეცხვით არის გართული, ვინ ბანაობით, ყველას სურს, ლამაზად გამოიყურებოდეს საბჭოთა მიწაზე.

თითქოს ლამაზი ქალიაო ცეცხლისფერ საბანაო კოსტიუმში, მზე ისე ამოვიდა ზღვიდან და შუქი მოჰფინა ნაპირს: გემზე ვდგავართ და თვალს ვერ ვაცილებთ ზღვიდან ამომავალ მზეს.

გრიალით ეშვება ღუზა სიღრმეში და მზის სხივები აღარ გვაცდიან ნაპირზე გასვლას, დანატრებული მიჯნურივით გემბანზე გვიწყობენ შეხვედრას.

მზის სხივებში გახვეული ბრწყინავს ოდესა...

დელია თბილისში
სწავლობდა

სამშობლოში დაბრუნებულს ოქტავიასთვის მიცემული სიტყვა არ დამვიწყებია. პირველ რიგში: ესპანელი ქალიშვილის ძებნას შევუდექი. თვალწინ ნათლად დამიდგა 1937—38 წლები, როცა ესპანელები გმირულად უწევდნენ წინააღმდეგობას ფაშისტ მეამბოხეებს. ბარსელონას ნავსადგურში ესპანელი ბავშვებით დატვირთული საბჭოთა გემი იდგა. ნაპირზე აუარებელი ხალხი ირეოდა. შორს გზაზე აცილებდნენ მშობლები საყვარელ ბავშვებს.

ის-ის იყო, გემი უნდა აგვეშვა, რომ ნაპირზე საშინელი კივილი გაისმა. დავინახე, როგორ მორბოდა გემისკენ ქალი პატარა გოგონას თანხლებით. ქალი წითელ თავსაფარს იქნევდა და გაიძახოდა: „კომრად, კომრად სოვიეტ მარინო, სოვიეტ

მარინო (ამხანაგებო, ამხანაგებო, საბჭოთა მეზღვაურებო!) მე უმალ მივეგებე ესპანელ დედას. — წაიყვანეთ ჩემი გოგონაც, კეთილო ადამიანებო! მეუღლე მადრიდში მოუკლავთ, ახლაღა მითხრეს ეს საშინელი ამბავი, გადამირჩინეთ ჩემი დელია...

დელია შალე დამიმეგობრდა. სევდიან თვალებში ხშირად ვხედავდი ცრემლს, უსიტყვოდ ეალერსებოდა დედამისის ნაქონ წითელ თავსაფარს, გამოთხოვებისას ყელზე რომ შემომაბვია ესპანელმა ქალმა.

ლენინგრადში მე და დელია ერთმანეთს დავშორდით...

გავიდა დრო, ოქტავიოს დების ძებნისას მე ტრამვაიში ესპანელ ახალგაზრდებს შევხვდი. ისინი წინა ბაქანზე იდგნენ, ვიცანი მათი ესპანური იერი, კილოც ნაცნობი იყო ჩემთვის... მე კარგად დავაკვირდი და გრძელწამწამა ასულის თვალებმა, როცა პირდაპირ შემომაფრქვია მზერა, რაღაც შორეული მომაგონა, ავირიე, სად მინახავს-მეთქი ასეთი თვალები, დიდი და ბრდღვიალა, თვალს არ ვაცილებდი ქალიშვილს, მერე ვეღარ მოვითმინე და...

— თქვენ ესპანელები ხართ? — შევეკითხე რუსულად, ასულთან მდგომ ვაჟებს.

— დიახ, — ერთხმად მომიგეს მათ.

— რომელ წელს ჩამოხვედით საბჭოთა კავშირში?

— 1937 წელს.

მერე ცოტა ხანს ვიყუჩე და... დელია ხომ არა ხარ-მეთქი შენ — ჯიქურ მივმართე ქალიშვილს.

დელია ვარო, აღელვებულმა მიპასუხა, თვალს არ მაცილებდა ქალიშვილი, მერე მიცნო და დაურიდებლად გადამეხვია. თავისი თავგადასავალი მიამბო. სამამულო ომამდე დელია და მისი ამხანაგები ლენინგრადში ცხოვრობდნენ თურმე, 1941 წელს თბილისში გადმოუყვანიათ, საშუალო სკოლა აქ დაუმთავრებია დელიას. მერე გერცენის სახელობის პედინსტიტუტში უსწავლია და ახლა გეოგრაფიას ასწავლის, ასპირანტურაში შესვლასაც აპირებს თურმე. მერე მეგობრებიც გამაცნო დელიამ. დიეგო ლენინგრადის უნივერსიტეტში სწავლობს, ხოზე და რუისი საფეიქრო ინსტიტუტს ამთავრებენ.

დედის წერილებს თუ ღებულობ-მეთქი. იშვიათადო,

თვალებში ნაცნობი სევდა ჩაუდგა დელიას. ვიცი, დედას ძალიან უჭირს ცხოვრება.

მერე ოქტავიოს დებზე გამოვკითხე დელიას. როგორ არ ვიცნობო დოლორესსა და როზიტას, ისინიც კარგად არიანო.

დელია გონსალესმა ოქტავიოს დებს შემახვედრა. დიდხანს მალაპარაკებდნენ ისინი ესპანეთზე, ოქტავიოზე, მეასედ მეკითხებოდნენ ერთიდაიმავეს, როგორ გამოიყურებაო ჩვენი ძმა, ვახსოვართ თუ არაო...

გვიანობამდე დავდიოდი ესპანელ ახალგაზრდებთან ქუჩაში. თბილისზეც ვლაპარაკობდით. დელიას ძალიან უყვარს თბილისი.

ხარაჩოებში ჩამჯდარი ქალაქი

იქნებ ბევრს საკვირველებად მოეჩვენოს, რომ ჩვენ, შორეული ნაოსნობის მეზღვაურები, ბუდაპეშტში მივემგზავრებით დიდი საოკეანო სატვირთო თბომავალის მისაღებად.

იტყვიან, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქი ხომ ევროპის შუაგულში მდებარეობს, თითქმის ზღვა მას არ ეკვრის, მაშ, როგორ მიდიან იქ საზღვაო გემის მისაღებად. მართალია, ბუდაპეშტში ზღვა არ არის, მაგრამ არის დიდი საოაოსნო მდინარე დუნაი, ბუდაპეშტში შენდება ხომალდები.

და აი, ჩვენ გზად გავივლით რუმინეთსა და ბულგარეთს, იუგოსლავიასა და ჩეხოსლოვაკიას.

დუნაი ითვლება უდიდეს მდინარედ ცენტრალურსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში. იგი ვოლგის შემდეგ მეორე მდინარეა ევროპაში 2850 კილომეტრზე რომ მიუყვება მეგობრობის ნაპირებს.

მოთმინება გველევა, რაც შეიძლება ჩქარა მივიდეთ მეგობრებთან. და აჰა, კონსტანცაც, ეს პატარა, მაგრამ მეტად ლამაზი ქალაქი — ნავსადგური. განთქმული პოეტი ოვიდიუსი რომ შეუფარებია ოდესღაც. მწვანილისა და ხილის სიუხვემ ქუთაისი გამახსენა. ადრე კონსტანცა პატარა დაბა ყოფილა, მეთევზეთა უბანი, მერე კი, როცა რუსეთის ჯარებს თურქებისაგან გაუწმენდიათ დობრუჯის მიწა, 1877 წელს ქალაქის მშენებლობა დაწყებულა...

კონსტანცაში აღმართულია დიდი ობელისკი. „შავი ზღვის გმირ საბჭოთა მეზღვაურებს, რომლებმაც თავი დასდეს 1941—45 წლებში, სამამულო ომში ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ", — აწერია ობელისკს.

თვალს სიამოვნებს ხარაჩოების სიმრავლე.

ლამაზი ქალაქია კონსტანცა, მაგრამ უფრო ლამაზია რუმინეთის დედაქალაქი ბუქარესტი.

ჩვენი რუმინეთში ჩასვლა წიგნის კვირეულს დაემთხვა. გამყიდველი სტუდენტი ქალიშვილი მხიარულად გვიყვებოდა, თუ როგორ გაიზარდა წიგნის ტირაჟი სოციალისტურ რუმინეთში.

რუმინეთი მდიდარია წიაღისეულით. აქ მოიპოვება ნავთობის დიდი მარაგი, მეთანის აირი, ქვანახშირი, ხე-ტყე, ძარგანეცი... ოქროს მარაგის მხრივ რუმინეთი მეორე ადგილზეა ევროპაში. იგი მარტო საბჭოთა კავშირს უთმობს პირველობას, რუმინეთში იბადებიან მანქანები და ავტობუსები, ტრაქტორები და ექსკავატორები...

მას შემდეგ, რაც რუმინელი ხალხი თავისი ქვეყნის ბატონ-პატრონი გახდა, ქვეყანამ დიდ წარმატებას მიაღწია! დღითი, დღე მატულობს ხარაჩოების რიცხვი, იზრდება და ფართოვდება ქალაქები და სოფლები. რუმინეთში თამამად

ნიაც ვიპოვეთ. მაინც რა არის ბედი, — სიხარულს ვერ მალავს ოთარ ფხაკაძე, — სადაც არ უნდა წავიდეს ქართველი, მაინც შეხვდება თანამემამულეს. გრიგოლსაც სიხარულით ავსებია თვალები, რა ამბავიაო საქართველოში, ალანიების საგვარეულო ხომ ისევ მაგრად ღგასო ფეხზე. მერე მასპინძლობას ჩემულობს დუნაიზე, ღომი და სულგუნი უნდა გაჭამოთო. დიდხანს ვაგრძელებთ საუბარს თანამოძმენი, მეგრულ ღომს კი ყველა სიამოვნებით შევექცევით ცისფერ დუნაიზე...

იწყება ბულგარეთის სანაპიროები. რუსეს ნავსადგური. ნაპირზე თანდათან მატულობს ხმაური. გემბანი ყვავილებით იფარება, ისმის მეგობრული მისალმებები.

გემი ჩერდება. თითქოსდა დიდი ხნის დაცილებული ნათესავები ხვდებიანო, ისე გვეხვევიან აქაურები. ირგვლივ სიცილისა და სიმღერის ხმები ისმის.

მწვანეში არის ჩაფლული რუსე. მოასფალტებულ ქუჩებზე წრიულად მოძრაობენ მანქანები. თითქმის ყველა მეხუთე სახლი ახალია და ლამაზი. გზად სკოლებია. უკანასკნელი თოთხმეტი წლის მანძილზე სოფლის მეურნეობას ამ სკოლებმა 7400 მაღალკვალიფიციური სპეციალისტი მოუმზადა.

ვარნა. შესანიშნავი აგარაკი, დიდი ნავსადგური, მნიშვნელოვანი სამრეწველო, სამეცნიერო და კულტურული ცენტრი, ლამაზი და კეთილმოწყობილი ქალაქი, რომელიც მრავალ დამსვენებელს იზიდავს, ასეთ სანატორიუმებზე ხომ ოცნებაც არ შეიძლებოდა წინათ. ძველად ვარნაში სამკურნალოდ მხოლოდ მილიონერები ჩამოდიოდნენ.

როცა დედაქალაქის დათვალიერება გადავწყვიტეთ, საზღვაო სააგენტომ სოფიამდე სამგზავრო ბილეთები და ბულგარული სანოვაგით სავსე კალათა გამოგვიგზავნა.

სოფია უძველესი ქალაქია მსოფლიოში. მესამე ათასწლეულის შუალედში თრაკიელების ერთ-ერთმა ტომმა — სერდებმა ააშენეს აქ ქალაქი სერდიკი. იგი ვაჭრობის ცენტრი იყო თავიდანვე, სადაც თავს იყრიდა სამხედრო გზებიც. როცა რომაელები თრაკიას დაეპატრონენ, იმპერატორ კონსტანტინეს სერდიკი სატახტო ქალაქად გამოუცხადებია. შემდეგში ქალაქს ჰუნები შესევიან და დაუნგრევიათ. მერე ლათინებს მოუბრუნებიათ გული და წმინდა სოფიის ტაძარიც კი აუშენებიათ, რის გამოც ქალაქს სოფია დარქმევია.

ბევრი რბევა და თარეში გადაუტანია სოფიას. მოდიოდნენ პაჭანიგები, სერბები, მადიარები, ჯვაროსნები... მიწასთან გაუსწორებიათ ქალაქი.

ახლა?

ახლა სოფიაში 16 უმაღლესი სასწავლებელია, ქალაქის ცენტრში თავს იწონებს ბულვარი, მეცხრამეტე საუკუნის ვეებერთელა უნივერსიტეტი და მშვენიერი თეატრი. ახლა სოფიაც ხარაჩოებშია ჩამჯდარი. დღითი დღე ლამაზდება დედაქალაქი. ფართოვდება ფაბრიკა-ქარხნების ქსელი.

სოფიიდან დაბრუნებულთ მეგობრულად შეგვხვდნენ ვარნაში.

ბელგრადის მამლის ყივილი

მდინარეზე ცხოვრებას განვაგრძობთ, გვხვდება უნგრეთისა და ავსტრიის, ბულგარეთისა და ჩეხოსლოვაკიის გემები. კარგი ტრადიცია აქვთ მეზღვაურებს: შეხვედრისას სახელმწიფო ალმებით ვესალმებით ერთმანეთს.

ძნელია დუნაიში ცურვა, მიხვეულ-მოხვეულია მისი დინება, ქალივით მაცდური და შემპარავი. საშიშროებას უქადის კაცს, თუ შორსმჭვრეტელი არა ხარ, თუ ნებისყოფა გღალატობს, თუ რწმენა არ გაგაჩნია.

ხშირად ამბობენ იუგოსლავიელები: როცა იუგოსლავიაში დაიყივლებს მამალი, მის ხმაზე რუმინეთსა და ბულგარეთში იღვიძებენო.

მართლაც, მთავრდება თუ არა ბულგარეთის ნაპირები, იწყება იუგოსლავია, გრძელდება ჩეხოსლოვაკია.

შუაღამე იყო, ბრწყინავდა დუნაი, გარემო სასიამოვნო დუმილს მოეცვა. სიჩუმე გუშაგმა დაარღვია, ვიღაცაა მოაჯირის იქით. ჩვენმა ბიჭებმა სასწრაფოდ მიიღეს ზომები და სიკვდილს გადაარჩინეს სასიკვდილოდ განწირული იუგოსლავიელი.

გათენებისას შევედით არხში. ახალბედები ნათლობას გადიან, მოვინათლეთო დუნაიში, დიდხანს ხუმრობენ მერე ისინი.

და აი ბელგრადიც. კლდეებზე წარწერაა: „ტიტო პარტიაა ჩვენი, ტიტო სიამაყეა ჩვენი“.

„კეთილი იყოს თქვენი ფეხი ბელგრადში“, — ხმაური მატულობს ნაპირებიდან. ქუდს გვიხდიან იუგოსლავიელები.

პანჩევის ხიდი. ზემოდან დიდი, მაღალი გუმბათით დამშვენებული ციხე დაგვიცქერის.

მერე მაღლა მივუყვებით დუნაის. მთავრდება იუგოსლავიის საზღვარი და გემზე ფრიალებს ჩეხოსლოვაკიის დროშა.

კრემლი პრაღაშიც არის

აღმოსავლეთიდან თბილი, საამო ქარი უბერავს. მშვიდად მოლივლივებს ცისფერი დუნაი.

მრავალი თქმულება გამიგონია დუნაიზე. აქ სულ ახლოს ნაპირთან ახლაც გდია ქვა, რომელსაც „დოიკას“ ეძახიან. ამ ქვაზე მჯდარა ორი და. უფროსი შემთხვევით გადავარდნილა წყალში. უმცროსს ყვირილი დაუწყია „დოიკა, დოიკა“.

არის მეორე — „ქმარი-ქვა“. ოდესღაც ვაჟს შეყვარებია ასული, საყვარელი არსებისათვის აქ დაუნიშნავს პაემანი, აქ უკოცნია პირველად ქალისთვის. დაუნახავს ღმერთს და ქვად უქცევია ის კაცი უმალ.

არის „ქვა-დედაკაციც“. ახალგაზრდა თურქს გოგონა მოუტაცია. ქალის მამას უთხოვია ღმერთისათვის, ჩემი შვილი ქვად აქციე, რომ თურქის უწმინდური ხელი არ შეეხოსო. ღმერთსაც შეუსმენია მამის ვედრება.

მასპინძლებმა მიგვიწვიეს — პოეზიის საღამოს ვმართავთო. პროგრამაში მესაჭე კრუტკოს ახალი ლექსები იყო. მაღალი და მხრებგანიერი კრუტკო, ბავშვივით მოკრძალებული თვინიერი ჭაბუკი, გემის სახალხო პოეტად ითვლებოდა, რომლის ყველა ლექსს ეწია დაბეჭდვის ბედნიერება.

სად?

კედლის გაზეთში, გემის კედლის გაზეთში. ბიჭები ხუმრობდნენ ჩვენი პოეტი იღბლიანიაო.

გვიანობამდე ვიხილავდით პოეტის ახალ ლექსებს. გათენებისას კი კომარნოს ნავსადგურში ჩავუშვით ღუზა. ღელავ-

ლნენ ბიჭები. ღელვის მიზეზიც ჰქონდათ. ჩეხოსლოვაკელ მეზღვაურებს ეჯიბრებოდნენ და ახლა უნდა შეეჯამებინათ ამ შეჯიბრების შედეგები.

გავაცილეთ ჩვენი ბიჭები, იქიდან კი სტუმრები მივიღეთ. ვსაუბრობდით ჩვენს მიღწევებზე, ნაკლსაც გულწრფელად ვალიარებდით.

ჩეხებმა აკორდეონით დაგვასაჩუქრეს. ჩვენ რადიოლა „ოქტავა“ გადავეცით სამახსოვროდ.

კარგად ცხოვრობენ ჩეხები. ვუყურებ მათ ბედნიერ სახეებს და მჯერა, რომ სოციალიზმმა მოუტანა მათ ბედნიერება.

მაგონდება კლემენტ გოტვალდის სიტყვები: „ჩვენი ძლიერების მიზანი სოციალისტური მშენებლობის დროს ადამიანზე ზრუნვა, მისი ცხოვრების გაუმჯობესებაა“.

პრაღა. შესანიშნავია წმინდა ვიცას ტაძარი, რომლის დასათვალიერებლად საჭიროა მთელი დღე. აი, სტარე მესტას მოედანი, სტარე მესტას რატუშა, რომლის ფასადს ამშვენებს მსოფლიოში ცნობილი კურანტები. არაჩვეულებრივ სანახაობას ათასობით მაყურებელი ჰყავს ყოველთვის. რატუშას ფასადზე მდგარი კურანტები ერთადერთია მსოფლიოში. მის გამკეთებელს ასტრონომსა და მათემატიკოსს რუჟელ განუშს თვალები დასთხარეს, კვლავ რომ არ გაეკეთებინა ასეთი რამ...

მრავალი ნაწილისაგან შედგება კურანტები, რომლის შუაგულში დიდი ზომის საათია ჩასმული. საათის ზედა ნაწილის ორივე მხარეს ფანჯრებია, როცა რომელიმე საათი სრულდება, ფანჯრები იღება, საიდანაც მომცრო ქანდაკებები გამოდიან, ქრისტეს მოციქულებს რომ გამოსახავენ. მერე ეს მოციქულები ადგილს უთმობენ მომდევნო მოციქულებს იმდენჯერ, რამდენი საათიც სრულდება. ბოლოს, საათის ზემო ქვის ნიშიდან, მამალი გამოჩნდება და ყივილს იწყებს. ეს ნიშნავს, რომ ახალი საათი იწყება. მამლის ყივილთან ერთად მოძრაობას იწყებენ პატარა ქანდაკებები. ციფერბლატებზე ციურ სხეულთა მოძრაობაა წარმოდგენილი, ქვევით დღეებია და კალენდარი.

მოედანზე დგას ჩეხოსლოვაკელი პატრიოტის, პრაღის უნივერსიტეტის რექტორის, იან ჰუსის ძეგლი.

შესანიშნავია პრაღის კრემლი (გრდჩანის უბანი). პრაღის

კრემლი ძველი ციხე-ქალაქია. მას თხუთმეტი საუკუნის ისტორია აქვს. როცა პრეზიდენტი ადგილზეა, სასახლეზე რესპუბლიკური დროშა ფრიალებს.

კრემლის ცენტრშია ტაძრები, არქიეპისკოპოსის სასახლე.

ლორეტის მოედანზე დგას ლორეტის სასახლე, ქალწულ მარიამის სასახლე, რომლის დარბაზში სხვა მრავალ განძეულობათა შორის „ალმასის სანაწილე“ ინახება. იგი კედლის სპეციალურ ნიშშია ჩასმული. დიდი ზომის ალმასს ირგვლივ თხილის კაკლის ოდენა ბრილიანტები უზის. ამბობენ, რომ ეს ფასდაუდებელი ნივთი გრაფის ქალს ევა კოლოკრატს შემოუწირავს მეჩვიდმეტე საუკუნეში. ამით მაინც დავრჩებიო ისტორიაში. და მიაღწია სასურველ მიზანს ევა კოლოკრატმა. აქ ათასობით დამთვალიერებელი რომ მოდის, ათასჯერ მეორდება გრაფის ასულის სახელი. იქვეა მისი სურათიც.

ქალაქის განაპირას მწვანით დაფარული მაღლობია. აქ, ოკშანსკოეს სასაფლაოზე, საბჭოთა მეომრები განისვენებენ. ქედს ვიხრით მათ წინაშე. დაღუპულთა შორის ქართველებიც არიან: პეტრე დოლიძე, ივანე კორჩინელი, აბესალომ ნამგალაური...

კარლოვი ვარი. ცნობილი თავისი სამკურნალო წყლებით. საიდან არ მოდიან აქ სამკურნალოდ. აქ მკურნალობდა პეტრე პირველი, გოეთე, შილერი, შოპენი, პაგანინი, ჩაიკოვსკი, ლისტი, ტოლსტოი, შოლოხოვი, რომელი ერთი ჩამოვთვალო. აქ ექიმობდა გიორგი მეთორმეტის ვაჟი თეიმურაზ ბატონიშვილი, აქ იწერებოდა გოგოლის „მკვდარი სულები“, „ტარას ბულბა“, აქ იყო მარქსი და მისი ქალიშვილი ელეონორა, აქ იყო გორკი...

ასე იქცევიან საბჭოთა ადამიანები

ჩვენ წინ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის გზათა და კავშირგაბმულობის მინისტრის მიერ გამოგზავნილი ბარათი დევს. იშტვან კოში უნგრელი ხალხის სახელით მადლობას უძღვნის საბჭოთა მეზღვაურებს.

— ნება მომეცით, მადლობა გადაგიხადოთ მეგობრული დახმარებისათვის, რომელიც საბჭოთა გემის რადისტებმა აღმოუჩინეს ჩვენს თბომავალს. გთხოვთ, ჩემი სახელით, უნგრელი ხალხის სახელით, გემის მამაც ეკიპაჟს გადასცეთ ჩვენი გულწრფელი მადლობა. ამასთან ერთად, ვსარგებლობ შემთხვევით და გიგზავნით იმ წერილის რუსულ თარგმანს, რომელიც ჩვენს სატრანსპორტო ჟურნალში იყო გამოქვეყნებული.

უნგრეთის თბომავალი „ტოკაი" ნავსადგურში ბრუნდებოდა მორიგი რეისიდან. სამთვიანი მოგზაურობის შემდეგ სამშობლოს დანატრებული მეზღვაურები დიდი სიხარულით ელოდნენ ნაპირს, მაგრამ ბუდაპეშტში მიმავალი გზა დუნაიზე დაკეტილი აღმოჩნდა. წყლის სიღრმე ნებას არ იძლეოდა მდინარეში შესულიყვნენ. გავიდა ხუთი დღე. ამ ხნის განმავლობაში მრავალი კარგი საქმე გააკეთეს მეზღვაურებმა, მაგრამ უბედურება მოულოდნელად დაატყდათ თავს, მწყობრიდან გამოვიდა რადიოსადგური. უშედეგო აღმოჩნდა რადისტის ცდა. გაწყდა ყოველგვარი კავშირი სამშობლოსთან, ოჯახთან, მეგობრებთან. ძნელი გახდა სხვა გემისათვის მიმართვაც, მიშველებოდნენ უკავშიროდ დარჩენილთ.

გემი ცურავდა შუა ზღვაში, მერე ალექსანდრიაში საბჭოთა გემი დამგზავრებია. „ტოკაის" ეკიპაჟს გადაუწყვეტია დახმარება ეთხოვათ საბჭოთა მეზღვაურებისთვის.

შედეგი?

ჯობია ჟურნალში გამოქვეყნებულ წერილს მოვუსმინოთ:

„დასახმარებლად მალე მოვიდნენ საბჭოთა მეგობრები ალექსანდრე ნოვიკოვი, სლავა მამიაკოვი, იური ფილინი. ჯგუფს ხელმძღვანელობდა ნოვიკოვი. ისინი მუშაობდნენ მთელი დღე, არც სადილი გახსენებიათ, არც დასვენება, კაპიტნის მიერ მიწოდებულ ბუტერბროდებზეც უარი თქვეს, გავცდებითო, და, საღამოს ხუთ საათზე აღუდგენიათ რადიო". აქვე იხსენებდა კაპიტანი, თუ როგორ გადაიხადეს ბეირუთში რაღაც ორი საათის სამუშაოში ას დოლარზე მეტი, მაშინ როცა აქ მხოლოდ მადლობით დაკმაყოფილდნენ. სხვაგვარად როგორ

უნდა მოვქცეულიყავითო, აბა. ასეთები არიან საბჭოთა ადამიანები.

საზღვარგარეთ სამაგალითოდ იქცევიან ჩვენი მეზღვაურები. იქ ხომ საჭიროა წინდახედული მოქმედება, რადგან საბჭოთა ადამიანს მრავალი თვალი ზვერავს კაპიტალის სამყაროში და ცდილობს თავისკენ გადაბირებას. თუ რომელიმე საბჭოთა მეზღვაური ავად გახდა და მისი უცხოეთის საავადმყოფოში მოთავსებაა აუცილებელი, იწყება ნამდვილი შეტევა. ავადმყოფებთან შედიან ღვთისმსახურები, ლამაზი ქალები, ისინი ცდილობენ გული აუყარონ ავადმყოფს სამშობლოზე, ოქროს მთებს სთავაზობენ ჩვენი დიდებული მთების სანაცვლოდ, რათა მერე ბურჟუაზიულ პრესას მიეცეს სალაპარაკო.

აღმოსავლეთი ან დასავლეთი, სახლი კი ყველას სჯობიაო,— ამბობს ინგლისური ანდაზა. ჩვენც გვიხარია, მალე რომ უნდა დავბრუნდეთ სამშობლოში. კვლავ გავიარეთ ქალაქი, სადაც დადიოდა მგზნებარე შანდორ პეტეფი.

მგზავლიურო, ჩემო მიწავ

კარგია მოგზაურობა, ახალი ნაცნობები, ახალი მეგობრები, მაგრამ სადაც არ უნდა ვიყოთ, ყველგან თან დაგვყვება სამშობლოზე ფიქრი და გვწვდება მისი ხმა.

დაიწყო სამშობლოს სანაპიროები. იზმაილიდან შავ ზღვაში გავედით. მე ხმამაღლა ვამბობ ალექსანდრე კრუტკოს ლექსს, რომელიც იზმაილზე დაწერა პოეტმა:

> და ისევ მოველ იზმაილ ჩემო,
> შენზე ბლოცველი ეგზომ,
> მე მიყვარს შენი სიცხეც და ჩეროც,
> შენი ქეჩა და ეზო.
> გეხვევი. გულში ჩაგიკრა ბარემ,
> არ დაშორახავენ, ვიცი,
> მე შენ გადარჩებ მიჯნურის თვალებს,
> შეყვარებულის სიცილს.

ვკითხულობ ლექსს და ოთარ ფხაკაძე ღიღინით მყვება. მერე გემბანზე ნელ-ნელა იყრის თავს სამშობლოს დანატრებული ეკიპაჟი. ვინ მღერის, ვინ ლექსებს ამბობს და ყველა მათ-

განი ერთი ფიქრით არის სავსე, რაც შეიძლება მალე, მალე დაადგან ფეხი მშობლიურ მიწას და მართლაც, რა შეედრება მშობლიურ მიწას — შენს მიწას...

გვაცილებს ევროპა

ახალი მარშრუტი აღმოსავლეთით ავიღეთ.

მშვიდად გაგვაცილა შავმა ზღვამ. არც ანატოლიის სანაპიროებს შეუკრავს შუბლი. დაუბრკოლებლად გავიარეთ ბონის ზღუდე და დაიწყო ბოსფორიც, რომელიც რუსეთის გემებისათვის მხოლოდ 1774 წელს გახსნეს თურქებმა.

გამოჩნდა ოქროს რქის ყურე — თურქეთის დიდი ქალაქი სტამბოლი. გვერდს ვუვლით სამეფო კუნძულებს, რომლებიც ისტორიაში იმით არის ცნობილი, რომ 1919 წელს, ინგლისის პრემიერ-მინისტრის ლოიდი ჯორჯის ინიციატივით, აქ საერთაშორისო კონფერენცია ჩატარდა, რომელშიც მონაწილეობდა კომუნისტური პარტიის ყველა მოწინააღმდეგე. კონფერენციის მიზანი ვითომც და სამოქალაქო ომის შეწყვეტის საკითხი იყო, სინამდვილეში კი მათ სურდათ ხელი შეეშალათ წითელი ჯარების წარმატებისათვის. სურვილი ერთია და ასრულება მეორე, და ვერ აუსრულდათ წადილი დელეგატებს, მათი გეგმები ჩაიფუშა...

ვდგავართ გემბანზე და ვიგონებთ წარსულს. გემი კი ნელა ტოვებს ეგეოსის ზღვას... კარგა მანძილზე გაგვაცილა ევროპამ...

სიკვდილი როდოსზე დაუმარცხებიათ

მხარმარჯვნივ რჩება კუნძული როდოსი. ჩვენი მოტორისტი ვიქტორ დიაჩენკო დიდხანს გასცქერის კუნძულს, ალბათ 1953 წელი თუ აგონდება, როცა „ადმირალ უშაკოვზე“ სერიოზული ჭრილობა მიიღო და სწორედ აქ როდოსის კუნძულზე გადაუყვანიათ გონწასული ვიქტორი.

უიმედოდ გადაუქნევიათ თურმე თავები ექიმებს. თვით მთავარ ექიმს ლაზარე თელიაკოსსაც სახელდახელოდ შემ-

დგარი კონსილიუმისათვის პირდაპირ განუცხადებია, წუთსაც ველარ იცოცხლებსო. მისი სიტყვა კი ცოტას როდი ნიშნავდა.

გაღიმებია გონს მოსულ დიაჩენკოს. გაოცებულან დასტაჭრები, მერე ფანჯრიდან დაუნახავთ რეიდზე მდგარი გემი, რომელიც დიაჩენკოს ელოდა...

...თავისთავად მოძრაობდნენ თითები, აღარ ემორჩილებოდნენ ქირურგის უიმედო გულს. სენსაცია მომხდარა კუნძულზე, შეცდაო ექიმი ლაზარე თელიაკოსი. ბედნიერება მოიტანა ამ შეცდომამ. სიცოცხლემ სიკვდილზე გაიმარჯვა. ოპერაცია წარმატებით დასრულდა და დიაჩენკოც მალე დაუბრუნდა რეიდზე მდგარ „ადმირალ უშაკოვს". მას შემდეგ სადაც მე ვარ, სიკვდილი ახლოს გავლას ვერ ბედავსო, — ხუმრობს დიაჩენკო.

მზესთან და პირამიდებთან

ეგვიპტე, პორტ-საიდი, ალექსანდრია — სფინქსების ქვეყანა, უცნაური და ლამაზი ნილოსი, სამას კილომეტრამდე რომ გაუწვდენია რძისფერი მკლავები.

სუეცის არხის ჩრდილო კარია პორტ-საიდი. აქ ხომ წინათაც ვყოფილვართ. საბჭოთა გემის მისვლა შეუმჩნეველი არ დარჩენილა. სიხარულით შეგვხვდნენ უცხოელ სტუმრებს.

გვიხარია, რომ მზისა და პირამიდების ქალაქში ვართ.

გასასვლელში წუთით შეგვაჩერეს და საშვი მოგვთხოვეს. როცა საბჭოთა კავშირი ვახსენეთ, უმალ დაგვითმეს გზა. ყველგან პატივისცემას იწვევდა საბჭოთა ქვეყნის ხსენება. ქუჩაში ტაქსები გველოდა; ჩვენი მანქანის მძღოლი პატარა გარაჟის მეპატრონე ხალილ ხასემი შუახანს მიტანებული თავშეკავებული კაცი აღმოჩნდა.

დილაადრიან გავედით ქალაქში. ქუჩებს ავსებდა მემწვანილეთა და მეთევზეთა ხმები. საქონლით დატვირთული მაღაზიები, საგაზეთო ჯიხურები, ადამიანთა მხიარული სახეები. თანდათან ემატებოდა სიცოცხლე ქალაქს.

უკან ვტოვებთ ქალაქის ახმაურებულ ქუჩებს და პატარა ხიდზე გადავდივართ.

ხიდს იქით მორუხო მლაშე ნიადაგზე მიიკლაკნება გზატკე-

ცილი, მარჯვნივ მენზალის ტბაა, ტბაზე თოლიები. მერე თანდათან იცვლება ბუნება, ჩნდებიან ფინიკის პალმები, პატარა ქოხები, ეგვიპტელი გლეხების — ფელახების საცხოვრებელი ბინები, გამოუწვავი აგურისაგან რომ აუშენებიათ. სახლი ორისამი ოთახისაგან შედგება. ერთ ოთახში ღუმელი დგას. ღუმელს მილები არ აქვს, ბოლის გასასვლელად სახურავში პატარა ჭუჭრუტანა დაუტანებიათ. სახლის მეორე ოთახი ფურკამეჩებისათვის არის განკუთვნილი. ცხოველები ყველაზე ძვირფასი ქონებაა აქაური გლეხისათვის, რომლის გარეშე ძნელია ოჯახის გამოკვება.

გზა-გზა შრიალით მოგვყვება სიმინდის ყანები, ჩვენში რომ იცის ზუსტად ისეთი, მწვანეკაბა და მზისფერი თმებით. სიმინდს ბატატისა და კომბოსტოს კვლები მიუყვება ამგზავრებული მეზობელივით. მერე მანდარინისა და ფორთოხლის ბაღებიც ილიმებიან შორიდან. გზის გასწვრივ აკაციის ხეები დაურგავთ და ყველაფერ ამას თავზე დაჰყურებს ფინიკის პალმები.

ჩვენს წინ აქლემების ქარავანი მიიზლაზნება, ბაზარში მიაქვთ ტვირთი. ჭკვიანი ცხოველია აქლემი, ადგილზე მისული უკანა ფეხებზე რჩოქებს, რომ გამყოლმა ტვირთი იოლად ჩამოხსნას. შემდეგ სწორდება და ახალი ბრძანების ლოდინში განზე დგება...

ცოტა ხნის შემდეგ ისმაილის ქუჩებში ვართ. ამ ქალაქს ირხის ზონაში ცენტრალური ადგილი უჭირავს და ტიმსის ტბის დასავლეთ ნაპირზე არის გაშლილი. მისი მოსახლეობა დაახლოებით 50 ათას კაცს შეადგენს. ქალაქში ბევრია ტროპიკული მცენარეები, ყვავილები, მოხდენილი ვილები და ბაღები.

როცა კაიროში წასვლა შემოგვთავაზეს, მე ვიფიქრე, უდაბნოები უნდა გავიაროთ-მეთქი, რადგან წაკითხული მქონდა, ნილოსის ველს აღმოსავლეთით და დასავლეთით უნაყოფო, მზისგან გადამწვარი მიწები ერტყმისო. აქ კი უდაბნოს ნაცვლად ხილით სავსე ბაღები მოგვიძღოდა კაირომდე. ზეთისხილის ხეები, მანგო, ყურძენი, ბანანი... თვალს სიამოვნებდა ლაშაზად მოვლილი ბოსტნების ცქერა. აქ მოჰყავთ თურმე კიტრი და პამიდორი, კომბოსტო და ხახვი...

ბარაქიანი ტენის წყალობით გაუხარია ფლორას. ოდესღაც, აქ მართლაც ყოფილა უდაბნო, მაგრამ მას შემდეგ, რაც სარწყავი არხი გათხარეს, მაცოცხლებელმა ნილოსის წყალმა ყვავილოვან ოაზისად გადააქცია იგი.

მძღოლი მრავალ საინტერესო ამბავს გვიყვება. ირონიით ახსენებს მეფე ფარუკეს, რევოლუციას გაექცაო იტალიაში.

მერე ხასემი რომელიღაც საწარმოს კორპუსზე მიგვითითებს, სადაც შენდება პირველი წყალსაწმენდი სადგური. იგი კეთილ სამსახურს გაუწევს ფელახებს, რადგან ნილოსის წყალი ისე ნიანგებით არაა საშიში, როგორც მიკრობებით. ეს მიკრობები სხვადასხვა დაავადებებს იწვევენ, ხშირად განუკურნებელსაც კი...

სოფლებში ხშირად გვხვდება ორიგინალური, კონუსისებრი, საკმაოდ დიდი ზომის შენობები, ოვალური მწვერვალებითა და წვრილი ჭუჭრუტანებით, თიხისგან გაკეთებულ ამ შენობებში ათასობით ფრინველი ცხოვრობს.

გზატკეცილზე, რომელიც კაიროს ისმაილთან აერთებს, დიდი გამოცოცხლება იგრძნობა. ჩვენს საპირისპიროდ მოჰქრიან სხვადასხვა მარკისა და შეფერილობის ავტომობილები. ბევრი გვხვდება სატვირთო მანქანებიც. ამ მოგუგუნე ტექნიკას შორის საკმაოდ მშვიდად და დამოუკიდებლად მოძრაობენ აქლემები. მათი ამაყი შეხედულება და ზვიადი გარეგნობა ზიზღს გამოხატავს გვერდით ჩამვლელი „ფორდებისა“ და „ფიატებისადმი“.

აქ მიწას ხის ჩვეულებრივი კავით ხნავენ. კავს ხარები მიათრევენ. გვხვდებიან ტრაქტორებიც, მაგრამ იშვიათად. წარმოიდგინეთ ჩვენი გაოცება და სიხარული, როცა გაშლილ მინდორში ჩვენი „ბელორუსი“ დავინახეთ.

ჩადრში გახვეული სილამაზე

კაიროს გარეუბანი, ისევე როგორც კაპიტალისტური ქვეყნების ქალაქების უმრავლესობის გარეუბნები, ჭუჭყიანია და მიუდგომელი. აკლდამებს ჰგვანან ერთმანეთზე მჭიდროდ მი-

კრული თიხატკეპნილი ქოხები. ᲐᲠᲐ აქვთ ეზო და ღობე. ქუ-ჩაა მათი საერთო ეზო. ეზოში ნახევრად შიშველი ბავშვები დარბიან. ეგვიპტელ მამაკაცებს კოჭებამდე აცვიათ ბამბის თეთრი უსაყელო პერანგები, ეს არაბების ნაციონალური ტან-საცმელია, რომელსაც ატარებს ღარიბთა უმრავლესობა, რო-გორც სოფლად, ისე ქალაქად. თავზე ქეჩის პატარა ქუდები ახურავთ, ფეხზე ტყაპუჭი აცვიათ. ბევრი ფეხშიშველაც დადის. ქალები თავიდან ფეხებამდე შავ ჩადრში არიან გახვეულები. ქალს არ შეიძლება შეხედოს მამაკაცმა. ასეთია მუსულმანების წესი და ადათი, ძაძებში ჭკნება ქალის სილამაზე...

სახლებთან სხედან მოხუცები, გამხდრები და სასოწარკვე-თილები. პირში ყალიონი უჭირავთ და თვალებდაჭყეტილები შესცქერიან უცხო ადამიანებს. სახეზე ნაოჭები მომრავლე-ბიათ, მხრებზე განვლილი ცხოვრების სიმძიმე აწევთ.

აქ თითქოს ბუნებასაც დაუშურებია თავისი მადლი. ნილო-სის ნოყიერი ველის, ვეებერთელა ოაზისის მცხოვრებთ მწვა-ნით მხოლოდ ქალაქის იმ რაიონებში შეუძლიათ დატკბნენ, სადაც მდიდრები და უცხოელები ცხოვრობენ.

რკინიგზის გადასასვლელთან მანქანა მარჯვნივ უხვევს. ᲛᲐᲠᲪᲮᲜᲘᲕ არაბული კვარტალები რჩება. გავდივართ განიერ, ხალხმრავალ ქუჩებზე, სადაც დასავლეთისა და აღმოსავლეთის ნაციონალური ტანსაცმლისა და თავსამკაულის სრული ნარე-ვია, აქ მოდაც არის. ამ ევროპულად გამოწყობილ მამაკაცებს შორის აქა-იქ გაიელვებს ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილი ფე-რადი, დალიანდაგებული ხალათები და კაშკაშა შარვლები. მრავალს ახურავს მსუბუქი ქუდები, ვეებერთელა ჩალმები, ბედუინების ორიგინალური თავსაფარები, ქეჩის ქუდები, .სა-ხიანი არახჩინები და წითელფოჩიანი ფესები.

კაირო ეგვიპტის კულტურის უძველესი ცენტრი და ზღაპ-რული ქალაქია. მატიანედ ქცეულა აქაური ნაგებობანი. გან-საკუთრებით თვალში მოგხვდებათ მეჩეთები, ისრისებური კოშკებით, საიდანაც მორწმუნეთ მეუძინის მაგივრად რადიო უხმობს.

თანამედროვე კაიროში ხუთასზე მეტ მეჩეთს ითვლიან, მათგან ბევრი ძვირფასი ისტორიული ძეგლია.

მეჩეთების გვერდით აღმართულია კაიროს უნივერსიტეტი.

აქ ჩვენს მისვლამდე სულ ცოტა ხნის წინ ჩატარდა აზიისა და აფრიკის ქვეყნების კონფერენცია.

კაიროში ბევრი კინოთეატრია. მომაბეზრებელია რეკლამები.

აქაური მოსახლეობა პირდაპირ ქუჩებში ვაჭრობს. გამვლელთა ფეხებთან აწყვია ყოველგვარი წვრილმანი, სუვენირები, ხილი...

რუხი ფერის ლამაზ შენობასთან შევჩერდით. ესაა ცნობილი ეროვნული მუზეუმი, სადაც თავმოყრილია ეგვიპტის უძველესი დროის უძვირფასესი და უიშვიათესი ექსპონატები.

ავდივართ მუზეუმის ვესტიბიულში. მინის განიერი კარებით მაღალჭერიან და მსხვილბოძებიან დარბაზში ვხვდებით. პატარა სტენდზე ინგლისურად აწერია: „ახალი შენაძენი". იქვეა ოქროს ლამაზი დიადემა და მუქ-მწვანე ქვისგან თლილი სკარაბეი. „წმინდა ხოჭოს" წამახულ მკერდზე გარკვეულად ჩანს ძველეგვიპტური იეროგლიფები. იმავე დარბაზში რამზეს II-ის ორი ერთნაირი გამოსახულება დგას, რომლებიც ვარდისფერი გრანიტისაგანაა დამზადებული.

მეორე დარბაზში კირქვისა და ალებასტრის სარკოფაგებს ვეცნობით. მერე ბიუსტებისა და ქანდაკებების სამყარო იწყება. აქ ყველაზე მეტი მაინც რამზეს ქანდაკებებია. მთელი რიგი ოთახები ძველ-ეგვიპტურ პაპირუსებს აქვთ დათმობილი.

რამდენიმე დარბაზი დაუთმიათ ტუტანხამონის დინასტიის მეთვრამეტე ფარაონისათვის.

ყველა ფარაონის აკლდამა და სამარხი, ამა თუ იმ სახით ნაპოვნი და გამოკვლეული, გათხრილი იყო ეგვიპტის სხვადასხვა დამპყრობლის მიერ. მაგრამ აი, 1922 წლის ნოემბერში აღმოჩენილი იქნა ახალგაზრდა ტუტანხამონის ხელშეუხებელი სამარხი. ახალი მეფობის პერიოდში ეგვიპტელებმა თავიანთი მთავრებისათვის საიდუმლო აკლდამები გააკეთეს კლდეებში მიწისქვეშა სასახლეების სახით და საგულდაგულოდ ნიღბავდნენ მას, ტუტანხამონის აკლდამა დიდი არ იყო, მაგრამ გამოირჩეოდა სიმდიდრით. ისტორიკოსებისათვის ფასდაუდებელი განძი იყო ყველაფერი, რაც სამარხში იპოვეს.

მეტად ლამაზია რელიეფური ნახატებითა და ფერადი მოზაიკით მორთული საომარი ეტლები, რომელზეც მეფის ხელი-

სუფლების მფარველი ღმერთის, გორას სახეა გამოსახული, მაგრამ ხელოვნების შედევრი მაინც სარკოფაგია, რომელშიც ოზირისის სახიანი ფარაონის გამოსახულება განისვენებს. სარკოფაგი სუფთა ოქროსაგან არის დამზადებული, იგი გარედან ცისფერი ემალით არის დაფარული. მისი წონა 110 კილოგრამია.

კაირო ორ ნაწილად არის გაყოფილი: ძველი და ახალი. ძველი არაბულ იერს ატარებს, ახალი კი ევროპულს.

აქ განისვენებენ ფარაონები

ჩვენ აბას მეორის განიერ, მოასფალტებულ ხიდზე გავდივართ. ქვემოთ მშვიდად მიედინება მღვრიე ნილოსი, რომლის ველი ათასეული წლის წინათ კაცობრიობის ცივილიზაციის აკვანი გახდა. ლამაზია მდინარის ძველი სანაპირო. ფართოდ გაშლილა ნილოსი კაიროს მიდამოებში, მაგრამ ძველი ეგვიპტელები ნილოსს სიდიდისა და სილამაზისათვის როდი აღმერთებდნენ. ნილოსი წყალს ასმევს და შლამით ანოყიერებს ველებს, რომელთაც არასოდეს უნახავთ წვიმა, არ იციან ხელოვნური სასუქები და მაინც წელიწადში რამდენჯერმე იძლევიან ბარაქიან მოსავალს. ეგვიპტელები სამართლიანად თვლიან ნილოსს თავიანთ მარჩენლად. ქვეყნის მთელი ფართობის სამნახევარი პროცენტი მარტო ის ველებია, რომლებსაც ნილოსი კვებავს.

ლამაზი და განიერი ქუჩით — ალ-ახრამით გიზეს ცნობილი პირამიდებისაკენ მივეშურებით. მძღოლი სიჩქარეს ცვლის, გზა აღმართს მისდევს, ნაგებობანი თავდება, სულ უფრო და უფრო კლებულობს მცენარეულობა, იწყება კირქვიანი პლატო და ჩვენ წინ თითქოს იხურება ცის ნახევარი თაღი. გამოჩნდა ფარაონ ხეოპსის პირამიდა, ნილოსის ველზე განლაგებული მეფეთა სამოცდაათი აკლდამიდან ყველაზე უდიდესი. ცოტა მოშორებით ხეფრენისა და მიკერინის აკლდამებია.

ხეოპსის პირამიდა დაახლოებით 2690 წელს ააგეს ჩვენს წელთაღრიცხვამდე. გამოანგარიშებულია, რომ ეს კოლოსა-

ლური აკლდამა შედგება 2 300.000 კირქვის ბლოკისაგან, რომელთაგან თითოეული საშუალოდ 1,5 ტონას იწონის, მაგრამ მათში ოცდაათ ტონამდე აგურიც არის შერეული. პირამიდის საერთო წონა 5750.000 ტონაა. მისი სიმაღლე 146 მეტრია, საძირკვლიდან კი 230 მეტრი. ამ პირამიდას ოცი წლის განმავლობაში ასი ათასი მონა და ეგვიპტელი გლეხი აშენებდა. საშენ მასალად რუხი ყვითელი ფერის, ადგილობრივი კირქვა ყოფილა გამოყენებული, მოპირკეთებისათვის კი მაღალი ხარისხის თოვლივით თეთრი კირქვა ჩამოუტანიათ მუშებს.

ლოდები რომლისგანაც აკლდამაა აშენებული, პირდაპირ გეომეტრიული ფორმისაა და საგულდაგულოდ არის ერთმანეთთან მისადაგებული.

პირამიდა მონოლითს წარმოადგენს. მის სხეულს რამდენიმე დახრილი დერეფანი კვეთს, არის არხებიც ვენტილაციისათვის, ისინი სამი სადგომისაკენ მიდიან. ესენია მეფისა და დედოფლის მიწისქვეშა ოთახები. ყველა გასასვლელი მოხერხებული საშუალებით არის ამოქოლილი და ახალი თაობისათვის გამოცანას წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, ხეოპსის პირამიდა, ისევე როგორც სხვები, მაინც გაქურდეს.

ვარაუდობენ, რომ იმ მასალისაგან, რომლითაც პირამიდაა აგებული, მთელი ქალაქი აშენდებოდა, რომელშიც თავისუფლად იცხოვრებდა ასოცი ათასი კაცი. ხოლო, თუ თანამედროვე მშენებლები მიზნად დაისახავდნენ ასეთი პირამიდის აშენებას, ამ სამუშაოს შესასრულებლად სამი ათასი მუშა დასჭირდებოდა ათი წლის განმავლობაში.

ხეოპსის პირამიდის გვერდით მისი ოჯახის წევრების სამი პატარა პირამიდაა, ხოლო ცოტა უფრო მოშორებით — სფინქსი, რომელიც კლდეზეა გამოკვეთილი.

კაირო... მზისა და პირამიდების ქალაქი, ჩვენ მისი მცირე ნაწილი დავათვალიერეთ მხოლოდ, მაგრამ სადაც კი მისვლის საშუალება მოგვეცა, ვნახეთ არა მარტო აფრიკული ეგზოტიკა და ათასწლეული გიგანტური აკლდამები, არამედ ისიც, თუ როგორ იზრდება ამ ძველ მიწაზე ახალი ეგვიპტე. ვიგრძენით უბრალო ადამიანების მეგობრული დამოკიდებულება საბჭოთა ხალხისადმი და დიდი ინტერესი ჩვენი ქვეყნისადმი.

სუეცის არხი განაცალკევებს აზიასა და აფრიკას. მწვანე შინდერების ვიწრო ზოლი მიუყვება ორივე ნაპირს. სუეცის არხმა ორმოცი პროცენტით შეამცირა გზა აზიის ნავსადგურამდე.

1859—69 წლებში გაიყვანეს სუეცის არხი, რომლის სიგრძე 161 კილომეტრია.

1956 წლის 26 ივლისს ეგვიპტის მთავრობამ სუეცის არხის რეორგანიზაცია მოახდინა. ამჟამად ეგვიპტელები დიდ მუშაობას ეწევიან არხის გასაღრმავებლად, რათა მასში საოკეანო ტატვირთო გემებმაც თავისუფლად იმოძრაონ.

ხმელთაშუა ზღვის მეწამულ ზღვასთან შეერთების აზრი ჯერ კიდევ უძველეს დროში ფარაონ ნეხაოს დროს დაიბადა, გაიყვანეს კიდეც არხი ნილოსიდან მეწამულ ზღვამდე.

მერე დამასკოს ხალიფას უბრძანებია ამ არხის ამოვსება.

კაპიტალიზმის განვითარებამ კვლავ დააყენა საკითხი უმოკლესი საზღვაო გზის შესახებ ხმელთაშუა ზღვასა და ინდოეთის ოკეანეს შორის. ეგვიპტის ოკუპაციის დროს ნაპოლეონმა ინჟინერ ლაფერს დაავალა სუეცის არხის პროექტის შედგენა, მაგრამ ლაფერმა გაანგარიშებაში დაუშვა შეცდომა და მხოლოდ ნახევარი საუკუნის შემდეგ, საფრანგეთის კონსულმა ეგვიპტეში, ლესეფსმა მიიღო არხის გაყვანის ნებართვა. 1859 წლის 25 აპრილს საძირკველი ჩაეყარა მშენებლობას.

არაერთხელ გვინახავს ფერდინანდ ლესეფსის ვეებერთელა მონუმენტი სუეცის არხის შესასვლელთან. მაგრამ 1956 წელს ბულდოზერი მიადგა ამ შესანიშნავ მონუმენტს და დაანგრია. ნაცვლად ლესეფსისა, იქ ახლა იმ ადამიანთა მონუმენტი დგას, რომლებიც არხის აშენებისას დაიღუპნენ. 11 წელი გრძელდებოდა არხის მშენებლობა. ოთხასი ათასი კაცი ერთდროულად მუშაობდა აუტანელ პირობებში, მშიერნი და ტიტველნი.

1869 წლის 17 ნოემბერს გაიხსნა არხი. არხის გახსნაზე სხვადასხვა ქვეყნის 68 გემმა მოიყარა თავი. საფრანგეთის გემის „ეგლის“ გემბანზე ამაყად იდგა საფრანგეთის დედოფალი

ევგენია, მას გვერდს უმშვენებდა ეგვიპტის მპყრობელი ისმაილი, რომლის დაკვეთით იმ დღესთან დაკავშირებით, განთქმულმა კომპოზიტორმა, ჯუზეპე ვერდიმ დაწერა ოპერა „აიდა". მერე ამ ოპერის დასადგმელად პორტ-საიდში სპეციალური შენობა ააგეს, მოიწვიეს იტალიელი მსახიობები, წარმოდგენას დირიჟორობდა თავად ჯუზეპე ვერდი.

თავდაპირველად სუეცის არხს ფრანგი კაპიტალისტები განაგებდნენ. მაგრამ როცა ინგლისმა ეგვიპტე დაიპყრო, სუეცის არხს ახალი ბატონ-პატრონი მოეძებნა, სანამ ეგვიპტემ მტკიცედ არ განაცხადა თავისი უფლებები და მოწინავე კაცობრიობის მხარდაჭერით არ მოიპოვა ის, რაც მას ისედაც ეკუთვნოდა.

დაიწყო მეწამული ზღვა. მწვანე ზღვას რომ უწოდებენ ეგვიპტელები, მას ერთხანს მკვდარ ზღვასაც კი ეძახოდნენ.

სიცხე თანდათან მატულობს სუეცის არხში. ნაპირიდან მოსულ ქარს თან მოაქვს ცხელი, წითელი სილა, სულშემხუთავი და მცხუნვარე.

ჯიბუტი ემახსოვრება პირატსაც

უკან დარჩა წითელი ზღვა, ბაბ-ელ-მანდების სრუტე. წინ ჯიბუტია, საფრანგეთის კოლონიის სომალის დიდი ქალაქი, ცნობილი ტროპიკული ღვართქაფითა და კოკისპირული წვიმებით.

ნავსადგურს არავითარი მექანიზაცია არ გააჩნია. სუსტი აგებულების სომალელები 80—90 კგ მქონე ტვირთს ხელით ეზიდებიან.

ნავსადგურში მტვირთავებად პატარა ბიჭებიც მუშაობენ. როცა გემს ტვირთავდნენ, ჩვენმა მეზღვაურებმა სთხოვეს ზედამხედველს, ნუ ამუშავებთო იმ შიშველ-ტიტველ პატარებს.— მერედა პურის ჭამა რომ უნდათო? — იყო პასუხი მშრალი და ანგარიშიანი.

ჩვენებმა თავად იკისრეს ბავშვების გასაკეთებელი საქმე. ზედამხედველი გაოცებით შემოგვყურებდა, შავკანიანებთან რატომ კადრულობთო მუშაობას.

ძოქუფრელია ეთიოპიის ზეცა

ბავშვები კი მადლიერების გრძნობით გვიყურებდნენ დიდი და მეტყველი თვალებით. მერე ხმა გაკარდა. საბჭოთა მეზღვაურებმა სომალელ ბავშვებს შრომა შეუმსუბუქესო და მოდიოდნენ ჩვენთან იქაურები, მოდიოდნენ ჯგუფურად და ცალ-ცალკე.

ინტერესს ვეღარ მალავენ ჯიბუტელები. აქ ხომ იშვიათია საბჭოთა გემები. ამიტომ ახალგაზრდებით აივსო ჩვენი გემი. ეს



მხიარულად შეგვხვდნენ ჩიბუტელები.

ახალგაზრდები ისწრაფვიან კოლონიური მონობისაგან გაათავისუფლონ თავისი ქვეყანა. — აფრიკა აფრიკელებს! ასეთია მათი საბრძოლო დევიზი.

როგორც კი დრო ვიშოვეთ, ქალაქში გავედით. გაგვაოცა წყლის ონკანებთან მდგარმა რიგებმა. როგორც გამოირკვა, წყალი აქ თითქმის აუხდენელი ოცნებაა. განთიადიდან შუაღამემდე ონკანებთან ისმის ქალების ჟრიამული.

ქალაქს ორ ნაწილად ყოფს ევროპული და ადგილობრივი ადათ-წესები. ევროპულ ნაწილში თვალს იტაცებს ბაღები, აგარაკები, ფუფუნება, სიმდიდრე, ნებიერება. სავაჭრო ნაწილი ქალაქის ცენტრალურ მოედანთან არის მოთავსებული.

ქალაქს პლაჟი აქვს, იქვეა საგანგებო საცურაო აუზი. პლაჟს პოლიციელები იცავენ, რათა სომალელები თეთრკანიანებთან არ ჩავიდნენ წყალში.

ჩვენ სწორედ იმ დროს მოგვიხდა ბანაობა, როცა თეთრები ისვენებდნენ და წყალში შავკანიანი სომალელები იყვნენ.

მალე გავუშინაურდით პატარებს. მათთან ერთად დიდხანს ვნებივრობდით საამო ტალღებში. პოლიციელი თვალებს არ უჯერებდა.

ამჯერად ჩვენთან ერთად დოკუმენტური ფილმების კინოოპერატორი ხანკოიანიც იყო ჯიბუტში. იგი გზადაგზა იღებდა საინტერესოსა და ღირსსახსოვარს. რაკი ჯიბუტში მთელი დღე გვიწევდა დგომა, ჩვენ გადავწყვიტეთ ქალაქის ხედები გადაგვეღო. ფირზე აღგვებეჭდა ჯიბუტელი ადამიანები.

ცენტრალური ნაწილი კარგად გადავიღეთ. მაგრამ, როცა ოპერატორი ადგილობრივი მოსახლეობის გადასაღებად წავიდა, საშინელი სანახაობის მომსწრე გავხდით. ადგილობრივმა მოსახლეობამ, რომელიც აუტანელ სიღარიბეში ცხოვრობს, ზიზღი შეაგება ამ ფოტოაპარატიან თეთრკანიანს, ერთი ქალი ქვისკენაც კი დაიხარა.

კიდევ კარგი, ჩვენი მეგობრები არ დაიბნენ, მანქანა გააჩერეს და ხელი გაუწოდეს ხანდაზმულ სომალელს. მასპინძელმა უკან წაიღო ხელები, მერე როცა ჩვენებმა რუსები ახსენეს, წამსვე შეიცვალა მათი დამოკიდებულება. ღიმილით შემოგვეგებნენ ირგვლივ.

დიდი სურვილი გვქონდა გვენახა ნამდვილი ჯუნგლები. აი ჩვენი ტაქსი გაუვალ ბარდებში მიიკვლევს გზას. უზარმაზარ ხესთან ვჩერდებით. 25 მეტრი მაინც იქნება ეს ხე. არც სისქე აქვს პატარა. ბაობაბი ჰქვია ამ ხეს. ბაობაბი ნესვის მაგვარ ნაყოფს ისხამს. სომალელები სიამოვნებით მიირთმევენ ამ ხილს, ევროპელები ამრეზით უცქერიან.

მერე გზა მაიმუნებმა გადაგვიჭრეს. ისინი წყვეტდნენ ბაობაბს და ისე გვიყურებდნენ, თითქოს. უკვირდათ, პირველად რომ ვხედავდით ასეთ ვეებერთელა ხეს.

გემზე გვიან დავბრუნდით. ჩვენთან უცხოეთის გემების მეზღვაურები მოვიდნენ, ხან რუსულად გვეკითხებოდნენ, ხან

ინგლისურად. ვპასუხობდით. მერე საერთაშორისო საზღვაო ენაზე გადავედით, „ბიჩ სპიკს“ რომ ეძახიან მეზღვაურები.

...ძლიერი ქარი უბერავდა აფრიკის სანაპიროზე, მერე ეს ქარი ერეკებოდა სილის ღრუბლებს და მტვრის მანტიას ჰფენდა ზღვას.

ჯიბუტი არც პირატს დაავიწყდება. ჩვენი გემის ახლოს საფრანგეთის ხომალდი იდგა. ხომალდის კაპიტანს ხუთი-ექვსი წლის ტანმაღალი ძაღლი — ტარზანი ჰყავდა. პირატი კი სულ ერთი წლისა თუ იქნებოდა, ამიტომ ვარიდებდით არ შეხვედროდა ტარზანს, ვაითუ დაჯაბნოსო. მაგრამ როცა ჩვენს გემზე საფრანგეთის გემის კაპიტანი მოვიდა, ტარზანიც თან მოიყვანა. ძაღლი მტრულად შეხვდა ფავას ალერსიან გამოხედვას, დაიღრინა და კატისაკენ გაიწია. ეს კი საკმაო გახდა, პირატის თავმოყვარეობა შელახულიყო.

ქომაგის დანახვაზე ფავა გაიტრუნა, ტარზანმა დაიღრინა, პირატმა შეჰყეფა, წამიც და ძაღლები ერთ გორგალად გადაიხლართნენ. ბრძოლა მალე დამთავრდა. პირატმა ტარზანი ლაზათიანად დაბუბნა, მერე ღირსეულად წამოდგა და მოწინააღმდეგეს ამაყად გასცილდა.

შერცხვენილი და კუდამოძუებული ტარზანი უხმოდ გაჰყვა თავის პატრონს.

კარგად მახსოვს პირატის პირველი მოსვლა გემზე. ეს ხომ დიდი ხნის წინათ იყო. გემზე, ლენინგრადში პიონერები მეწვიენენ და პატარა სასაცილო ლეკვი გამომიწოდეს.

როცა ძაღლს მივუახლოვდით და ალერსი დავუწყეთ, მან იუცხოვა, დაიღრინა და კბილებიც მაქვსო, შეახსენა მასთან ჩაცუცქულ ბიჭებს. მერე კამათი ატყდა, ზოგი ამბობდა ჯიშიანიაო, ზოგი — ეზოს ძაღლიაო... ასე იყო თუ ისე, ნაჩუქარი ვის გადაუგდია და მეც დავიტოვე. გულდაგულ ვუვლიდი, დღითი დღე იცვლებოდა პირატი, მაღლდებოდა, ამაყი და მშვიდი ხდებოდა, კუპრივით შავი ზურგი და მოყვითალო გულმკერდი ჰქონდა. განსაკუთრებით მე შემეთვისა, ზღვაც შეუყვარდა და თოლიებიც.

ახლა კი, იქ, ჯიბუტში, მართლაც რომ გვასახელა პირატმა...

ჯიბუტი ემახსოვრება პირატსაც. ჯიბუტი ემახსოვრება ტარზანსაც, ოღონდ მწარე იქნება ეს მოგონება.

1839 წელს კოლონიზატორთა უხეშმა ძალამ ადენის საალმე ჭოკზე ინგლისის დროშა ააფრიალა. ამ უხეში ძალის წყალობით არაბეთის ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილში დღესაც ფრიალებს ეს ალამი...

ინგლისის ეს სამხედრო-საზღვაო ბაზა ევროპა-აზიის საზღვაო გზაზე ყველაზე დიდი ნავსადგურია. იგი ყოველწლიურად უცხოეთიდან ჩამოსულ 6000 გემს უწევს მასპინძლობას.

ნავსადგურში შესვლისთანავე გვეწვივნენ ადგილობრივ ხელისუფალთა წარმომადგენლები და სულ მალე მათთან ერთად გადმოვედით ხმელეთზე. ნათელი, უღრუბლო ტროპიკული ცა, მცხუნვარე მზე და არაბეთის უდაბნოებიდან მონაქროლი ცხელი ქარი — აი, ვინ იყო ჩვენი პირველი მასპინძელი აქ, ინგლისის სამხედრო-საზღვაო ციხე-სიმაგრეში.

ადენში ჩვენ ვიხილეთ იმპერიალიზმის ბატონობის მთელი „სიმშვენიერე.“

ძველი ქალაქი ნავსადგურიდან ხუთიოდე კილომეტრით იქნება დაშორებული. მჭიდროდ დასახლებულ ქუჩებში გვერდს ვერ აუვლი ადამიანებს. უმრავლესობა არაბებია.

ქალები?

რამდენიც გინდა, მაგრამ მერე რა, ჩადრში ისეა გახვეული, თვალს ვერ შეავლებ მის ტანს და თვალებს.

სამაგიეროდ, საქვეყნოდაა გამოფენილი ძველი ციხე-სიმაგრის ნანგრევები. არაბეთის წარსული დიდების ნაშთები თავმოყრილია მუზეუმებში. ჩვენ ვნახეთ ეს მუზეუმები, „ფულის მუზეუმები“, სადაც მრავალი დროის ფულია დაცული. აქ უხვად არის ოქრო და ვერცხლი, სპილენძი და ბრინჯაო, ქაღალდის ფული, ფული ინგლისის და ფული საფრანგეთის, საბჭოთა ჩერვონეცები...

ნივთები შეძენილია რამდენიმე თაობის შრომითა და ღვაწლით. მილიონობით დოლარს თავაზობენ ამერიკელი კაპიტალისტები, მაგრამ ვის გაუყიდია საგვარეულო განძი და დიდება. მერე ქანდაკებებიც გვიჩვენეს, ჩუქურთმები და იარაღები, სამხედრო საჭურველი...

დაყუდებულან კლდენი, მაღალნი...

გვანახეს „წყალსადენიც“, რომელსაც მაღლა, კლდეებში ქვის დიდი ორმოები აქვს გაკეთებული, სადაც წვიმის წყალი გროვდება. ყველა ორმოს თავის პატრონი ჰყავს. ქვაზეა ამოკვეთილი მათი გვარები.

ვნახეთ „სოლომონის ჭა.“ ეს მსოფლიოში ყველაზე დიდი და ღრმა ჭა არისო გვითხრეს. მისმა ახლანდელმა პატრონმა ჭაში კენჭი ჩააგდო და ჩვენ დიდხანს ველოდით, სანამ ფსკერამდე ჩააღწევდა იგი.

ასე ესალმებიან არაბები ერთმანეთს.

მოულოდნელად წავაწყდით სკოლასაც. ღია ცის ქვეშ მიწაზე ისხდნენ მოსწავლეები.

ქუჩებში ცოტანი არიან ინგლისელები. როგორც ჰიბრალტარში და სინგაპურში, აქაც თავს არ იწუხებენ მუშაობით, და რაღა უნდათ ქუჩებში დღისით, მზისით. არაბები კი სწორედ დღისით, მზისით სახალხოდ აწერენ სახლებზე „გოუ ჰოუმ" წაეთრიეთო თქვენს ქვეყანაში. მწვანე ცარცით იწერება არაბი ხალხის გულისტკივილი, მწვანე ფერი კი არაბეთის სოლიდარობის ფერია, ერის გამოღვიძების ფერი, ბუნების აყვავების ფერი...

ჩიკო, ჩიტა და პირატი

ერთხელ ზღვაში გასული ნავი დავინახეთ. მაიმუნები უსვამდნენ ნიჩბებს. გადავწყვიტე მეყიდა ერთი მათგანი. გამხდარი. შავი ბიჭი ცოტაოდენი ყოყმანის შემდეგ დაგვთანხმდა. როცა ბიჭს ფული მივუთვალე, ცრემლით აევსო თვალები. მენანება, რომ ერთმანეთს შორდებიან, სულ ერთად ცხოვრობდნენ და ვაითუ დარდზე დაიხოცონო. რაღას ვიზამდი, მეორე მაიმუნიც ვიყიდე.

დავტოვეთ ადენი. ჩიკო და ჩიტა თავს თავისუფლად გრძნობდნენ გემბანზე. ეს იყო, პირატს ვერ ეგუებოდნენ პირველ ხანებში. იყო შემთხვევები, როცა მძინარე ძაღლს თავზე აყრიდნენ ქვანახშირს, ხან მავთულით უღიტინებდნენ. ერთი სიტყვით, თვალი დაადგეს ჩემს ერთგულ ძაღლს. მაგრამ მალე მსუნაგობითაც გაითქვეს სახელი. განსაკუთრებით შემწვარი კატლეტები მოსწონდათ. არც ქურდობაზე იხევდნენ უკან. როცა სადილი მზადდებოდა, ჩიკო მიეპარებოდა მზარეულს, იმანჭებოდა, იგრიხებოდა, მზარეულიც მოთმინებიდან გამოდიოდა და ჯოხით დაედევნებოდა ხოლმე. ამ დროს ჩიტა სამზარეულოში დააბოტებდა და იკარგებოდა შემწვარი კატლეტები. როცა მზარეული მათ ძალიან გაუჯავრდებოდა, ისინი ჩემთან მოდიოდნენ „საჩივლელად". მეც ვითომ ვუჯავრდებოდი მზარეულს, ვყვიროდი ხმამაღლა. უნდა გენახათ, რა სიამოვნებით მიყურებდნენ მაიმუნები.

ერთხელ დაინახეს, ჩვენი მებუფეტე როგორ რეცხავდა ჭურჭელს. მერე დრო იხელთეს და თავადაც მიბაძეს, მაგრამ როცა ერთი თეფში შემთხვევით გაუვარდათ ხელიდან და გატყდა, ეს უფრო მოეწონათ, რიგრიგობით ამსხვრევდნენ თეფშებს და რომ დროზე არ შემოესწროთ, ალბათ სულ მალე უთეფშოდ დარჩებოდა მთელი ეკიპაჟი.

მაიმუნები მართლაც რომ ძალიან მაიმუნობდნენ. ხან რაზ გააფუჭებდნენ, ხან რას. მეზღვაურებს წესად ჰქონდათ, ყოველ ახალ ნავსადგურში ახალი საღებავი გადაესვათ ხომალდის კორპუსისათვის. უბედურება ის იყო, თუ რომელიმეს გემბანზე დარჩებოდა საღებავი, ჩიკო და ჩიტა მაშინვე „მხატვრობას“ იწყებდნენ. მერე მხატვრობაც მობეზრდებოდათ და კაიუტებს მიაშურებდნენ. თვალში კი ყოველთვის ჩემი კაიუტა იყო ამოღებული. გლეჯდნენ ბალიშებს, ღვრიდნენ წყალს, ავსებდნენ აბაზანას...

ერთხელ ზეთშიც კი ამოიზუნზლნენ. ახლოს არ გაიკარეს მეზღვაურები; ბოცმანი გაბრაზებული აეკრა მათ ანძაზე, მაგრამ ჩიტა კისერზე შემოეხვია კაცს, მერე ჩიკომაც არ დააყოვნა და მაიმუნების მაგიერ ბოცმანი გაება მახეში.

ყველაზე მეტად მაინც ჩვენი მებუფეტე იყო მათგან გამწარებული. ერთხელ დილით ყველამ დაინახა გემბანზე მოსეირნე მაიმუნები, ფეხზე თხელი წინდები ჩაეცვათ, თავზე მსუბუქი ქუდები ეხურათ, ყელზე მძივები გაეკეთებინათ... ყვირილით დაედევნა გამწარებული ქალი. მაიმუნები შეშინდნენ და ანძაზე აძვრნენ. ქალის ყვირილმა უფრო გაახელა ისინი და ქუდები წყალში გადაყარეს, წინდები ჰაერში ააფრიალეს.

მეორე დღეს ბიგუდებსაც მიაგნეს, სუნამოც მოიპარეს და პომადაც. შეპუდრული მაიმუნის დანახვაზე ქალმა ველარ მოითმინა და ხარხარი ატეხა. ჩიკო მიხვდა, რომ აპატიეს. მაგრამ ქალს ისე მოაბეზრეს თავი, რომ ბოლო ხანებში სარკეშიც აღარ იხედებოდა.

განსაკუთრებით საზეიმო დღეები მოსწონდათ მაიმუნებს. მახსოვს, ერთხელ ახალი წელი ახლოვდებოდა. ვისთვის არ არის ეს დღე სასიხარულო: ყველა ზეიმობს ახალი წლის მოსვლას, ყველას სურს ბედნიერება შეაგებოს მეკვლეს. ჩვენც გადავწყვიტეთ ნაძვის ხის დადგმა. ეს ზღვაზე ცოტა ძნელი იყო,

მაგრამ სიძნელეს არ შეუშინდნენ ჩვენი ბიჭები. მწვანედ შევღებეთ ჯოხი, თოკებით ტოტებიც გავუკეთეთ, ათასნაირი ხილით მოვრთეთ და როცა ახალი წლის მოსვლამდე ცოტა ხნით ადრე მოვინახულეთ ჩვენი ნაძვისხე, ლამის გულს შემოგვეყარა. სადღა იყო ნაძვისხე. იატაკზე ეყარა ხილი და კამფეტები. „ტოტებდალეწილი“ იდგა ჩვენი ნაძვისხე, საცოდავი და გაძარცვული. დივანზე კი ჩიკო და ჩიტა მრავალნაირ ნუგბარს შეექცეოდნენ. იქვე მიკუნჭულიყო ფავა.

რაღას ვიზამდით. დრო არ იცდიდა. ხელახლა მოვრთეთ ნაძვისხე და მაიმუნები გარეთ გავყარეთ.

მაიმუნებს არც პირველი მაისი გამორჩათ მხედველობიდან. საპირველმაისო დღესასწაულის წინა დღეებში მზარეული შეგვპირდა, ნამცხვარს დაგიცხობთო. ცომიანი კასრი გემბანზე გამოიტანა და დოლბანდი გადააფარა. ამ დროს ფავამ რაღაცა დაუშავა მაიმუნებს, გამოექცა და კასრში ჩახტა. მერე კატას დადევნებულ ჩიკოსა და ჩიტასაც იგივე ბედი ეწიათ. ცომიდან ვეღარ აიხსნეს თავი. ატეხეს ყვირილი, წივილი, კნავილი...

ყვირილზე გულგახეთქილმა მზარეულმა მოირბინა და რაღას ნახავდა, კასრიდან სამი წყვილი თვალი ემუდარებოდა, გვაპატიე და გადაგვარჩინეო.

ცომში ამოგანგლული ოინბაზების დანახვაზე სიცილით იჭაჭებოდნენ ნამცხვრის მომლოდინე ბიჭები. არა, ნამდვილად ნამცხვარზე ტკბილი იყო ეს სიცილი, ამბობდნენ მერე და არ ავიწყდებოდათ ფავას შეშინებული მზერა, ჩიკოსა და ჩიტას უმწეო სახეები...

მეზღვაურს სილა გააწნა თევზმა

შემხვედრი ქარი შემოგვეგება ინდოეთის ოკეანეში. რაც უფრო მივიწევდით წინ, მით უფრო ძლიერდებოდა ქარი და ტალღები ღმუილით ასკდებოდა ჩვენს გემს.

მერე აფრააშლილი გემიც გამოჩნდა. გული გაგვიკეთა ამ გემმა, ასე პატარამ და უსინათლომ, თამამად რომ უმკლავდებოდა ქარიშხლადქცეულ ქარს. რა უნდა გაგვჭირვებოდა ჩვენ,

ფოლადისაგან გაკეთებული ხომალდით, მძლავრი მანქანებით, რადიოთი და სანავიგაციო ხელსაწყოებით აღჭურვილთ.

ქარიშხლის ჩადგომამ ჯვრის თანავარსკვლავედის ხილვა გვარგუნა ბედად. თითქოს ჯვარზეაო განლაგებული ოთხი კაშკაშა ვარსკვლავი. ამ სანახაობის ხილვა ყველა მეზღვაურის ოცნებაა.

ჩვენ უკვე მივეჩვიეთ ტროპიკებს, მზეს. სიცხემ კანი დაუწვა ბიჭებს.

ქარი კვლავ გაძლიერდა. ღელავდა ზღვა და შიშით ცახცახებდნენ ტალღები... ასე იყო იმ ღამესაც, როცა საშინელი ყვირილი მოისმა და მერე ეს ხმა გადაწვდა გაშლილ ოკეანეს. გულგახეთქილი გავვარდი გარეთ. სილა გამაწნაო ვიღაცამ, დაბნეულად თქვა იუნგა ფედია კრუგლოვმა. სიცილი აუტყდა ბოცმანს: თევზმა მიგტყეპაო ალბათ. მართლაც. იქვე, გემბანზე ეგდო ჯერ კიდევ ცოცხალი თევზი, მფრინავი და საოცრად ლამაზი. პატარა ფრთებით რომ დაედევნება ხოლმე მსხვერპლს. მას ორმოცდაათ მეტრამდე შეუძლია ფრენა.

სინგალეზებთან და თამილებთან

უკან მოვიტოვეთ ინდოეთის ოკეანე... ქარი კი მაინც არ გვანებებს თავს.

ვინ იცის, რამდენჯერ გვიოცნებია, შევალთო მშობლიურ ნავსადგურში, მუხლს მოვუყრით მიწას და ხმელეთს არჭსოდეს დავტოვებთო... მაგრამ გადავდივართ თუ არა ნაპირზე, თითქოსდა უკან გვეწევა ძალა უხილავი და უძლიერესი. თავს ვერ ვანებებთ ზღვას, ზღვის სიყვარულს. არის რაღაც ეგზოტიკური ამ სიყვარულში.

ახლაც მოხიბლული გავცქერით მთიანი ცეილონის ყველაზე მაღალ წერტილს, ადამის პიკს. მთები ტროპიკული ტყეებით არის დაფარული. ზღვა მუქია და ზეცა წითელი...

კოლომბო. ცეილონის მთავარი ქალაქი და ნავსადგური.. აქ ნიადაგ იგრძნობა გემთმრავლობა.

საკუთარი, დიდი საზღვაო ფლოტი დღემდე არა აქვს ცეი-

გადაიხადეთ ერთი ან ორი რუპია და თქვენ ნახავთ
ამ უწმინდურების ცეკვას.

ლონს და პრიმიტიულად იყენებენ ზღვათა სიმდიდრეს. აქ ადამისდროინდელი სასროლი ბადეებით თევზაობენ დღესაც.

„ლომების ბინას“ ნიშნავს სანსკრიტულ ენაზე ცეილონი.

საბჭოთა მეზღვაურების მოსვლა ელვასავით მოედო ქალაქს. მოვდიოდით ახალი კოლუმბოს ქუჩებით ინგლისის, ჰოლანდიის, იაპონიის საელჩოების თანამედროვე სტილით ნაგები შენობების გასწვრივ და ჩვენი გამყოლი ბატონი რამშარი გვიყვებოდა იმ სიახლეებზე, რაც უკანასკნელ ხანს ცეილონის ძველ მიწაზე მოხდა.

— სულ რამდენიმე წელია მას შემდეგ, რაც დიპლომატიური ურთიერთობა დამყარდა სსრკ-სა და ცეილონს შორის. ჩვენთვის კი უკვე გასაგებია, რომ თქვენი ქვეყანა ცეილონელი ხალხის დიდი მეგობარია, — ამბობდა ის. — ჩვენ არ გვქონდა ქარხნები კაუჩუკის და სხვა ნედლეულის გადასამუშავებლად,

სინგალეზიელი ქალი კაუჩუკის ხესთან

ძაგრაძ ძალე გვექხება, გვექხება აგრეთვე თევზსაჭერი ფლოტი.

ვნახეთ კეთილმოწყობილი სპორტული პარკი, განთქმული ბოტანიკური ბაღი, სადაც შეკრებილა დედამიწაზე ცნობილი ყველა ხე და ბუჩქი. ბევრია საინტერესო ცეილონის ზოოპარკშიც, სადაც ისეთი ცხოველები, როგორიც სპილო და მაიმუნია, თავისუფლად დასეირნობენ. დღესასწაულებზე გაწვრთნილი ცხოველები საცირკო ნომრებით გამოდიან. ამასთან სპექტაკლის დროს მომთვინიერებლები არ ჩანან.

ცელქი მაიმუნები ბევრ სადავიდარაბოს უჩენენ მნახველებს, განსაკუთრებით ქალებს, რომლებსაც ხელიდან აცლიან ხელჩანთებსა და სამკაულებს. ამ ნივთებს, როგორც წესი, მნახველები უკანვე ღებულობენ ზოოპარკის ახალგაზრდა მოსამსახურეებისაგან, რაც, რასაკვირველია, დაუსაჩუქრებლად არ ჩაივლის ხოლმე.

ბატონმა რამშარმა კაუჩუკის მძაფრი სუნით გაჟღენთილ ვიწრო ქუჩებში შეგვიყვანა. იქ თითქმის ნახევრად შიშვლები, მხოლოდ ნაგიბებში (მამაკაცის ნაციონალური ტანსაცმელი, ქვედაკაბის მსგავსი) გამოწყობილი რგოლებგაყრილი მონები ტვირთავდნენ რაღაცა მძიმეს, გარეგნულად მათი ერთმანეთისაგან გარჩევა ძნელი იყო, ტანსაცმელი, კანის ფერი, სახის ფორმა ძალიან უგავდათ ერთმანეთს.

უზარმაზარი კონტინენტის ამ კარებს დიდხანს ჰყავდა ცუდი პატრონი. ვინ მოთვლის, რამდენი ადამიანის სისხლითაა მორწყული ცეილონის მრავალტანჯული მიწა. შემთხვევით კი არ ეძახიან ადგილობრივი მცხოვრებლები თავიანთ ქვეყნის ისტორიას „ქარუმე"-ს, რაც ნიშნავს „უბედურ ბედს".

როცა ცეილონის ხალხმა მიაღწია დამოუკიდებლობას, იგი სიღარიბის საზღვარზე იყო. მათხოვრების ბრბო დაწანწალებდა ქუჩებში; ნავსადგურში უზარმაზარი ინგლისური გემი იტვირთებოდა განთქმული ცეილონის ჩაით, კაუჩუკით, ანანასითა და ბანანით, ყველაფრით, რითაც მდიდარია ეს წითელმიწა მხარე. მართალია, ცეილონი, ისევე როგორც ინდოეთი, ფორმალურად დამოუკიდებელი გახდა, მაგრამ იმპერიალისტები აქამდე ძლიერ გავლენას ახდენენ სინგალეზიელების ცხოვრებაზე, თამილებსა და სხვა პატარა ტომებზე, რომლებითაც დასახლებულია ეს მადლიანი მიწა.

ᲨᲘᲨᲕᲔᲠᲓᲚᲘᲗᲘ ᲠᲘᲒᲐ

ჩვენს წინ ისევ კოლომბოს ქუჩებია.

აი, ქუჩის განაპირას ინდოელებს მოუკალათებიათ მიწაზე. ხელში ორიგინალური ინსტრუმენტი უჭირავთ, ჰობოის მსგავს ხმას გამოსცემს ეს ინსტრუმენტი. კალათებიდან კი ბრტყელთავა და თვალგადმოკარკლული ორი კობრა გადმოდის და ცეკვას იწყებს.

პარკებში თავისუფლად დადიან ჟირაფები, მაიმუნები და კენგურუები. უცნაური ცხოველია კენგურუ. სახელიც უცნაური შეურქმევიათ. ამბობენ, ევროპელებს, როცა პირველად კენგურუ დაუნახავთ, ეს რა არისო, უკითხავთ. ავსტრალიის მცხოვრებთ ვერ გაუგიათ კითხვა და-მიუგიათ: „კენგუ-რუ" — არ მესმისო თქვენი. ევროპელებს უფიქრიათ ასე თუ ჰქვიაო ცხოველს და დღემდე შემორჩა ცხოველს ეს ორიგინალური სახელი.

კანდი ცეილონის უძველესი ქალაქია, აქ ნებივრობდა სინგალეზთა მეფე. კანდელების ძირითადი მოსახლეობა თამილები და სინგალეზებია, ტანადი და თვალადი ხალხი. განსაკუთრებით სახიერია მათი ქალები, გულზე ვერცხლის ფულებისა და ბრჭყვიალა ქვების მძივები რომ აუსხამთ.

კანდის კინოთეატრში ჩვენ საბჭოთა და ინდური კინოსტუდიების მიერ გადაღებული ფილმი „ათანასე ნიკიტინი" ვნახეთ.

„ვისვა შანტი",

„ვასული ხაიკა კუტუმბაკა",

„სარვე იანახ სუხანო ბხოვანტუ",

(მშვიდობა მთელ ქვეყანაში,

ერთიანი მშვიდობიანი ოჯახი,

დაე, ყველა იყოს ბედნიერი), ასე გვეხმიანებოდნენ თამილი და სინგალეზელი ახალგაზრდები.

ხიფათი მაინც წამოგვეწია

ნავსადგურიდან გასასვლელ კართან საჭირო იყო გემის მარჯვნივ შემობრუნება, რომ გასასვლელში აღმართულ რკინა-ბეტონის ზვირთმჭრელს არ დავჯახებოდით.

— საქე მარჯვნივ!

ბრძანებამ დაიგვიანა. მესაჭემ დროის მოგების მიზნით მთელი ძალ-ღონით შემოატრიალა საჭე. გატყდა კბილანა და უსაჭოდ დარჩენილი გემი საშიშროების წინაშე აღმოჩნდა. ზვირთმჭრელი კი სწრაფად გვიახლოვდებოდა.

— სრული სვლა უკან! ჩაუშვით ორივე ღუზა!

ბრძანება სასწრაფოდ შესრულდა. გემი შეტორტმანდა, სვლას უკლო და ზვირთმჭრელამდე რამდენიმე მეტრის მანძილზე შეჩერდა.

რომ ვერ გაეძლო ჯაჭვებს...

მაგრამ გაუძლეს, გადავრჩით.

უმალ გაიგეს ჩვენი გაჭირვება. საბუქსირო გემმა „ჰერკულესმა“ სულ ახლოს ჩაგვიარა, მაგრამ მისი დახმარება არ დაგვჭირვებია. მალე შეკეთდა ყველაფერი და მშვიდად განვაგრძეთ გზა.

ის-ის იყო, ბენგალიის ყურეში შევედით, რომ „ხანძარიაო“, შფოთმა მოიცვა მთელი გემბანი.

ბოლი თვალებს სწვავს, ცეცხლი წაკიდებია ნახშირს, გემი ბოლში ეხვევა. მტვირთავებად ვიქეცით ყველა. სამუშაო რთული იყო, ცეცხლის მოლურჯო ენები დამსკდარ ნახშირს ლოკავდა, მერე წყლის სტიქიონი შეეჯახა ცეცხლის სტიქიონს. გავიმარჯვეთ ცეცხლზეც. დაუდევრობა ძვირად დაგვიჯდა. 15 ტონა ნახშირი გადმოვზიდეთ საქვაბე განყოფილებიდან, 25 ტონამდე ქვანახშირი ავზიდეთ მაღლა.

გაუვალი ჯუნგლებით არის დაფარული ბენგალია. ზოგიერთი ხის სიმაღლე სამოც მეტრს აღემატება. აქ მრავალია ქაფურისა და პილპილის ხეები, ლიანებით გადახლართული ხეები, მაღალი ბალახი, გაუვალი ბარდები და... ვეფხვები, ლეოპარდები, სპილოები, მაიმუნები, მარტორქები, - გველები, ორმეტრიანი და ოთხმეტრიანი კობრები და მახრჩობელები.

სწორედ ამ ბენგალიაში გვიდევს გზა, კალკუტაში უნდა ჩავუშვათ ჩვენი ხომალდის ღუზა. ჯუნგლები, პალმის ჭალებით დაფარული ნაპირები, ჩაისა და ბრინჯის პლანტაციები. სამშობლო ცნობილი დრამატურგის, პოეტისა და კომპოზიტორის, მხატვრისა და პედაგოგის რაბინდრანათ თაგორის, „ინდოეთის სინდისს“ რომ ეძახიან.

თაგორი! მერე და რა ლამაზია თაგორის სამშობლო. ზეცა—

ზურმუხტი, მიწა — ხავერდი. კეთილი და ცნობისმოყვარენი არიან თაგორის შთამომავლები. თეთრი ტანსაცმელი აცვიათ, კანი შავი აქვთ. სიხარულით გვეგებებიან საბჭოთა ადამიანებს.

კალკუტას ცენტრალურ ქუჩაზე აღმართულია მარმარილოთი მოპირკეთებული ლამაზი შენობა—ძეგლი. იგი ინგლისელებმა დაუდგეს დედოფალ ვიქტორიას, რომელიც ყოველნაირად უწყობდა ხელს ვაჭრებს, გაეძარცვათ ინდოეთი. ახლა შენობაში მუზეუმია, სადაც გამოფენილია ინდური იარაღი, ტანსაცმელი, რელიგიური კულტურის ნივთები. მუზეუმის ერთ კუთხეში ჰკიდია ვ. ვერეშჩაგინის ტილო, რომელზეც სპილოზე ამხედრებული რაჯა არის გამოსახული.

ქალაქში თავისუფლად დადიან ძროხები. თუ ძროხა ქუჩაზე გადადის, მოძრაობა წყდება. ძროხა თუ დუქანთან მივიდა და ხილის ჭამა დაიწყო, ხელს ვერ აუქნევ. ძროხა აქ წმინდა ცხოველია, როგორც მაიმუნი. მაიმუნები კი ინდოეთში ბევრია. ისინი ანადგურებენ ნათესებს.

ეზრა-სტრიდზე დგას თეატრის შესანიშნავი შენობა; პირველი ბენგალიური თეატრი, რომელიც 1795 წელს დააარსა გერასიმე ლებედევმა.

ვტოვებდით ინდოეთს და ვიგონებდით, რომ თაგორმა პირველმა გასდო ხიდი ინდოეთსა და საბჭოთა კავშირს შორის, და გვჯერა, რომ ეს ხიდი მუდმივია და შეუცვლელი.

„მე მავიწყდება, მავიწყდება რომ არ მაქვს ფრთები". — ვიმეორებ თაგორის სიტყვებს, გემი კი ისევ მიაპობს ტალღებს.

მერე ღამდება. შავად ლივლივებს ზღვის ზედაპირი. მთვარე ამოდის და სპილოს ძვლისფერი ედება გემსაც და წყალსაც. გავიარეთ მერგუის არქიპელაგი, ერთადერთი მხარე, სადაც ადამიანი სამოცი წლისა იბადება. დიახ, სამოცი წლისა, მერე თანდათან აკლდება და ერთი წლის ასაკამდე აღწევს. თუ ერთ წელს გადააღწია, ათი წლისა ხდება, მაგრამ ეს იშვიათია. მერგუელები ერთ წლამდე ვერ აღწევენ.

გემთან ვნახეთ შვიდმეტრიანი მკვდარი ნიანგი. თურმე მალაელები ხმელეთზე გამოსულ ნიანგზე ნადირობენ. როცა ნიანგი მზეზე თბება, მონადირენი გზაზე ლითონის წვეტიან ნივთებს სდებენ, ნიანგს მუცელი ეფატრება და იღუპება.

სრუტეში ბევრია შხამიანი გველი. ამიტომ, როცა გემი რეიდზე დგება, აუცილებელია ჩაიკეტოს ყველა ხვრელი. ზევით კი სხვადასხვა სახის პეპელა დაფრინავს. ამბობენ რვაასამდეაო მათი ჯიში. სრუტის ორივე მხარეს ჯოგად დახტიან ჰიბინები — ადამიანის მსგავსი მაიმუნები.

ჯაკარტას ქუჩებში

შეშფოთებამ მოიცვა ეკიპაჟი. ძრავის ერთი ნაწილი აფეთქდა. ცხელმა ჰაერმა დააზიანა გემის კედელი, ცხელმა ჰაერმა დააშავა მექანიკოსი და ორი მოტორისტი.

დაუყოვნებლივ შევატყობინეთ მოსკოვს, ვღებულობდით პროფესორების კონსულტაციებს, ჩვენი ექიმიც დიდ ჯაფაში იყო, ავადმყოფების მდგომარეობა დღითი დღე უარესდებოდა.

შავი ზღვის ფლოტის გემი „მეტალურგი კურაკო“ ახლოს მოვიდა ჩვენს გემთან და ექიმი გამოგვიგზავნა, ექიმმა წამლებიც მოიტანა და დაიმედებულებმა გავწიეთ ჯაკარტისაკენ.

ნავსადგურში უკვე გველოდნენ. თორმეტი დღე-ღამე ვიდექით რეიდზე და ველოდებოდით მეგობრების გამოჯანმრთელებას. ინდონეზიელები გაოცებულნი იყვნენ, აქ ასეთი რამ არასოდეს გვახსოვსო, ავად გახდება ვინმე და სტოვებენ სხვა ქვეყნის გემები, საკმაოდ ფულსაც კი არ უტოვებენო. ჩვენ კი ყოველდღე დავდიოდით საავადმყოფოში, მათი მომჯობინება გვაიმედებდა, ვეცნობოდით ინდონეზიას.

ჯაკარტა დიდი და ლამაზი ქალაქია, აქ 1941 წელს 681.000 კაცი ცხოვრობდა. 1954 წელს 2,5 მილიონამდე გაიზარდა მცხოვრებთა რიცხვი. ჯაკარტა მთავარი სატრანსპორტო კვანძიცაა. ლამაზი გზატკეცილები, შორს მიმავალი რკინიგზები, ნავსადგურები, საჰაერო გზები...

ჯაკარტა პოლიტიკური ცენტრია. აქ არის პარლამენტი, პრეზიდენტის რეზიდენცია, უმაღლესი სასამართლო და სხვა სახელმწიფო დაწესებულებანი. ქალაქში ბევრი სკოლაა, უნივერსიტეტი — სამედიცინო, იურიდიული და სხვა ფაკულტეტებით. ბიბლიოთეკები და სამკითხველოები. მუდამ გადატვირთულია ხალხით. ქალაქი ორ ნაწილად იყოფა: ქვემო ქალაქში

ბევრია არხები, რომელსაც საბანაოდაც იყენებენ და სამრეცხაოდაც. ქალაქის ზემო ნაწილი უფრო ამაღლებულია — მწვანეშია ჩაფლული. მრავლადაა ბაღები და ვილები, განიერი ქუჩები; თვალს იტაცებს ბოტანიკური ბაღი.

ჯაკარტას შემდეგ ჩვენ ბანდუნგში წავედით, იგი დასავლეთ იავას პროვინციული, საკურორტო ქალაქია. საღამომდე მშვიდი გვეჩვენებოდა ქალაქი, საღამოთი კი ქუჩები აივსო, გაბრწყინდა ნაირფრად. სარფიანი ეაჭრობა გამართეს მაღაზიებმა, ქუჩები აავსო გაზეთებისა და პაპიროსების გამყიდველი ბიჭების ხმაურმა. პირდაპირ ტროტუარებზე აწყვია ნაირ-ნაირი საქონელი. აქ შეიძლება ყველაფრის ყიდვა.

მხიარული და ხმაურიანია ჯალან ბრაგის ქუჩა, მდიდარი მაღაზიებით, რესტორნებით, თეატრებით. დავესწარით ძველ ინდურ ეპოსს „რამაიანას", მაგრამ სულ სხვა იყო სახალხო ცეკვები. თვალს ვერ ვაცილებდით სცენას, სადაც ასე ბრწყინავდა ხელოვნება.

კარგია მსხვერპლად შეწირვის ცეკვა, საინტერესოა ავი სულის ცეკვა... ვინ მოთვლის იმ ცეკვებს, რომლებშიც 200-მდე კაცი მონაწილეობს. დიდ ზეიმებზე 2000-მდე კაცი ასრულებსო ამ ცეკვებს, — გვითხრეს მასპინძლებმა.

ინდონეზიაში მრავლად არიან ჭედვის ოსტატები, ქსოვილების შესანიშნავად მომხატველები, ფერების ჰარმონიული შეხამება იტაცებს მნახველის თვალს.

ჯაკარტაში ბევრია ვერცხლეულის ფაბრიკა, სადაც ამზადებენ საყვავილეებსა და თასებს, სათუთუნეებსა და საფერფლეებს, უცნაური ორნამენტებით მოხატულ სხვადასხვა სუვენირებს.

ტექნიკა ძირითადად აქ ხელია, მუშის საიმედო, ერთგული ხელი, იაფი და იოლად საშოვნი, და ისიც, ფაქიზი. შრომის საზღაურად 25-30 რუპიას ღებულობს დღეში. ამ თანხით ერთი დღის სამყოფ ბრინჯს თუ იყიდი.

ჯაკარტა კულტურული ცენტრია. აქ არის სახელმწიფო უნივერსიტეტი „ჰადტა მადა", ხელოვნების აკადემია, იავური კულტურის მუზეუმი „სანაი ბუია", თეატრები, მუზეუმები.

ჯაკარტაში ყოფნისას შემოგვთავაზეს, გვენახა ის ადგილები, სადაც ინდონეზიის უძველესი კულტურის შესანიშნავი ძეგ-

ლები ინახება. რა ვნახეთ ბორობუდურში? ძნელია ამისი გადმოცემა.

ბორობუდური ტაძარია, იმდენი კიბე აქვს, ვერ დავითვალეთ. სახელი დანიშნულების მიხედვით მიუღია „ძოდას მკვიდრი". ტაძრის მშენებლობა მერვე საუკუნეში დაწყებულა.

პრანბანანში ნაგებობათა მთელი ანსამბლი დავათვალიერეთ ლარა ჯირერანგის სახელწოდებით. ნაგებობათა დიდი ნაწილი მიწისძვრებს დაუნგრევია 1880 წელს.

მთელი ანსამბლი ასორმოცდაექვსი აკლდამისაგან შედგება, რომელთა შორის მთავარი ფიგურა შივას ტაძარია. შივას გვერდით კიდევ ორი ტაძარია: ძრახმია და ვიშნა. მათ გვერდს უმშვენებს წმინდა ცხოველების სახელზე აგებული ტაძრები.

ინდონეზიელთა უმრავლესობა სოფლებში ცხოვრობს. სახლის შესასვლელში დიდი ოთახია, ვერანდა. აქ ღებულობენ სტუმრებს იაველები. აქ ატარებენ თავისუფალ დროს. შემდეგ საძინებელი ოთახია, რომელსაც საჭმლის მოსამზადებლადაც იყენებენ. მდიდრული ოჯახების ბინები სამი ოთახისაგან შედგება.

ავეჯი უბრალო და სადაა — საწოლი, ტანსაცმლის სკივრი, შუა ცეცხლი, რომლის კვამლი ოთახში იფანტება. საჭმლის მომზადება დროს არ ითხოვს. მათი ძირითადი საკვები ხილი და ბოსტნეულია. საყვარელი საჭმელი ბრინჯია. მიირთმევენ შემწვარ ბატს, დაფხვნილ ნამცხვარსა და თევზსაც.

შეხვედრა ნეპტუნთან

ვუახლოვდებით ეკვატორს. ეკვატორზე გადასვლა ყოველთვის ტრადიციულ დღესასწაულთან არის დაკავშირებული. ღელავენ ახალბედები, მათ ხომ ახლა უნდა მიიღონ „უმაღლესი დიპლომი", რომელსაც ნეპტუნი აწერს ხელს.

ბევრს ეკვატორი ხილული ხაზი ჰგონია. თითქოს ეკვატორს იქით სხვა წყალია და სხვა სამყარო. ასევე ფიქრობს ჩვენი მეგზაფეტე ლენა. რა იქნება ეკვატორი დამანახოთო. სერგეი ბორუნოვი ცდილობს აუხსნას, რომ ეს მხოლოდ გეოგრაფიული ცნებაა, წყალი კი ყველგან ერთნაირია. ლენა უკმაყოფილოა.

ასეთი მშრალი პასუხით. შენც მეცნიერი გამოხვედიო, — ირონიით ეკამათება ბორუნოვს...

და თითქოს რაღაც სასწაულს ელოდებიანო, არნახულმა აღტაცებამ მოიცვა გემის ეკიპაჟი. ტკბილია და სასიამოვნო ლოდინის გრძნობა, როცა იცი, რომ უნდა შეხვდე რაღაც ახალს. ჩვენი ეკიპაჟიც ელოდა. იყო რაღაც წარმართული ამ ლოდინში...

ნელა ირწევა ლურჯი ტალღები, გემბანზე მყოფთ თვალში ფიწლის წვერი ხვდებათ, რომელიც ზღვიდან თანდათან იწევს მაღლა. მომნუსხველად შეცქერიან ზღვიდან ამოშვერილ ფიწლის წამახულ წვერს, ასე მისტიკურსა და საინტერესოს. მერე დაძარღვული და ღონიერი ხელი იწევს მაღლა. მოძალებული ცნობისმოყვარეობა ჩანს ახალბედების მზერაში და აჰა, ისიც, ზღვიდან ამოსული ღმერთი, მეუფე ზღვათა და ოკეანეთა, თეთრი წვერითა და ნათელი შარავანდედით, ბრგე და ახოვანი: ყოვლისშემძლე და თავისთავში ღარწმუნებული ღმერთი — ნეპტუნი. თითქოს და ზღვას განუდგნენო; წყლიდან ზედიზედ ამოდიან ეშმაკები და ეშმაკუნები. ღმერთს რომ ეკინკლავებიან და უმისოდაც ვერ გაუძლიათ. მკერდზე ნაირგვარი ქვები ჰკიდიათ, მზის სხივებზე ზედმეტი სიშავისაგან ლურჯად უელავთ კანი. აქვთ თეთრი კბილები, ელვარე თვლები. ეშმაკი გულს არ გაგიხსნის, რისი ეშმაკია, გულახდილობა რომ სჩვეოდეს. გემბანზე მყოფნი თავდახრით ესალმებიან ღმერთს, უძლეველს და ყოვლისშემძლეს. თვით კაპიტანიც, რომლის წინაშე ქედს იხრის ყველა, ბევრის მცოდნე და მრავლის მნახველი, მოკრძალებული შესცქერის ნეპტუნს, ერთადერთ არსებას, ვისაც შეუძლია დაიმორჩილოს კაცი, ზღვისა და ოკეანეების მბრძანებელიც კი.

ნელი ნაბიჯებით მიუყვება გემბანს ნეპტუნი, მაღლა აღმართავს ფიწალს, ბრგე ჩანს და ახოვანი. ჯერ თავადაც არ იცის, რისხვად მოევლინება ეკიპაჟს, თუ ლოცვა-კურთხევას გაატანს შორეულ რეისში.

— ვინა ხართ, სადაური?

— კეთილი ადამიანები.

— საიდან მოდიხართ?

ზღვიდან ამოდის ყოვლისშემძლე და ყოვლისმპყრობელი ნეპტუნი...

— მშვიდობის ქვეყნიდან.

— რა მოგაქვთ?

— სიკეთე.

ზედმეტია სხვა შეკითხვები. კეთილ ადამიანებს არავითარი ცოდო არ აწევთ მხრებზე და ცქმუტავენ ეშმაკუნები. ერთ-ერთ მათგანს ხელში მოზრდილი არზა უჭირავს, ეტყობა, ღმერთის თანაშემწეა (ღმერთსაც ჰყოლია რეფერენტი), ჰოდა, სწყინს ეშმაკს, სადაც სიკეთეა, იქ ყველაფერი რიგზეაო, დასაწერი და გასაკილავი არაფერი არ იქნებაო. არც ექიმია დაკავებული, საექიმო, აბა, რა უნდა სჭირდეს მამაც ეკიპაჟს.

და ღმერთი მაღლა სწევს ფიწალს, ეს უკვე ზავის ნიშანია. სახელდახელოდ იჩოქებს ცალ მუხლზე მდივანი და გრაგნილს ხსნის.

გემბანზე გაისმის ღმერთ ნეპტუნის ბრძანება, რომ ეკიპაჟის წევრებს ნება ეძლევათ დანიშნულებისამებრ განაგრძონ გზა. ოღონდ:

იყვნენ კეთილგონიერნი,
არ დაუშვან ზღვათა მეუფის სამფლობელოში დანაშაული,
არ შეეჯახონ კუნძულს,
არ გახდნენ მსხვერპლი ზღვის ცხოველებისა,
არ შეუშინდნენ ქარსა და ავდარს...

გაშლილ სუფრასთან იწვევენ ნეპტუნს, სიტყვა კაპიტანს ეკუთვნის, რა ქნას, უთმობს ღმერთი ნეპტუნი.

მერე იწყება ტრადიციული ცერემონიალი. საქმე ექიმსაც გაუჩნდა და დალაქსაც. მსხვერპლად შესაწირი ლამაზი უნდა იყოსო, ჯანმრთელი უნდა იყოსო... უხარიათ ეშმაკუნებს, სათავისო საქმე გაუჩნდათ. მსხვერპლი უხმაუროდ ეშვება აუზში, მას მეორე მიჰყვება, მერე მესამე... ლენა თვალებგაფართოებული შესცქერის სანახაობას, უკან მოხედვასაც ვერ ასწრებს, ისე ისვრიან ეს თეთრკბილა ეშმაკუნები ქალსაც აუზში: მერე თავიდან ფეხებამდე გაწუწული ამოჰყავთ იგი, სახეზე სველი თმები მიჰკვრია, ტანზე კაბა და ფიცს დებს — არასდროს ვიკითხავო ეკვატორზე რაიმეს.

იცინიან ეშმაკუნები, თეთრად უელავთ თეთრი კბილები... შავ ხელებს საშველად უწვდიან თავიანთ მსხვერპლს და იწყება ზეიმი. არნახული და ღირსსახსოვარი. ველური ცეკვა იპყრობს მთელ გემბანს. ცეკვით ლოცავენ გემს და ეკიპაჟს...

მაგნოლიები ხარობენ, ადამიანები კი იტანჯებიან

აზიის კონტინენტის უკიდურეს სამხრეთში გაშენებულია მსოფლიოს ერთ-ერთი ულამაზესი ნავსადგური. ესაა სინგაპური, ლომების ქალაქს რომ ეძახიან და „სამხრეთის ზღვების მარგალიტადაც“ რომ იცნობენ მეზღვაურები. კუნძულ სინგაპურს მალაის ნახევარკუნძულიდან ვიწრო სრუტე ჰყოფს. სინგაპური აღმოსავლეთში დასავლეთის, ხოლო დასავლეთში, აღმოსავლეთის ჭიშკრის სახელწოდებით არის ცნობილი. მისი

ჩრდილო ნაპირები მარადმწვანე მცენარეებითაა დაფარული. აქ კარგად ხარობს მანგო, კაუჩუკი, ანანასი, ქოქოსი.

ქალაქის შესახებ წერილობითი ცნობები მეთორმეტე საუკუნიდან მოიპოვება. ძველად ტუმასიკად იცნობდნენ ქალაქს, ტუმასიკი მნიშვნელოვანი სავაჭრო ცენტრი იყო სამხრეთ-აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის. ინგლისური კოლონიალიზმი მძიმე უღლად აწვა სინგაპურის მოსახლეობას.

1959 წლიდან სინგაპური დამოუკიდებელ რესპუბლიკად ითვლება. აქვს საკუთარი კანონმდებლობა და მმართველობა. მაგრამ სინგაპურელ ხალხს ჯერ კიდევ არ მიუღია ნამდვილი თავისუფლება, მის ბედს განაგებენ ინგლისელი კოლონიზატორები, აბამენ სხვადასხვა ქსელებს აგრესიულ ბლოკებსა და ფედერაციებში, რომ გააგრძელონ კოლონიური ბატონობა დედამიწის ამ ნაწილში.

ამჟამად სინგაპურში ცხოვრობს მილიონ შვიდასი ათასი კაცი, აქ ცხოვრობენ აზიელები, ევროპელები. სინგაპური მსოფლიოს ყველაზე ინტერნაციონალურ ქალაქად ითვლება. მოსახლეობის ძირითად ნაწილს შეადგენენ მალაელები, ჩინელები და ინდოელები.

სინგაპური გაშენებულია მდინარე სინგაპურის ორივე მხარეზე. ზღვის სანაპიროზე განლაგებულია ლამაზი შენობები. მათგან უდიდესია ოდშენ ბილდინგი, რომელსაც მაღალი კოშკები აქვს — იუნონ ტაუერი და ბენკ ტაუერი. აქვეა ჩან კაიშის და ლი სინ მანის ბანკების შენობები.

ცოტა ჩრდილოეთით დგას ვიქტორია მემორიალ პოლის გუმბათიანი შენობა. კოშკურაზე საათია. ღამით საათი ინთება და მისი ციფერბლატი შორიდან ჩანს.

ასობით გემი — დაწყებული პატარა ნავიდან, დამთავრებული საოკეანო გიგანტური ლაინერით, დგას სინგაპურის რეიდზე. ნელი სიო არხევს სახელმწიფო ალმებს, რომლებიც აქ თითქმის ყველა ქვეყნისა შეგიძლიათ ნახოთ. დგანან მტვირთავთა გრძელი რიგები, რომელთა შორისაც, ჩვენს გასაოცრად, ქალებიც არიან. ფაცა-ფუცით ალაგებენ ტრიუმში ჩაით, შაქრით, ბრინჯით, აბრეშუმით და ბამბით სავსე ყუთებს.

სხვა გემებიდან იტვირთება ნახშირი, ნავთი, სპირტიანი სასმელები, ტყვია-წამლით სავსე ყუთები...



სინგაპურში არიან რიქშები.

ზღაპრულ მხარედ მოგეჩვენებათ სინგაპური გემის ქიმიდან ბინოკლში. მაგრამ ჩვენ გვქონდა ბედნიერება, უშოგრიტოდაც გვენახა იგი. სინგაპურის დასახლება და ქალაქის გეგმა ატარებს მკვეთრად გამოხატულ კოლონიალურ ხასიათს: მშვენიერი, ყოფილი ევროპული სექცია და ულმერთოდ განადგურებული ჩინელთა რაიონი, მალაელთა და ინდოელთა კვარტალები. სინგაპურის ცენტრში აღმართულია მონუმენტალური ადმინისტრაციული ნაგებობანი, რომლებიც ძალიან ჰგვანან ინგლისური ქალაქების შენობებს. აქ ბევრია ბანკები, სხვადასხვა კანტორები, სასტუმროები და კინოთეატრები. ქუჩები ქალაქის ამ ნაწილში გრძელი და ფართოა, დღისით ხმაურიანი და მხიარული.

უკანასკნელ მოდერნულ მარკის ავტომანქანათა გვერდით დადიან პატარა ველორიქშები.

ცენტრში მრავლად არის მაღაზიები, რომლებიც ყველა შესაძლებელი საქონლით ვაჭრობენ, მაღაზიებთან და გზაჯვარედინებზე ჰყიდიან გამაგრილებელ წყლებს, რომლებსაც აქვე ამზადებენ ფორთოხლისა და ლიმონისაგან.

მაგრამ არ შეიძლება, არ შეამჩნიოთ, რომ ქალაქში, რომლის მოსახლეობამ გადააჭარბა მილიონს, ძალზე მცირეა კულტურული დაწესებულებანი, რაც მხოლოდ მუზეუმითა და კინოთეატრებით ამოიწურება. სინგაპურში არ არის არც ერთი მუდმივმოქმედი თეატრი, კინოთეატრებში უჩვენებენ ამერიკულ სურათებს.

უკიდურესი სიღატაკით გამოირჩევა კვარტალი, რომელშიც ქალაქელი ღარიბები ცხოვრობენ. არ არის წყალგაყვანილობა, კანალიზაცია, თავშესაფრად მიწურები და ფიცრულები აქვთ.

ხშირად გეცემა თვალში: სიმდიდრე, ფუფუნება, დიდებულება და გვერდით სიღატაკე, დაბეჩავება, უსამართლობა. ერთნი ცხოვრობენ მშვენიერ აგარაკებზე და ლიმუზინებით დადიან, მეორენი კი პირდაპირ ქვაფენილზე ან წყალში, კანჯოზე.

ერთი შეხედვით ქალაქის ცხოვრება მომართული მექანიზმი გეგონება, ქუჩებში მებაღეები უვლიან ტროპიკულ ნარგავებს, დამტარებლები გთავაზობენ თავიანთ საქონელს, ყოველ ნაბიჯზე ხელში გჩრიან სავიზიტო ბარათებს, მაღაზიებიდან ისმის ხმაური.

გაზეთის გამყიდველმა ათი წლის ბიჭმა ხელში მოგვაჩეჩა გაზეთი „სანდი პიქტორნალი“, მიიღო თავისი ხუთი პენსი და ყვირილით — „ბავშვების გაყიდვა“, „ბავშვების გაყიდვა“ — სახლების უკან გაუჩინარდა.

გაზეთის პირველ გვერდზე მოთავსებული იყო გოგონა — მეი ლინგის, სურათი, იგი ხუთ დოლარად გაყიდეს. სანამ დაიბადებოდა იგი დედამ მდიდარ ინგლისელ ქალს მიჰყიდა. ოჯახში სადაც შიმშილს დაესადგურებინა, შეუძლებელი იქნებოდა კიდევ ერთი სულის მიმატება: ამიტომ, პატარა მეი ლინგი დაბადებისთანავე ან უკაცრიელ ნაპირზე უნდა დაეტოვებინათ, ან გაეყიდათ.

სინგაპურის ოფიციალური ცნობების მიხედვით ყოველ წელიწადს ხუთი ათასზე მეტი გოგონა იყიდება ამ მიზეზით.

მიკროფონიდან ხრინწიანმა ხმამ ამცნო ქუჩაში მყოფთ: „ნახეთ მალაის ტარზანი!“ „ნახეთ გველთან ბრძოლა!“ — ნახეთ მეკა, ჯუნგლების ქალიშვილი“, „ნახეთ მახრჩობელა გველის ტრფიალი ქალიშვილთან“.

გადავწყვიტეთ, აუცილებლად დავსწრებოდით ამ სანახაობას. ვიყიდეთ ბილეთები და ფართო დარბაზში შევედით. იქ იდგა უზარმაზარი გალია, გალიაში ჭრელი ლეიბი იდო, ლეიბზე ათმეტრიანი გველი იწვა. გალიის კართან, ჩვეულებრივ ტახტზე, წამოწოლილი იყო ჩვიდმეტი წლის ქალიშვილი, რომელიც თოთხმეტი წელია მნახველთა განცვიფრებას იწვევს.

სამი წლის იყო გოგონა, როცა მშობლებმა გამდიდრების მანიით შეპყრობილ კაცს მიჰყიდეს. კაცს გველი ჰყავდა. იგი ღარიბი მალაელებისაგან ჩალის ფასად იძენდა პატარა ბავშვებს და გველთან გალიაში უშვებდა. ფიქრობდა, იქნება გველმა კაცთმოყვარეობა გამოიჩინოს და შემოსავალიც ბლომად მექნესო. მაგრამ გველი არ იჩენდა სიბრალულს და ვინ იცის, რამდენი ბავშვის სიცოცხლე შეიწირა... ბოლოს გამოჩნდა პატარა მეკა და ბოლო მოეღო ბავშვების ხოცვას...

აი, როგორ მოხდა ეს: გველს შია, ამ დროს იგი საშინელია, მაღლა სწევს თავს, ბრტყელსა და უშნოს, თვალებს საზარლად აბრიალებს, საჭმელს ელის. გალიაში სამი წლის მალაელი მეკა შეუშვეს. მან არ იცის, რა არის შიში. წინ გაიწოდა ხელები და გაბედულად გაემართა ქვეწარმავლისაკენ. მაგრამ უცებ ფეხი გამოსდო მის კუდს, წაიქცა და ტირილი დაიწყო. რამდენჯერმე სცადა პატარა ხელებით დაყრდნობოდა გველის სლიპ ტანს და ამდგარიყო, მაგრამ ხელები უცურდებოდა და ისევ ეცემოდა.

გველი განცვიფრებული შეჰყურებდა პატარას. ამ დროს პატრონმა საჭმელი შეუგდო გალიაში. ქვეწარმავალმა ამას არც კი მიაქცია ყურადღება, თავი დაღუნა, ბავშვს მკერდქვეშ ამოუდო და ფეხზე დააყენა. გოგონა კმაყოფილი დარჩა ასეთი ყურადღებით, ხტუნვა-ხტუნვით მიუახლოვდა გველს და პაწაწინა ხელებით მიეფერა მის ბრტყელ, სრიალა თავს. სწორედ ამ დროს მეკას დაუძახეს და უთხრეს, გველისთვის მიეცა საჭმე-

ლი. მეკამ ეს დავალება სიხარულით და მთელი ბავშვური გულუბრყვილობით შეასრულა. აქედან დაიწყო გოგონას მეგობრობა მახრჩობელა გველთან. ყოველდღე, ერთსა და იმავე დროს აძლევდა საჭმელს მეკა გველს, მიჰქონდა მისთვის წყალი, ბანდა და ეთამაშებოდა. საღამოს კი ჩაეხუტებოდა და დაიძინებდა. გველიც ნაზად შემოხვევდა ტანს ბავშვის სხეულს.

ათი წლის რომ შესრულდა მეკა, დასაძინებლად ტახტი გაუკეთეს, მაგრამ ამან ძალზე ააღელვა გველი და რამდენიმე ტახტი დაამტვრია კიდეც. ბოლოს პატრონმა ძალზე მაგარი ტახტი გააკეთებინა და გველის ლეიბის გვერდით დადგა. გველმა რომ ტახტს ვერაფერი მოუხერხა, კუდით შემოეხვია მის ფეხებს და უფრო ახლოს მოსწია თავისკენ. ასე მას შეეძლო ხან თავით, ხან კუდით მიალერსებოდა მძინარე გოგონას.

თოთხმეტი წლის რომ შესრულდა მეკა, გალიიდან მისი გასვლა აუცილებელი გახდა და როცა გამოვიდა, გველი კინაღამ გაცოფდა—ურტყამდა იატაკს კუდს, ეხეთქებოდა გალიის კედლებს და თუმცა ტახტი მაგარი იყო, სულმთლად დალეწა. მერე დაიწყო რკინების გაღუნვა და ყოველნაირად ცდილობდა გალიიდან გამოსვლას. პატრონს შეეშინდა, რომ გველს და, რაც მთავარია, მის ჯიბეს არაფერი დაშავებოდა, და, უმალ დააბრუნა მეკა გალიაში. გახარებული შემოეხვია გველი გოგონას.

მაგრამ გალიიდან გასვლა ხანდახან მაინც აუცილებელი იყო მეკასთვის. პატრონი თავს იტეხდა, თუ როგორ გადაელახა ეს სიძნელე.

და აი, ერთხელ სცადეს: მეკამ, ჩვეულებისამებრ, მიალაგა გალია, მაგრამ ვედრო კარებთან კი არ დადგა, როგორც ამას უწინ აკეთებდა, გააღო კარები და თვითონ გაიტანა. გველი იმწამსვე მისრიალდა კარებთან, მაგრამ მეკამ გადაღვარა თუ არა ვედრო, უმალ დაბრუნდა უკან, გალიაში. დროთა განმავლობაში სულ უფრო მეტხანს რჩებოდა მეკა გალიის გარეთ. ორი წლის მანძილზე გველი შეეჩვია იმას, რომ მეკა მას დღეში ერთი ან ორი საათით ტოვებდა მარტო.

გაზეთები, რეკლამები, რადიო ყოველდღე გადმოსცემდნენ სენსაციას:

„მახრჩობელა გველისა და ქალიშვილის სიყვარული...“

„მხოლოდ ორი საათით შეუძლია გოგონას დატოვოს ათ-

მეტრიანი მახრჩობელა გველი! მხოლოდ ორი საათით! შემდეგ გველი გალიას ამტვრევს!“

იყო შემთხვევები — მდიდარი ხალხი იხდიდა დიდძალ ფულს, ოღონდ მეკა ორ საათზე მეტხანს დარჩენილიყო გარეთ, რომ თავისი თვალით ენახათ, როგორ ცოფდებოდა გველი, იწყებდა საშინელ წრიალს და გარშემო ყველას და ყველაფერს ანადგურებდა.

ახლა მეკა ჩვიდმეტი წლის ლამაზი, ნაზი ქალიშვილია. მისი გარეგნობა დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მაყურებელზე. მეკამ ლაპარაკის გარდა არაფერი იცის. ანდა რა საჭიროა მისთვის სწავლა, როდესაც მთელი თავისი სილამაზე და ახალგაზრდობა მახრჩობელა გველს, უფრო სწორად კი, მისი პატრონის ჯიბეს უნდა შესწიროს! სწორედ მეკას სილამაზე და სინაზე ახდენდა დიდ სენსაციას, ამდიდრებდა მის პატრონს, რომელიც ცოცხალი თავით არავის დაუთმობდა ამ განძს. მაგრამ ხალხი მას მაინც კიცხავდა და პატრონმა გადაწყვიტა მეკას გათხოვება. არ გეგონოთ, რომ მას აწუხებდა მეკას ბედ-იღბალი. არა! ის მხოლოდ შორს ჭვრეტდა და ხედავდა: დადგებოდა დღე, როცა მეკას ლამაზ თვალებში ჩაქრებოდა ახალგაზრდული ცეცხლი და ხავერდივით ნაზ სახეს ნაოჭები დაუფარავდა. საჭირო იყო ახალი კანდიდატურის მომზადება ამ დროისათვის. ამისთვის კი ყველაზე უფრო მეკას შვილი გამოდგებოდა...

მაგრამ აი, უკვე ოთხი წელია, ყველა ელოდება ამ ბავშვს, ის კი არ ჩანს. პატრონი აღშფოთებულია ამ ამბით, მეკას და მის მეუღლეს კი უხარიათ. — მათ კარგად იციან, რა მომავალი ექნებოდა მათ შვილს გულქვა პატრონის წყალობით...

...და აი, ჩვენც დავესწარით ამ საოცარ სანახაობას. მეკა წამოდგა საწოლიდან და მოკრძალებით მიესალმა დამსწრე საზოგადოებას.. იგივე გაიმეორა გველმაც, იგი მოიწევდა და ზევით-ქვევით აქნევდა საზარელ თავს, წინ აგდებდა თავის ვიწრო, საშინელ ენას. ასე შემოუარა გარშემო გალიას, გააკეთა წრე და ისევ ლეიბზე დაწვა. მეკამ გაიძრო ტანსაცმელი და საცურაო კოსტიუმით წარსდგა მაყურებლის წინაშე. ის მთელი ტანით დააწვა გველს, რომელიც ნელ-ნელა ეხვეოდა ქალს და სულ ზევით-ზევით, სახისაკენ მიიწევდა. ბოლოს მთლიანად შემოეხ-

ვია მეკას და თავისი საშინელი ენით აულოკა მეკას მოღიმარე, ლამაზი სახე.

საოცარი იყო — მეკა სრულიად თავისუფლად იდგა ტანზე შემოხვეული უზარმაზარი გველით.

შემდეგ გველმა გაათავისუფლა მეკა, ასწია კუდი და თავისივე ტანს შემოახვია. გაკეთდა წრე, რომელშიც მეკა სრულიად თავისუფლად შედიოდა და გამოდიოდა. მერე მეკა ცეკვავდა და გველს ყოველი მხრიდან ახტებოდა. ბოლოს დაუწყო ალერსი და კოცნა. ეს საშინელი სანახაობა იყო. ბევრმა ვერ გაუძლო მას და გასცილდა იქაურობას. ჩვენც გავედით დარბაზიდან, მაგრამ დაგვანახეს მეორე გულისმომკვლელი სურათი — მეკას ქმარი მოთმინებით ელოდა თავის მეუღლეს. თვალცრემლიანი იდგა იგი და გარშემო ვერავის ამჩნევდა, მხოლოდ თავის მეკას ხედავდა და ალბათ ცხოვრების უკუღმართობაზე ფიქრობდა.

ჩვენ გვინდოდა რაც შეიძლება მალე გავცლოდით ამ ადგილს და დაგვევიწყებინა ის, რაც ვნახეთ. მაგრამ მეხსიერებაში მაინც სამუდამოდ დაგვრჩა.

მივდიოდით ჩუმად, ხმაამოუღებლივ და ყველას ფიქრი ერთსა და იმავეს დასტრიალებდა...

უკვე საკმაოდ შორს ვიყავით, მაგრამ კვლავ ჩაგვძახოდა ხრინწიანი ხმა:

„ნახეთ მახრჩობელა გველისა და ქალიშვილის სიყვარული!“

„ნახეთ მალაის ტარზანი!“

„მეკა—ჯუნგლების ქალიშვილი მახრჩობელა გველთან“.

მე მიცხოვრია ვიეტნამში

ალისფერი დროშებით გვესალმებიან ვიეტნამელები. ვანელებთ სვლას. ნავებშემორტყმული მივიწევთ წინ. „მუნ-ნა!“— გაუმარჯოს! — ასე გვეცნობიან მეთევზეები. ბევრი გემბანზეც ამოდის. გულთბილად ვესალმებით მათ.

„სამხრეთ ქვეყანას“ ნიშნავს ვიეტნამი, იგი სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის ერთ-ერთი უძველესი ქვეყანაა, ოთხიათასი წლის

ქვეყანა. მე-19 საუკუნეში ფრანგებმა დაადგეს თვალი. 1837 წელს კათოლიკე მისიონერთა დაცვის საბაბით, ნაპოლეონ III-მ ვიეტნამში გაგზავნა ფლოტი. ვიეტნამელები მამაცური სიკვდილით ეცემოდნენ და ზურგს არ უჩვენებდნენ შემოსეულ მტერს. ცნობილი რუსი მწერალი სტანიუკოვიჩი ვიეტნამელთა მამაცობის შესახებ წერდა: „ტყვეობაში ცხოვრება ანამიტს სამარცხვინოდ მიაჩნია და პატიების შემთხვევაში (რაც იშვიათია) სიკვდილს ამაყად თხოულობს. მე ვიყავი შემთხვევის მოწმე, როცა ფრანგებმა ათი ანამიტი ჩაიგდეს ტყვედ. ჩამოახრჩვეთო, — ბრძანა მაიორმა. ცხრა კაცი ეკიდა ზეთისხილის ხეებზე. მეათე, თექვსმეტი წლის ბიჭი, შეეცოდა მაიორს და დაინდო. მაგრამ, ეს პატარა ველური სასოწარკვეთით მიეჭრა, რად არა მსჯითო, თვალებში რისხვა აენთო და ბრაზი შეანთხია მტრებს. მალე იგიც ჰაერში ეკიდა, ზეთისხილის ხეზე“.

ორმოცი წელი იბრძოდა საფრანგეთი, ვიეტნამელ ხალხს დავიმონებო, მაგრამ არ ნებდებოდა ამაყი სული.

და იაპონელებს გადაულოცეს ფრანგებმა ეს ჯიუტი ქვეყანა. 1944 წელს ვიეტნამელ პატრიოტთა რაზმებმა შვიდი პროვინცია გაწმინდეს იაპონელებისაგან. 1946 წელს, გაზაფხულზე 6 მარტის შეთანხმებით საფრანგეთმა ცნო ვიეტნამის თავისუფალი რესპუბლიკა, მაგრამ სამი თვის შემდეგ კვლავ დაირღვა ეს შეთანხმება. დაიპყრეს ხანოიც კი.. და მაინც აღსდგა ვიეტნამი, გაუგონარი თავგანწირვა, გაუგონარი გმირობა და განთავისუფლდა ქვეყანა...

ვიეტნამში ხშირად ჩადიან ჩვენი გემები. მე ადრეც ვყოფილვარ ვიეტნამში. კარგად ვიცნობ ამ მამაც ხალხს, ახლა რომ ღიმილით გვაცილებენ სამხრეთ ჩინეთის ზღვაში.

მაშინ დამგზავრებულმა ქარმა, ქარიშხლად ქცეულმა, ტალღების ღმუილში გადაზრდილმა, იძულებული გაგვხადა, თავშესაფარი გვეძებნა. გამოჩნდა პატარა კუნძული და სწრაფად შევცვალეთ გეზი, მის ნაპირებთან ჩავუშვით ღუზა... მაგრამ ქარის სიავე თუ გადაედოთ კუნძულის მკვიდრთ, შეიარაღებულები მოვიდნენ მასპინძლები უიარაღო სტუმრებთან. ჩვენ ვუხსნიდით, რომ აქ მხოლოდ დროებით გადავიკარეთ, ქარიშხალს გამოვექეცით... ვიეტნამელებმაც ჟესტებით აგვისხნეს რაღაც, ჩვენ ეს მივიღეთ, როგორც ნაპირზე დგომის ნებართვა .

ისინი წასვლას აპირებდნენ, როცა ერთ-ერთმა მათგანმა ბაგირზე თვალი მოჰკრა ჰიდროპულტს. უნდა ითქვას, რომ იგი ძალიან ჰგავს მცირეკალიბრიან იარაღს.

აღელვებით ალაპარაკდნენ რაღაცაზე. ჩვენ კარგად გვესმოდა ზღვაში მიკარგული პატარა კუნძულის მცხოვრებლების განგაში. აღელვების მიზეზი ნათელი იყო. მოვაბრუნეთ ისინი ჰიდროპულტის დასათვალიერებლად.

მათ ნახეს, რომ ჰიდროპულტი ისვრის წყალს და არა ტყვიებს. ვიეტნამელები დამშვიდდნენ.

ამ დროს ნაპირიდან სროლის ხმა გაისმა. ერთ-ერთმა ვიეტნამელმა წამოავლო ხელი სასიგნალო დროშას, გავიდა გემბანზე და დაიწყო ქნევა, როგორც ჩანს, ნიშნად იმისა, რომ ყველაფერმა მშვიდად ჩაიარა.

მეორე დღეს ჩვენს იძულებით სადგომთან ქარი მიწყნარდა, ღუზა მოვხსენით და განვაგრძეთ ცურვა.

კუნძულიდან გზა ჰოდ-დაუს შუქურასაკენ მიდიოდა.

შუქურასთან მივედით. ნისლიანი დილა იყო, გვინდოდა ლოცმანი აგვეყვანა—გამოცდილი მეზღვაური, რომელსაც კარგად ეცოდინებოდა ცურვის ადგილობრივი პირობები: ლოცმანს გემი უნდა წაეყვანა მდინარე კუა-კამის გავლით და შემდეგ მირიტის არხით ჩასულიყო ხაივონში, რომელიც ჩრდილოეთ ვიეტნამის მთავარ პორტსა და ჩვენი დანიშნულების ადგილს წარმოადგენდა.

საერთაშორისო ნიშნების მიხედვით მივეცით სიგნალი: „გვესაჭიროება ლოცმანი", რამდენიმე წუთის- შემდეგ გავარჩიეთ პასუხი: — გასაგებია. ლოცმანი არა გვყავს, ელოდეთ. ამგვარად, ორთვიანი რეისის შემდეგ ჩვენ უნდა ვმდგარიყავით და დავლოდებოდით ლოცმანს, მაშინ როცა მიზნის მიღწევამდე მხოლოდ რამდენიმე საათიღა იყო დარჩენილი.

ბუნებრივია, ყველა ჩვენგანი მოუთმენლად ელოდა ვიეტნამისა და მისი გმირი ხალხის ნახვას, რომელთა მიღწევებსა და გმირულ ბრძოლებზე ბევრი წაგვიკითხავს და მოგვისმენია. წუთები საათებად გვეჩვენებოდა. უცბად კატარღა მოგვიახლოვდა, ვიეტნამელმა მეზღვაურებმა დროშით გვიცნეს და ჯერ კიდევ გემბანზე მდგარნი მეგობრულად გვიღიმოდნენ, თან თა-

ვიანთი კორპის მუზარადების ქნევით მოსალმების ნიშნად რაღაცას გაჰყვიროდნენ.

ჟესტებით ვთხოვეთ კატარღის უფროსს, მოეცა ჩვენთვის მეზღვაური, რომელიც კარგად იცნობდა კუა-კამის.

რამდენიმე წუთის შემდეგ ვიეტნამელი მეზღვაური ჩვენს გემბანზე გადმოვიდა.

ჩვენ უკვე ხაიფონიდან სამი მილის დაშორებით ვიყავით, როცა შემოგვხვდა სახელმწიფო ლოცმანის კატარღა. ლოცმანი საკმაოდ კარგად ფლობდა რუსულ ენას. აღმოჩნდა, რომ ლიოტ მინი (ასე ერქვა მას) ოთხი თვის განმავლობაში მსახურობდა რუსეთის გემ „არხანგელსკზე", რომელსაც რეპატრირებულნი გადაყავდა სამხრეთ ვიეტნამიდან.

ლიოტ მინმა შეგვატყობინა, რომ ხაიფონის ადმინისტრაციულ კომიტეტს სურს, მოგვიწყოს საზეიმო შეხვედრა, თან გვთხოვა, ღუზა ჩაგვეშვა. დავთანხმდით.

დილით გემი ფერადი დროშებით მოვრთეთ და განვაგრძეთ გზა. გზად გვხვდებოდა იალქნიანი ჯონკები. ჯონკა ძველი ვიეტნამის ტრანსპორტის ძირითადი სახეა. დროდადრო ქარი წყნარდებოდა და ჯონკების მფლობელები იძულებულნი ხდებოდნენ ნიჩბებისათვის მიემართათ. ბევრი მათგანი ნავზე ოჯახით ცხოვრობს და ყველა წევრს ნახავთ ნიჩაბთან, ექვსი — შვიდი წლის ბავშვებსაც კი, მათ ადრევე აჩვევენ შრომას.

ნავსადგური უკვე ახლოსაა. ნავსაბელთან შეიძლება ხალხის გარჩევა, ჩანს ლოზუნგები, პლაკატები, ხო ში მინის სურათები. შორიდან მისასალმებელი შეძახილები გაისმის.

როგორც კი ნავსადგომს მივუახლოვდით, ვიეტნამელებმა დაიწყეს სიმღერა „ვიეტნამ-ლიენ სო", რაც ნიშნავს „ვიეტნამ-საბჭოთა კავშირი". შემდგომში ჩვენ გავიგეთ, რომ ეს სიმღერა ისეთივე პოპულარულია ვიეტნამში, როგორც ჩვენთან, «Широка страна моя родная».

გემების გადაცემის ცერემონიალს დაესწრნენ ფოსტის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ვიცე-მინისტრი ლე ზუნგი, და პრესის წარმომადგენლები. საბჭოთა საელჩოსა და ვაჭრობის მუშაკები.

მალე მივიღეთ ცნობა, ჩვენი ეკიპაჟის ნაწილი ვიეტნამში რჩებოდა მეზღვაურთა ადგილობრივი კადრების მოსამზადებლად.

ორ-სამ თვეში შტურმანების, მექანიკოსების და რადისტების აღზრდა არც ისე ადვილი საქმე იყო.

ვიეტნამში ამ დროისათვის ძალიან ცოტა იყო თარჯიმნები. მოგვამაგრეს მთარგმნელები, რომლებიც რუსულ ენას სუსტად ფლობდნენ. მათ არ იცოდნენ არამარტო საგანგებო, საზღვაო ტექნიკური ტერმინები, ჩვეულებრივი საყოფაცხოვრებო ლექსიკაც კი.

შეადგინეს პროგრამები ცალკეული სპეციალობების მიხედვით. მათში შეტანილი იყო მინიმალური ცნობები ზღვაში დაშოუკიდებელი მუშაობის შესახებ.

პრაქტიკული სამუშაოები კარგად მიდიოდა, მაგრამ თეორიის საქმე ცუდად იყო. თარჯიმნებზე უარის თქმა პირველი დღიდანვე მოგვიხდა. როგორ უნდა მოეცათ მათ ამა თუ იმ ხელსაწყოს ახსნა-განმარტება, როცა ამ ხელსაწყოსა და მისი ბევრი შემადგენელი ნაწილის სახელები ვიეტნამურ ენაში საერთოდ არაა.

მაღაზიებში შევიძინეთ ვიეტნამური სახელმძღვანელოები, ვცდილობდით მათი დახმარებით შეგვეძინა საყოფაცხოვრებო სიტყვებისა და ტექნიკური გამოთქმების მარაგი. ვიეტნამური ენა ძნელად არ მოგვჩვენებია; მოხალისე მასწავლებლები ბევრი გვყავდა სამუშაოზეც და სასტუმროშიც, ასე რომ ორი-სამი კვირის შემდეგ შეგვეძლო მსმენელთათვის გასაგებად აგვეხსნა ყველაფერი.

ვიეტნამელთა უმრავლესობას დიდი სწრაფვა ჰქონდა ცოდნისაკენ.

განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს ჩემზე უფროსის მოადგილემ ჰან ვან ტუენმა და ბოცმანმა ბამ. ისინი ყოველნაირად ცდილობდნენ თითოეული მეცადინეობიდან მიეღოთ რაც შეიძლება მეტი.

ჩვენ პირველად ერთად გავემგზავრეთ ხონგაიში, ნახშირის აუზში. ხონგაი მდებარეობს ვიეტნამის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. აქ ნახშირის მოპოვება ღია წესით ხდება, ამის გამო იგი ძლიერ იაფია.

რეისი ხაიფონიდან ხონგაიმდე სულ რამდენიმე საათი გაგრძელდა. ცურვა კარგ ამინდში გვიხდებოდა. ვიეტნამელთა ეგუფი შესანიშნავად გრძნობდა თავს. მაგრამ უკან დაბრუნები-

სას, როცა ნახშირი დავტვირთეთ და კურსი ვინ-პორტისაკენ ავიღეთ, რომელიც ცენტრალურ ვიეტნამში მდებარეობს, გემმა რყევა დაიწყო. გამოირკვა, რომ ვიეტნამელთა უმრავლესობა შეუჩვეველია ზღვაზე ცურვას. მთელი ჯგუფიდან მხოლოდ ტუ და ბა იდგნენ ფეხზე და მუშაობდნენ. ადამიანები მეზღვაურებად არ იბადებიან. რყევას შეიძლება შეეჩვიო, მაგრამ ჩვენს წინაშე ძალიან ცოტა დრო იყო სწავლებისათვის. ასეთ მდგომარეობაში ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა არავითარ სწავლებაზე.

ვინთან მიახლოებისას ღელვამ იმატა და საბუქსირო ტროსი მოწყდა, აუცილებელი იყო აბობოქრებულ ზღვაში და ისიც ღამით დაგვეჭირა ბარჟი.

ატყდა განგაში. იმ ქარიშხლიან ღამეს ძალიან გაგვიჭირდა, მაგრამ ბარჟი მაინც დავიჭირეთ და მშვიდობიანად მივიტანეთ ვინში. აქ ჩვენ ხე-ტყის ძვირფასი ჯიშები უნდა მიგვეღო და ხაიფონში ჩაგვეტანა.

ვინის პროვინციის ადმინისტრაციულმა კომიტეტმა ჩვენი ჩასვლის აღსანიშნავად მოაწყო ბანკეტი, რომელზედაც მე საუბარი მომიხდა მეორე ბუქსირის კაპიტანთან. მას სახელად მინი ერქვა.

საფრანგეთთან ომის დროს მინი დაიჭირეს პარტიზანების თანაგრძნობისათვის და ისევე, როგორც პოლიტიკური პატიმრების უმრავლესობა, ციხეში ჩასვეს კუნძულ ჰაულაუ-კინდრზე. აქ მან გაატარა პატიმრობის საშინელი ხუთი წელი.

ბევრი ვიეტნამელი მეგობრის ბედი მოგვაგონებს მინის ბედს.

რესტორანში გვემსახურებოდა ოფიციანტი ხანი, ძალიან მშვიდი, მაღალი ტანის გოგონა. მის მაჯებზე წითელი ზოლები შევამჩნიეთ; ეს ბორკილების ნაკვალევი აღმოჩნდა.

ხანმა გვიამბო, რომ ის დააპატიმრეს პარტიზანების თანაგრძნობისათვის. ხაიფონის ციხეში გოგონებს ხელ-ფეხი შეკრული ჰქონდათ. პატიმრებისათვის რომ უფასოდ არ ეჭმიათ, ფრანგები აიძულებდნენ მათ ამოექარგათ და ექსოვათ მაქმანი.

ხანს შემორჩა სახალხო არმიის მიერ გადაღებული სურათი, როცა მათ ანთავისუფლებდნენ. სურათში გოგონები ჯერ კიდევ ბორკილებში არიან.

მინი, ტხიკი, ხანი... ათასობით, ათიათასობით ადამიანმა განვლო ვიეტნამში ცხოვრების ისეთივე გზა, როგორიც ამ სამეულმა, გზა ტანჯვისა და ბრძოლისა, რომელიც კოლონიზატორებსა და რეაქციაზე ხალხის გამარჯვებით დაგვირგვინდა.

რამდენიმე დღის შემდეგ ხე-ტყე დატვირთული იყო და ჩვენ დასაბრუნებლად ვემზადებოდით, რომ უეცრად მუშაობის გეგმები შეიცვალა.

იმ წელს ვიეტნამში გვალვა იყო. ნიადაგი სკდებოდა, ბრინჯის მოსავალი დაიღუპა და ქვეყანას შიმშილი ემუქრებოდა. ვიეტნამის მთავრობამ ბირმისაგან შეისყიდა ბრინჯი, მაგრამ გადმოტანა ძნელი იყო.

დასახმარებლად საბჭოთა კავშირი მოვიდა, ოღონდ ეგ იყო, ჩვენს გემებს კუა-ხუას შესართავის იქით წასვლა აღარ შეეძლოთ, რადგან მდინარის ფარვატერი ძალიან თხელი იყო.

ჩვენ წინაშე იდგა ამოცანა, რაც შეიძლება მალე დაგვეტვირთა ბრინჯი. საჩქაროდ გადმოვტვირთეთ ხე-ტყე ბარჟიდან და დავიწყეთ პროდუქტების გადატანა ვინ-კუა-ხოის ხაზზე.

ყოველი ჩვენი რეისი მდინარეზე მოსახლეობისათვის ნამდვილი დღესასწაული იყო. დიდი თუ პატარა ყველა ნაპირზე გამოდიოდა, რაღაცას გვიძახდნენ, ხელებს გვიქნევდნენ, ბავშვები კი გარბოდნენ მდინარის გასწვრივ ბუქსირისაკენ.

აი, აქ გამოიჩინა თავი ჩვენი ბუქსირის ვიეტნამელმა კაპიტანმა, ჟანმა, ასე უძახდნენ მას უბრალოდ.

როგორღაც თავისუფალი დღე გამოგვიჩნდა. გადავწყვიტეთ გამოგვეყენებინა იგი ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტის ხო ში მინის სამშობლოში წასასვლელად.

სოფელი კიმ-ლენი მდებარეობს ვინიდან ოცი კილომეტრის დაშორებით. იქ დგას პატარა სახლი, რომელშიც დაიბადა ხო ში მინი.

ხო ში მინის თანატოლებმა გვიამბეს პრეზიდენტის ბავშვობაზე, მის ცხოვრებაზე სოფელში. აქვე გავიგეთ, რომ ის მეზღვაური იყო და ოდესღაც საფრანგეთის გემზე მსახურობდა.

ჩვენი ყოფნა ვიეტნამში იმით დამთავრდა, რომ ვიეტნამელმა მეზღვაურებმა მიიღეს ზღვაზე დამოუკიდებლად მუშაობის მინიმალური ცოდნა. სამინისტროს წარმომადგენლებისა და ხაიფონის სპეციალისტებისაგან შეიქმნა საგამოცდო კომისია.

გამოცდა ხომ არა მარტო მოსწავლეების ცოდნის შემოწმებაა, არამედ მასწავლებლებისაც. ბუნებრივია, ჩვენც ვიეტნამელ ამხანაგებთან ერთად ვღელავდით. კომისიამ კარგი შეფასება მისცა ჩვენი მოწაფეების ცოდნას და ამასთან, რა თქმა უნდა, ჩვენს მუშაობას. ამ დღიდან ბუქსირებმა უჩვენოდ დაიწყეს ცურვა, ჩვენ კი სამშობლოში გასამგზავრებლად ვემზადებოდით.

ხანოიში გასამგზავრებლად ავტობუსი მოგვცეს. ავტობუსის ფანჯრებიდან ჩანდა წარსულში საფრანგეთის საექსპედიციო კორპუსის ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი არტერიები — რკინიგზა და გზატკეცილი.

გზაზე ერთმანეთისაგან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით განლაგებულია სამაგრი წერტილები, საგუშაგო პუნქტები, მუქი ფერის რკინა-ბეტონის ნაგებობანი.

ხანოი თითქოს ორი ქალაქია: ევროპული და ვიეტნამური, რომლებიც ერთმანეთისაგან გამოყოფილია აღდგენილი ხმლის ტბით.

ქალაქის ევროპული ნაწილი აშენებულია ფრანგების მიერ. ეს არის სიმწვანის, ასფალტის და მხოლოდ და მხოლოდ ორსართულიანი საუცხოო ვილების შეხამება. ცენტრში მდებარეობს მთავრობის სასახლე. ასეთი დაგეგმვა ტიპიურია ყოველი კოლონიური ქალაქისათვის. ქალაქის სწორედ ამ ნაწილშია განლაგებული ევროპული, ინდოელი და ვიეტნამელი ვაჭრების შესანიშნავი მაღაზიები.

ხმლის ტბის ნაპირებზე გავლისას ჩვენ დავინტერესდით მისი სახელით, სასტუმროს დირექტორმა ასეთი ლეგენდა გვიამბო:

— მრავალი ათასი წლის წინათ ვიეტნამელი ხალხი ჩინელი იმპერიალისტების უღელქვეშ იმყოფებოდა. ვიეტნამელები არაერთხელ აღსდგნენ თავისუფლებისათვის საბრძოლველად, მაგრამ ამაოდ. ერთხელ ტბაზე თევზაობისას ერთმა მეთევზემ ამოათრია ხმალი, იგი წმინდა აღმოჩნდა. ეს მეთევზე ხმლით სათავეში ჩაუდგა განმათავისუფლებელ მოძრაობას და ვიეტნამელმა ხალხმა შეძლო ჩინელთა ბატონობისაგან თავის დაღწევა. ამის პატივსაცემად ტბაზე ბუდას ორი ტაძარი ააგეს.

ჩვენ დავესწარით ღვთისმსახურებას. ღმერთთან გასაუბრებისა და მისგან რჩევის მიღების მსურველს ხელში აძლევენ

სპილენძის ჭურჭელს, რომელშიაც ჩაწყობილია ბამბუკის ჯოხები, სხვადასხვა წარწერით. მლოცველი იჩოქებს მუხლებზე, ბუდას გამოსახულების წინ და აქნევს ჭურჭელს, მანამ, სანამ რომელიმე ჯოხი არ ამოვარდება. ამოვარდნილ ჯოხს იღებს ღვთის მსახური და უხსნის მორწმუნეს ღმერთის პასუხს. უკან დაბრუნების დღეს ხო ში მინმა ჩვენთან შეხვედრის სურვილი გამოთქვა. გაგვიხარდა;

მეორე დღეს დილით უკვე სასახლის კიბის საფეხურებზე ავდიოდით. შემოგვხვდა ვიცე-მინისტრი ლე ზუნგი, რომელსაც პრეზიდენტთან უნდა წარვედგინეთ.

შეგვიყვანეს მისაღებად მომზადებულ პატარა ოთახში, მალე გვერდითი კარიდან გამოვიდა დაბალი, გამხდარი კაცი და სუფთა რუსულით მოგვმართა:

— გამარჯობათ, ამხანაგებო!

ეს ამხანაგი ხო ში მინი იყო. მას ბამბის ქსოვილის კოსტუმი ეცვა. აქვს მაღალი შუბლი, ცოცხალი, შორსმჭვრეტელი თვალები, წვერი, რომლისთვისაც ვიეტნამში ხო ში მინს „ბაბუა ხოს“ ეძახიან.

როგორღაც უბრალო და თავისუფალი სიტუაცია შეიქმნა, გაიმართა ცოცხალი საუბარი, რომელშიც ყველა იღებდა მონაწილეობას.

პრეზიდენტი დაინტერესდა ჩვენი ჯანმრთელობით, იმით, თუ როგორი იყვნენ ჩვენი მოწაფეები, მერე გვიამბო ქვეყანაში გატარებულ აგრარულ რეფორმაზე. ბოლოს მადლობა გადაგვიხადა და სამშობლოში ბედნიერი მგზავრობა გვისურვა, საჩუქრები გადმოგვცა. მაგონდება ეს ყველაფერი და... „მე მიცხოვრია ვიეტნამში“ ღიმილით ვეუბნები გამცილებელ მეთევზეთა ქარავანს და უხარიათ ვიეტნამელებს, რომ ვიცნობ მათ ქალაქებსა და სოფლებს.

ადამიანები ნავებში იბადებიან

ჰონკოგი ერთ-ერთი უდიდესი საზღვაო ნავსადგურია მთელ მსოფლიოში. მე არ ვყოფილვარ ჰონკოგში მას შემდეგ, რაც სახელოვანმა სახალხო განმათავისუფლებელმა არმიამ ჩინეთის ტერიტორიიდან განდევნა იმპერიალისტ-ოკუპანტთა ჯარები.

რეიდზე რამდენიმე ასეული სხვადასხვა ზომისა და სახის გემია. პაწაწინა ჩინური ჯონქებიდან დაწყებული, ვეებერთელა საოკეანო ლაინერამდე.

ჯერ კიდევ დიდი ხნის წინათ ჰონკოგი ჩინეთისა და მთელი შორეული აღმოსავლეთის ჭიშკარი იყო.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ნავსადგურის ეკონომიური მნიშვნელობა საგრძნობლად დაეცა, მაგრამ 1947 წელს აქ მაინც გაიარა 50.000 გემმა.

ინგლისელები აქ თავს ისე გრძნობენ, როგორც საკუთარ სახლში. მათია კინო და თეატრი, სასტუმროც და სასახლეც. უძველესი ტაძრებიც კი მიისაკუთრეს. ტაძრები, რომლებიც ჩინეთის გამოჩენილმა ხუროთმოძღვრებმა და დიდოსტატებმა შექმნეს.

ჩინელებს კი ღამის გასათევი ადგილიც არა აქვთ. უმეტესობა ნავებში ცხოვრობს წვრილშვილითა და მთელი ჯალაბობით. ხშირად ნავებში იბადებიან ადამიანები. მერე მოხუცებსაც ნავში უწევთ სიკვდილი. სიკვდილი აქ იშვიათი როდია.

ბევრი ჩინელი მეთევზეობას ეწევა, მაგრამ ისინი შორს ვერ გადიან, ახლოს კი ნადირობის ნება არ ეძლევათ.

რატომ ვერ გადიან შორს? ზღვა მღელვარეა, ნავი ძველი.

დედიშობილა მასპინძლები

გზას სამშობლოსაკენ ვაგრძელებთ. სამხრეთ ჩინეთის ზღვა ისევ ქარით გვიმასპინძლდება. ვუახლოვდებით ფილიპინის კუნძულებს, ტაიფუნების სამშობლოს. მარტო 1950 წლის 21 დეკემბერს აქ 900 კაცი დაიღუპა გაავებული ტაიფუნისაგან. ნახევარი მილიონი მცხოვრები დარჩა უ!ახლკაროდ. დაინგრა ქალაქი ლეგასპი. მერე ტაიფუნს მიჰბაძა ვულკანმაც...

ტაიფუნი გვემუქრებოდა ჩვენც. სხვა გზა არ იყო, თავი დერიქეს უბეში უნდა შეგვეფარებინა.

ნაპირზე დაგვხვდნენ მასპინძლები. დედიშობილა იყვნენ ისინი. ასეთები იყვნენ ალბათ პირველყოფილი ადამიანები. თითქოს არაფერი შეცვლილა 1521 წლიდან, როცა მაგელანი

ეწვია კუნძულს. იოლად გადავრჩით—ტაიფუნმა გვერდით ჩაგვიარა და ჩვენც დავტოვეთ დედიშობილა ადამიანთა ცნობისმოყვარე თვალების მზერა...

და უბერავდა სიო დილისა...

მარცხნივ კორეა გამოჩნდა. ბაზალტის ექვსქიმიანი კლდეებით მდიდარი, ტაძრის ნანგრევებს რომ მოგაგონებს ანაზდად.

მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი სახელმწიფოა კორეა. ჯერ კიდევ ადრე, როცა იაპონია ველური ტომებით იყო დასახლებული, კორეელებს ჩამოყალიბებული სახელმწიფოებრივი სისტემა ჰქონდათ, ხელოვნებაც იყო განვითარებული და მიწათმოქმედებასაც მისდევდნენ.

ოცდარვა ნიშნისაგან შემდგარი ანბანი კი ყველაზე მარტივად ითვლება მსოფლიოში. კორეელებისაგან ისწავლეს იაპონელებმა მეაბრეშუმეობა, ფეიქრობა...

კორეას ავი თვალი დაადგა ამერიკამ. დაბომბეს ფხენიანი და სხვა ქალაქები, დაიწყო ომი, სამი წელი გრძელდებოდა საშინელი და მკაცრი ბრძოლები. პატარა, მაგრამ მამაცი მხარე გმირულ წინააღმდეგობას უწევდა ვეებერთელა კაპიტალისტურ ქვეყანას. კეთილმა გაიმარჯვა ბოროტზე.

ცუსიმას სრუტეში სიხარულით შევცქერი იმ მოზრდილ ყუთს, მოგზაურობის დაწყებისას რუკებით რომ იყო სავსე. ახლა ყუთი დაცლილია, მხოლოდ რამდენიმე რუკაღაა გაშლილი მაგიდაზე, სამშობლოსკენ რომ გვიკვალავენ გზას.

უკან დარჩა ოკეანეები, ზღვები, სრუტეები... წინ ლაფერუზის სრუტეა, ოხოტის ზღვა და კურილის კუნძულები. მერე კი ვლადივოსტოკი, ჩვენი ლაშქრობის საბოლოო პუნქტი.

მე შორს ვიყავ, შენზე ფიქრთა მთოველი...

ძილმა გადაივიწყა მეზღვაურები. აღარავის ეკარება სათოფედ. მშობლიურ წყლებში ვართ, გზა-გზა გვხვდებიან გემები—თანამოძმე და თანამემამულე.

საითო, ვეკითხებით ბედნიერები.
ინდოეთშიო,
პლიმუტშიო,
პორტ-საიდშიო.

ჩვენ კი ვბრუნდებით მშობლიურ მხარეში, ვბრუნდებით მხნე და ძლიერნი, ახალი ამბებით, ახალი თავგადასავლებით და, რაც მთავარია მშვიდობიანად.

სიმღერის ხასიათზეა ოთარ ფხაკაძე, არც სხვებს ეტყობათ დაღლის ნიშანი. ჩხრიალებს ღუზები, ეშვება ღუზები...

პირველ რიგში ჩიკო და ჩიტა უნდა დავაბინავო... კალინინგრადის ზოოპარკი გულღიად შეხვდება ჩემს მაიმუნებს...

მატარებელი კივილით მიაპობს სივრცეს. თითებზე ვითვლით დარჩენილ დღეებს, საათებს, წამებს და ბოლოს ფინიშთან მისული ექსპრესი მორბენალივით აქოშინებული დგება ლენინის ქალაქში.

ამაზე მეფის რუსეთიც ფიქრობდა

მრავალრიცხოვანია და მრავალფეროვანი ჩვენი ქარავნის ეკიპაჟი. ქარავანში რამდენიმე გემია, გემებზე სხვადასხვა ინსტიტუტებიდან მოსული ექსპედიციებია, მეცნიერული დაკვირვებანი რომ უნდა აწარმოონ დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. აქ არიან მეტეოროლოგები, ჰიდროგრაფები, კარტოგრაფები, შუქურათა და რადიოსადგურთა სპეციალისტები, მეზამთრეების შემცველელები...

მე საფლაგმანო გემის გემბანზე ვდგავარ. ჩემთან არის სერგეი ბორუნოვი.

ხალისიანი განწყობილება გამოგვყვა ნავსადგურიდან. სასიამოვნოდ გაწოლილა ზღვაზე ზღვაური. მეზღვაურები იცინიან, მხიარულობენ.

ჩრდილოეთი! შორეული და ყინულიანი, მის ათვისებაზე მეფის რუსეთიც ფიქრობდა. პირველმა მსოფლიო ომმა დააყენა დღის წესრიგში ჩრდილოეთის საზღვაო გზის შესწავლა. 1910 წელს როგორც იყო შეიქმნა ჩრდილო ყინულოვან ოკეანეში მიმავალი პირველი ექსპედიცია. 1912-13 წლებში მუდმი-

ვი რადიოსადგურები დაიდგა სამხრეთნახევარსფეროზე, ხოლო 1915 წელს — დიქსონზე.

მაგრამ ჩრდილოყინულოვან ოკეანეზე მეცნიერული გამოკვლევები ძალიან ნელა წარიმართა. მიუხედავად მრავალი მეცნიერის სურვილისა, რაც შეიძლება მალე აეთვისებინათ ეს მხარე, მიუხედავად იმისა, რომ ბევრმა მათგანმა მთელი სიცოცხლე შესწირა ამ ნათელ იდეას, მაინც ვერ დგებოდა ფეხზე ეს დიდი წამოწყება. ერთ-ერთი გამოჩენილი მეზღვაური გიორგი სედოვი, რომელმაც მთელი სიცოცხლე შესწირა საზღვაო საქმის გაუმჯობესებას, სწორედ ჩრდილოეთ პოლუსზე დაიღუპა, რადგან მეფის მთავრობამ მის ექსპედიციას არავითარი დახმარება არ აღმოუჩინა.

ჰოდა, იღუპებოდნენ ერთგული ადამიანები, მაგრამ საქმე მაინც ვერ მიიწევდა წინ. მხოლოდ დიდი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ დაიწყო არქტიკის ნამდვილი შესწავლა. საბჭოთა ადამიანებმა დაძლიეს ეს დიდი ამოცანა, ნორმალურ, მოქმედ ტრასად აქციეს ჩრდილოეთის საზღვაო ხაზი და გზა გაუხსნეს ყინულოვან ოკეანეში მიმავალ გემებს. რაზეც მარტო ფიქრი თუ შეეძლო მეფის რუსეთს...

მურმანსკის გმირი

მურმანსკი რუსეთის ერთ-ერთი უძველესი ქალაქია. აქ XIII საუკუნიდან მოსახლეობენ რუსები. მათ სახელთან არის დაკავშირებული ამ კუთხეში თევზის მრეწველობის განვითარება. მურმანსკში ოქრო-ვერცხლის საბადოებიც მოიპოვებოდა, მაგრამ მეფის მთავრობას მისი დამუშავება არ შეეძლო, რადგან მრეწველობის განვითარების დაბალი დონისა და ცუდი საგზაო ტრანსპორტის გამო ეს მხარე კარგახანს იყო მოწყვეტილი ქვეყნის ცენტრალურ ნაწილს.

მხოლოდ XIX საუკუნის 90-იან წლებში წამოიჭრა საკითხი, დაკავშირებოდა მურმანსკი სანაპირო ცენტრს.

1895 წელს მოქმედება დაიწყო ტელეგრაფმა. დიდი ხანია იდგა რკინიგზის გაყვანის საკითხიც. ჯერ კიდევ 1871 წელს დაპროექტდა ჩრდილო სარკინიგზო ხაზის მშენებლობა, მაგრამ პროექტი პროექტად დარჩა... და როცა პირველი იმპერია-

ლისტური ომი იწყებოდა, საჭიროდ ცნეს სასწრაფოდ გაეყვანათ რკინიგზა. 1915 წელს პირველი ლიანდაგები გაწვა მურმანსკის გზებზე. მოკლე დროში აშენდა 1000 კმ რკინიგზა, რაც ძალიან დიდ შრომასთან იყო დაკავშირებული და 180 მილიონი მანეთი შეიწირა.

ისაუბრო მურმანსკზე და არ ახსენო ამ მხარის ერთი შესანიშნავი გმირთაგანი პლატონ საბანაძე, შეუძლებელია.

პლატონის მამას, ვასილ საბანაძეს, გამოცდილ მეზღვაურს, მას შემდეგ რაც ქარიშხლით აფორიაქებულ ზღვაში ნავი გადაუბრუნდა და სიკვდილს მეზობლებისა და ნათესავების დახმარებით გადარჩა, ჭირის დღესავით შეძულდა ზღვა.

ვასილს არ უნდოდა მის შვილებს მეთევზეთა ძნელი და ხიფათიანი ცხოვრება გამოეცადოთ და ხელმოკლეობის მიუხედავად, სასულიერო სასწავლებელში მიაბარა. მაგრამ ვერ იქნა და ვერ შეიგუეს საღვთო სჯულის წესები ზღვაზე შეყვარებულმა ჭაბუკებმა, განსაკუთრებით უმცროსს ეტყობოდა, რომ მისგან ღვთისმსახური ვერ დადგებოდა. პლატონს ძალიან უყვარდა ზღვა. ზღვას აღმერთებდა და ზღვას ფიცულობდა. სხვა ღმერთი მისთვის არ არსებობდა. მეტი გზა არ იყო და მამამ იგი ნავსადგურის სახარატო სასწავლებელში მიაბარა, რომლის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდა ხარატი მალე დაეუფლა საზღვაო ხომალდებზე მანქანა-დანადგარების მკურნალობას და 1927 წლიდან ოცდაერთი წლის ჭაბუკი თამამად ასრულებდა მექანიკოსის მოვალეობას დიდ საოკეანო გემებზე.

მაგრამ როცა ფოთელმა ჭაბუკმა მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხე შემოიარა და კარგად შეიცნო ამქვეყნიური ავ-კარგი, იგრძნო, რომ ფოთში მიღებული ცოდნა საკმაო არ იყო, ლენინგრადის საზღვაო სასწავლებელში მოისურვა სწავლის გაგრძელება და მალე აისრულა კიდეც წადილი. წარმატებით დაამთავრა აღნიშნული სასწავლებელი და ახალგაზრდა კომუნისტი მურმანსკის თევზსაჭერი ფლოტის მთავარ მექანიკოსად გაამწესეს. მალე გემთშემკეთებელი ქარხნის დირექტორად დანიშნეს.

მერე პლატონი მურმანსკის გემთშემკეთებელი ქარხნის მოთავე გახდა. მერე? მერე მოვიდა ავი დღე, სისხლიანი, „ყველაფერი ფრონტისათვის“ — ასეთი იყო პარტიისა და მთავრობის

შოწოდება. მურმანსკის გემშენმკეთებელი ქარხანაც საძრობლოს სამსახურში ჩადგა. რამდენი სამხედრო გემი დააზიანეს იმ დროს მტრებმა. საჭირო იყო მათი დროული და სრულყოფილი შეკეთება, ამიტომ იყო, რომ ძილი გაუკრთა დირექტორს, დღე და ღამეს ასწორებდა.

დამთავრდა ომი სასახელოდ და საბედნიეროდ. ადამიანები დაუბრუნდნენ მშვიდობიან ცხოვრებას, სწრაფად დაიწყო ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარება და ზრდა. მურმანსკი თევზის მრეწველობის ყველაზე უდიდეს ცენტრად იქცა. ახალი ლოზუნგი გაჩნდა „მივცეთ სამშობლოს რაც შეიძლება მეტი თევზი". ამ საქმეს სათავეში პლატონ საბანაძე ჩაუდგა და მთელი ჩრდილოეთის თევზის მრეწველობის სამმართველოს უფროსად დაინიშნა.

გენერალ-დირექტორი პლატონ საბანაძე დიდი ავტორიტეტი იყო თევზის მრეწველთა საქმიანობაში. ყოველდღიურად ჩრდილოეთ-ყინულოვან ოკეანეში 1200 თევზსაჭერი ხომალდი შლიდა ბადეს. ჩრდილოეთელი მეთევზეები სამშობლოს მილიონ ტონამდე თევზს აბარებდნენ წლიურად. მეურნეობას, რომელშიც 80.000 კაცი მუშაობდა, სათავეში ედგა ის ფოთელი კაცი, რომლის მამა ბედად გადაურჩა ზღვასა და ღელვას. მერე კვლავ ახალმა ორდენმა დაუმშვენა პლატონს მკერდი ჩრდილოეთში თევზის მრეწველობის განვითარების საქმეში განსაკუთრებული დამსახურებისათვის.

მალე პენსიამაც უწია პლატონს, მაგრამ ზღვებზე ნატარებ კაცს რა გააჩერებდა უსაქმოდ და ჩვენი რესპუბლიკის თევზის მრეწველობის ინიციატორობა აიღო ხელში. პლატონის სასახელოდ უნდა ითქვას, სულ მოკლე დროში საქართველოს თევზის მრეწველობამ არნახულ წარმატებებს მიაღწია.

პლატონს ვახსენებ და მახსენდება ის წლები, როცა მისი ინიციატივით საქართველოში ორაგულის ქვირითი ჩამოიტანეს. ორაგულები ჯერ მდინარეებში დაიზარდნენ, ხოლო შემდეგ შავი ზღვა ირჩიეს სამოსახლოდ, მაშინ, როცა ორაგულის მოშენებას თითქმის ორმოცდაათი წელი უშედეგოდ ცდილობდნენ ამერიკელი თევზის მრეწველები. ვახსენებ პლატონს, და მაგონდება ის წლები, როცა მისი ინიციატივით ჩინეთიდან ჩამოიყვანეს 27.000 სხვადასხვა ჯიშის ლიფსიტა და ჩვენს ტბებ-

ში გაუშვეს. ჰოდა, დაუშრეტელი ენერგიის კაცია, როცა ამ-ბობენ პლატონ საბანაძეზე, მე მაშინვე ვიგონებ მას ზღვებისა და ოკეანეების მესაიდუმლეს, დიდი გამოცდილების მქონე, უნარიან და სახელოვან ადამიანს, ზღვის სიყვარულმა რომ დარია ხელი და ერთგული დარჩა ამ სიყვარულის.

ზღვას დაარქვესო კაცის სახელი

სრული სვლით მივიწევთ წინ. ვშორდებით კოლის ნახევარკუნძულს. ბარენცის ზღვა საკმაოდ კარგად შეუსწავლიათ, ამ საქმეში პრიორიტეტი რუსეთს ეკუთვნის.

მე-15 საუკუნეში პორტუგალიელებმა გახსნეს ინდოეთის სავაჭრო გზა. ინგლისელები და ჰოლანდიელები იძულებული გახდნენ სხვა გასასვლელი ეძიათ სამხრეთ ზღვაში. ეს გზა იყო სწორედ ჩრდილო ყინულოვანი ოკეანე. სებასტიან კობოტმა-გეგმა შეადგინა, როგორ მოეძებნა ჩრდილოეთიდან ინდოეთსა და ჩინეთში გასასვლელი გზა. მანვე გაუკეთა ორგანიზაცია ვაჭრებისა და ახალი მიწების მაძიებელთა საზოგადოებას.

1553 წლის 20 მაისს პირველმა ექსპედიციამ დატოვა ინგლისი. ზეიმად იქცა მათი გასვლის დღე. ათასობით ინგლისელი აცილებდა მათ შორეულ გზებზე, მაგრამ საზეიმო განწყობილება ტრაგიკულად დამთავრდა. ნორვეგიის ჩრდილოეთ ნაწილის ნაპირებთან ძლიერი ქარიშხლის დროს, ხომალდებს ძალა გამოელიათ. ერთ-ერთი გემი, რომელსაც ჩენსლერი მეთაურობდა, ექსპედიციიდან შებრუნდა და ღუზა მურმანსკის ახლოს ჩაუშვა. 1554 წელს რუსმა მრეწველებმა იპოვეს დაღუპული მოგზაურები, სიციეს დაეჯაბნა 63 კაცი...

ინგლისელ მეზღვაურთა დაღუპვის შემდეგ ეს დიდი საქმე ვილჰელმ ბარენცმა გააგრძელა, რომელმაც 1594 წელს დაიწყო მოგზაურობა. ხომალდებს კორნელი ნაი და ვილჰელმ ბარენცი კაპიტნობდნენ.

4 ივლისს ბარენცმა მიაღწია ჩრდილოეთის მიწას და კუნძულის შორეულ სანაპიროსაკენ გასწია.

ისინი იყვნენ პირველი ადამიანები, ასე შორს რომ შეცუ-

რეს ყინულის სამეფოში. ნათქვამია, სიკვდილი ყოველთვის მაშაცებს ეძებსო და ბარენციც ვერ გადაურჩა მას. სიკვდილი ჭოგზაურს ჩრდილოეთის ერთ-ერთ ზღვაში მოეწია და ამ ზღვას მას შემდეგ ბარენცის ზღვა დაარქვეს.

ჩვენი ქარავანი კი არც ზღვას უშინდება და არც ქარტეხილს.

მარჯვნივ ვაიგაჩია, მარცხნივ — ახალი მიწა. ამ კუნძულზე საბჭოთა კავშირის პოლარული სადგურია, რომელიც 1931 წელს შეიქმნა.

მუსიკას სელაპებიც უსმენენ

გაოცებული არიან მეზღვაურები, შეიძლება ითქვას გულგატეხილებიც. ნახევარი გზა გავლიეთ და აისბერგები და ყინულები არსად ჩანს. მაგრამ ბიჭების ოცნება მალე ასრულდა.

ყინულეთი ჩვეულებრივად მდუმარედ დაგვხვდა. ზღვა ყინულითაა დაფარული, ზოგი თვითმფრინავს ჰგავს, ზოგი კარფანჯრიან სახლს, ჩვენ შევარჩიეთ დიდი ყინული, მოვდეთ მას ღუზა და დრეიფს მივენდეთ, ქარი მიაქანებდა ყინულს, ყინული ჩვენ გვეწეოდა.

დილით რადიო ჩავრთეთ. მუსიკის საამური ხმა მოედო ყინულეთს. რამდენიმე წუთში თეთრ ყინულზე შავი წერტილები გამოჩნდა, წერტილები თანდათან იზრდებოდა.

სელაპები, წამოიძახეს ბიჭებმა. თვალმოუცილებლად შევყურებდით ამ სურათს. როცა მუსიკა შეწყდა, ჩვენკენ მომავალი სელაპები უკან გაბრუნდნენ.

ალბათ ჩვენი შეეშინდათო, თქვეს მეზღვაურებმა.

— სწორედ შენი ლამაზი ცხვირის ნახვა მოენატრათ სელაპებს, — უკმეხად მიუგო ძია ვასიამ ერთ-ერთ მეზღვაურს, — სელაპებს აქ მხოლოდ მუსიკა იზიდავთ. — ამაზე ბორუნოვმა ხარხარი ატეხა, კომპოზიტორებიც ხომ არ არიან სელაპებიო. ვნახოთო, თქვა რადისტმა და რადიოს მიუბრუნდა. კვლავ სასიამოვნო ჰანგები მოედო სივრცეს, კვლავ შემობრუნდნენ სელაპები.

დავიჭიროთო, გადაწყვიტეს მეზღვაურებმა. ბოცმანის მეთაურობით ოთხი კაცი ნავით გაემართა სელაპებისაკენ, მაგრამ

მონადირეთა დანახვაზე სელაპები თვალსა და ხელს შუა გაქრნენ.

ცნობისმოყვარენი ახლა ყინულზე დაეშვნენ. ყინულებს მრგვალი ნახვრეტები ჰქონდა დატანებული. აქედან მოძვრებოდნენ სელაპები. ყინულზე გავწექით. სელაპი წყალქვეშ რვა წუთს ძლებს. ვითვლიდით წამებს. მართლაც, ნელ-ნელა ისევ ამოცოცდნენ ზევით.

გადავწყვიტეთ, ხვრელები დაგვეხურა. იქნებ პატარა სელაპი მაინც მოვიგდოთო ხელში, მაგრამ სელაპებმა მალე იგრძნეს საფრთხე და ისევ ხვრელებს ეცნენ. პატარა სელაპი კვალდაკვალ მისდევდა დიდ სელაპს, დიდი ხშირად შემობრუნდებოდა ხოლმე უკან — ეტყობოდა, დედა იყო და შვილის ბედი აწუხებდა.

ჩვენ ხვრელთან ვიდექით. ხარი რომ დაიბღავლებს ხოლმე ჩვენში, ისე დაიღრიალა დედა სელაპმა. გვინდოდა დედა გაგვცლოდა და ხვრელს მოვცილდით, მაგრამ დედა რისი დედა იქნება, თუ პირველი გავა სამშვიდობოს და შვილს დატოვებს. გვაჯობა სელაპმა ჭკუით. პირველად შვილი ჩააგდო ხვრელში, მერე თავად მიჰყვა....

ნადირობა მეორე დილით გაგრძელდა. როგორც იქნა, დავიჭირეთ პატარა სელაპი. იგი ერთი მეტრი სიგრძის იყო და ათ კილოგრამს იწონიდა.

პირატი ცნობისმოყვარეობით უცქეროდა, ეს კიდევ ვიღა არისო, კითხულობდნენ მისი თვალები. სახელდახელოდ გავაკეთეთ ფიცრის აბაზანა, წყლით ავავსეთ და სელაპი ჩავუშვით. მალე შეგვეჩვია. სიამოვნებით მიირთმევდა ხორცს, ზღვის ბალახს. ხშირად რადიოლას ჩავრთავდით და უნდა გენახათ მისი სიამოვნება. განსაკუთრებით ოთარ ფხაკაძე დაუმეგობრდა. მუსიკა უყვარს და ჩემს სიმღერას ობიექტურად ეს თუ შეაფასებსო. ღიღინებდა და ღიღინებდა სელაპის გვერდით. ამიტომ იყო, როცა სელაპი ზოოპარკს ვაჩუქეთ, ყველაზე მეტად ოთარს დაწყდა გული, მუსიკის ყადრი იცოდაო.

ზღვა, ზღვაური და მეზღვაურები

კარის ზღვის გაშლილ სივრცეში ვცურავთ, ყინულიან სივრცეში. ამ დიდ სიხარულს ვერ იტევს გული. ევროპასა და აზიას ჩრდილოეთით უნდა შემოვუაროთ. მაგონდება ომის მძიმე დღეები და ამ დღეთა გმირი კაპიტანი ანატოლ კაჭარავა. ვის არ სმენია ამ მამაცი კაცის ამბავი, ლეგენდად ქცეული მისი ცხოვრება, მისი ლამაზი სიყვარულის, გმირობის, ერთგულების ამბავი.

ყინულმჭრელმა „სიბირიაკოვმა" ჯერ კიდევ 1920 წელს დიდი ლენინის ბრძანებით ობის ხეობიდან დამშეულ ხალხს მიაწოდა პური. 1932 წელს ისტორიაში პირველმა სწორედ ამ ყინულმჭრელმა შეძლო აქამდე შეუძლებელი — ჩრდილოეთის საზღვაო გზის ნავიგაცია არხანგელსკიდან ბერინგის სრუტემდე. მაგრამ სულ სხვა იყო 1942 წელი, „სიბირიაკოვი" მორიგი რეისისათვის არქტიკაში ტვირთის წასაღებად ემზადებოდა. აგვისტოს პაპანაქება იყო, ყინულმჭრელის ტრიუმები სავსე იყო ძვირფასი ტვირთით. კაპიტან ანატოლ კაჭარავას მეთაურობით გემი გავიდა ზღვაში, მაგრამ... ო, არასდროს დაავიწყდება ანატოლს ის 25 აგვისტოს შუადღე, როცა ტაიმირის დასავლეთ სანაპიროებთან მეზღვაურებმა სამხედრო ხომალდი შეამჩნიეს. ეს იყო ფაშისტური რეიდერი „ადმირალ შეერი".

„სიბირიაკოვზე" საბრძოლო განგაში ატყდა. საზენიტო ქვემეხებთან ადგილი დაიკავეს არტილერისტებმა. დაიწყო ბრძოლა. საბჭოთა ყინულმჭრელი სუსტი მეტოქე ჩანდა მძიმე შეიარაღების მქონე ხომალდთან. ეს უთანასწორო შეხვედრა, ლეგენდასავით დარჩა ჩვენი პლანეტის ადამიანების გულში. ამ ამბავმა იმ დროს დიდი გამოხმაურება გამოიწვია. ამაზე ლაპარაკობდა საზღვარგარეთის პრესაც.

13 საათზე და 37 წუთზე „ადმირალ შეერმა" ცეცხლი გაუხსნა „სიბირიაკოვს". აღტაცებული იყო კაპიტანი მენდსენ ბოლკე, ხელთ შესანიშნავი ნადავლი ჩავიგდეთო. წინასწარ ზეიმობდა მსხვერპლზე გამარჯვებას, მაგრამ საბჭოთა ხომალდი მამაცურად შეება მასზე ძლიერს.

ბრძოლის დაწყებამდე კაპიტანმა კაჭარავამ მტკიცე გადაწყ-

ვეტილება მიიღო — დამარცხების შემთხვევაში ჩაეძირათ ხომალდი, მაგრამ ტყვედ არ ჩაბარებულიყვნენ. ყველა საბჭოთა მეზღვაურმა იცოდა რომ ბრძოლა დაუნდობელი იქნებოდა, თანაც უშედეგო, მაგრამ ისიც იცოდნენ, რომ სიცოცხლის ბოლო წუთებამდე უნდა ებრძოლათ და არ შეერცხვინათ მამული. ამაყად ფრიალებდა დროშა მაშინაც კი, როცა დაიჭრა თვით კაპიტანი, ეცემოდნენ მეზღვაურები, მაგრამ ზურგი არ უჩვენებიათ მტრისათვის. დროშა კვლავ ამაყად ფრიალებდა. მერე ცეცხლის ალში გაეხვია მთელი გემბანი. ბრძანება იყო, ცოცხლებს დაეტოვებინათ ხომალდი და შორეულ კუნძულ ბელუხასაკენ აეღოთ გეზი. მათ მძიმე პირობებში ძლივს მოახერხეს წყალში პატარა ნავის ჩაშვება. დაჭრილი კაპიტანი საიმედოდ მოათავსეს ნავში. გემზე მთავარი მექანიკოსი და გამშიფრავი დარჩნენ, რომლებმაც გემის დაღუპვამდე ცოტა ხნით ადრე დაწვეს შრიფტი და წერილობითი მასალები. ახსოვდათ კაპიტნის ბრძანება და მათ ხელი შეუწყვეს, რომ რაც შეიძლება მალე ჩაძირულიყო ხომალდი.

ბოლომდე პატიოსანი და მამაცური იყო საბჭოთა მეზღვაურების ბრძოლა, უთანასწორო, მაგრამ სასახელო. ფაშისტური კრეისერის გეგმა, ხელში ჩაეგდო მამაცი ეკიპაჟი, შეუსრულებელი დარჩა.

სწორედ კარის ზღვამ გამახსენა ამ შესანიშნავი ადამიანის ცხოვრება, ზღვამ, რომელსაც ასე დიდად აფასებდა ჭკვიანი კაპიტანი. ამაყად ფრიალებს დროშა ანძაზე, ვდგავარ გემბანზე და თვალს ვერ ვაცილებ ზღვას. თითქოს ვხედავ კიდეც დაღუპული გემის კიჩოს, თითქოს ტალღები ხელახლა მიამბობენ დიდი ხნის ნათქვამს...

მოულოდნელი შეხვედრა

1875 წელს ნორდენშელდმა აღმოაჩინა კუნძული დიქსონი. მოგზაური დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ამ კუნძულს, როგორც ნავსადგურს, რომლის საშუალებითაც მომავალში შესაძლებელი გახდებოდა ციმბირთან ურთიერთობის დამყარება. ნორდენშელდი არ შემცდარა.

კუნძულზე მთელი თვე ვიდექით. ვემზადებოდით, რადგან წინ მხოლოდ ყინულოვანი გზა გვედო. სწორედ დიქსონზე მოიპოვა მიხეილ მდივანმა ხელოსნის შესანიშნავი სახელი, როცა თავისი ხელით ნარდი გააკეთა, ორიგინალური და სასიამოვნო, ფოლადის კამათლებით... ჩვენ ხშირად ვთამაშობდით იმ ნარდით. ერთხელაც ჩვენთან ნარდის სათამაშოდ მოვიდა კაცი, მან სიხარულით ამავსო, თავშეკავებაც დამავიწყდა და კაპიტნობაც.

ეს კაცი გვარად ვასილჩენკო გახლდათ. ჩვენ გერმანიაში, ჰამბურგში დავმეგობრდით, სადაც თვალყურს ვადევნებდით დაკვეთილი გემის მშენებლობას.

1941 წლის 6 ივნისს დავტოვეთ გერმანიის სანაპიროები. ლიბავაში (ახლანდელი ლეიპაია) მოგვისწრო ომმა. შფოთავდა ბალტიისპირეთი. ომის გამოცხადების მეორე დღესვე ქალაქის კომენდანტის ბრძანებით გემის ეკიპაჟიც ჩადგა ქალაქის დამცველთა რიგებში. ჩვენ მაშინ ერთად ვიყავით, ერთად ვიბრძოდით უსამართლობის წინააღმდეგ. ქუჩიდან ქუჩამდე მივდევდით გაცოფებულ მტერს. გერმანელებს მკერდზე ავტომატები ეკიდათ. როცა მოედანს ვჭრიდი, ერთმა ოფიცერმა მიზანში ამომიღო და დამჭრა. ტკივილი არც კი მიგრძვნია. ფეხდაფეხ მივდევდი ხელში იარაღით. დავეწიე, ხელი წავავლე, ფერი დაკარგა მოწინააღმდეგემ. ავტომატი და გერმანული დიდი დანა ჩამოვართვი. მოკვლა არც მიფიქრია. რაღაცას ლუღლუღებდა ფერდაკარგული, ისედაც ფერმკრთალი ოფიცერი და გაოცება ეხატებოდა ვიწრო თვალებში, რად აყოვნებსო ჩემს სიკვდილს.

მე შემეცოდა მაშინ გერმანელი ოფიცერი. იქნება მასაც არ მოსწონდა ეს სისხლისღვრა, ომები, მაგრამ უბრძანეს და ავტომატი დაკიდეს გულზე.

სიტყვა არ მითქვამს. უკან გამოვბრუნდი და ვგრძნობდი ცისფერი ვიწრო თვალების გაოცებულ მზერას...

მერე ჭრილობებმაც შემახსენა თავი. ძმასავით მადგა თავს ვასილჩენკო. სადა გვაქვსო ასე უწყალოდ დასაღვრელი სისხლი, — ბუზღუნებდა და წყევლიდა ომის მომგონსა და მახსენებელს.

მერე ბალტიის ზღვაში გასულ გემს დაადგეს თვალი გერმა-

ნელებმა. ბომბები დაგვიშინეს საბჭოთა მეზღვაურებს. გემი დაგვიზიანეს. ჩვენ არ შევდრკით.

ამ ძველ ამბებს ვიგონებდით მე და ვასილჩენკო.

სულგანაბული გვისმენდნენ მეზღვაურები.

„მონათლულია“ ყველა მეზღვაური

ზღვისაკენ ეშვება დაბალი კონცხი. ეს ჩელიუსკინელთა კონცხია, რომლის აღმოსავლეთ მხარეზე დადგმულია პოლარული რადიოსადგური და გეოგრაფიული ობსერვატორია. იწყება სრუტე ბორის ვილკიცკისა, სრუტე. რომელიც აერთებს კარისა და ლაპტევის ზღვებს. სრუტე განიერია, გრძელი და ღრმა... გვერდით გვრჩება ჩრდილოეთის მიწა.

ვილკიცკის სრუტე ცნობილია ფათერაკებით. 1914 წელს გემი „ტაიმირი“ ყინულებს შორის მოექცა და ეკიპაჟი იძულებული იყო მაღლა აეწია გაჭირვების დროშა. საფრთხემ გაიარა, გემი გადარჩა, თუმცა მოუშუშებელი იარა მიიღო. ეკიპაჟს სურდა, თუ არ სურდა, ყინულებში უნდა გამოეზამთრებინა...

ჩვენ მშვიდობით გავლიეთ სახიფათო სრუტე. დაიწყო დღესასწაული. აყვირებდნენ საყვირებს, ცაში მაშხალებს ისროდნენ. ერთმანეთს კისერში ყინულის ნატეხებს უგდებდნენ, — ვინც პირველად გადიხართ სრუტეში, მოინათლეთო. მერე წყალში განზავებულ სპირტს სვამდნენ მეზღვაურები, „მონათლულ“ ადამიანებს ყინული ვერას დაგვაკლებსო. ლაპტევის ზღვაში შევცურეთ. „მონათლულია“ ყველა მეზღვაური. ჩვენს ახლოს ნაპირი „მოცურავს“, ალბათ ამ მიწაზე წერდნენ ძმები ლაპტევები 1741 წელს.

უდედოდ გაზრდილი ქეგლიუჩინი

შევდივართ აღმოსავლეთ ციმბირის ზღვის საზღვრებში. შორს, ჩრდილოეთით ჰენრიეტას და ჯენეტას კუნძულები ჩანან. წინ ვრანგელის კუნძული ძევს, რომლის გარშემო ყინულის უზარმაზარი ლოდებია აღმართული. ეს მთაგორიანი კუნძული

ჩუკოტკისაგან ლონგის სრუტითაა გამოყოფილი. ნაპირის გასწვრივ გადაჭიმულია პოლარული ტუნდრა, რომელიც ზაფხულობით ხავსითა და ბალახით იფარება.

გემბანზე ჩუქჩები გამოვიდნენ (მე დამავიწყდა მეთქვა, რომ ჩვენთან ჩუქჩებიც იმყოფებიან). მათთან ერთად მიეადექით ვრანგელის კუნძულს და კანჯოთი გავეშურეთ სანაპიროსაკენ. ლომვეშაპებიო, — წამოიძახა ვიღაცამ და მერე ყველამ დავინახეთ მიწაზე გაწოლილი ცხოველები. ლეკვები ზურგზე შემოესხათ დედებს, მათი ეშვები თეთრად ელავდნენ წყლის ზედაპირზე.

ლომვეშაპები სიგრძით 5 მეტრს აღწევენ და ხშირად ორ ტონამდეც კი იწონიან. ხამანწკითა და წვრილი თევზებით იკვებებიან. ჩუქჩებმა გაგვაფრთხილეს, ქარში ვერ ვინადირებთო, რადგან ლომვეშაპებს შესანიშნავი ყნოსვა და სმენა აქვთო. და მართლაც, გაისმა საშინელი ღრიალი. ეს გუშაგმა ლომვეშაპმა ამცნო საფრთხე თავისიანებს.

ამ დროს ერთმა ჩუქჩმა დაიღრიალა. გავიხედეთ და რას ვხედავთ, კანჯოში ზის უიარაღო ადამიანი და გააკებულ ლომვეშაპს ებრძვის. რა უნდა გვექნა? ლომვეშაპი ცდილობდა კანჯოში აძრომას, საშინლად ღრიალებდა. მეზღვაურმა ნიჩბებიც დაკარგა ბრძოლაში.

ჩუქჩებმა ყვირილი მორთეს — ხანდახან ესეც შველითო, მაგრამ საშიშროება უფრო ნათელი ხდებოდა. ღონეს კარგავდა მეზღვაური, მძლავრობდა მხეცი. როგორც იქნა, მეზღვაურებმა მოკლეს ლომვეშაპი. კეგლიუჩინი აღმოჩნდა, უდედოდ გაზრდილი ლომვეშაპი, ავი და ბოროტი. მეზღვაური გადარჩა.

გემზე ახალი სიცოცხლე გაჩნდა

ქალაქ ამბარჩიკს ვუახლოვდებოდით. აქ ხშირად მოდიან ჩვენი გემები. მაისის ბოლოს მდინარე კოლიმა ყინულებისაგან იწმინდება და თბება ზღვა და ხმელეთი. შორს გაწეულან ნავსადგურები, იქვეა ტუნდრა.

1909 წელს გიორგი სედოვმა ახალგაზრდა ოფიცერმა, ექსპედიცია მოაწყო მდინარე კოლიმის შესასწავლად.

24 ივლისს გავიდა მისი ექსპედიცია მაშინდელ ოკეანეში და აღმოსავლეთ ციმბირის ზღვით დიმიტრი ლაპტევის კონცხს მიადგა. დიმიტრი ლაპტევი 1739 წელს იყო აქ და მაღალი ხის შუქურა დაუდგამს ნიშნად. აქვე იპოვეს ნახევრად დანგრეული ბეღელი, სადაც ცხოვრობდნენ ჩრდილოეთის ექსპედიციის გმირები. სედოვი აწარმოებდა მეტეოროლოგიურ დაკვირვებებს, შეადგინა რუკა. ეს ყველაფერი იოლი როდი იყო. ექსპედიციის მონაწილეთ შიოდათ და სციოდათ, მაგრამ დიდი იყო დასახული მიზანი და მიაღწიეს სამუშაოთა მალე დამთავრებას.

და სწორედ ამ ბეღელთან მთელს ქარავანს მოედო ცნობა, ახალი სიცოცხლე დაიბადაო. ბიჭი გაჩნდა. მომლოცველებს ვერ აუდიოდა პატარა კაიუტა.

სახელდახელოდ მოვნათლეთ ვაჟი. კაპიტნის ბოგურას საზურავზე, მთავარ კომპასთან ავიყვანეთ პატარა. ხელში დავიჭირე და დავიწყე: ამ წლის ამა და ამ რიცხვში ამბარჩიკთან ახლოს დაიბადა მონა ღვთისა ამბარი... (ამბარი სედოვისაგან დატოვებული ბეღლის საპატივცემულოდ დავარქვით პატარას), დაე გაიზარდოს იგი გმირად, ვაჟკაცად და დაენათლოს: დედის კეთილი გული, დედის სითბო და დედის ღიმილი, მამის ნებისყოფა, მამის შუბლი და მამის გონება. დაენათლოს ჩვენი ტრფიალი ზღვისადმი. ჰქონდეს ძალა გრიგალად ქცეული ქარიშხალისა, უყვარდეს ზღვა და უყვარდეს ხმელეთი...

— ამინ!

— ამინ!

— ამინ!

ხმამაღლა ამბობენ ნათლიები, სახედამწვარი და მკლავღონიერი მეზღვაურები...

გემის ჟურნალში ივსება ახალი ფურცელი, ბიჭის დაბადებას რომ ამცნობს წამკითხველს.

ქორწილებსაც ვიხდით გემზე. ამბარის მშობლები გემზე დაქორწინდნენ. მოკრძალებული ღიმილით მოვიდა ჩემთან შეყვარებული ბიჭი და რჩეული მოიყვანა. სახე ალეწოდა ვერა კარანდაშოვას, ჩვენს რადისტსა და საყვარელ დას.

დაიწყო ტრადიციული კითხვები:

— თქვენი ნებით თხოულობთ ამ ქალს?

— დიახ!

— თქვენც საკუთარი სურვილით მიჰყვებით ცოლად მეზღვაურს?

— დიახ!

— შექმნით თუ არა მეზღვაურთა მტკიცე ოჯახს?

— დიახ!

— იცით თუ არა, რომ თქვენს მემკვიდრეს უნდა შეაყვაროთ ზღვა?

— დიახ!

— იცით თუ არა, რომ ეს ოჯახი უნდა იყოს ნამდვილი, ძეგობრული, წმინდა კავშირით შეერთებული?

— დიახ, — ისმის პასუხად.

მერე ჟურნალში იწერება საქორწილო ცერემონიის ყველა პირობა.

მერე ახალშეუღლებულები ახალ, მოზრდილ კაიუტაში გადაგვყავს და იწყება ტრადიციული მილოცვები... ვინ სუნამოთი ასიამოვნებს პატარძალს, ვინ ელექტროსაპარსით მიდის სიძესთან...

მერე იმართება წვეულება, ლოცავენ ახლადგაბედნიერებულთ...

ჩვენს გემზე მარტო ქორწილი და ნათლობა, ძეობა და სიხარული შემხვედრია დღემდე. სიკვდილი ღმერთმა გვაშოროს.

პირველი ნადავლი

1934 წლამდე შემორჩა ჩრდილოეთის კონცხს სახელი, რომელიც 1778 წელს ინგლისელმა მეზღვაურმა ჯეიმს კუკმა უწოდა. ეს ის კუკი იყო, სამყაროს ირგვლივ მესამე მოგზაურობისას ყინულებს რომ წააწყდა აქ და იძულებული გახდა უკან დაეხია. მაშინ მან დაასკვნა, წყნარსა და ატლანტის ოკეანეებზე გამავალი ჩრდილო საზღვაო გზა უაზრო გზა არისო. შეცდა ჯეიმსი. ახლა ჩრდილოეთის კონცხს შმიდტის კონცხი ჰქვია და მარჯვნივ ვუვლით კუკის გავლილ გზას.

ლონგის სრუტეში გავლისას ვიგონებთ ამერიკელ კაპიტან

ლოიგს, ოოძელძაც პიოველძა გაიარა ვრახგელის საძხრეთი საანაპიროები.

აი, ჩუკოტკის ზღვაც, რომელზედაც თავისებური წარმოდგენა ჰქონდა ჰაროლდ სვერდრუპს.

კაპიტანო, მცურავი კუნძული გვიახლოვდებაო, გამაღვიძა შტურმანმა ერთ დილას.

რუკას დავხედე. კაპიტნის ბოგურაზე ავედი, ჭოგრიტი მოვიმარჯვე. საკმაოდ დიდ მანძილზე ნათელი ლაქა ირწეოდა, იგი სწრაფად გვიახლოვდებოდა.

— გამოაცხადეთ განგაში, შეაჩერეთ სვლა, აანთეთ პროჟექტორები — ნაწყვეტ-ნაწყვეტად ვისროდი ბრძანებას. გემბანზე შეგროვდნენ მეზღვაურები, მერე ვიღაცამ თოლიები ახსენა, კარგად დავაკვირდით და მართლაც ასობით დავინახეთ თოლია, თეთრ კუნძულს რომ შემოხვეოდა. მერე ზღვის სიღრმიდან ამოხეთქა შადრევანმა, ვეშაპი შეგვხვდა.

როგორც ჩუქჩებმა აგვიხსნეს, ვეშაპი დაჭრილი იყო და თოლიებიც იმიტომ გათამამებულან ესე ძალიან. მოვკლათო ვეშაპი, — გვთავაზობდნენ ჩუქჩები; რაკი დაჭრილი იყო, მართლაც შეიძლებოდა მასზე ნადირობა და თორმეტი მეზღვაური კატარღით ჩაეშვა წყალში. სროლის ხმაზე თოლიებმა ყვირილით დატოვეს წყლის ზედაპირი. ვეშაპი გააფთრებულად ებრძოდა სიკვდილს.

მისი სისხლი მუქწითელ ზოლად გასდევდა ზღვას. მეორე კატარღაც ჩავუშვით მისაშველებლად. როცა ვეშაპს კუდზე ფოლადის გვარლი გამოდეს, ვეშაპმა გაიწია და წყალში ჩავარდა ერთი მეზღვაური. მალე მიეშველნენ.

მე ვანიშნებდი — დაბრუნდით-მეთქი, მაგრამ ბრძოლის ღირსეულად დაბოლოებაც მინდოდა მენახა. უკანასკნელი შეტევა და ტყვიით დაცხრილული ვეება სხეული ძლივს მოათრიეს ხომალდამდე. სამოც ტონამდე იქნებოდა. გემი ვანკარემას უახლოვდებოდა. ჩუქჩები ამაყად შესცქეროდნენ ნადავლს. არდადეგებზე ბრუნდებოდნენ შინაურებთან და თქვენ წარმოიდგინეთ, რა სიხარული ელოდათ მათ მშობლიურ ნაპირზე.

მართლაც, ზღვა ხალხი მოაწყდა ჩვენს გემს. ვეშაპი ნაპირზე გადაიტანეს. მარჯვედ და მოხერხებულად ატყავებდნენ ვეება ცხოველს.

ღამით სანაპირო ისევ აივსო მოსული ხალხით; ხელში ჭრაქები ეჭირათ, ჭრაქში ვეშაპის ქონი იწვოდა.

გაისმა სიმღერა, გაბმული და სევდიანი. სანახაობა ლამაზი იყო, თითქმის ზღაპრული. ეს თურმე წესად ჰქონიათ, მარჯვე ნადირობის აღსანიშნავად ზეიმს მართავენ. ვეშაპის ყბა შტურმანს გადასცეს, მან პირველმა შეამჩნიაო ცხოველი. მოზეიმეებში განსაკუთრებით გამოირჩეოდა ერთი მოხუცი ქალი, ბეწვით გაწყობილი ტყავის ტანსაცმელი ეცვა და ხელში ვეშაპის სისხლით სავსე ჯამი ეჭირა. ქალი ერთ-ერთი ჩვენი თანამგზავრი ჩუქჩის დედა იყო და სიხარულიც, ბუნებრივია, მეტი წვეოდა მას. ვეშაპი მისი ვაჟის პირველი ნადავლი ყოფილა.

გვიანობამდე მღეროდნენ ახალგაზრდები, მელოდიური, სევდიანი იყო ეს სიმღერები...

ქართველი ექიმები არქტიკაში

პროფესორმა გიორგი თვალაძემ, ამჟამად საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ანატომიის კათედრის გამგემ, 1931 წელს დაამთავრა საქართველოს სამედიცინო ინსტიტუტი და ფშავ-ხევსურეთის მთიან სოფლებს ეწვია. პირველი სამედიცინო პუნქტი მან გახსნა ფშავში, მაღაროსკარში.

თავისი პროფესიის უსაზღვროდ მოყვარული ექიმი კვალიფიკაციის ასამაღლებლად ლენინგრადში გაემგზავრა. 1938 წელს ჩრდილოეთის საზღვაო გზის უფროსის ოტო შმიდტის რჩევით და კაპიტან ვლადიმერ ვორონინის რეკომენდაციით, იგი ფლაგმან — ყინულმჭრელზე დაინიშნა ექიმად. თავის პროფესიას ახალგაზრდა ექიმი მშვენივრად უთავსებდა ჟურნალისტის საქმიანობასაც და გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველებს ხშირად მეტად საინტერესო ამბებს აცნობდა.

ბევრი რამა აქვს მოსაგონარი გიორგი თვალაძეს. იგი სიყვარულით იგონებს თავის კოლეგებსაც. არქტიკელებს ეძახის მათ: ანდრო აბაშიძესა და გიორგი ზედგენიძეს.

ანდრო აბაშიძე ამჟამად რესპუბლიკურ ბავშვთა საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების გამგეა თბილისში, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, გიორგი ზედგენიძე კი საბ-

ჭოთა კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნევროლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე.

სიამოვნებით იგონებს პროფესორი გიორგი თვალაძე არქტიკას, ყინულებს, აისბერგებს. მერე ფოტოალბომსაც დაგათვალიერებინებს. თუ ნდობა დაიმსახურე, კარადიდან მოზრდილ წიგნს გადმოიღებს... თავისი ხელით გადაუწერია „დიდმოურავიანი". ლამაზად ჩაუწიკწიკებია. მზითვად უნდა გავატანოო ჩემს ქალიშვილს.

შენზე სიმღერა არ მომწყინდება

ესეც ჩრდილო-ყინულოვანი ოკეანე, დაძლეული და გადალახული. ესეც ახალი გამარჯვება. ძმადშეფიცული ჩუქჩები და სტუმართმოყვარე ესკიმოსები, ყინულები თოვლივით თეთრი, მოლურჯო ფერი რომ გადაკრავს. აისბერგები, ცოდაწვდილი აისბერგები... რა მოგაბეზრებს მათ ცქერას, მაგრამ მაინც სხვა არის ჩემი მთები, ჩემი თერგი და ჩემი მყინვარი. მარად ცივი და მარად თოვლიანი მყინვარი. ილიასი არ იყოს, დიდებული რამ არის მყინვარი. არ მომწყინდება მისი ცქერა, მისი ტრფიალი... და მიხარია კეთილად რომ დავასრულეთ ეს გადასვლაც. გამარჯვებული ვბრუნდებით შინ.

კაცის დაკლება? ბუნებამ გვაშოროს ავი საქმე, ესოდენ მძიმე. ჩვენ შეგვემატა ადამიანი. ერთი კაცით მეტი ვბრუნდებით მშობლიურ წყლებში. ამბარი ჯერ ისევ უმწეოა, მის ცისფერ თვალებში არ ჩაუხედავს მშობლიურ ზეცას და ვეშურებით შინ მხიარულნი, გემზე ბიჭიანობა დაგვებედაო, იცინიან მეზღვაურები.

ჯერ მშობლიური წყლები ჩნდება, მერე ზეცა ჩამოიღვრება გემბანზე ლურჯად, მერე ნაცნობი თოლიები შეგვხვდება და... ვლადივოსტოკი. ისევ შენთან ვართ, ჩემო ქვეყანავ! შენზე სიმღერა არ მომწყინდება...

ისევ ექსპრესი მიგვაქროლებს ლენინგრადისკენ...

სამხრეთის უხვი მზე, ლურჯად მოკაშკაშე ცა და მოქნილი ლერწმები — ასე წარმოგვიდგა კუბა საბჭოეთიდან ჩასულ მეზღვაურებს.

კუბა! 115 000 კვ. კმ. ფართობის მქონე კუნძული, 7,3 მილიონი მოსახლეობა. უკეთ რომ ვთქვათ, კუნძული კი არადა მთელი არქიპელაგია, ატლანტისა და კარიბის ზღვით გარშემორტყმული, აღტაცება რომ მოჰგვარა კოლუმბს. ეს ყველაზე თვალწარმტაცია, რაც ოდესმე უნახავს ადამიანის თვალებს, — უთქვამს მას.

მძიმე მეტეოროლოგიურ პირობებში მოგვიხდა ცურვა. ბრაზობდა ატლანტის ოკეანე. ღელავდა ზღვაც და ღელავდა ქარიც. მცურავი დოკი მაინც დაუბრკოლებლად მიადგა კუბის ნავსადგურს. იწყებოდა გემების შეკეთება. ამ მიზნით ჩავიდა დოკი კუბაში. ასეთი მაღალი ხარისხის გემთშემკეთებელი ტექნიკა ჯერ არასდროს ენახათ არა მარტო კუბელებს, მთელ სამხრეთ ამერიკასაც.

რას წარმოადგენდა თავისთავად ეს მცურავი დოკი? ეს იყო უზარმაზარი ნაგებობა, შვიდსართულიანი სახლის ოდენა. ამ დოკით ჩვენ გადავცურეთ ბალტიკა, ჩრდილოეთის ზღვა, ატლანტის ოკეანე და სარგასის ზღვით შევედით ჰავანაში.

აზორის კუნძულებთან მაიაკოვსკი გამახსენდა: „ისე გაივლის ეს ცხოვრება, როგორც აზორის კუნძულები", — უყვარდა თქმა პოეტს და, მართლაც, შეუმჩნეველად გავიარეთ ეს კუნძულები.

უკან დარჩა მშვიდი აზორი და ჩვენს სიმშვიდესაც ბოლო მოეღო.

საგანგაშო ცნობა მიიღო რადისტმა, ატლანტის ცენტრალურ ნაწილში და კარიბის ზღვასთან ქარიშხლები მძვინვარებდა, განსაკუთრებით გაბოროტებულიყო „კლეო" და „ჰილდა".

მე ახლაც მიკვირს, რად ხდება ასე. რისხვადქცეულ ქარიშხლებს საზღვაო სამსახურში რატომღაც საალერსო სახელებით იხსენიებენ.

შორს იყო ჰავანა, ახლოს იყო ქარიშხლები და ძლიერ დარტყმებს უძლებდა დოკი, შევანელეთ სვლა, შუა ოკეანეში შევ-

ჩერდით. საჭირო იყო სწრაფი და სწორი გადაწყვეტილება. და მეც მივიღე ზომები. დოკი საგრძნობლად დავხარეთ, ამით შევაჩერეთ ტალღების ძალა, მერე შევცვალეთ ქარავნის კურსი. სამხრეთისაკენ გავწიეთ, რათა როგორმე თავი დაგვეღწია ამ სახიფათო ზონისათვის.

მოდიოდა ცნობები, დაიღუპაო გემი, ერთი, მეორე.

გრიგალი არ ცხრებოდა. ჩვენ კი...

როცა ჰორიზონტზე ჰავანა გამოჩნდა, ამოისუნთქა გემმაც და ეკიპაჟმაც. თვალს არ გვაცილებდა მრავალსართულიანი სასტუმრო „ჰავანა ლიბრე" (თავისუფალი ჰავანა), ალბათ უკვირდა, როგორ გადაურჩაო ეს გემი ღელვას.

აი, ჩვენ ჰავანაში ვართ. სასტუმროდან იწყება პირველი ნაცნობობა. ბინა „ნაციონალში" გვაქვს.

კუბელებთან პირველ გასაუბრებისთანავე ჩემი ყურადღება მიიქცია მათმა ტემპერამენტმა და მიმიკამ. როცა კუბელი იცინის, იცინის მისი თვალები, სახე...

კუბელების უმეტესობა მეტისებია, ესპანელებისა და ზანგების შერეული შთამომავლობა.

აქ არ არის რასობრივი დაყოფა. მე კარგად მახსოვს ფიდელ კასტროს ნათქვამი, კუბელია ყველა, ვინც კუბაში ცხოვრობსო.

ტელესტუდიაში საბჭოთა ხალხის სახელით მომიხდა გამოსვლა.

დოკზე საბჭოთა ალამი მოვხსენით და კუბის დროშა ავაფრიალეთ. ტრანსპორტის მინისტრის ბრძანებით დოკს ცნობილი რევოლუციონერის ხუანა ერნანდეს ტურას სახელი მიეკუთვნა.

შემდეგ საღამოზე მიგვიწვიეს. საზეიმო ნაწილის შემდეგ გაიმართა დიდი ბანკეტი. ფიდელ კასტრომ მადლობა გადაგვიხადა ასეთი დიდი დახმარებისათვის. მერე ჩვენ მეგობრული, გულღია საუბარი გვქონდა კასტროსთან.

ჩემი მისია, როგორც შორეული ცურვის კაპიტნისა, დამთავრებული იყო. ვემზადებოდი დასაბრუნებლად, როცა კუბელებმა წინადადება მომცეს ჰავანაში მცირე ხანს რამდენიმე სპეციალისტთან ერთად დავრჩენილიყავი და დავხმარებოდი. უარი არ მითქვამს. მალე ჩამოვაყალიბეთ მექანიკოსების, მოტორისტების, მეზღვაურების, დოკის სპეციალისტების კურსები. საერთო ხელმძღვანელობა მომანდეს. დანიშნული ვიყავი

აგრეთვე კუბის ფლოტის მშენებლობათა და შეკეთებათა მთავარ ინჟინრად.

შეაგროვეს ძლიერი და მონდომებული ბიჭები, დოკის მოშავალი ეკიპაჟი. დაიწყო მეცადინეობა.

ჩვენთან ერთად იყო ანტონიო გარსია — ზრდილი და ჭკვიანი ახალგაზრდა. მამამისი, მსხვილი ბურჟუა, ამერიკაში გაიქცა, რევოლუციამ შეაშინა იგი. შვილმა უარყო მამის გზა და მხარში ამოუდგა კუბელ მეგობრებს. იგი იბრძოდა რევოლუციის გამარჯვებისათვის.

მალე დოკმა პირველი კუბური ხომალდი მიიღო შესაკეთებლად. სიამოვნებით შევცქეროდი, როგორ კარგად მუშაობდნენ ჩვენი აღზრდილი კუბელები — დანიელო გუამრასი, ალვარეს კატალი...

როგორც კი თავისუფალ დროს ვიპოვიდი, ქალაქისაკენ მიმიწევდა გული და ერთხელაც...

თუშური ქუდი და ქართული ღიმილი

ის-ის იყო მანქანაში უნდა ჩავმჯდარიყავი, რომ საოცრად ნაცნობმა მელოდიამ უკან მომახედა. არა, ეს მარტო ნაცნობი მელოდია როდი იყო. უფრო მეტიც, ეს იყო რაღაც ძალიან ახლობელი, ძალიან შინაური.

იქ, თავისუფლების კუნძულის დედაქალაქში, რომელიც ვინ მოთვლის რამდენი ასეული კილომეტრით არის დაშორებული საქართველოდან, მესმოდა, როგორ უსტვენდა ვიღაც ასეთ ნაცნობ და ასე საყვარელ მელოდიას.

ის ვიღაც კი, თავზე თუშური ქუდით არხეინად იჯდა სასტუმრო „ნაციონალის“ წინ მდებარე პატარა ბაღში და უდარდელად უსტვენდა.

ვინ შეიძლება იყოს, თუ არა ქართველი? თუმცა ამ სიმღერას ახლა მსოფლიოს ყველა ენებზე მღერიან. იქნებ კუბელმაც შეიტკბო ტკბილ-ქართული მელოდია? მაგრამ კუბელს რომ არა ჰგავს? იქნებ ინგლისელია, იქნებ ამერიკელი. რად ახურავს თუშური ქუდი? რად აქვს ასე საოცრად მეტყველი

თვალები... დასტურ ქართველია, და მე ჯიქურ მივიჭერ ძელ-სკამზე მჯდარ მამაკაცთან.

— თქვენ ქართველი ხართ? — ქართულად შევეხმიანე და არც შევმცდარვარ. მას გაოცებისაგან თვალები გაუფართოვდა, მერე მოჭუტული მზერა მესროლა, ერთხანს უხმოდ შემომჩერებოდა, მერე სიხარულით წამოიწია...

არა, არასდროს დამავიწყდება ის მოულოდნელი შეხვედრა იქ, თავისუფლების კუნძულის დედაქალაქში. ვფიქრობ, სერგი ნარიკაშვილიც იზიარებს ჩემს აზრს.

ჩვენ დიდხანს ვიჯექით სასტუმროს წინ და ვსაუბრობდით საქართველოზე, თბილისზე. სულ ცოტა ხანში მე უკვე ვიცოდი თანამემამულის ვინაობა, მისი კუბაში ჩამოსვლის მიზანი.

სერგი ნარიკაშვილი ქართველი მეცნიერია.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ შეუდგა დამოუკიდებელი ცხოვრების გზას.

ახალბედა ექიმი...

ფიზიოლოგიის ინსტიტუტის სწავლული მდივანი,

ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე,

ინსტიტუტის დირექტორი...

რომელი ერთი ჩამოვთვალო:

სერგი ნარიკაშვილი — პროფესორი,

სერგი ნარიკაშვილი — მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.

სერგი ნარიკაშვილი — მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

ყველაფერი ეს როდი მოსულა ერთად, იოლად. რამდენი უძილო ღამე, რამდენი ძიება. ემატებოდა ხარისხს ხარისხი, იბეჭდებოდა შრომები, ასე რომ ასახელეს ღვაწლმოსილი მეცნიერი, მერე ამ შრომებს ეცნობოდნენ პრესაში, ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც გავიდა ხმა, ამიტომ იყო მიწვეული საერთაშორისო კონგრესებზე და სიმპოზიუმებზე არგენტინაში, იაპონიაში, ჰოლანდიაში, ბრაზილიაში, მექსიკასა და კუბაში, სადაც უცხოელმა კოლეგებმა დიდი ინტერესით მოისმინეს მისი მოხსენებანი.

კუბაში იგი ჩემ გარდა შეხვდა თანამემამულეს პროფესორ თეოფანე დავითაიას.

საინტერესო შთაბეჭდილებები გამოჰყვა სერგი ნარიკაშვილს კუბიდან. კუბაში ხომ პირველად იყო მოწვეული საერთაშორისო სიმპოზიუმი და სწორედ ფიზიოლოგებს ხვდათ წილად ამ პირველ სიმპოზიუმში მიეღოთ მონაწილეობა. არ შეიძლება სიამაყით არ აღვნიშნო ის ფაქტი, რომ ესოდენ დიდი მნიშვნელობის სიმპოზიუმი სერგი ნარიკაშვილმა გახსნა. როგორი წარმატება ხვდა მის მოხსენებას? ამაზე მასთან ერთად წარგზავნილებს ალექსანდრე როიდბაკს და ვაჟა ოკუჯავას დაუსრულებლივ შეუძლიათ საუბარი. მოხსენებას მაღალი შეფასება მისცეს მსოფლიოს გამოჩენილმა ფიზიოლოგებმა. მასპინძლებმა კი თავიანთი კმაყოფილება იმით გამოთქვეს, რომ სიმპოზიუმის დამთავრების შემდეგ ორი კუბელი ფიზიოლოგი საქართველოში მოავლინეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტში პროფესორ ნარიკაშვილთან.

ის ხომ ქართველია

ჰავანაში ყოფნისას მე ყოველთვის იმ რესტორანში ვსადილობდი, რომელიც მხოლოდ საბჭოთა სპეციალისტებისათვის არის განკუთვნილი. მიუხედავად იმისა, რომ კუბაში თანამემამულესთან შეხვედრაზე ფიქრიც კი ზედმეტად მეჩვენებოდა, როცა სერგი ნარიკაშვილს შევხვდი, სადღაც გულის კუნჭულში კვლავ აკიაფდა იმედის შუქი, — ხომ შეიძლება კიდევ შემხვედროდა ქართველი და თქვენ წარმოიდგინეთ, ჩემი სიხარული, როცა პირისპირ აღმოვჩნდი თბილისელი კაცის წინაშე. სანამ მასთან მისვლას გადავწყვეტდი, დიდხანს ვესაუბრებოდი ჩემს თავს — იქნებ სულაც არ არის ქართველი, მერე რა, რომ ქართული იერი აქვს, სახის ნაკვთებიც ქართული. თანაც ჩემს სასიამოვნო ფიქრებს წყალი გადაასხა ორმა ჰავანელმა ახალგაზრდამ, რომლებმაც გვერდით ჩამიარეს და სწორედ იმ კაცზე შეაჩერეს მზერა, რომელიც მე ქართველი მეგონა.

„კოფუდადორ“, — ერთხმად წარმოთქვა ორივემ. მე ცოტა ოდენი ესპანური ვიცი და გამიკვირდა, რატომ უწოდეს იმ კაცს კოფუდადორი, რაც ესპანურად თანადამაარსებელს ნიშნავს. მერე უფრო დაჟინებით მივაჩერდი იმ კაცს, მის სიარულსაც

მივაქციე ყურადღება და უკვე ეპვი აღარ მეპარებოდა, რომ სწორედ ქართველი კაცი მიდიოდა ჩემ წინ, ქართული, დამახასიათებელი წარმოსადეგობით.

— თქვენ ქართველი ხართ!—გზა გადავუჭერი სასტუმროსკენ მიმავალს.

ერთი შეხედვით არაფერი შეიმჩნია, დიახო, მიპასუხა თავშეკავებით, მაგრამ როცა მის თვალებს შევხედე, მივხვდი, როგორი სიხარული იმალებოდა ამ თავშეკავების მიღმა. თვალები სიხარულით აუკიაფდა, რომლის დამალვა არც უცდია და არც შეეძლო პროფესორ თეოფანე დავითაიას.

დაიწყო ჩვეულებრივი, გულახდილი საუბარი. ფრთხილად შევაპარე, რად გეძახიან-მეთქი კოფუდადორს. თურმე ნუ იტყვით: ჩემი თანამემამულე უკვე რამდენი ხანია, რაც სასტუმრო „ნაციონალში" ცხოვრობს მოსკოვის უნივერსიტეტის გეოგრაფიის ფაკულტეტის დეკანთან პროფესორ ალექსანდრე რიაბჩიკოვთან და საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიის ინსტიტუტის ლათინური ამერიკის ქვეყნების განყოფილების უფროსთან იაკობ მაშბიცთან ერთად. ეს საბჭოთა მეცნიერების ჯგუფი, რომელსაც ჩემი თანამემამულე ხელმძღვანელობდა, კუბის მეცნიერებათა აკადემიის მიერ ყოფილა მიწვეული ჰავანაში. ჯგუფის ძირითადი მიზანი იყო, დახმარებოდნენ კუბის მეცნიერებათა აკადემიას გეოგრაფიული კვლევის ორგანიზაციის საქმეში.

წინათ კუბაში განვითარებული იყო მხოლოდ შაქრისა და თამბაქოს მრეწველობა. ვინაიდან ამერიკა შაქარსა და თამბაქოს ცოტა რაოდენობით აწარმოებდა და კუბა ამერიკისაგან მხოლოდ 140 კმ-ით არის დაცილებული, ამიტომ ამერიკელებმა გადაწყვიტეს, კუბაში მხოლოდ ის ნაწარმი დაემზადებინათ, რაც მათ სჭირდებოდათ. რაც შეეხება, თვით კუბელი ხალხის მოთხოვნილებას, საჭირო საქონელი, პური იქნებოდა ის თუ რძე, ტანსაცმელი თუ ბეწვეული, ხილი თუ სასმელი, შემოზიდული იქნებოდა ამერიკიდან. ამრიგად, კუბა ამერიკელებისათვის შესანიშნავი ბაზარი იყო, სადაც თავისუფლად ასაღებდნენ ჭარბ საქონელს.

ეს იყო წინათ.

რევოლუციის შემდეგ, ამერიკამ საქმიანი ურთიერთობა

გაწყვიტა კუბასთან და კუბა კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა.. რა უნდა ექნა იმ ხუთი მილიონი ტონა შაქრისათვის, რომელსაც იგი ამერიკელებისათვის აწარმოებდა? საჭირო იყო სხვა გზის გამონახვა და კუბამ მიზნად დაისახა ყველა დარგში განვითარებინა მეურნეობა. ამისათვის კი საჭირო იყო ბუნებრივი რესურსების ღრმად და საფუძვლიანად შესწავლა, რათა დაედგინათ, სად და რომელ რაიონში შეიძლებოდა ამა თუ იმ დარგის განვითარება. აი, ამიტომ იყვნენ მოწვეულნი ჰავანაში საბჭოთა მეცნიერები, რომელთა მეშვეობით ხუთი თვის განმავლობაში დაარსდა გეოგრაფიის ინსტიტუტი.

საბჭოთა მეცნიერებს კუბის მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიის ინსტიტუტის თანადამაარსებელნი შეარქვეს და სპეციალური დიპლომები გადასცეს. აი, თურმე რად ახსენეს წეღან სიტყვა კოფუდადორი.

ხუთი თვის განმავლობაში ჩვენ ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს, მალე მე ყველაფერი ვიცოდი ჩემი თანამემამულის ცხოვრებაზე.

ერთ დღეს თეოფანე დავითაია მეწვია და მილოცვის ტექსტი შემოიტანა. ახლოვდებოდა 8 მარტი — დღე ჩვენი დედების, ჩვენი სახელოვანი ქალების. მე შევთავაზე მოულოდნელი სიურპრიზი ქართველი ქალებისათვის.

როდესაც ვმოგზაურობ, მუდამ თან დამაქვს საბეჭდი მანქანა ქართულ და რუსულ ენებზე. ჩვენ ქართულად დავბეჭდეთ მისალოცი ბარათები, რასაც თურმე დიდი სენსაცია მოჰყვა აქ თბილისში, როცა კუბიდან ქართულად დაბეჭდილი ბარათები მიიღეს ინსტიტუტის თანამშრომელმა ქალებმა, შინაურებმა და მეგობრებმა.

ცხოვრების საინტერესო გზა აქვს გავლილი პროფესორ თეოფანე დავითაიას. სკოლისა და ინსტიტუტის წლები საქართველოში, მერე ლენინგრადი, მთავარი გეოფიზიკური ობსერვატორიის ასპირანტურა, ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა სრულიად საკავშირო აკადემიის დოქტორანტურა, შემდეგ მოსკოვი, ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის მთავარი სამმართველოს მმართველის მოადგილე სა მეცნიერო დარგში, ისევ თბილისი, ასე თბილი და მშობლიუ

რი. გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორს კარგი მოგონებანი გამოჰყვა ლენინგრადიდან, მოსკოვიდან.

და ვიგონებდით ჩვენი ცხოვრების განსაკუთრებულ დღეებს იქ, ჰავანაში, გავიხსენეთ ომის მრისხანე დღეები, რომელიც არასდროს არ გვავიწყდება; ვეკითხებოდი თავის ქალიშვილზე. იგი ერთნაირი აღტაცებით საუბრობდა შვილზე და შრომებზე. 140 შრომა აქვს გამოქვეყნებული პროფესორს.

როცა თეოფანე დავითაია გავიცანი, იგი პირველად იყო კუბაში. მერე მეორედაც გაგზავნეს. სიხარულით შეხვდნენ მასპინძლები აკადემიკოსის მეორედ წვევას. ჰავანაში უკვე კარგად იცნობენ ორდენებითა და მედლებით მრავალჯერ დაჯილდოებულ გამომგონებელსა და მეცნიერს, პროფესორიც კმაყოფილი დარჩა კუბელების დაძაბული შრომით.

პროფესორის მაგიდაზე უცხოეთიდან მოსული მრავალი კონვერტი აწყვია მუდამ. წერილები მოდის ამერიკიდან, ინგლისიდან, საფრანგეთიდან, ბრაზილიიდან, ვენეციიდან, კუბიდან, ბელგიიდან, შვეციიდან, ჩინეთიდან, ესპანეთიდან, აფრიკიდან, საბერძნეთიდან, ყველა დემოკრატიული ქვეყნიდან.

იწერებიან უცხოელი კოლეგები, ზოგს თავისუფლად კითხულობს აკადემიკოსი, ზოგის წაკითხვისას ლექსიკონს იყენებს და ლექსიკონის დახმარებითვე ადგენს წერილის პასუხს...

საქართველოში უფრო გაღრმავდა ჩვენი მეგობრობა. აკადემიკოსი თეოფანე დავითაია დიდი სტუმართმოყვარე კაცია, მის ოჯახში ხშირად იკრიბებიან ნაცნობ-მეგობრები. საქმიანი საუბრები, კამათი მეცნიერების ირგვლივ სადღეგრძელოებით მთავრდება და არცაა გასაკვირი: ის ხომ ქართველია.

ჰავანაში შეშელიძეებიც ცხოვრობენ

რაკი ქართველებზე დავიწყე საუბარი, კიდევ გაგაცნობთ ჩვენს თანამემამულეს, ინჟინერ-ჰიდროლოგს ივანე შეშელიძეს, რომლის ოჯახთან ერთად მე დავათვალიერე თავისუფლების კუნძული. ჩვენ ერთად დავდიოდით თეატრებსა და მუზეუმებში, საღამოებსა და კონცერტებზე და ყველგან ვგრძნობდი,

რომ კუბელებს ძლიერ შეჰყვარებოდათ ეს ულვაშებიანი კაცი, ერთი შეხედვით რომ გათქვამს თავის თავს. ახლა მის ცოლ-შვილს აღარ იკითხავთ? — შესანიშნავი მეუღლე, მეგობარი და თანამზრახველი. შვილები? ნანსა და ირაკლის მთელი ჰავანა იცნობს.

ერთხელ კუბის სახალხო პოეტმა ნიკოლას გილიენმა ერთ-ერთ რესტორანში ჩვენთვის სადილი გამართა. სადილს შეშელიძეებიც დაესწრნენ. მე თავი ვალდებულად ჩავთვალე სამაგიერო სადილი გამემართა პოეტისა და მის წვეულთათვის.

შესანიშნავი დიასახლისი გამოდგა ელიტა, ორ დღეში ყველაფრის გაკეთება მოასწრო და, როცა სტუმრებმა მის სახლში, სადაც ბანკეტი იყო გამართული, მოსვლა იწყეს, სასადილოში უკვე გაშლილი იყო სუფრა სამოცი კაცისათვის. აქ იყვნენ მწერლები, პოეტები, ქალაქის ხელმძღვანელი ამხანაგები. იყო ჩემი თანამემამულე თ. დავითაიაც, ჰავანაში გაშლილი იყო ქართული სუფრა. თავს იწონებდნენ ლობიო და საცივი, სულგუნი და მჭადი... რამდენი მზარეული გყავდათო მოწვეული, — დაინტერესდნენ სტუმრები. ძალიან გაუკვირდათ, როცა ელიტა აღმოჩნდა მიწვეულიც და დამხვდურიც. მერე ყოველდღე დადიოდნენ შეშელიძეების ოჯახში კუბელი დიასახლისები, ჩვენც გვასწავლეთო ქართული კერძების დამზადება.

ნიკოლას გილიენმა თავისი წიგნი მაჩუქა. მეც, ჩემის მხრივ მივუძღვენი საჩუქარი ახლადშეძენილ მეგობარს.

დღითი დღე მაყვარებდნენ თავს ნანა და ირაკლი. მათთან ერთად დავდიოდი ქუჩებში, ვიყავი და ვნახე ის ადგილი, სადაც დაიღუპა ბათუმელი აგრონომი ლევან ქიქავა. ობელისკზე გულთბილი სიტყვებია: „ლევან ქიქავა, სსრკ მოქალაქე დაიღუპა 1962 წლის 21 მარტს. ემსახურებოდა სამშობლოს და ეხმარებოდა კუბელ მშრომელებს.“

ლევანის სახელი დაარქვეს გაერთიანებული მეურნეობის ახალგაზრდა კომუნისტურ ასოციაციას. მის სახელს ატარებს სკოლა-ინტერნატი, რომელიც საბჭოთა მეგობრებმა საჩუქრად აუშენეს კუბელ პატარებს.

...და იყო თურმე ცრემლი, ტირილი, როცა ლევანის ცხედარი თვითმფრინავით ჩამოუსვენებიათ ჰავანაში.

გემს სიცილით ხვდებიან ყველა ნავსადგურში. ბათუმში კი ცრემლით შეხვდნენ იმ გემს, ლევანის ცხედარი რომ ჩამოუტანა გამწარებულ მშობლებს და მეუღლეს.

ეს შენი სახლია, ფიდელ!

მე ჩემს მეგობრებს მწერალ აბელარდოსა და მხატვარ ედუარდს ქალაქში მივყვები. ნიკოლოზ ჯაშზე მეკითხებიან, თუ იცნობო და მეც ხალისით ვყვები თბილისელ ვაჟკაცზე, მოსაყოლი არ მელევა.

მერე ჰავანას თავისებურებაზე გადამაქვს საუბარი. კუბაში სპეციალური გაჩერებები არ არის. ავტობუსს იქ გაგიჩერებენ, სადაც შენ გსურს. ეს წესი ურიგო არ არის და უფრო ხელსაყრელია მოსახლეობისათვის. მსუბუქ მანქანაში მძღოლის გვერდით ორი კაცი თავსდება თავისუფლად. იოლია კუბელი დამტარებლის სამუშაო. იგი როდი თვლის თავს ვალდებულად დაიაროს მაღალი და დამღლელი სართულები. ოსტატურად ისვრიან ფოსტას ღია ფანჯრებში, დახვეული ჟურნალ-გაზეთები თავისუფლად მიფრინავენ მესამე და მეოთხე სართულამდე.

რესტორანი?

რესტორანში არ არის სინათლე. ინტიმურ გარემოს ქმნის კუთხეში დადგმული მბჟუტავი სანთლები.

ჰავანაში მრავლად არის ქოქოსის პალმები, 207 სახეობისაა ეს პალმა. იგი დარგვის მეექვსე წელს იძლევა ნაყოფს და 50 წლის განმავლობაში არ კარგავს უნარს ნაყოფიერებისას. 40-50 მეტრამდე იზრდება ქოქოსის პალმა, მისი კაკალი 8 კგ. იწონის.

არც კაქტუსების სიღარიბეს განიცდიან კუბელები, მწვანე ფერი მოსძალებია ჰავანას. მწვანე ფოთლებზე აწერია:

ვივა კუბა! და ვივა ფიდელ!
ყველა სახლი მორთულია პლაკატებით:
„ეს შენი სახლია ფიდელ!“

რამდენი სახლიც დგას კუბაში, იმდენი ბინა ჰქონია ფიდელს, უნებურად მაგონდება, ამერიკის შეერთებულ შტატებში ყელზე თოკწაჭერილი რომ ვნახე ფიდელის სურათი.

აქ კი...

აქ კი სხვაგვარადაა საქმე. ფიდელი ყველა კუბელის მეგობარია, ყველას დამცველი და მასწავლებელი.

მახსოვს, ერთხელ, რესტორანში ფიდელ კასტრო შევიდა, თან ძმა რაულიც ახლდა.

მოაწყდა ხალხი შესასვლელს. დიდხანს იდგნენ და ელოდნენ ბელადის გამოსვლას.

შესანიშნავი ორატორია ფიდელი. დიდებული ლოგიკა აქვს, აზრი, რწმენა...

ფიდელი შრომის დიდი ქომაგია. ხშირად თვითონ ჩადგება მუშებში და ხელდაკაპიწებული მუშაობს.

კუბელებს უყვართ რუსეთი და დიდ ყურადღებასაც უთმობენ რუსული ენის შესწავლას.

მახსოვს, ნავსადგურში კუბელი ქალიშვილი მეწვია და რუსულად მესაუბრა, გოგონა ჰავანის პედაგოგიურ ინსტიტუტში გატაცებით ეუფლებოდა რუსულ ენას.

მერე ჩვენ მილიარდერი დიუპონის სახლში წაგვიყვანეს. იქ ამჟამად მუზეუმია, რომლის ერთ-ერთმა თანამშრომელმა სიამაყით გვიჩვენა სამკერდე ნიშანი, ვალენტინა ტერეშკოვას რომ უჩუქებია მისთვის.

მუზეუმი შესანიშნავად არის მორთული. კედელზე დიუპონის ასულის სურათებიც ჰკიდია. ეს მილიარდერი კაცი სულ რაღაც ოთხი თვით ყოფილა ჩამოსული და 67 კაცი ემსახურებოდა თურმე.

ვიყავით ვარადეროს პლაჟზე, მსოფლიოში რომ გაითქვა სახელი წვრილი ქვიშით. ბანაობა გადავწყვიტეთ. კუბელებს გაუკვირდათ, რაღა დროს წყალში ჩასვლაო ამ სიცივეში. ტემპერატურა კი 22-24 გრადუსზე მაღალიც იყო, მაგრამ კუბაში ეს უკვე ზამთარს ნიშნავს...

ჰავანაში არის ნაპოლეონის მუზეუმი. აქ ინახება ნაპოლეონის ტანსაცმელი და იარაღი. ფრანგებს შურთ უდავოდ, რომ კუბაში ნაპოლეონის ასეთი მუზეუმია. მერედა რატომ? ერთ კუბელ კაპიტალისტს გადაუწყვეტია შეექმნა ნაპოლეონის მუზეუმი, რაზეც უამრავი თანხა დაუხარჯავს. მუზეუმში სიამოვნებით გიამბობენ ნაპოლეონის ცხოვრებაზე წმიდა ელენეს

კუნძულზე... შთაბეჭდილებათა წიგნში ქართულად ჩავწერეთ.

ჰემინგუეის სახლ-მუზეუმსაც ვეწვიეთ. მის აღწერას აქ არ მოვყვები. ვიტყვი მხოლოდ რომ იქ ახლაც იგრძნობა მწერლის სუნთქვა.

ბევრი გამეგონა ცნობილ გამოქვაბულზე, შემთხვევით რომ აღმოაჩინეს 1861 წელს, ახლა იგი ვეება მუზეუმად ქცეულა. ლაბირინთების სიღრმე 48 მეტრამდეა, სიგრძე — 1500 მეტრი.

იატაკამდეა დაშვებული უზარმაზარი ლოლუები. ქვევით ვეება საცეკვაო დარბაზია, გვერდით ტბა, აქ მოსურვებია ამერიკელ სტუდენტს ბანაობა და ჩაძირულა. მერე „ჯოჯოხეთის“ გალერეა იწყება, სადაც ადამიანები მიცვალებულებს ემსგავსებიან.

გვირაბში კვლავ მიმდინარეობს სამუშაოები, რომელსაც კუბის აკადემიის პრეზიდენტი ნუნიეს ხიმენესი ხელმძღვანელობს.

ვიყავით თეატრშიც, რომლის ფარდა ჯერ კიდევ 400 წლის წინათ ასწიეს. თეატრის შექმნაში დიდი წვლილი მიუძღვის მწერალსა და მსახიობს ფრანცისკო კოვარუბიასს.

ვიყავით გარსია ლორკას სახელობის ოპერის თეატრშიც, სადაც მოვისმინეთ ერნესტო ლესიონის „მარია ლა ო“. ვიყავით თოჯინების თეატრშიც... საერთოდ მე ჰავანაზე შეყვარებულად მთვლიან და მეამაყება ეს სიყვარული.

არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს...

მაგრამ საოცარი ძალით მეწევა უკან სიყვარული, უფრო დიდი და უფრო ძლიერი. ეს არის ჩემი ქვეყნის სიყვარული. ჩემი მამულის სითბო და ჩემი მიწის სურნელი... მეც ფრთებშესხმულივით ვბრუნდები უკან, სადაც სიყვარულით მელიან ჩემიანები. მელიან ოთარ ფხაკაძე და მიხეილ მდივანი, ნოდარ ალექსიძე, მელიან თბილისში, რადგან კუბაში არ უმოგზაურია არც ერთ მათგანს. ოთარი ახლა საქართველოს ოპერისა და ბალე-

ტის თეატრში მუშაობს რეჟისორად და მაინც ზღვის ტრფიალია. მიხვილ მდივანი რესპუბლიკის პროკურატურის გამომძიებელია. ზღვამ ვერც მას დაავიწყა თავი და უნდა ნახოთ მისი სიხარული, როცა ზღვისპირა ქალაქებში აქვს მივლინება.

მე მელოდებიან ახლა ისინი. გამოვძებნით მყუდრო კუთხეს მცხეთის მარანში ან წითელ ხიდზე და ვუამბობ, როგორ ღელავდა ზღვა, როგორ გადარჩა ჩვენი დოკი, როგორი სიხარულით შეხვდნენ კუბელები ამ დოკს. ვუამბობ ახლადშეძენილ მეგობრებზე, ვუამბობ სერგი ნარიკაშვილზე, თეოფანე დავითაიაზე, შეშელიძეებზე...

მშობლიურ ნაპირს მოადგა გემი

იცით, როგორია, საბჭოთა მეზღვაური? ზღვათა და ოკეანეთა მპყრობელი. ღონიერი და ძლიერი. ბრინჯაოსფერი მოსდებია მის სახესა და ხელებს.

თვალები?

თამამი მზერა აქვს მეზღვაურის თვალებს, სიამაყე ჩანს იმ მზერაში, სამართლიანია ეს სიამაყე.

ოცდაათი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც პირველად გავიცანი ზღვა. ბევრი გადამილახავს ზღვები და ოკეანეები. ჩემს მამაც მეზღვაურებთან ერთად ვწვევივარ თითქმის ყველა ქვეყანას, მომისმენია გერმანელი ქალის ამბავი, მუხლი მომიყრია ტექსელზე, ნისლში მცურავი გამზირით ვწვევივარ მადამ ტიუსოს, ვყოფილვარ, სადაც ყიდიან ადამიანებს, ტაში დამიკრავს მამაცი ტორეადორისათვის, მიცქერია, როგორ ინთებიან და ქრებიან „ვარსკვლავები“ სენსაციისა და რეკლამების მხარეში, მინახავს ლონდონის სახლი და ლონდონის ლუდხანა, მინახავს დოლარი, დოლარზე შეყვარებული ადამიანები, სენკლოუელი პენი ბენერი, დავმტკბარვარ ჰავაური გიტარის ხმებით, თვალი დამიდგამს ტალღებზე მოსეირნე ჰავაელთათვის, დამიყნოსია შავი და ცისფერი ვარდი, მინახავს ხიროსიმა... სკანდინავიის ნახევარკუნძული, ჩრდილო ოკეანე, „მარსელიოზას“ ქალაქი,

ელისეის ტურფა მინდვრები... გიდად მყოლია ლამაზი სევერია, ვყოფილვარ იტალიაში, მთის არწივების ქვეყანასაც მიდგომია გემები ჩვენი, სტამბოლში გამიცვნია პატარა იუსუფი, მინახავს კრემლი პრაღაში, მომისმენია ბელგრადის მამლის ყივილი და ავყოლივარ გამზირს დუნაით. ავმაღლებულვარ მზესთან და პირამიდებთან, შემფეთებია ჩადრში გახვეული სილამაზე, მინახავს ფარაონების სამუდამო განსასვენებელი, მინახავს ჯიბუტი, მანიკოიზე მქონია პაემანი, მივლია ჯაკარტას ქუჩებში და შევხვედრივარ ყოვლისმძლე ნეპტუნს.

მინახავს მაგნოლიები, გახარებული მაგნოლიები და დატანჯული ადამიანები, მინახავს გველის ტრფიალი ასულისადმი. მიცხოვრია ვიეტნამში, მინახავს ადამიანის დაბადება ნავში, გულგრილად გვერდი ამივლია „ამქვეყნიური სამოთხისათვის", ვწვევივარ შანხაის, მინახავს მუსიკით გატაცებული სელაპები, შორეულ ჩრდილოეთში შევხვედრივარ ყრმობის მეგობარს, ვმდგარვარ ცისკენ აზიდულ აისბერგებთან, გამომივლია ყინულნათლობა, დაგვიმარცხებია კეგლიუჩინი, უდედოდ გაზრდილი და გაავებული ლომვეშაპი, მისაუბრია ფიდელ კასტროსთან, ქართული სტვენა გამომიცვნია ჰავანაში. სად არ ვყოფილვარ, სად არ მივლია, ახლა კი თმებდათრთვილული და გამარჯვებული მოვბრუნებულვარ ჩემს მამულში, ჩემიანებთან.

Бараташвили Вахтанг Виссарионович
ПО МОРЯМ, ПО ОКЕАНАМ
(На грузинском языке)
Детюниздат Грузинской ССР
«Накадули», Тбилиси, 1972 г.

რედაქტორი გ. დ ე კ ა ნ ო ი ძ ე, გამომცემლობის რედაქტორი ლ. ტ ყ ე შ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, მხატვრული რედაქტორი გ. ღ ლ ო ნ ტ ი, ტექნიკური რედაქტორი ზ. დ ო ნ დ უ ა, კონტროლიორ-კორექტორი დ. კ ა ლ ა ნ დ ა რ ი შ ვ ი ლ ი, კორექტორი ნ. პ ა ჭ კ ო რ ი ა, გამომშვები ც. ზ ა ზ ა შ ვ ი ლ ი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 15/IX-71 წ. ქაღალდის ზომა 84×108 1/32, ნაბეჭდი თაბახი 14,91, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 12,97 უე 00371 ტირაჟი 10.000 შეკვ. № 2466
ფასი 68 კაპ.
გამომცემლობა „ნაკადული", თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5
Издательство «Накадули», Тбилиси,
ул. Марджанишвили № 5.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის მთავარ-პოლიგრაფმრეწველობის სტამბა № 2 „ნაკადული", ფურცელაძის ქ., 5